პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

№ 97 | კვირა, 24 აპრილი 1927 წ. | № 97

## გაუტეხავი კვერცხი




ტრგულთ თვალში უბნელდებათ

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 13

ალბათ თქვენ ფიქრობთ
— სჩანს ტარტაროზმა.
თავის ბრძანებას
თავი ანება;—

რადგან ამდენი
ხანი გავიდა
და არ გვსმენია
მისგან ბრძანება.

ესეც არ იყოს,
დღეს რა დროსია,—
რადგან დღეს არის
„ქრისტეს აღდგომა":

არც კი გვცალია
ბრძანებისათვის
და ყველას გვინდა
მაგრად „გაძღომა".

ესეც არ იყოს, —
თქვენ მართალი ხართ;—
მაგრამ ჩაჰყევით
სტრიქონებს ქვემოთ

და არ მგონია:
ეს თქვენი აზრი,
წაკითხვის შემდეგ
კვლავ დაიჩემოთ.

ბრძანება ესე
ყველას ეხება,
როგორც აგენტებს,
ისე მკითხველებს...

(ჩვენ კარგად ვიცით:
ყველა თქვენგანი
უკმაყოფილოთ
რომ ჩაახველებს).

მაგრამ ჩაჰყევით,
კიდევ ქვევით და
თქვენ ნახავთ მაშინ,
რაშია საქმე;

ნახავთ თუ რისთვის
ბრძანება ესე,
მეორე გვერდზე
დავსწერე აქ მე..

აი, რაშია
საქმე ისმინეთ:
მოდის ზეიმი
ჩვენთის ძვირფასი;

მალე გამოვა
„ტარტაროზი"-სა
საიუბილეო
ნომერი ასი.

და ეს მოხდება
ხუთმეტ მაისსა...
და მაისი ხომ
სჯობს ყველა თვესა.

(რა თქმა უნდა, რომ
მხედველობაში
მისაღებია
საზგასმით ესა.).

მუზა დაფრინავს,
როგორც პეპელა,
და იწერება
ლექსი შაირი:

იქარგებულია
მწვანე მთაბარი
ჭყავის ყვავილით
ათასნაირი

გაზაფხულია
და ბუჩქის ძირას
თავსა იწონებს
ვარდი და ია.

(ასე მგონია:
ვარდი ძმა არის
და ია მისი
მკვიდრი დაია).

ყველას იტაცებს
ეს სილამაზე;
ყველას უმშვენებს
მკერდს ია-ვარდი...

და შეიძლება
გულს ამ მკერდის ქვეშ
მწუხარების
ღრღნიდეს რამ დარდი..

და აი, მაშინ
ნება გვიბოძეთ,
რომ ჩვენ დაგადოთ
წყლულზე მალამო.—

და გაგიხალისოთ
წუთები მწარე,
მეტად ტკბილი და
თანაც საამო...

და ეს მალამო
„ტარტაროზი"-ა.
ყოველგვარ სენის
არის მკურნალი.

სადაც არ იყვეთ
ამ გაზაფხულზე,
თქვენ უნდა გქონდეს
ჩვენი ჟურნალი.

თავისითავის
დასამშვენებლად,
თქვენ „ტარტაროზი"
გეჭიროთ ხელში.

(ეს თქვენ გახსოვდეთ,
სადაც არ იყვეთ
დღესასწაულზე,
თუ... განსაცდელში).

ტარტაროზი.


უკვე დაიწყო

გაზ. „მუშა"-ზე და ჟურ. „ტარტაროზზე"

ხელისმოწერა მაისისათვის

მაისში გამოვა „ტარტაროზის"

ხუთი ნომერი

მათ შორის მე-100-ე,

საიუბილეო ნომერი

რომელშიაც გამოაშკარავებული იქნება „ტარტარო-ზი"-ს მუდმივ თანამშრომელთა ფსევდონიმები, მათი სურათები და შარჟები და აგრეთვე ლევარსი [illegible]-ხაძის ნამდვილი სურათი

დროულად გამოიწერეთ

# „რ ა დ ი ო  კ უ რ დ ღ ე ლ ი"



შველი კურპები ჩვენ უარვყავით
ძირს ღმერთი, ხატი და ეკლესია,
მშრომელთა ძმობა მთელს მსოფლიოში,
აი ეს არის ჩვენი მესია!



წყევლა და შეჩვენება თქვე არვასამდგლნო. (თავისთვის) ეს, მახლაზ თქვენზე არც ჩემი წყევლა სჭრის და არც კურთხევამ მიშველა რამე.

# ს ა ა ლ დ გ ო მ ო

ჩვენი მზადება აღდგომის შესახვედრათ დაიწყო საახალწლო კამპანიის ჩატარების შემდეგ. მართალია, საახალწლო კამპანია საკმაოდ ძვირი დაჯდა და ჩემი ბიუჯეტიც საგრძნობლად შეარყია, მაგრამ რას იზამ, სააღდგომო მზადებას მაინც შევუდექი. სულ ერთია, ჩემი ბიუჯეტი მაინც დეფიციტიანია, დოტაციას არსაიდან ველი და ზარალი მეორე წლის ბიუჯეტში გადადის.

ასე იყო თუ ისე, მზადებას შევუდექით, ჯერ იყო მხოლოდ საუბრები და საწარმოო თათბირები სააღდგომო კაბების (ჩემი მეუღლისათვის), ქუდების (მისთვისვე), ფეხსაცმელების (ისევ იმისთვის) და სხვათა შეძენის შესახებ. საწარმოო თათბირებზე, გადაწყდა ზემოხსენებულ სპეცტანისამოსის შეყიდვა — ხმის უმრავლესობით (ერთმა, — მე თავი შევიკავე).

ყოველ შემთხვევაში ჩვენმა შინაურმა საწარმოო თათბირმა გამოიტანა რამოდენიმე მნიშვნელოვანი (ჯიბისთვის) დადგენილება.

ხოლო, ეს ყველამ უწყის, რომ დადგენილების გამოტანა ერთია და მისი შესრულება — მეორე. საწარმოო თათბირი ვინაა, რომ მისი რეზოლიუცია მთლიანად განხორციელდეს? ჩვენი კი არა, ხშირად ქარხნის საწარმოო თათბირის დადგენილებას არ ასრულებს ადმინისტრაცია.

დიახ, მოახლოვდა აღდგომა. ჩემმა მეუღლემ შესაკერავები იყიდა, მაგრამ შეკერვა გახდა ძნელი: ხომ იცით, ყველას სააღდგომოთ უნდა ჩაიცვას ახალი და ყველა დერძს ამას, მკერავების ნაგრუზკის გამო.

დაიწყო ხურსათ - სანოვაგის შეძენის საკითხი.

## გ ო ჭ ი

პოი, გოჭო! ვინ ყოველმა მოქალაქემ იცის, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება სუფრაზე წამოწოლილ, დაბრაწულ გოჭს: იგია სუფრის მშვენება, მით უმეტეს აღდგომის სუფრის. განსაკუთრებით კარგია იგი, როცა პირში წითელი კვერცხი აქვს გაჩრილი და ცხვირ წინ ტარხუნა ულაგია. გოჭის ხორცი, როგორც ასეთი, ფრიად კარგი საკვებია და სუფრაც უიმისოდ არ ვარგა. ამიტომ, ჩვენ გადავწყვიტეთ გოჭის შეძენა.

## ი ნ დ ა უ რ ი

ოჰ ინდაურო! რამდენად ნაკლებათ ავტორიტეტულია შენი ჭკუა, იმდენათ პოპულიარულია შენი ხორცი, მეტადრე საცივად დამზადებული. შენი პოპულიარობა ფართოა და თუმც ფართო მასებისთვის არ ხარ ხელმისაწვდომი (სიძვირის გამო), მაგრამ მაინც არ შეგვიძლია უშენოდ აღდგომის გათენება.

## ღ ო რ ი ს  შ ა შ ხ ი

მოქალაქენო! თქვენ იცით, თუ რას ნიშნავს ძველი სიტყვა „ვეტჩინა", ანუ „ვიჩინა". ეს არის ღორის შაშხი, რომელსაც „ოკოროკს" უძახიან. სპეციალურად ინახავენ სააღდგომოთ და თვით კოოპერატივებიც მომხიბვლელად ყიდიან. ყიდიან იმიტომ, რომ იციან, უშაშხოთ აღდგომის გათენება უვარგისია. ამიტომ, ჩვენ გადავწყვიტეთ მისი შეძენა.

## კ ვ ე რ ც ხ ი

პატივცემულო ქალბო და ჯამაათნო! კვერცხი, როგორც ასეთი, წარმოადგენს მეურნეობის დერძს. უკანასკნელად, მეცნიერება და ტეხნიკა იმდენად განვითარდა, რომ კვერცხის საშუალებით ამზადებენ არა მარტო გოგლ-მოგელს, არამედ სხვა ქიმიურ ნივთიერებებს, როგორიც არის: ტაფაკვერცხი ერბო-კვერცხი, ადამიანის გამაჭაპუკებელი კვერცხი და სხვ.

ვიტყვი მხოლოდ, რომ არასოდეს შტეინახი არ ყოფილა კვერცხებით დაინტერესებული ისე, როგორც თვითეული ჩვენგანი — სააღდგომო წითელი კვერცხით. მართალია, ამ უკანასკნელ დღეებში კვერცხი მუშკოოპშიაც გაძვირდა, მაგრამ... მაინც შევსძენით.

# ს ა რ დ ა ფ შ ი



**სირაჯი:** ვა! ღვინო მოგცე ისეთი, რომა კაცსა ერთი ბოთლი დაალევინო,—დაწვეს რაღა და იძინოს.
— არა, ასეთი ღვინო არ მინდა; ისეთი, მომეცი რომ დალიოს და წავიდეს.

## პ ა ს კ ა

„პასკა უფლისა, ალმასხან, ჩადე ხურჯუნსა-ა-ა". ასე მიმართავდა ჩვენი მღვდელი (ახლა ნოქარი გახლავთ მუშკოოპ'ში) დიაკვანს წირვის დროს. მართლაც, ხურჯუნები ივსებოდა პასკებით და იგზავნებოდა სახლსა შინა მღვდლისასა. აქედან მე ის დასკვნა გამომყავს, რომ პასკა აუცილებელი ატრიბუტია აღდგომის. პასკა უაღდგომოთ წარმოუდგენელია, ისევე, როგორც აღდგომა უპასკოთ. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ პასკის გამოცხობა ადგილობრივად,—სახლში, შინა-მრეწველური წესით.

## ტორტი, ხაჭაპური წვრილმანი

მოგეხსენებათ, ტორტი არც ისე საბრიყვებელი ობიექტია, რომ საალდგომო სუფრას დავაკლოთ. ხოლო რაიცა შეეხება ხაჭაპურს, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ხაჭაპური, როგორც ასეთი, სუფრას აუცილებლად უნდა ამშვენებდეს. არ შეიძლება აგრეთვე გვერდი აუხვიოთ ისეთ აუცილებელ წვრილმანს, როგორც არის: კონფექტები და სხვა ტკბილეულობა, ლომი, კიტრი (მჟავე და ახალი), ბოლოკი, ტარხუნა, ქინძი, პრასა, ოხრახუში, მაკიდო, ნიახური, ნიორი, ხახვი, კონიაკი, არაყი, „ვიშნოვკა", თაფლი, კარაქი, ვანილი, შაქარი, დაირა, ასპირინი და სხ. ზოგი მათგანი საჭიროა, როგორც მწვანილი, ზოგი საცივის შესამზადებლად და ზოგიც, როგორც მაგ. ასპირინი, ჩიწებულია ლოთობის მეორე დღეს ოფლის გამოსაყვანად, დაირის მნიშვნელობაზე აქ აღარ ვილაპარაკებთ.

## ღ ვ ი ნ ო

დიდათ პატივცემულო მოქალაქენო, განურჩევლად სქესისა, მიმართულებისა, ოჯახურ მდგომარეობისა, სოციალურ შემადგენლობისა, პოლიტიკურ მრწამსისა, ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სამსახურისა, სტაჟისა, კვალიფიკაციისა, დამსახურებისა, პროფესიისა, თანამდებობისა, ჯამაგირის განაკვეთისა, ხარისხისა, პროფსტაჟისა, კულტურულ დონისა, ხასიათისა, ჰასაკისა და სხვათა და სხვათა!... მე მესმის თქვენი სულის კვეთება: მე ვგრძნობ თქვენს მოუთმენლობას! მრავალი თქვენგანი, ალბათ მისაყვედურებს, რომ ღვინო - ბოლოს მოვიხსენიე. მაგრამ, ჰოი ადამიანნო! ნუ შეშფოთდებით. ღვინო მე არ დამვიწყები და არც დამავიწყდება. თქვენ იცით თუ რას ნიშნავს ეს სიტყვები: „ნოემ რა ერთხელ ინება, ყურძნის წვენისა გემება". და სხვა. როგორც ყოველი თქვენგანი, ისევე მეც ვყიდულობ ღვინოს, ვიყიდე კიდეც ოთხიოდე ვედრო, რომ მეც და ჩემმა მეგობრებმა ყელი გავისველოთ.

მე მხოლოდ ერთი რამ მაქვს საწყენად: თქვენ იცით, თუ რა უპირატესობა ეძლევა ახლა გამომგონებლებს, როგორ ასაჩუქრებენ მათ. ამავე დროს, ისეთი დიდი გამომგონებელი, როგორიც იყო ჩვენი ბიძა ნოე, დავიწყებული გვყავს. განა მან არ გამოიგონა ღვინო, რომელსაც ასე უხვად სვამს ყოველი ჩვენგანი? განა ჩვენ წყალის ამარა არ დავრჩებოდით, რომ ნოეს ღვინო არ გამოეგონებია და არ გამოეწურა ვაზიდან? დიახ, ეს ასე იქნებოდა და ამიტომ წინადადება შემომაქვს: მოვიგონოთ ეს სწორუპოვარი გამომგონებელი და იუბილე გადაუხადოთ.

მე მგონია, ყველაფერი ითქვა. ზემოხსენებული სანოვაგე შეადგენს ქართულ სუფრას, თუ ამას მიუმატებთ „გდე-ბ ნე სკიტალსა ია"-ს მომღერალ ყმაწვილებს, მოხუცებს და ქალებს. ყველაფერი ეს შეადგენს აღდგომას, რაც მეტად უარყოფითად მოქმედობს საბჭოთა მოსამსახურის და მშრომელ მოქალაქის ბიუჯეტზე და რაც ამცირებს შრომის ნაყოფიერებას: ერთი რომ საალდგომოთ მოსამზადებელ კაცს სამსახურზე გული არ მიუდის და მეორე: ნაალდგომევს, ორი-სამი დღის ქეიფის შემდეგ, სამსახურზე გულიც რომ მიუვიდეს (და თითონაც მივიდეს სამსახურში), ერთ კვირას ხასიათზე ვერ დადგება.

**ალლარ-სალლარხან.**

# წ ე რ ი ლ ი
## სატრფოსადმი

შემიყვარე გენაცვალე,
ოხ, რა კარგი დარია,
უშენობით ეს გული
ხომ იცი რომ მკვდარია.

გენაცვალე დუშკაჯან
რად ხარ აგრე ცხარეა
ცეცხლს დაგაფრქვევ გულ-მკერდზე
თუ გავხდები ქმარია.

წუხელ ვნახე სიზმარი,
შენ კალთაში ვსტიროდი,
როცა გამომეღვიძა,
გავოცდი და ვკვირობდი.

არც იყავ თანახმა.
კოცნა არც იქ მაცალე,
ნუ მომკალი დუშკაჯან.
სიკვდილი დამაცალე.

რა იქნება უგარი
არ გამიჩნდეს თავშია;
მეც ვარ პორთფელიანი,
მითხარ საქმე რა'შია.

ცოტათი ვარ მოხუცი,
სულ სამოცდა ხუთშია,
შტეინახს აქ მოვიწვევ,
ფული ხომ ჩემ ყუთშია.

მეც მყავს ავტომობილი
და ფულებიც კასაში,
შენი შეყვარებული
ვკვდები პასუხის ცდაში.

**შენი გიგლუშკა.**

## „ამერიკელი ძია“



მეგობრული შარჟი

ქართულ დრამიდან მოათრევს ლალას
ღიმილით ითვლის ასს და ათასებს,
გზა, გზა მიეცით „ამ ჩემანალას“*)
ხედავთ თვის „ძიას“ როგორ იფასებს.

*) კომბალას სიტყვა.

# მ თ ვ რ ა ლ ი გ ო ჭ ე ბ ი

— მე შენი არაფერი მესმის, აღდგომა კარზე მოგვადგა, მეზობლები უკვე პასკებს აცხობენ, ყველა ფუსფუსებს, პრავიზიას ყიდულობს და შენ კი ავანსიც არ მიგიღია? რითი აპირებ დღესასწაულის შეხვედრას, სირცხვილში გინდა ჩამაგდო?

ასე მომმართა ცუცქნამ (ჩემი მეუღლის სახელი გახლავთ) წარსულ პარასკევს.

— ქალო, გაუჩენარს საიდან გავაჩენ? ხომ იცი ჩვენი დაწესებულების კანტორა არ მწყალობს, ავანსს ვერ ავიღებ. მოლარე მე არა ვარ, რომ მივითვისო და ჯამაგირმა კი უკვე პირი მოგკვამა!

— როგორ, მე არ გასაჩენო, მართლა ფიქრობ რომ აღდგომას თავი დააღწიო და ტოლ-ნაცნობებში გამოურჩიო? ბარემ გრიპი შეგვხდეს მოურჩენელი და მოუნელებელი — ის გირჩევნია! ამას მოჰყვა მერე გრძელი საყვედური იმის შესახებ, რომ ის პირდაპირ წამებულია ჩემს ხელში. არა აქვს სულ აუცილებელი რამეც კი, მაშინ, როდესაც მის „პადრუგას“ „დუქინობით უწყვია ვიქტორია ჩულქები, ვიაზანკები, შლიაპები, კოვერკოტის პლაშჩი“ და სხვა.

მე მივხდი მის ქარაგმებს, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მას „დღის წესრიგში“ აქვს შეტანილი და ახლავე ამზადებს ნიადაგს: და როცა აუხსენი, რომ „ვიაზანკებს“ და შლიაპებს სააღდგომო სანოვაგესთან კავშირი არა აქვს, ის შეხტა და შემოტრიალდა.

— ოჩენ დაეე, ოჩენ დაეე! სწორედ რომ აღდგომასთან არის დაკავშირებული ლორიგანის დუხი და სხვები, მაგრამ მე ხომ ჯერ ამეებს არა გთხოვ? პირველ რიგში პასკების, ვიჩინის და გოჭის საკითხი დგას, პლაშჩისა და შლიაპას კი გადაღმა კვირაშიც ჯერ კიდევ სეზონი ექნება ისე, რომ შენებურად უნდა დატრიალდე.

თქვენ თვითონ დარწმუნდებით, რომ ჩემგან კამათის გაგრძელება მდგომარეობას უფრო ართულებდა, რადგან ყოველ საპასუხო სიტყვის შემდეგ, ცუცქანა თანდათან აფართოვებდა თავის „დღიურ წესრიგს“ და უმატებდა დუხს, შლიაპას, ჩულქებს თუ სხვა ძვირფას ქსოვილებს, რასაც თურმე დიდი კავშირი ჰქონია პასკებთან.

მეორე დღეს, როგორც იტყვიან, „გველის კანში გავძვერი“ და ფული ვიშოვნე. რადგან რკინისგზის ბი-

# ესეც აღდგომაა!



ლეთი უფასო მაქვს. გადავწყვიტე ხაშურის ან ქარელის ბაზარზე წასვლა და სანოვაგის იქ შედარებით იაფფასში შეძენა. გოჭი და კვერცხები, რა თქმა უნდა, პირველი პუნქტი იყო ჩემი მისიის... ცუცქანამაც შეადგინა თავის „მუშაობის" გეგმა და პირველ პუნქტად დააყენა სახლების დალაგება (ე. ი. ერთი გახრეკილი მაგიდის, ძველი ტახტის და სამი სკამის ერთი კუთხიდან მეორეში გადადგმა და სხვა).

მატარებელში გასაჩერებელი ადგილიც ძლივს ვიშოვე. ვაგონის შესავალ კარში გავიჭედეთ რამოდენიმე მგზავრი, კალათები და ტომრები სჭარბობდა მგზავრებს. ყველა „მუსაიფობდა" იმის შესახებ, თუ რანაირი გოჭი უფრო იაფი იქნება, ან რა არის საჭირო იმისთვის, რომ ნაყიდი „საქონელი" (ქათმები გოჭები და ინდაურები) ქალაქში ჩაყვანამდე არ გახდენ. განსაკუთრებით ერთი ღიპიანი, ვაჭარი, ფარსადინულ კილოთი არიგებდა ყველას:

— გლავნი ის არის, რომ გოჭი მხიარულად ამყოფო, არ მოაწყინო, დარდი მამენტალნათ ახდენს. ჰამ წონაშიაც იკლებს და ჰამაც გემო ეკარგება. ყველაზე კაი სპოსობა ძილია, გოჭი უნდა დააძინო. რომა დედაზე არ იფიქროს, ნუგბარი რაჰყა, გულში ბოღმა ჩაუვარდება. ამიტომ უნდა დაათვრო, ერთი სტაქანი არაყი იმავე ნიმუტში ათრობს. მე სულ ამ სპოსობით მიმყავს ქათმები, გოჭები რამეები: ქარელში ვიყიდი, დავათროფ, დავაძინეფ, ჩავყრი კარზინკაში და პუპუზ უეე ქალაქშია. ვერც კანდიხტორი გაიგებს, ვერც კანტროლი მააში!

და თან ჩაიხითხითა.

ეს უცნაური ვაჭარი ჩემს პირდაპირ იდგა, მისი ღიპის ერთი ნაწილი გულზე მქონდა მობჯენილი, ძლივსა სუნთქავდა და ნიორის სუნით გვქლინთავდა ყველას.

— როგორ უნდა დაათროთ გოჭი, ან რა საშუალებით შეიძლება დააძინოთ ქათმები? შევეკითხე მე.

— ჩერესჩურ პრასტოი რამეა: პურის გულს ჩგამაილეფ, დაფშხვნი, ჩაჰყრი ჯამში, არაყს დაასხამ და მერე გოჭს დუადგამ. არა რომ ის მამენტალნათ შესჭამს—აპეტეტიანი ქიეოტნია. მაშინვე დაეძინება და ხმის ამოღების შნო აღარა აქვს, ჩადე კარზინკაში, ან მეშოკში და შაიტა ვაგონში, არც ბალაჰი, ხლაფოროთი, არც ფლანი და არც ფსტანი. აგრეთვეა ქათმებიცა. ეხლა ერთი ბოთლიკა არაყი წამამილია, ნახევარ დუჟინი გოჭი უნდა ვეყიდო დავათროფ და ჩავყრი მეშოკებში. ჰამ არც იდარდებს, არც გახდება და ჰამაც ეგრე პრამოი წაეიყვან, ქალაქამდისინ არ გამოიღვიძებენ...

როგორღაც მოხდა რომ მე წავიქეცი, ღიპიანი ჩამაფრინდა და ხელათ ამიყვანა. მოკლე სიცილის შემდეგ შემეკითხა:

— შენ დალიქი ხომ არა ხარ?

— არა, საიდან წარმოიდგინე?

— ისე, ძალიან მსუბუქი ვინმე სჩანხარ, ხელში ლითხკათ აგიყვანე, დალაქები ხომ ჩერესჩურ მსუბუქები არიან მააში.

— ამაზე ცოტა წყენის კილოთი უთხარი: — გეტყობა იმ თქვენი გოჭებივით თვითონაც ხშირადა ხვამთ არაყს რომ მხიარულად იყოთ.

— ეა, არაყს კი არა ბოღლოწოხა ვჭამ, ჰამა არ მაძინებს, ზატო მამხიარულებს. პაჟალუსტა, ობიჟაიტს ნუ იზამ. ისე შუტკით მითქვია! შენც პრავიზიაზე მოხვალ? თუ გოჭებს იყიდი, მე დაგითროფ, ერთად წამოვიყვანთ! ჩემი სახელი კარაპეტაა, კარაპეტ წიწმატიანც.

მისი ლაპარაკი ჭკუაში მომივიდა და მისი სიტყვით, მალე „დავზნაკომდით". ხაშურის ბაზარზე იაფად შევიძინე გოჭები, კვერცხები, ქათმები... როცა ყველაფერი მზად იყო, კარაპეტამ საიდანღაც მოიტანა ჯამი, ჩაფშვნა პურის გული, დაასხა არაყი და დაუდგა გოჭებს. ისინი მივიდნენ და შოსლაპეს. ცოტა ხნის შემდეგ მართლაც გასჭრა კარაპეტას წამალმა. გოჭებს და ქათმებს დაეძინათ. ჩავსხით ქათმები კალათებში და გოჭები ხურჯინში, კვერცხებისათვის კი რახან ჭურჭელი არ დამრჩა, სიფრთხილით ჩავაწყე ჩითის პარკში და ჩავბარგდით მატარებელში. კარაპეტა მეორე ვაგონში შევიდა:

— ერთად აპასნია, პადაზრენია გვიზამენ და შტრაფი ნეპრემენია. თბილისამდე ყველაფერი რიგზე იყო გარდა ერთი მარცხისა, როცა ფიქრებში გართული, კვერცხებით სავსე პარკს დავაჯექი და მთლად დავამტვრიე. ჩემი უკანა ნაწილი პირდაპირ ერბო - კვერცხის ტაფას დაემგვანა. ხოლო მგზავრებს სამხიარულო მასალა გაუჩნდათ.

თბილისში, გამოსასვლელ ბაქანზე მთელი ზღვა ხალხი დაგროვდა, ის ჩემი ცოდვით სავსე კონტროლიორი ძალიან ჭინჭყლა კაცი აღმოჩნდა, ყველას ჩხრეკავდა ხელ-ბარგს, უწონიდა და ვისაც მეტი აღმოჩნდებოდა, ჯარიმას ახდევინებდა. ამიტომ დაბრკოლდა ხალხის გაშვება. დრო გავიდა და ალბად ჩემს გოჭებსაც არაყი გამონელდათ, რაღაც ჩოჩქნი დაიწყეს. მე შიშმა აიტანა და დავეჩქარე გასვლას.

— გრაჟდანინ, თქვენ აქეთ მოიტათ ეგ ხურჯინი, რაღაც მძიმე სჩანს, უნდა ავწონოთ! ჩამძახა ყურში ხულთამხუთავმა კონტროლიორმა. ვცადე გაძრომა მაგრამ ხელი მტაცა. ამიწონა კალათი, ტომარა და ხურჯინს წამოეტანა.

— არაფერია ჩირი და ლობიოა ამას არ უნდა აწონა!

— ჩირია თუ მარგალიტი დადეთ აქ და გავიგებთ. მომაძრო ხურჯინი და ასწია. სწორედ ამ დროს გოჭებმა მორთეს საზარელი ჭყვირილი და ფუტფუტი დაიწყეს.

იშკილი გამოირკვა. გახსნეს კალათა, ამოიყვანეს მძინარე ქათმები, ხოლო არყის სუნმა საქმე საექიმო ექსპერტიზამდე მიიყვანა. გათავდა იმით, რომ გოჭები და ქათმები კონტროლთან დარჩა, როგორც ნივთიერი საბუთი, ხოლო მე ოქმი შემიდგინეს, როგორც მატარებელში მაგარ სასმელებით მოვაჭრეს და გოჭების უბილეთოდ მგზავრობის მომწყობს. სამი დღის დაპატიმრების შემდეგ, კი თავდებობით გამომიშვეს, საალდგომოთ.

მაგრამ ცუცქნას ხელში აღდგომა კი არა, ჯოჯოხეთი გამითენდა.

თარხა

# საქოს ვიზიტი

— ხრისტეს ვასკრეს, ვოისტინ ვასკრესა. ვიზიტნათ მოგესალმებით პანდროველების სახელით: ესო ქრისტე— გამჩენმა სიყმე მთელი მოგცეთ, მეურაზს მოგწონოთ, რაც რომ ამ ბალშევიკებისგნით შარი და ხათა გინახიათ, უფალმა-ღმერთმა ნუყლად გიქციოთ, ნუ სლოვომ, რაც კარგი რამეა ის მოგცეთ რაღა, ხეირი გარჩენოთ!

ჰაი გიდი აბასთუმან! სადღაა ძველი შნო და ცოდო მადლი? ალდგომის ვიზიტზე ასეთი ძველი ფინჯაკით წავიდოდი? ან პოლსაპოგებიდან თითებს ასე გელაქნურებით გამოვყოფდი? ასეთი გრძელი პალტ-ფრაკი მქონდა, რომა როცა ჩავიცვამდი ხოლმე, დამოკნის ნაჩალნიკი მეგონებოდით, ჰამაც სტაიანი ვარადნიკი, გალუსტუკა, რომე? ჩემი სკარახოდები ისეთი სკრიპუჩი რამე იყო, რომა როცა ქუჩაში მივდიოდი, სულ პახარონი მარშს უკრამდი ფეხებითა. მაშ!

ჰამაც დიდ მარხვას ჩიორაზა, სუფის კვერი, ალდგომა დილას კაი სტოლი, ათვისი სამოვრითა და სტაქან-ბლუდიჩკებით, ქორფა გოჭი, ბატკანი, წუგბარი ტარხუნა, ახალი ყველი, ნალივკები, კანიაკი, რაზე თავისი ჩირთიფირთებითა, სიდ მახსოვს? შენ პასკები თქვი. ბზობის ორშაბათს მუშანა დიიწყებდა ხოლმე უპორკებს, მერე პასკის თაბაშის იჭერადა: დაუძახებდა ამ ჩვენ კურკა-მაკინას და მთელი სუტკა აზელინებდა ხოლმე. ერთხელ რევნიკიდე კა უცვამ მაგაზელა და ეგბნები:

— დედაკაცო, მაგ კაცს ბაბნიკის სახელი აქვს ასარ მარტო რო მიგყავს კუხნაში და ჰამაც კარგს ნაზამოკ ჩქვამ, რას ალუქნიან?

— თვალი იმათაც დაუდგება, რაც უნდა სთქვან, მიჭირამე ოპიტი მიქნია, მამწონს კარგი დაზელვა იცისო.

ხვთიმოგამ დილით პასკა უფრე გამამცხვარი იყო, მუშანა რო დაალაგებდა ხოლმე გუფეთის თავზე, პირდაპირ დრაგუნის პოლკი მეგონებოდა. ლიტონიაზე ვანქში დავდიოდით, იქვე ტერტერა ტერ-ისკანას ზაკაზს ვაძლევდი, რომ პირველ ვიზიტნათ ჩემთან მოსულიყო თავისი ტერტეებითა—სტოლი ეკურთხებინა, ქრისტეს პური გაეტეხა. ჭონაპირ-კეშმირიტა გიქი რაღა, ლახათი დაელი.

მერე იწყებოდა ვიზიტში აჩჩიტებთ: ჩავიცვამდი—და მუშანას ვებნებოდი:

— მუშან, ეხლა მე წავალ, პანდროვლებისას ვქნამ, შენ კი სახლში სარისტინანათ მოიქეცი, სტუმრები, რამეა მარაფეთი აჩვენე მეთქი. იმან კაპრიზნათ მებნებოდა:

— ახორ, შენ სხვასთან მიხვალ ვიზიტნის გასაკეთებლათ და სხვამ კი მე უნდა გამიკეთოს? დარზი რაღა, ზიზორ ორივეს ერთად გაგვიკეთოს!

— მგათი ერთად როგორ შეიძლება, განათლებულ ინტელიგენცია ხალხში ეგ მიღებული არ არის, ცოლები სახლში რჩებიან, სტუმრები იმათ ისემეს უმეტებიან მეთქი რაღა, ულოცავენ და ჰამაც თავისი ვიზიტნი კარტოჩკას ძლევენ, პაპიროზენ მეთქი..

მივდიოდი. ერთ-ორ ვიზიტზე ჭკვა ხელში მქონდა, სკრომნათ ვიქცეოდი, ჰამა მერე კი მორჩა! პოპოპებს ვაურენდი და ჰანგლობაში ბადაღა არაფერ იყო. რამტოლი რამეები მაგონდება. რამტონი პრიკლუჩენია მამსვლია ვან მოსთელინს!

პრიმერნათ ერთ რამეს გიამბობთ ძველი ამბავია, ჰამა ძველის მეტი რაღა დაგვრჩა, ყველაფერში დასამინანის ვიკვიდებთ, და ჰუზურში უბეშენიაც მიდის:

ეს ძველი სლუჩია: პირველი ვიზიტნი ნალბანდ იაგორას დავარტყი, იქ ჩვენი ჰამქრის ბიჭები იყვნენ და კაი პურმარილი გვამეთ; იქიდან ყიყვიან ჰასატურის ვესტუმრეთ, მერე ბაბაზ ვართანასთანაც შავდით. იქ მთელი ლახუტრუტ ბაზრის ჰამქარი დაგვხვდა. ერთი ჩასპანდი ბიჭი იყო, თურმე სარაჯოვის პრიკაშჩიკი ყოფილა.—ჰაკა რაკათ ჩაგვფაცავდა თუ, დღეს პრაზნიკი დღეა და ხაზეინთან ესე მთელი კამპანიით წამაყვეთ ვიზიტნათ, ჩერესჩურ გაუხარდებაო,

წავყევით იმის დვარეცი ხო იცით, სოლოლაკში ჰქონდა, ეხლა თურმე შიგ პოეტების შკოლა გაუღიათ, რაღა ლექსებს ასწავლიანო. ჩორნი ხოდიდან შავედით. ვა, ისეთი რამეები ვნახე რომა მართლაც ნაინტერეს რამეები: კარტიჩკები, პარკეტნი პოლები, გრანიცის სარკეები, დაან რედკი საქონელით მორთული აბსტანოვკა იყო.

ერთ დიდ ზალაში დაგვსხეს, კაი პატივი გვცეს, ქრისტიანული სიტყვები, განათლებული სტუმრები, მუზიკა, ტანცი რამე ყველაფერი. იყო ჩავგონებოდა ტრიატრაო. კანიაკები დავლიეთ და ტვინში პაკარიც გაჩნდა. მერე ავიშალენით და მე და ჩოფურ-ვაჰაკამ ამ დვარეცის ათვალიერება დავიწყეთ. მე ჩერესჩურ მთვრალი ვიყავი და ყველაფერი ითუ ზბირად მეჩვენებოდა.

ერთიც ვნახოთ, ჩოფურ მიკიჩას სადღაც შაუხვევნია და მე მარტო არ დავრჩენილვარ? ამოტოლა სინაღოლაში ისე დავიკარქე, როგორც ბრინჯის მარცვალი კრუტოვი კიბეს ჩამოვყე და ახლა სხვა ფასადის ოთახებში გავჩნდი, აქეთ-იქით ვტრიალებ პტიშეოს ცხენივით. ჰამა გზა ველარ მიპოვნია. ვყვირი:

— მიკიჩ, მე პარძალით ზნაკი მამეცი სადა წამოვედე მეთქი. საქმეში ხარ? გავაღე ერთი კარები და განათებულ პადიეზდში გავედი: ვახ! ხოამუმ ლიბტრიცკის ფლაგი მამივიდა! ვხედამ იმოტოლა აფრიკანცკი დიკი ნადირები იყვნენ, სპილო, ვეფხვი, ლომი, მგელი, ტურა რამე—რომ გული გამისქდა, ენა ჩამივარდა და საცოდავი დამისვილდა პირის ოფლისგნითა. დავიწყე ღრიალი.

ისეთი პრივიდენია მამეჩვენა თითქოს, მთელი ეს ზვერინეცი დაღრეჯილი კბილებით ჩემსკენ წამოვიდა! გავქანდი, რომლის დავეჯახე, ვხედამ გადავაგდე ერთი მრამორნი სტოლბა და ისეთი სარკე გავტეხე. რომა ის რო გავგონაო, ნაიბახტი არ ამცდებოდა. ფეხი ამერია, წავიქეცი და კიბეზე ჩავგორდი. მერე როგორც იყო პაადგილი გიალე და გავირბივარ, შუა ტროტუარზე ქალი [illegible] კაცი მოდიოდნენ ისე დაეჯახე რომ იქეთ-იქით ლამაზ კვერცხებივით გადავყარე.

— დერჯი ემუ, აკაიოშნიკ, პრასტოვ-ვარიდოვ. მამენტალნი არესტოვიტ სიცილისტ-ტერორისტ. ლუბერნატორის პაკუშენია გაიქეთა და იქვე მოიკლათ. თურმე ლუბერნატორი და იმისი ცოლი გადამიყრია ტროტუარზე! ლიდი ტრევოგა გააკეთეს. მუშტუკები დუაკრეს. გარადოვების მთელი ბატალიონ დამედევნა. დამიჭირეს და ჰამაც ლაზათიანათ მცემეს. ჯიბეში დანაც მიპოვნეს და ტერორისტათ გამამაცხადეს. ბევრი ვეხვეწე, მაშისგნით მამიდიდა, რაზუმენია დავკარგე და მონასთიში ვარ მეთქი, ჰამა ყური არ მიგდეს, სანამ ეფრესტვენი დაკაზატელსტვათ ჩემი საცვლები არ გამინჯეს და.. ნუ ყველაფერს ხომ ვერ გეტყვით.

როცა გამიშვეს და სახლში მივედი, ტერტერა დაგიბარე, პარაკლისი გადავიხადე, ჰამაც კარ ქვითი გავმართე.

აი, შნო და ლაზათი მაშინ იყო! ალდგომასაც მადლი ჰქონდა, ლუკმაც ტკბილი იყო და ცხოვრებაცა.

ეხლა? აი, ქრისტეს მადლი გაუწყრეს ამ ბალშევიკების მამგონსა, როგორც ჩვენი ჰამქარი სოლომში ჩიავდა, რეჟიმსა და ზოინებას ულაღატა, ბატი, სახარება, ლედეღი, რამე ყველაფერი მაასპოვეს, საყდარი რომ ნახო. პირჯვარის დაწერა ვერ გაგიბედნია, სამწიტელნია შიგ ან კომცომოლის კლუბი იქნება. ან შახმატნი სკოლა! აბა ასეთ ზაკონებელ დროში ჩვენთვის ალდგომას ლაზათი აქვს?

მახლიაზ, რაც არის თავი იყოს, მაინც ჩვენსკენ გამოიარეთ, ვიზიტნათა, პატარა ზაკუსკა მაინც ვჭამოთ, მართალია პასკა გაგვიფუჭდა, ჰამა რა უყოთ, პიშტი შინ ნახეთ. ზოგჯერ გაუფუჭებულს ჰამაც შაიძლება.

ფარსადან.

# მაშვრალთ აღდგომა ჩინეთში



## ქართული ენციკლოპედია

დიდი ხანია დაიბადა აზრი ქართული ენციკლოპედიის გამოცემისა.

მშვენიერი და საუცხოვო აზრია:

— მართლაც გვაქვს „არსენას ლექსი", შახ-ბარათოვის „ანაბაჯი", ეფრემ მაკალათიას თხზულებათა სრული კრებული, გვყავან „ცისფერი ყანწელები", გვყავს „გოსიზდატი" და გვაქვს ავანსები. მაშ რატომ არ უნდა გვქონდეს ენციკლოპედია?

სხვა თუ არაფერი, რობაქიძის ორიოდე მოგრძო რომანის გამოცემა მაინც აღარ დაიგვიანდება რადგან ირრუბაქიძეთა გინეოლოგიას მოკლე ენციკლოპედიაც განმარტავდა.

მე რომ მკითხოთ, ენციკლოპედია კი არა, თვით ჩუბინაშვილის სიტყვასაც მეათასერეთ გამოვსცემდი, რათა ოქტომბრის ათი წლის თავზე ქართულ გაზეთთა მეთაურის წერილების კითხვა ყველას შეძლებოდა!

მაგრამ ასეთი ფუფუნებისათვის ყლეს ვის სცალია? ან თანხები სადაა? მეასთუთხმეტე დრამას სწერს იროუბაქიძე და გამოცემა ხომ უნდა?

ტარტაროზი უფრო მარტივათ მიუდგა ამ საკითხს და ორი საუკუნის წინ ქართულ ენციკლოპედიის დაბადებამდე, უშვებს საკუთარ ენციკლოპედიას და არც არავისი ეშინია:

„ზოგს ეტკბილიბა, ზოგს არა,
მაგრამ რა ჩვენი ბრალია?
ტარტაროზ ყველას შისახებ
თანასწორ მომღერალი.

# ლაყე კვერცხები




## I

კიოველი ასო გახლავთ ანი.

აწ გარდაცვლილი დეკ. ლამბაშიძის გადმოცემითაც პირველი ადამიანის სახელიც „ა"-ზე აწყობდა:—ადამი. ბევრი იმ აზრისაა თითქო ადამს წინასწარი არა ყოლოდეს და თიხისაგან გაეჩინოთ იგი. ადამს წინაპარნი ჰყავდა. ჩვენ თვით კარგად ვიცით, რომ ჯერ კიდევ განსვესებულინიკოლოზის დროს ადამის ბაბუა საგლეხო „პრისუსტვიები" იყო „სტოლნაჩალნიკათ", მენშევიკების დროს ადამის მამა უკვე მომარაგების საქმეს აწარმოებდა ერაძის სამინისტროში, ხოლო თვით ადამი ამ რამდენიმე წლის წინათ რომელიღაც ტრესტში იყო მოკალათებული, შემდეგ ევამ შეაცდინა (პირად მდივნათ იყო ადამისა) და „ვაშლის" გაფლანგვისათვის, მხოლოდ ხუთი წლით მიაბრძანეს გამსახლში. ასე რომ ადამს წინაპარნი ჰყავდა, ხოლო ჩამომავალნი რომ არ ეყოლოს, ამაზე ჯერ კიდევ კბილ-მაგარი გადია—სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო იზრუნებს.

შემდეგი სიტყვა გახლავთ—აზრა.

რა არის აზრა? საიდან წარმოსდგა იგი?

ამ საგანს პოეტი ასე ახასიათებს:

„თვალით ვერ განსჭვრეტთ მის სიგრძეს,
ვერც სცნოთ მისი განია—
იგი იწყება იქ, სადაც
თავდება სახელგამია".

აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ აზრა ისეთი რამე ყოფილა, ურომლისოთაც წიგნების გამომცემლობა მოუხერხებელი რამეა.

ამ საფათერაკო სიტყვას თანა სდევს უცხო და უცნაური სიტყვა—ავანსი.

ამ საგნის რაობა დღემდე არც ერთ ქართველ მწერალს არა სცოდნია. იგი უცხო ქვეყნიდანაა შემოტანილი და თუ ჩვენს ნიადაგზე კარგად ხეირობს, ყოველივე ამას ისევ და ისევ სახელგამს უნდა ვუმადლოდეთ.

შემდეგი სიტყვა ძნელიცაა და მარტივიც:—**ალლო.** რა არის ალლო? „ბავშვმაც კი იცის რა არის ალლო".

— ეს ის საგანია, რომელიც ძალიან ხშირად აკლიათ ჩვენს კოოპერატორებს და მეურნეებს.

ალლოსთან დაკავშირებულია სიტყვა—**ადგილი.**

დღეს უკვე ყველა შრომის ბირჟაში ჩაწერილმა იცის თუ რა არის ადგილი:

— ეს გახლავთ საგანი, რომელსაც უპროტექციოთ ვერ იშოვით. თუ არის ალლო, ხშირად ჩნდება ადგილიც, ხოლო ხშირია როცა ადგილი აქვთ, მაგრამ ალლო აკლიათ.

ალბად. სიტყვა, რომელიც ძალიან უყვარდათ გადახიზნულსა და შემოხიზნულ მენშევიკებს. ამიტომ ხშირად გაიგონებდით:—„ალბათ წავლენ!" მაგრამ დაჩუმდენ; როდესაც გაიგეს, რომ ასო „ა"-ზე უკეთესი სიტყვები ეწყობოდა:—არასოდეს, არსად, არ წავალთ!

აზნაური—ორფეხი ცხოველი, რომელიც საკმაოდ

მომრავლებული იყო მეფისა და მენშევიკების დროს. მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის დამლევს საესებით გადაშენდნენ ჩვენში და ამჟამად ჩვენს მუზეუმში მათი ჩონჩხიც აღარაა შემონახული.

ალე პარად უცხო სიტყვაა ხოლო გადმოქართულებული იგი ნიშნავს ქართველ პოეტთა გამოფენას სახელგამის ვიტრინასთან. ამ საგნის სრულ გასაგებათ იხ. სიტყვა „ვანვიტრინასთან. ამ საგნის სრულ გასაგებათ იხ. სიტყვა „ავანსი".

არსენა—ადამიანი, რომელმაც მეტრო შეშთილო, წინააღმდეგ მეარშინეთა ცხარე პროტესტისა.

ალი.—ბუნებისმეტყველნი, ამ სიტყვას ცეცხლთან აკავშირებენ, ხოლო ლექსებისმეტყველი იგი არსენიშვილის საკუთრებათ მიაჩნიათ. პირველი იტყვიან: „ცეცხლის ალით", ხოლო მეორენი ამბობენ: „ალი არსენიშვილით". როგორც სჩანს აქ სიტყვების გარდა, სხვა რამეც უნდა იყოს შებრუნებული.

ახმეტელი. ცნობილი მკლევარი. ზურგიელიძის აზრით ეს სიტყვა „ამხეეტელისაგან" წარმოსდგება და მიუთითებენ დიდ ჯამაგირებზე.

ლევარსი როხრობაძის მეცნიერული თვალსაზრისით ეს სიტყვა „გამხეეტელისაგან" წარმოსდგება და კიდეც მიუთითებს „ბევრ კამერებზე".

ჩვენის გამოკვლევით კი ახმეტელი სულაც დურუჯის კალმახი არაა: ვინაა ჩვენ შორის მართალი—ეს უფრო მომავალი სეზონის საქმეა და არა ჩვენი ენციკლოპედიის.

(გაგრძელება გაგრძელდება შემდეგ ნომერში)

უჩარდია.

# ტექნიკა საიქიოში





საიქიოშიაც გაბვითარდა ტენიკა და ცოდნის წესიერთ თავის მრევლში მამა-ღმერთი დასეირნობს მერსედესით.

ეს დურგალი იოსები
გაფრანტდა და აყვა ტოლებს,
მტეინახი მოიმეელა,
აწ სიბერე არ აბრკოლებს
იქაც უყვარს მარიამა
მოტოციკლით დააქროლებს.



დაქრის ისხო ველოსიპედით,
მაგრამ ტეხნიკაც ჩაიგდის ფუქმადე,
აქ მისი ღლდგომა სხვას პასკით აძლევს
აქ კი მას მკაცრის არა აქვს ლუქმა

# პაცხონა

წირვა გათავდა. ეკლესიის ეზოში მიცვალებულების „სულის მოსახსენებლად" მღვდელი ონოფრე და დიაკვანი საბა წიგნებით ხელში გამოეშურენ ეკლესიის ეზოში საფლავებისაკენ. საბა მოუთმენლად ჩქარობს გუშინ საღამოს აქეთ არაფერი უჭამია და მოტანილ საკურთხების გამაბრუებელ სუნისაგან იტანჯება.

—მეითეინე ბატონო ყველი ელარსებით, ყველას ნგიკურთხებთ! — აწყნარებდა საბა ხალხს — აქეთ მობრძანდით ჯერ მამაო, აგერ ჩვენს ოლინკას უკურთხოთ ჯერ, ახალი გარდაცვლილებული ყავს და!

მწუხარე ოლინკა ახალი ქვრივი იყო ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ლამაზი. ონოფრემ წვერზე ხელი გადაისვა და ცალის თვალით ქვრივს გადახედა, რომელიც თვალზე ცრემლ მოწრეული ბოლის შლიდა და საკურთხს ალაგებდა საფლავზე. ამოიღო ცხერის მარკალი გოჭის თავი, საჭაპურები, ღვინო ჩარექა ღვინო, კვერცხები და ლრმათ ამოიოხრა. საბას საკურთხის დანახვაზე პირი ნერწყვით აევსო. ჩამოლდენიმე ბაღში წითელი კვერცხის მოყვარულნი, გარს შემოეხვიენ სასაფლაოს, რომ ლოცვის გათავებისას დაეტაცებათ საკურთხი. საბას შორიდამ ძუღლი ბაქშევდა.

— დუგგრიო ქალი! — ჩაბღავპარაკა ვუნებში მამამ — მეტი არ ავიდგათ გვერდები თქვენ აქიდან არაფერი გაგატანით. და გალობას განაგრძობდა... ქრისტე აღსდგა მკვდრეთიიიით!.. სიკვდილითა, სიკვდი

ლისა, იქით გეიწი თვარა მეგეცა ღვთის წყალობა მე შენ!..—შეუბღვირა საბამ ერთ ბიჭს.

— სიკვდილითააა სიკვდილისააა!..

— ..უუ შენი პატრონის დედაც გეიწიე იქით!... მიუბრუნდა მეორეს.::

— ცხოოოვრების მიმნიჭებელიიიი:.. და საბამ ხელი წაიპარა თავში ჩასარტყმელად ერთ ბავშთაგანს, რომელიც მეტად ახლოს მოწეულიყო საკურთხისაკენ. ონოფრე მღვდელი რაღაცას ბურდღუნებდა თავისთვის და საბას გაწამაწიას და ბავშვებთან ბრძოლას ყურადღებას არ აქცევდა. ქრისტე აღსდგა მკვტრეთით... იქით გეიწი მოში თქვა შეუტია კიდევ საბამ...

სიკვდილითაჲ სიკვდილისაა... უჰ! შენ წიაკვდი შენს პატრონს, შენგან კაცი არ გამევიდეს... გეიწიე იქით თქვე! საბა უფრო და უფრო ცხარობდა. ბავშვებიც ჯინზე უფრო ახლოს მოიწევდენ საკურთხისაკენ და ხელებ გამოწვდილი ელოდენ როდის გათავდებოდა მღვდელის და დიაკვანის ბურდღული, რომ მალე გაენაწილებიათ ოლინკას საკურთხი.

...სიკვდილითა სიკვდილისააა!.. სიკვდილი გეცა შე ყრუილეს შვილო!:: ჩააკვდა მამაშენს ძაღლები... დამთუუურგვნელიიი... და საფლავების.:. დაგასაფლავეფ მე შენ აქანე დღეს მე ვიცი, შე ბუზღო!... იქით გაიწი თქვი!...

— ცხოვრების მიმნიჭებელიიიიი!..—ჩაალაღანა საბამ და გულმოსული ხელი მოუქნია ერთ ბავშვს, რომელიც ისიც იყო კვერცხის გატაცებას აპირებდა, მაგრამ ამ დროს ხელი აუცდა ფეხი კი იქვე ხაფლავში ჩასობილ ქვას წამოკრა და მიწაზე გაიშხლართა... გახარებულმა ბავშვებმა იხელთეს დრო, და საკურთხს წაესიენ. არც მღვდელის და არც ოლინკას მუქარამ არ გასჭრა. ხაჭაპურები და კვერცხები განაწილდა. ღვინო კი დაიქცა. ...აააჰ თქვენი მკვდარი და ცოცხალი თქვე ამოსაგდებო თქვენა ჩაძაღლ გამწარებულმა საბამ და სიმწარით ბარძაყზე მოისვა ხელი, რომელიც ქვას მიარტყა. — თქვენი საკურთხი შეჭამოს გაისათ, თქვენი, აქანე ჩაგმარხავთ მე თქვენ იმასთან. ამ კვირაში და თითო ოლინკას ქმრის საფლავთან გაიშვირა.

— უი ღმერთო კი მომკალი, მაგისთანე ლაწირაკებისათვის რავა მინდა. აგი საფლავი ჩემ ქმართან რა უნდა მაგენს, რას ილანძღები შენ შე ქოფაკო — მივარდა ოლინკა საბას; რომელსაც სიმწარისაგან და სირცხვილისაგან არ იცოდა რა ეთქვა.

— ქართა კი მიცხონე კატამი შე ბანჯგვლიანო, ისე გიცხონდეს შენ სული. შე გოუმაძღარო შენა!.. და ოლინკა წყევლით გაეშურა შინისაკენ.

ბაჟუ.

# სცენა ფურნეში

(ფურნე სავსეა ქალებით:

ყველა უცდის თავის პასკას, ზოგი აზელიებს ზოგი დუქნელს მისჩერებია და გამოცხობას უცდის.

ჭრიალი და ხმაურია აქეთ-იქეთ დარბის მეფურნე. თათარი აბდულა. ქალები ესევიან გარშემო).

პირველი ქალი—აბა აბდულა! შენი ჭირიმე რამდენი ხანია გიცდი და ვერ ვეღირსე ჩემი პასკის მოზელას. ეს არი შენ რომ შემპირდი სააღდგომოთ ყველაზე უწინ შენ მოგიზილავ პასკასო?..

მეორე ქალი — აბდულა, კაცო, მოდი და დამიზილე ბარემ ეს ოხერი, გამიწყალდა კვერცხი, და რას უცდი დევილუპე ქალი!

მესამე ქალი — აბდულა გამეილე აწი შენი ჭირიმე, თვარა დეიწვება და ამოვარდები ქალი, წევე ეფი ჯდება!

მინადორა — აბდულა აღარ მოხვალ ახლა გევაჩინჯე ქალი აღარ შემიძლია ამდენი მოცდა ბიჩა!

აბდულა — ჯერ სოტა მოიზა მინადორა. აგერ ჩვენი მარიამს ჩოუზილო მერე შენაც ჩოუზილო! ჯერ სოტა ადრე არის რას იჩქარი.

ქალები — მალე, მალე აბდულა, არიქა გამეიარა!... აქეთ მეიხედე შე კაცო რო გეხვეწები ამდენი ხანი...

აბდულა — კაზო მე არაფერი ვიზი თქვენი რა ხალხი ხართ როგორ შეიძლება ყველას ერთად მოგიზილოს, ფურნეში შეგიდოს, გამოგისხოს, ჯერ ვინს ადრე მოხვიდოს იმას გაუკეთოს მერე სხვას.

ეფროსინე — აბდულა მიშველე რაცხა შენი ჭირიმე ორი კვერცხი ლაყე გმაოდგა და საცხა უნდა მიშოვნო თუ კაცი ხარ რამეფრათ!

აბდულა — რას ამბობ ეფროსინე ზალ არი ქალო ვვერცხი, კვერსხები სახში დატოვოს აქ რაღ მინდა ფურნეში კვერსხი.

ეფროსინე — უი მე დევილუპე ქალი. რაი ჩაგახალო ახლა ამ საოხრეში!

აბდულა — ეფროსუნე! აგერ ზალი და ჩვენი ზმა ხასანის ქონდოს ორი კვერსხი და ჩააბალე პასკაში!

მინადორა — აბდულა გეღირსოს შე სასიკვდილე ამდენი რეთი ხანია პასკა და აღარ შედებ?

აბდულა — აი მინადორა მოისა სოტა ჯერ მარიამს შედო პასკა და მერე შენ.

პასიკო — აბდულა, აბდულა დევილუპე, დევილუპე!

აბდულა — რა იღო პასიკო რა მოგივიდოს!

პასიკო — რავა რა მომივიდა, შე ოხერო ამ გაეარვარებულ ფურნეში, გოუნელებელში, რომ შემიგდე ეს პასკა, სუნი მეცა რაცხა და დევილუპე ქალი დემერუჯა გონია!

აბდულა (აღებს ფურნის კარებს) სოტა მორუჯას არაფერი უჩირს!

პასიკო (კივილით) უი, უი ჩემო პასკებო. რავა დამწვარხართ! გამეილე, გამეილე შე გასაცოფებელო! (აბდულას გამოაქვს პასკები. თავები წამწვარი აქვს ყველას).

პასიკო — დედა! დედა! ჩემი დღეი დეილია რაღა ვქნა აწი!

აბდულა — რა მოხდა შე ქალო პასიკო, სოტა პასკა დაიწოს რა უყოთ მერე. თავი აქ სოტა დამწვარი თორემ შიგნით სულ კარგია! ოო იამან! იამან ქალებო! თქვენ რა ხათაბალა ხალხი ილოს! ზოგი მოუზილოს პასკა, ზოგი შეუდოს ფურნეში, ზოგი კვერსხი მოუცოს და კიდო ჩხუბი გააკეთოს და დედ-მამა გაგინოს! ზალით თქვენი სახელი! ქეფუ იოლლი! (გულმოსული აბდულა გარბის ფურნიდან).

მალაყინ.

# ბათომის ალფონსი
## ანუ „დავეთი გიორგევიჩი“



უწინ ეხლა



### ხიფათია და

ამხანაგო ტარტაროზო,
მომივიდა [illegible]—
სადმე წავიდ-წამოვიდე
ვით შორაჰნის ძეზრა.
ბურიისკენ გავეშურე
აი, საჯავახო.
ეტლით ძიეალ, მაგრამ, ვაჰ თუ
ცოცხალი ვერ მნახო.
„გზაა“-რა გზა ცხენს ან თუ კაცს
ფეხი აუცდება
ხრამში ხელად... და შემდეგ კი
„ფინიშ“ დაბრუნება.
ხშირად ცვივა აქ მგზავრები
წელებით და თავით,
წვიმაში კი დაიხრჩობი,
თუ არ გექნა ნავი.
მივაღწიე ჩოხატაურს,
როგორც იქნა, რაღა,
მოვიკითხე წაველა ც
ჩვენი ოსმან-აღა,
ყარამანი „რეჩი აეით“.
არ დგებოდა ქარი,
„ერკოპს“ ფული მოუგია
ყლაპავს ვაჭარი ნერწყვს
„კომპლექსები დამართია?
ნინასა და ვერას.
ლორიგანი ძვირი გახადა,
(დახეთ ბედის წერას).
ტეხნიკუმში „სასეირნოდ“.
დადის ქალთა ჯარი.
ილბალის და „უენიხების“
მსურველ-მაძებარი.
მეც ცოტა ხანს იქ დავრჩები
მონატრულად, მარტო.—
ვაჰ, თუ ცოდვებს, მადლის ნაცვლად,
„ცოდვა“ მივუმატო.

**მედუზა.**

### ქუთაისი

ქუთაისი გადაიქცა
„ვივესკების“ ქალაქად;
ჩვენი მღვდელი „დვორნიკად“ დგას
დიაკვანი დალაქათ.
საალდგომოთ ემზადება
ქუთაისის ქუჩები;
აქ დაბრედილ ტროტუარებს,
ვიცი ვერ გადურჩები.
ზემო ყაფანი ავსილა
რაზნი კოპერატივით;
გამგეები დაგვისუქდა—
ნამეტანი პატივით.
ჯამაათნო ყური მიგდეთ
უნდა გითხრათ ერთი რამა;
გოგიაშვილმა აილო—
ჩვენი სახელმწიფო დროშა.
რო იტყვიან მაღლის ბედი
სწორედ იმას ჰქონია;
თითო „დადგმაში“ აილო
9 აბაზი მგონია.
გადაბრუნდა ეს ქვეყანა
შეიცვალა იერი
ჩილინგაროვთან კბილს იწმენდს
კნიაზები მშიერი.

**რაგოდარ.**

### საჭილაო!

დღეს ჩვენი სოფელი,
წალკოტში მდებარე!
ვით გედი — ამაყობს,
ვით შუქი ელვარებს,
სიტკბოშ და სიცოცხლეშ,
გაშალა ფარდები!
გაისმა სიმღერა:
ია და ვარდების.
მზის ძახილს თაყვანს ვცემთ,
გვიყვარს მის თარეში!
სიკვდილიც ქედს იხრის,
ამ ტურფა მხარეში
მუდამო მოირთო:
ზურმუხტით, ლალებით!
და ამ დროს გვაწუხებს
აქ: დომნას თვალები.
ბაქანზე მოლარეთ,
ბრძანდება წყეული!—
(მგონია, ჭკუაზე
არის გადაწეული).
ალერსი ვაჟებთან,
მისი გზა, ხიდია!—
გლეხების წუხილი,
ფეხებზე ჰკიდია.
ვინ არის ვაჟკაცი
და მოსთხოვს ხურდასა?!
ვითარცა მართალი,
გაბერავს გუდასა.
გაგლანძღავს — ისე რომ,
ვერ გაგბანს რიონი!
ეს მძიმე ხელობა,
მისთვის არს იოლი.
დამცველი ვაჟები,
თურმე ყავს ათასი! —
ჩანგალზე ავაგოთ:
ეს ქალი კაპასი...

ჰაგნელი ბზიკი.

### ძველ — ახალი საბჭო

(ჩიბათის თემი)

**ძველი საბჭო (ახალს):** ძობრძანდით, მოქალაქენო. ჩვენ უკვე დაგახვედრეთ: ნათხოვარი ბინა, დამტვრეული სკამები, ფეხ-მოტეხილი მაგიდა, თაგვების სათარეშო შკაფი, ძირ-გავარდნილი სალარო ყუთი, შეუმუშავებელი პროექტები და სხვ. ეხლა კი მოუსმინეთ მდივანს.

მდივანი (აკეთებს მოხსენებას): ამხანაგებო, უნდა იცოდეთ, რომ თქვენი გასაკეთებელია: სასოფლო გზები, ბოგირები. ხიდები, სახალხო სახლი, ალმასკომის შენობა, ქოხ-სამკითხველო, არხების გაყვანა, ფერშლის შარშანდელ ჯამაგირის ანაზღაურება, ალმასკომის სხვადასხვა ხარჯებისათვის ფულის აკრება, სკოლების რემონტი, ჭაობების დაშრობა და სხვა.

**ახალი საბჭო:** თქვენ რაღა გააკეთეთ?

**ძველი საბჭო:** ჩვენ თითქმის ყველაფერი: მთელი წლის განმავლობაში პროექტებს ვადგენდით, ემსჯელობდით, და ამ მუშაობაზე დაიხარჯა მთელი დრო.

**ახალი საბჭო:** კეთილი, ჩვენც ნება გვიბოძეთ, რომ მთელი ეს წელიწადი მაგ პროექტების განხილვას მოვანდომებთ.

**შხანკოლა.**

### სამტრედია

ვესტუმრე შრომის ოთხწლედსა
და ვნახოთ ასათიანი;
პედაგოგია სულ ძველი
ცემაში „თავაზიანი“.
შემდეგ კი მოვინახულოთ
იქვე საბავშვო ბაღია;
ბავშვებს რომ წყალის ზიდვისგან
გულს დამჩნევიათ დაღია.
ქოხ-სამკითხველოს კარებიც
მუდამ დღე დახურულია;
არავინა ჰყავს პატრონი
არავის ეწვის გულია.
პორომსაც თუ ვინახულებთ
სადაც მგზავრობა ხშირია,
ნაპირზე გადასვლისათვის
სამი საათი გჭირია.
იქვეა ახლოს ვარლამის
სასადილო და დუქანი,
პატენტი არც კი სჭირდება
და მიტომ გახდა მსუქანი.
სხვაც ბევრი ნაკლი შეგხვდებათ
ძირ-ფესვში მოსათხარია,
სატარტაროზო მათ გარდა
რადგან ურიცხვი არიან.

ჰრიჰინა.

### ამაღლება (ჭურია)

(ორ—ელს)

რასაც ამბობ ვინც ვერ გცნობს
მას სიმართლე ჰგონია.
„ცრუს აქვს მოკლე ფეხები“
ასე გამიგონია.
ვიცი შენი სიმღერა,
შენი გულის წუხილი;
წვიმას ვერ გადმოუშვებს
შენი ენის ქავილი.
გახსოვს ბნელი საქმისთვის
გამსახლი განახულეს,
დიდს რომ ვერ იწონიდი,
ათი დღე გამარხულეს.
ჰორს ჰორებზე რომ აცხობ,
არც კი გრცხვენის ამისი,—
და გსურს სოფლის მუშაკებს
წაუხდინო ხალისი.
შენც კი იცი, რომ შენი
ყველა იყო გმობელი
შენს „დიდ მოღვაწეობას“
იცნობს მთელი სოფელი.

ოსმან-ალა

### დ ე პ ე შ ე ბ ი

### ტყიბული

როგორც საკუთარ თვალთა უტყუარ დვიდგან დავრწმუნდით, ტყიბულის სადგურის დარბაზში პზ. და პჩ-ვ-ის წყალობით დადგა „ტბა“, წვიმიან დღეში ნავებით ხდება მიმოსვლა.

### იქიდანვე

ქუთაისის რკინის გზის საყუდის ანგარანში უადგილო გამოქვითები, დიდ უსიამოვნებას იწვევდა. მუშებს შორის. კვლევა - ძიების შემდეგ დამნაშავე აღმოჩნდა ქალებიდან დაზიანებული ქოიავა.

### იქიდანვე

რკ. გზის არსებულ წითელმა სასადილომ ნისიების სიგანიერით და უსუფთაობის ჰლექით სამუდამოთ გამოესალმა ტყიბულის მუშა - მოსამსახურეებს. მიცვალებულს „სულთანანა“ უმღერა ვასო. თვარაძემ.

### ტყიბული

**მორიგი გაფლანგვა.**

კონდუქტორების სამორიგეო ოთახში სარევიზიო კომისიის დასკვნით აღმოჩნდა გაფლანგული (გატაცებული) საუკეთესო ჯიშის 3000 წყვილი „მბობლაკი“ და 1000 მფრინავი კბენარი. როგორც გამოირკვა დანაკლისი კანდუქტორებს მიუთვისებია. ამისათვის შ. რიჟამაძემ გასცა განკარგულება ივანეს საყურადღებოდ, რომ კონდუქტორებმა ლოგინიდან ადგომისთანავე უნდა დაფერთხონ საცვლები.

### ქუთაისი

ღვინის ფასი საგრძნობლად დაეცა, მიზეზად ასახელებენ ექიმების მიერ ივლ. ბუხაიძის და ლავრენტი ცირეკიძისათვის ლოთობის აკრძალვას.

### ქუთაისიდან

**(ორი გმირის ჭიდაობა)**

ქუთაისის რკ. გზის სადგურის ბაქანზე ორი ჩემპიონი შეეტაკენ ერთმანეთს: ბალახვანი და ალექსანდრე. გამარჯვება დარჩა ბალახვან სანდროს.

**კო—ტ—ი.**

### შემთხვევები

შეტაკება. გუშინ, ღამით პირველ საათზე, რუსთაველის გამზირზე, ორიანტიდან გამოსული მთვრალი დაეტაკა მეორეს. ამის გამო მეორეს დააგვიანდა შესვლა ორიანტში ხუთი წუთით. ტროტუარი დაუზიანებელია.

**ჰრილობა.** უცნობის ქუჩაზე № 18 მცხოვრებმა იულია მახინჯაძე დაბრუნდა სახკინმრეწველობიდან და მაკრატლით მოიჭრა ნახევარი ცხვირი. მიზეზი: არ მიიღეს კინო-მსახიობად მოზრდილი ცხვირის გამო.

**ხანძარი.** ოთხშაბათს 29 მარტს უცნობმა მოქალაქემ აანთო ასანთი პაპიროსის მოსაკიდებლად. სასწრაფოდ მოვიდა ცეცხლის მქრობელი რაზმი. პაპიროსი დაიწვა. ირკვევა ამაზე გაწეული ხარჯი ცეცხლის მქრობელ რაზმის მიერ.

**დაკარგვა.** რეგისტრატორშა ზარმაცაძეს დაეკარგა გლეხი შრომაძის მიერ შემოტანილი განცხადება აგრო - დახმარების აღმოჩენის შესახებ. გამოწვეულია მეძებარი ძაღლები იმედია რომ განცხადებას მონახავენ თუ... შეცდომით არ წაუღიათ საპირფარეშოში.

**ელვა.**

### სიზმრის ახსნა

ქუთაისის რკ. გზის კლუბში რომ გეძინებოდეს, კინო - სურათის ჩვენების დროს ჩამოგეძინება ნახევარ საათიან ანტრაქტებს შორის.

თუ სიზმარში სადგურის უფროსი ბლომად იძლევა სათბობ მასალებს და სადგური სუფთად არის,— კარგია: აუცილებლად სამმართველოდან კომისია ჩამოივლის.

**გ—ელი.**

# მეგოგრული შარში

ზოგიერთი მორწმუნე ქუთ. მუზეუმში შედის დავ. და კონსტ. სანახავ.

— გლეხები — თუ შეიძლება შესაწირავი მივართვათ დავითს და კონსტანტინეს და მიიღეთ შენი ჭირიმე!




ეპ. ჯაფარიძე — კი მარა თქვე დალოცვილებო რა არაფერი არხიმანდრიტი ვარ მე!.. შესაწირავი რათ გინდათ მე კალო შეგიშვებთ ისე და გინდა თავი გაგიტეხიათ იატაკზე!...

---

# ფ ო ს ტ ა

ძოკ-ხონელს (ქუთაისი) იწერებით „საწერკალოვის" განყოფილების გამგის ახვლედიანის შესახებ:

ნიკომაც იცის კარგადა
თუ რა სჯობია ქვეყნადა.
ნათლია — ძმები შვილები
თუ ნათლი მამის ბიძები.
ჩვენ კი ჩვენდა თავად გეტყვით,
სად ნათლია, სად ბიძები? —
აქ ამ შენს ნაჯახირევ ლექსზე
ხელავთ, ხირცხვილით ვიწვებით.

სჯობია ლექსებს თავი დაანებოთ და პროზაში სინჯოთ თქვენი პოეტური კალამი.

პატ-პატაშონს (ხაშური) თქვენი შარადა მეტად მოიწონა რედაქციამ, მაგრამ ჩვილო რა მხედველობაში ორი გარემოება: პირველი ის, რომ ხარბი თვალით არ შეეხედნათ თქვენი ნიშნისათვის და მეორეც ისა რომ გვწერთ თუ შარადას დამბეჭდავთ გაზეთ „მუშას" ერთი თვით გამოვიწერო — ეს უკანასკნელი მექრთამეობას მიეწერება და ამიტომ თქვენი შარადა ხულს ლაფავს უცქერის. გადარიში ამგვარი ლაღადისით:

ხარბი თვალით ნუ შეხედავ
არ გეგონოთ რაიმე ძნელი,
შარადის პირველი ასოებს
უნდა ცოტა დაუგირდებ.
როს ამოკითხვის შემდეგ
ეჭნები მისამართი მისი.

ბიბილიშვილს ძალიან კაი ბიჭობა იქნება, რომ ნაგრატ — ბარხედროვიდან ხარის ფული ამოიგოთ თუ თქვენი ლექსი „ტარტაროზში" იქნება დაბეჭდილი. უმჯობესი იქნებოდა სახალხო სასამართლოში წარგედგინათ თქვენი გალექსილი საჩივარი:

გავიხედე სერზედა.
ბაგრატა ზის ცხენზედა,
წინ ერთი ხარი მიუძღვის
ძლივს რომ დგება ფეხზედა.

თქვე დალოცვილო ლექსის წერა სავალდებულო ხომ არ არის ყველასათვის, მიაკითხეთ გოდორს.

მეეეეს (ბათომი) თქვენს დიალოგს პლაგიატობის სუნი უდის და ამიტომ სავსებით ვერ ვათავსებთ. თუ ჩვენ არ დაგვიჯერებთ მიიკითხე — შეიკითხეთ იქნებ ვინმემ დაგარწმუნოთ ამაში. ხანიმუშოთ ვათავსებთ მარტო ნაწყვეტს:

დედა: — აბა მითხარი შვილოჯან
რითიღა გრძნობ ტკივილებს
ცოტა რამ კაპიი დალიე
მორჩენას გავიადვილებს.
შვილი: დედაე რას მარგებს წამალი
ვიცი რომ კარგათ არ გამხდის,
მხოლოდ ხშირ-ხშირად მუცელში
ცოცხალი რაღაცა დახტის.

ამგვარი პლაგიატობაა.

# ვის ერგო 50 მანეთი

## № 3 კონკურსის შედეგები



№ 3 კონკურსის სურათი

კონკურსში მონაწილეობა მიიღო სულ 5.173 კაცმა. ამათში პროვინციიდან - 3.357; ქ. ტფილისიდან—1.511; ამიერ-კავკასიის ქალაქებიდან—292 და რუსეთიდან—13.

ჟიურიმ დააჯილდოვა შემდეგი წარწერები:

## პირველი ჯილდო 30 მანეთი ერგო წარწერას:

### ო რ თ ა შ უ ა

ქალი (ვამპს): მე ეს ვაჟი მომწონს, მაგრამ ცოტა ჯამაგირი აქვს... თქვენ რამდენი გაქვთ?

ვამპი: ჯამაგირს რა მნიშვნელობა აქვს, როცა სახაზინო ფულები ჩემს ხელშია.

### წარწერის ავტორი:

კოლაძე. სერგო მაგლაყ-ძე სადგური მირელისი. ლიანდაგის მუშა.*)

## მეორე ჯილდო 20 მანეთი ერგო წარწერას:

### ს ა მ ა ვ ი ე რ ო

ქალი: არ შეიძლება ამ ჩემს მეგობარს მისცეთ სამსახური თქვენს დაწესებულებაში?

ვამპი: რატომ არა,—იმ შემთხვევაში, თუ მისცემთ ადგილს ჩემს სიყვარულს თქვენს გულში.

### წარწერის ავტორი:

ცინცაძე მარიამი ალექსის ასული (ტფილისი, ელისაბედის ქუჩა № 17). დიასახლისი.**)

ამათ გარდა ჟიურიმ მოიწონა ხუთი წარწერა შემდეგი ავტორებისა: ძნელაძე სონია, პელიძე მიხეილ, მგალობლიშვილი დიმიტრი, ტყაბლაძე გრიგოლი და ზუბულაშვილი ვასილისა.

*) აცნობეთ ჩვენს მთავარ კანტორას თქვენი სწორი მისამართი, რომელზედაც დაუყოვნებლივ გამოგეგზავნებათ ჯილდო.

**) ჯილდოს მიიღებთ გაზ. „მუშა"-ს მთავარ კანტორაში (ჯორჯიაშვილის ქუჩა № 6).

---

აკ. ხხვაველიშვილს თქვენი სააღდგომო ლექსი ისე მოიწონა რედაქციამ, რომ განზრახვა აქვს უცვლელად მოათავსოს 1987 წლის სააღდგომო ნომერში მანამ კი ვფიქრობთ ამ ნაწყვეტითაც დაკმაყოფილდებით როგორც ავტორი;

ტარტაროზო მოამზადე
შენი გოდორი და ფიწალი,
რადგან ეხლა მე საქიროდ
ძლიერ კარგად ვიცანი:

ისე რომ თქვენი ლექსის მიღებისა და გასინჯვის დროს ფიწალიცა და გოდორიც ორივე მზად გვქონდა, რასაც ემსხვერპლა თქვენი ტვინის ნაჯახირევი.

ხურზის კაკაჩეს მეტად გაუღიზიანებიხარ, რომ ასეთი მარგალიტები გადმოუფრქვევიებია თქვენი ნალოცვალი მუზისათვის:

ისე მიაპყრო მან ყური
მცხოვრებთა ამა სოფლისა,
კარპეზი ბატონი არის
დიდი ლაშქარი ჯარისა.

ბ-ნო ხერგი, ამ სტრიქონებით ისევ თქვენ თუ რამეს გაიგებთ თორემ, არა ვფიქრობთ, რომ ვინმეს რამე გაეგებინოს ასეთი აბდა-უბდებით.

თავლია-ძირულელს დაილოცოს თქვენი მუზა რომლებსაც ახე აუმღერებიხართ:

დავიჭიროთ ყველამ ხელში
ცეცხლის მჭრელი ხმალი
გადევიაროთ ოსმალეთზე,
დავსწვათ ჩვენ ხონთქარი.
შემდეგ: ძაფი სიმს რომ გადავაბათ.
გულს რა ათრთოლებს,
ჩემს ფიქრებსა დისაყვლეთით
ქარი მიაქროლებს.

გირჩევთ, რომ ლექსის წერის დროს მუზას მოუფრთხილდეთ, რომ ცეცხლის ხმლით აღჭურვილი ხონთქარმა არ შეიკლას ხელში და კიდევ ნუ აკვნესებთ თქვენი გულის სიმებს, რომლისაგანაც ქარმა აღზრახუნებულთში არ გადაგისროლოთ.

ნილის რედაქციამ ძლიერ მოიწონა თქვენი ლექსი მგლებისა და ვირების შესახებ და გაცნობებთ, რომ ალბათ არ დაიბეჭდება. მიზეზი მეტი „სერიოზულობაა".

უმუშევარს თქვენ საკუთრებით შრომის ბირჟის დაუდევრობაზე, მაგრამ უფრო დაულოცებიხართ მემანქანე ქალს, რომელიც თქვენივე თქმით იქვე მახლობლად ის ქალი ჩუმი, ნაზი მეტად წყნარი, მემანქანე ქალადაც ბეჭდავს ჩემთვის კი არავინ არის,



მთელს მსოფლიოს მოედება
ბრძოლისა და ცეხცხლის ალი

წითელ დროშების ფრიალში
დაუდგება ჩვენს მტრებს თვალი.

ალმასკომის სტამბა, კამოს ქუჩა № 68,

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

№ 98 | კვირა, 1 მაისი 1927 წ. | № 98

## საპირველმაისო ცოცხი




საპირველმაისო ცოცხით გადმოვგვით,
როგორც რომ ნაგავს, ქვეყნის ორგულებს;
და წელმოწყვეტილ სოროს თაგვივით
გულებს დაუხეთქთ ცოცხლად მოკლულებს.

# ჩვენი სპეც კორესპონდენტისაგან

**ლონდონი**. გუშინ შევედი ლონდონში. ვინახულე რამოდენიმე პირი, მათ შორის მაკ-დონალდ რამზეიჩი. ვკითხე თუ რა აზრის არის პირველ მაისის შესახებ. ჯერ დაფიქრდა და მერე მიპასუხა, რომ 20 დღის განმავლობაში მოიფიქრებს ამ საკითხზე და მაისის შუა რიცხვებში მომცემს პასუხს. შეკითხვაზე, თუ რა აზრის არის იგი ჩინეთის რევოლიუციის შესახებ, მან მიპასუხა, რომ ამ საკითხს არკვევს ინგლისის ჯარების მთავარსარდალი ჩინეთში—მის დაბალკეთილშობილება ჩან-ძო-ლინთან ერთად.

შეკითხვაზე, თუ რა პოლიტიკას ადგას იგი საბჭოთა ქვეყნის მიმართ, რამზეიმ მიპასუხა, რომ ეს საკითხიც მისთვის ბუნდოვანია და მას არკვევს სპეციალური მისია ჩვენებურ სეითის თავმჯდომარეობით.

**პარიზი**. გადავფრინდი პარიზში. უცბათ მივადექი პუანკარეს სახლს. შევედი შიგ და გაუკეთე აუდიენცია პუანკარეს, რომელიც ღრმა ფიქრებში იყო გართული.

— რაზე დაფიქრებულხართ, ძია ჯან, ხომ იცი, ორჯერ ორი ოთხზე მეტი არავითარ შემთხვევაში არ გამოვა?—შევეკითხე.

— ესეც მართალია, მაგრამ მე სხვას ვფიქრობ. მიპასუხა მან. მე მინდა კალენდარი შევცვალო იმნაირად, რომ ამ გაზაფხულს ერთიდღე გამოაკლდეს.

— რას ამბობთ, უსაყვედურე მე, თუ გამოაკლდება ზამთარს ან შემოდგომას გამოაკელით, თორემ ასეთ მშვენიერ დღეებს როგორ იმეტებთ?

— არა, მაინც უნდა გამოვაკლო... მხოლოდ ერთი დღე.

— რომელი?

— პირველი მაისი!

— რატომ?

— იმიტომ რომ, აქაური მუშები რაღაცას აპირებენ, დღესასწაული უნდა გავმართოთო. ეს კი, ხომ იცით, წარმოებას მოაცდენს მუშებს და შრომის ნაყოფიერება დაეცემა. ეს გამოიწვევს ფრანკის დაცემასაც და ხომ იცით, თუ კიდევ ფრანკი დაეცა, ცხვირ-პირს ჩაიმტვრევს. აი, ამ უბედურ შემთხვევის ასაცილებლად უნდა ამოვშალო პირველი მაისი კალენდრიდან... მიპასუხა პუანკარემ და ისევ დაფიქრდა.

**ბერლინი**. გერმანიის სატახტო ქალაქი ავიღე იერიშით და რეიხსკანცლერის კაბინეტს მივადექი. რეიხსკანცლერი მოწინავე წერილს სწერდა ახალი ანტანტის შესახებ და აღარ შევაწყვეტინე მოწოლილი საერთაშორისო—პოლიტიკური მუზა.

გავემართე ჰინდენბურგის ბინისაკენ, მაგრამ მოხუცი გენერალი უქეიფოთ შექნილიყო პირველმაისობაზე ფიქრით. ქუჩებში ჩავიარე და შევნიშნე, რომ პოლიციელები დიდ მზადებაში იყვენ პირველმაისობის „შესახვედრათ".

**რომი**. უკვე „დიდებულ პატრიცის" კაბინეტში ვარ.

— როგორ ფიქრობთ, ვისი ჯერია, რომ რევოლვერით მოგადგეთ, ან ერთი ყარაჩოღული ბომბა გამოგიგოროთ?—ვკითხე მუსოლინს.

— დანამდვილებით არ ვიცი, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ პატიოსანი რომაელი მაგას რ იკადრებს. აბა თითონ წარმოიდგენთ, კაცი პირველი კაცი ვარ მთელ იმპერიაში და შიშით ქუჩაში ვერ გამივლია: ხან ერთი მიმიზნებს, ხან მეორე. მართლა და ქვეყანა ჩალით ხომ არ არის დახურული. ხუმრობაც არის და ხუმრობაც. რომ მართლა მომხვდეს და რომის პაპას ჩემზე პანაშვიდის გადახდა მოუხდეს. ესეც ხუმრობა იქნება?

— პირველი მაისისთვის ემზადებით?

— პმ! ვემზადებით რომელია? ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს წითელი ფერით შევღებოთ ქუჩები პირველ მაისის აღსანიშნავად.

— როგორ? განა გარევოლიუციონერდით?

— მაშ რა გეგონათ? ყველაფერი მზად არის. საკმარისია ერთი დემონსტრაცია გამოჩნდეს და ჩვენც მათ შეუერთებთ ჩვენს ყიჟინას. ყიჟინის დარგში კი, ხომ იცით ჩვენ ბევრს დავტოვებთ უკან. ამასთან ნუ დაგავიწყდებით ჩემი ხმლის, თოფ-დამბაჩის, პულემიოტის და ტანკ-ზარბაზნის სიმახვილე, მით უმეტეს, თუ მუშების დემონსტრაციის შეხვედრაზეა საქმე. ასე რომ წითლად შეღებვა არ აცდება რომის ქუჩებს... დაამთავრა დიქტატორმა.

**ვარშავა**. სწორედ იმ დროს ჩავედი ვარშავაში, როცა გაცხარებული მზადებაა 1 მაისის შესახვედრათ. პან პილსუდსკის ბრძანებით, პოლონელ მუშების საუკეთესო ნაწილს თავს უყრიან ერთად (ციხეებში), რომ უკეთესად შეიძლებოდეს პირველმაისობის ჩატარება.

**პეკინი**. აქ პირველი მაისი კი არა, თვეები საზოგადოთ დავიწყებიათ, ისე არიან გართული რევოლიუციის ჩაქრობის საქმეში.

**შანხაი**. ინგლის-ამერიკს ოფიცრები მეტად დიდ მზადებაში არიან პირველმაისობსთვის. შანხაის ჩინურ ნაწილშიაც მზადებაა, მხოლოდ სულ სხვანაირი...

**მოსკოვი**. არავითარი მღელვარება. მხოლოდ დროშებს და პლაკატებს ამზადებენ. სახლები ირთვება და ქუჩებში სადღესასწაულო ატმოსფერაა. ხშირად გაიგონებთ სახელებს: „ჩინეთი", „შანხაი". „ჩან-კაი-შის შვილი" და სხვ.

**ბაქო**. ეს ეს არის გასაბჭოების 7 წლის თავი იდღესასწაულეს. დროშები ისევ ფრიალებს და ხვალ პირველ მაისს იდღესასწაულებენ. შემთხვევით შევხვდი ნავთის წყაროების მუშას სამედ ოღლის, რომელიც აზერბეიჯანელ ქალს ჰასან ყიზის ეუბნებოდა:—„ქალთა კლუბში მივალ, მოხსენება უნდა წავიკითხოთო" (თურმე პროფაქტივი ყოფილა).

**ტფილისი**. უკვე ტფილისში ვარ. მივადექი მუშათა სასახლეს და შევედი ილ. ჭელიძესთან, რომელიც გაფაციცებით სწერდა რაღაცას. ფრიად გართული იყო. ჩავახველე. შემომხედა.

— რა გნებავთ, პროვინციიდან ჩამოდით კულტმუშაობის საკითხზე არა?

— არა ამხანაგო! მე სპეცკორესპონდენტი ვარ... მინდა გავიგო თქვენი აზრი პირველი მაისის შესახებ.

— ო-ო! დიდათ სასიამოვნოა, მაგრამ ჩემი აზრი ამის შესახებ ქვეყანამ იცის... აი, ლოზუნგებს და წესს ვადგენ პირველმაისობის ჩასატარებლად; წაიკითხეთ და გაიგებთ ჩემ აზრსაც.

—დიდი სიამოვნებით!—ვეუბნები და მოვდივარ.

— უკაცრავად, თქვენ რომელ რაიონიდან ხართ?—მეკითხება იგი,—პირველიდან? მაშ ერთი კარგი პლაკატი დაიჭირეთ და ისე გამოდით დემონსტრაციაზე... არ დაივიწყოთ!..

ალლარ-ალლარსან.

ხუთმეტ მაისს გამოვა ჟურ. „ტარტაროზი"-ს
მე-100-ე საიუბილეო
ნომერი
საიუბილეო ნომრისათვის, რომელიც გამოვა
დიდი ტირაჟით,
მიიღება
ყოველგვარი
განცხადება

# „ახალი ბედაური“



ამერიკა: უფრთხილდი მაგ შენს ახალ „ბედაურს“, მაგასთან იგივე ბედი არ ეწიოს, როგორც წინა მის მოადგილეს, რომელიც მადერ მკვდარივით გათხლაშულა მიწაზე.

ჩემბერლენი: ფიქრი ნუ გაქვს, ისეთი მათრახუწ მივსცხო რომ... შენი მოწონებული...

# პირველი მაისი

ვინ არ იცის, რომ პირველი მაისი ეს მუშათა საერთაშორისო დღეა.

ამ დღეს,ნიშნად სოლიდარობისა, ყველა ქვეყნის მუშები შეკავშირებულ რიგებით გამოდიან ქუჩებში და... (გარდა საბჭოთა რესპუბლიკებისა) ცხვირპირ დამტვრეული ბრუნდებიან სახლში, ან და სრულებით არ ბრუნდებიან.

არა ნაკლებ სადღესასწაულოა ეს დღე პოლიციისათვისაც. ეს დღე, მისთვის მეტად ძნელი გამოცდის დღეა, რომელმაც ნათელ უნდა ჰყოს, თუ რამდენად მტკიცეა პოლიციის რიგები და შეეფერება თუ არა რეზინის კეტების სიმკვრივე მუშათა თავების სიმაგრეს.

თუმცა ასეთი გამოცდა თითქმის ყოველდღე აქვს პოლიციას, მაგრამ პირველი მაისი მაინც განსაკუთრებით ძვირფასია მისთვის, რადგან ამ დღეს საკმაო სამზადისით და მსოფლიო მასშტაბით შეიძლება ჩატარებულ იქნას ეს სერიოზული გამოცდა.

შეიძლება ითქვას, პირველი მაისი მუშებს რომ არ გამოეგონებიათ, თვით პოლიცია გამოიგონებდა მას. საინტერესოა, რას თხოულობენ მუშები ამ დღეს ბურჟუაზიულ ქვეყნებში და რამდენად სამართლიანია მათი მოთხოვნილებები:

## 8 საათის სამუშაო დღე

ეს მოთხოვნილება ყველაზე უფრო წინდაუხედელი მოთხოვნილებაა მუშების ყველა მოთხოვნილებებს შორის.

როგორც ვიცით, დღე ღამეში 24 საათია. მუშამ რომ 8 საათი იმუშაოს, საინტერესოა, რა უნდა აკეთოს მან დანარჩენ 16 საათის განმავლობაში. არაფერი. ტყუილად უნდა იჯდეს სახლში, რადგან იმის ფული მას არ აქვს, რომ გასართობში წავიდეს. ამ მოთხოვნილების ცხოვრებაში გატარება ჯერ-ჯერობით ნაადრევია. თავისუფალი დრო მხოლოდ გარყვნილებას შეაჩვევს პატიოსან მუშას და ამით ზიანს მოუტანს, როგორც თავის თავს და ოჯახს, ისე ძვირფასს სამშობლოს კეთილდღეობას.

ამ მხრივ ს. ს. რ. კ. მაგალითი როგორც „ბარბაროსულ ქვეყნის“, მიუღებელია.

### ხელფასის მომატება

ყველამ იცის, რომ ეს მოთხოვნილება მუშებისათვის ყველაზე უფრო მტკივნეული საკითხია. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შეხედვით.

როგორც ზევით ვთქვით, მუშისათვის 8 ს. სამუშაო დღე მიუღებელია. მან უნდა იმუშაოს 11—12 საათი. ასეთ მუშაობის შემდეგ მუშისათვის ყველაზე უფრო ძვირფასია დასვენება. ზედმეტი კაპიკი ჯიბეში კი გულს აუცრუებს მას დასვენებაზე და თეატრისაკენ, ან სამიკიტნოსაკენ წაიყვანს მას, და ამნაირად მუშა საკუთარ ხელით გამოუთხრის ძირს თავის ჯანმრთელობას. ცხადია, ხელფასის მომატება, მხოლოდ უარყოფით გავლენას იქონიებს მუშის მდგომარეობაზე.

### სოციალური დაზღვევა

ეს მოთხოვნილება მცირე ნაწილში უკვე გატარებულია ცხოვრებაში და ზარალის გარდა არაფერი მოაქვს.

საზარალოა იგი თვით მუშისათვისაც. სულ უბრალო გამოანგარიშებით შეიძლება დამტკიცება, თუ რა საშინელ უბედურებას მოითხოვს მუშა, როცა ის სოციალურ დაზღვევის სავსებით განხორციელებაზე იძახის. ნუ თუ მან არ იცის, რომ ეს დაღუპავს წარმოებას. დაიღუპება ერთი კაპიტალისტი, მაგრამ მასთან ერთად დაიღუპება რამოდენიმე ათასი მუშა, რომელნიც ულუკმაპუროდ დარჩებიან.

პირდაპირ საკვირველია, რისთვის თხოულობენ მუშები იმას, რაც აშკარად დამღუპველია თვით მათთვის.

### სიტყვის და ბეჭდვის თავისუფლება

ეს მოთხოვნილება ყველაზე უფრო განსაცვიფრებელი მოთხონილებაა. აქ რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი. რომელ ბურჟუაზიულ ქვეყანაში არ არის ეხლა სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება?.. ყოველ ოჯახში. ყველას უფლება აქვს ელაპარაკოს თავის ცოლს კომბოსტოზე, სუპზე. საცვლებზე. კბილების საწმენდ ჩოთქზე, ჩექმებზე და სხვა ამგვარ რამეებზე.

(რა თქმა უნდა, იმას, ვისაც საშუალება აქვს პატიოსნად შეიძინოს ისინი, თორემ ვისაც ამის თავი არ შესწევს, რა მისი საქმეა ამაზე ლაპარაკი, და, მაშასადამე, ნურც მოითხოვს ამის უფლებას).

სასიყვარულო ლექსების და რომანების, ეტიკეტების და წარმოიდგინეთ პორნოგრაფიულ ნაწერებსაც კი ბეჭდვა არასოდეს არ ყოფილა შეზღუდული. პირიქით, ბურჟუაზიული ხელისუფლება მუდამ ხელის შემწყობი იყო და იქნება ამ დიად კულტურულ საქმეში.

### ქალთა ემანსიპაცია

პირდაპირ საზარელია ეს მოთხოვნილება; ნათქვამია ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარი ვერ დააკავებსო. ეს ნათქვამია მხოლოდ ერთ ქალზე. წარმოიდგინეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ქალთა მთელმა მოდგმამ მოისურვა გაწევა, მაშინ როგორ ფიქრობთ, რამდენი უღელი ხარი დასჭირდება მათ დაკავებას. გადაამრავლეთ 900 მილიონი ცხრაზე და მიღებული რიცხვი კიდევ არ იქნება საკმარისი.

ქალთა ემანსიპაციის განხორციელება—ეს იქნებოდა ცივილიზაციის და მსხვილფეხა საქონლის უდროოდ განადგურება.

### ძალაუფლება

ყველა ამ მოთხოვნილებებს გვირგვინად ადგია თავზე ძალაუფლების ხელში ჩაგდება. თუმცა ეს მოთხოვნილება თითქოს უკანასკნელ რიგშია ჩაყენებული, მაგრამ სწორედ მასში მარხია ძაღლის თავი. ო, ეს ისეთი რამეა, რომლის ხვედრითი წონა ყველა წინ მოყვანილ მოთხოვნილებების წონაზე გაცილებით უფრო მეტია.

აი, სწორედ, ამ უკანასკნელ მოთხოვნილების სურვილის გასაღვივებლად არის მოგონილი 1 მაისი.

ამ დღეს ყველა ქვეყნის მუშები შეკავშირებულ რიგებით გამოდიან ქუჩაში და... (გარდა საბჭოთა კავშირისა), ცხვირპირ დამტვრეული ბრუნდებიან სახლში ან და სრულებით არ ბრუნდებიან. ეს დღე არა ნაკლებ საზეიმო დღეა პოლიციისათვისაც.

**სინემატო.**

## მიკიჩას „ბუნტოვჩიკობა“

— მებნებან თუო, პირველი მაისი საციალისტების აღდგომააო, რადგანაც რომ კომუნისტების პაგრამა ქრისტიანულ აღდგომას ატრიცანია უშვებაო, ამიტომაც ვზამუნპრაზნიკათ მაისი გამოაცხადესო, რაღა და ჰამაც საპასმელიო დენოდიხაც ზედ მიაყოლესო, ურშაბათი უქმეთ გააკეთესო!

ვა, რა ჰიბრეული დრო დადგა და! საქრისტიანო ქვეყანაში ორი აღდგომა და ჰამაც უდიდმარხვოთ, და უზიარებლათ? სად ყოფილა, ვის უნახია, რომელ კარაბადინში სწერია? ახარ რაც რომ ათადან-ბაბადან რჯული და ადათია, თოლ იყოს რაღა. რას ურევენ დავთრებსა და თითილბაზურ მოდნებს აკეთებენ?

ჰამა აქ სხვა თაბაუთია:—თუო, რაც რომ ქვეყანაზე პროლეტარცკის რაბოჩი ხალხიაო, საედინიტი უნდა უყოთო, მერე ერთი დიდი ვაენი უნდა ვქნათო რაღა, ბურჟუაზნებს, უნდა ვესპოროთო. ჰუზურში იმათაო ისემეს უზამთო უნიჩტაჟენია, და ვსეობშჩი საციალიზმი გავაკეთებთო. არა რომ მაშინ ტრუდავოი აღდგომაც იქნებაო, ყველა მუშა ძმა-კაცურათ იცხოვრებს და ყველაფერი იმას ექნებაო: ფაბრიკები, ზაოტები, მაშინები, ვლასტი, რამე მააშ!

სლოვომ. მთელ ჰევროპია-დუნიაზე ბუნტის ჩაგდება უნდაო რაღა, მაგ ბემურაზებსა. რომა იქაც მუშების დიხტანტურა გამოაცხადონ და ჩვენი ჰაჰქრის სინსილა მაასპონ.

აი, სწორეთ ამისი ზნაკია მაგათი პირველ მაისის პრაზნიკობა.

ახარ ამ პრაზნიკზე. ჰუზურში ერთი ვასპამინანია მამივიდა, უნდა ვთქო. ჩემ ჯეჰელობაში ჩუ-ჩუტ მეც საციალისტი არ გავხდი?

ეს პაჩტი ოცდაორი წლის ამბავია, მაშინ კიდევ ჯეჰელი ვიყავ, ჰოპოპები მიქროდნენ და ყველაფერში ვჩასპანდობდი. იაპონმა რომ ისემე უყო ნიკოლოზსავაინი რაღა, მაშინ ჩემი სიმამრი ყარყუმ ოსეფა სახალინში წავიდა სავაჭროთა, ჩულურეთში თავისი სტალაო არენდნათ გადმამცა. მეც დავტრიალდი, ახალი აბსტანოვკა გავაკეთე და ისეთი რესტორანი მოვაწყე, რომ ნაინტერეს რამე იყო: კაბინეტები —ბარხატნი ზანავესკებით, კარტიჰკები, საზანდარი, ვივესკა, რამე, გარედანაც ასეთი ლექსი დავაწერინე:

„დუშკა მუშტარ იდი ზდეს,
შიგ მიკიჩა დაგიხვდეს,—
თუ დაოლნი არ წახვიდე,
მაშ ეს სიყმე მამიკვდეს!...“

მუშტარი ჰილყვავივით დამეხვია, ჰამაც გაზეთის ხალხი და ლექსების დამწერებიც შამამეჩვივნენ და სულ ბოთლიკის იარლიკებზეც ასტრაუმნი რამეებს ვაწერინებდი. ისე რომა, სულ არგინალნი რამე იყო რაღა ჩემი რესტორანი, რომელსაც სახელათ ეწერა: „ზალატოვი ბარაშკ“.

ყველასთან დავძმაკაცდი, პურმარილი და ქრისტიანული „გამარჯობა-გაგიმარჯოს“ ყველასთან ჩავაგდე. ისე, რომ, როცა იმათ სუფრაზე რამე ლაპარაკი ჰქონდათ, მე სლაბოდნათ შავდიოდი და ჰამაც ყურს უგდებდი. ერთი გრუპა იყო ჯეჰელი. ბიჭები იყვნენ ნახალოვკიდანა, სუდენტები დაჰყვებოდნენ, ყველაზე მეტათ იმათ უყვარდათ ცალკე ოთახში შასვლა და კურკური. მერე გავიგე, თურმე საციალისტები ყოფილან და ბუნტის ჩაგდებას აპირობდნენ, ჰამაც სულ ბომბის დამრტყმელები და ტერორჩიკები ყოფილან!

ერთხელ, იმათ კამპანიაში ბოთლიკით ღვინო და ზაკუსკა შავიტანე. ძალიან სპორობდნენ, დამინახეს თუ არა, მამენტალნათ გაჩუმდნენ; ის კი იასნათ გავარჩიე, როცა თქვეს თუო „მაია მოდისო და მარიფათიანათ უნდა შავხდეთო, ყველა ძმა-კაცი ! ნდა მოვიდეს ნადიროვკის გორაზე და იქ უნდა შავხვდეთო".

ვა, ჰელემთ-მელეთი მამივიდა, ეჭვიანი ჯეჰელი ვიყავი და მე სულსხვა ანგარიშზე წაველ რაღა, რევნოსტი გავაკეთე... ჰო, მე დამავიწყდა მეთქო რომა, მაშინ ზონდერ თალიშას ქალი მომეწონა, რომელსაც სახელათ მაია ერქო; პაჩტი დანიშნული ვიყავი, რაღა და ერთხელ სლუჩაინათ იმ საციალისტებსაც გავაცანი კაზონი ტრატთანა.

ვიფიქრე, ეს ბემურაზები აქ რაღაზე ლაპარაკობდენ, შამოველ გაჩუმდნენ, არა რომ აქ იზმენაა, ამათ ალბათ ჩემ მაიასთვის ნადიროკის გორაზე სვიდანია დაუნიშნიათ და ჰამაც თავის ძმაკაცებსაც იქ ეპატიჟებიან, რა ხეირში ჩააგდებენ იმ გოგოს? ნაივნი ვინმეა და ალბათ მაატყუეს მეთქი!.. უკან როცა გამოველ კარების სკვაჟინაზე მივადე ყური და უსმენ. ისევ დაიწყე გაცხარებული ლაპარაკი. სულ რუსულად იძახდნენ: „მაია, მაია და მაიაო". ბოლოს აჩოტლივათ გავიგონე:

— ამხანაკებოჯან. კვირას ჰამ პრაზნიკი დღეა და ისე გავალთ, რომ ვერავინ გაიგებსო. ყველანი ნადიროვკის გორაზე მოდით და იქ შევხდეთ მაიასო. ეხლა კი სამნენია აღარ იყო, ჩემ მაიაზე ლაპარაკობდნენ. იმ ღამეს თალიშას ოჯახში აღარ მივსულვარ, ჰამა მაიას სულ ზადნაძორს უკეთებდი და ჩუმათ ვხედავდი, თუ სად მიდიოდა.

კვირა დღეს, დილითვე ნადიროვკაზე წავსულვარ, ვხედამ, ეს ლუპუსტაცები იქ არიან, სხვებიც თითო-თითოთ მოდიან... ბევრნი შაგროვდნენ, ჰამა ეს მაია მაინც არა სჩანს.. ბოლოს ერთი იძახის:

— ჰაა, ეხლა დროა, დავიწყოთ, ჰამა ფრთხილათ იყავით, შპიონი არავინ გამოჩნდესო, მეც მიცნეს და თავისთან მიშიშვეს,—ყური დაუგდე, ოლონდ პურმარილს არ ულალატოვო. მამენტალნათ ბაირახიც გააჩინეს, ერთი სკამზე ავიდა და იძახის:

— ტავარიშჩი, დაზდრასტუიტ რაბოჩი პრაზნიკ პერვი მაია, რომელიც რომ საედინენია უზამს ყველა პროლეტარიატს და იმ პირძაღლ კაპიტალისტებს უნიჩტოჟენია გაუკეთებს, ჰამაც დალოი ნაში სამოდერჯავია და ეს ჩვენი ლუპუსტაცი ნიკოლოზი, რომელიც რომ აქამდისინ ჩვენ სისხლისა სომდა, ჰამა ეხლა კი ყოფას კუტირებთო! დალოი პრისტავ, მარადოვ, აკალოშნიკ, ჟანდარმსკი სტროიაო.

ეხლა კი ყველაფერი გავიგე. თურმე „მაია" თალიშას გოგო კი არა, სოციალისტების პრაზნიკი ყოფილა პირველი მაისი რაღა!... კიდევ ბევრი ილაპარაკეს. ისეთი რამეები თქვეს, რომ სულ ჯიმარი დამეწო და მამენტალნათ რეშენია ვქენი, რომ მეც ბუნტოვჩიკი გავხდე.ჯეჰელობის ჰოპოპები ავაფრინე რაღა. ვებნები:

— ძმებოჯან, იცოდეთ, სიტყვა მამიცია, რაც რომ ტაინა აქა სთქვით, ყველაფერი ჩვენში დარჩება ჰაა, მეც ჩერჩურ ჯავრი მჭირს იმ პროხორა გარადოვისა, რომელიც რომ სულ ნისიათა ხარჯამს და ჰამაც მაშინებს, ისე, რომა პაჩტი მეც ბუნტოვჩიკი ვარ მეთქი... ერთიც ვნახოთ, მარცხენა ხარეს გავიხედე, უცბათ უდარმა დამარტყა: ვხედამ, აქეთ-იქიდან ჟანდრების პრისტავები და გარადოვები არ მოდიან?!.

მე არ ვიცი რომელ თამვის სოროში შავძრე და ეს ბუნტოვჩიკები კი იძახიან:

— ამხანაკებოჯან, არ გაიქცეთ, ვისაც დამალული გაქვთ, ყველამ ამოიღეთ ლევროვ, ყუმბარ, რუჟო, პუშკუ და სულ მაგათ მიუშვირეთო, შაეშინდებათ და თავს დაგვანებებენო.

მე მოვკურცხლე, ჰამა საითაც წაველ, პუპუზ, ეს ბემურაზი პრისტავ-აკალოშნიკ, გარადოვ-ჟანდრები წინ არ ამეტუზნენ? დამიჭირეს და დაბალ სანდრუას ტყავივით ტაბოცში გამატარეს—მბეგვეს რაღა:

— ახტი ბუნტოვჩიკ, საციალისტ, სად წაგვიხვალ?. ჯერ ჩამოგახრჩობთ და მერე ეშტაპეტით პრემათ კატრეჟნაში გაგაგზავნითო!



— ვებნები— გასპადინ ჟანდარ, ვაში სიატალსტვა, ბემურაზი ვიყო, თუ მე ბუნტი ვქნა, მე აქ სხვა ანგარიშით მოვსულვარ და სლუჩაინათ რაბოჩი მიტინგი ვნახე, ჰამაც, ვინც რომ ბუნტის თავი და გლავნია, ყველას ნაიზუსტნათ ვიცნოფ და ჩამოგითვლით-მეთქი.

ბაშფორთი ვაჩვენე, გაიგეს რომ ვაჭარი კაცი ვარ და ვეჟლივობა დამიწყეს. მე წამომიყვანეს, ჟანდარსკი უპრავლენიაში, სლესტვია გამიკეთეს და რაც ვიცოდი ყველაფერი უამბე. მეორე დღეს გამამიშვეს და ჰამაც მადლობა მითხრეს.

ის ბუნტოვჩიკები კი ზოგი დაეჭრათ და დაეჭირათ, მერე ციმბირის კატერჟნაში გაგზავნეს, თურმე გლავნი ბალშევიკები ყოფილიყვნენ, ეხლა კამისრებათ არიან!

ასე გათავდა მაშინ ჩემი ბუნდოვჩიკობა, ჰამა, ეხლა კი ვნანოფ, რომ შიშისგნით ასეთი ბედოვლათობა ვქენი და ჟანდრების ხარე დავიჭირე. სულ ერთია, იმათზე ჰარამი იყო ჩვენი მარიფათები.

ფარსადან.

გრძელდება ხელისმოწერა
მაისისათვის
გაზ. „მუშა"-ზე და ჟურ. „ტარტაროზზე".
მაისში გამოვა „ტარტაროზი"-ს
ხუთი ნომერი

# ვეღარსად წამიხვალ

### მეგობრული შარჟი

სოფლები უექიმოთ არიან დარჩენილნი მაშინ, როცა ტფილისში უამრავი უმუშევარი ექიმ-ბია, რომლებსაც არ სურთ სოფელში წასვლა.



ამხ. კუჭაიძე: თუმცა ძლიერ სწრაფად გამირბიან ეს ექიმები, მაგრამ ეს ერთი ხომ მაინც მოვახვედრე ბადეში.

---

# ციკლონი, ანტიციკლონი, ჩემბერლინი და პასკა

(გურული სცენა)

— ქრისტეაღსდგა მასიკო, მრავალ წელს გნახე ჯანმრთელი და გული მხიარული!

— შენი მტერი ადგა ისე ჩემო ქიშვარდი! მარა შენი ნახვა მაინც ძალიანი გამიხარდა, მამა ნუ წამიწყტდება; რეთი ხანი მინდოდა თქვენსკენ გადმოხრაკუნება, მარა არ იქნა, ვერ მოვიცალე: ხან ციცაი გამიხთა ავათ, ხან იგი გადარეული ბიჭი ჩასვეს ნაოზახში, მერე კიდო ეფროსინემ თეძო ამოიგდო და იმის წამლობას გადავყევი: ახლაა და ნასესხები ისე გავიდა, რომ სიმინდის კაკალი არ ჩამიგდია ყანაში; თუ არ დავფაცურდი და ერთი ორი ქცევა მიწა თვარ დავთესე, შიმშილით ამოვწყდებით და იგია.

— რას ჩივი მასიკო, ჯერ რა დროის თესვაა, ხომ არ გადარეულხარ ამისთანა პატიოსანი კაცი, შენც ხომ არ აყევი იმ ყაზირალებს, აღდგომა რომ ყველიერში გადმეიტანეს, ყველიერი კი ხორციელში გაგვითენეს, შენც ხომ არ შემოგილია ახალი სტილია თუ რაცხა ჯანდაბა?

— ახალია თუ ძველი, მაგი რა ვიცი, მე ისე ვ'შობი, რავარც კალენდარშია დაწერილი.

— რომელ კალენდარში, შეკაცო, წრუვანდელ კალენდარით დადიხარ თუ? დაღუპულხარ კაკალი კაცი და იგია სწორეთ! „ტანტაროზი" მაინც არ წაგიკითხავს, რაფერ ამათრახებდა მის გამომცემელს?

— „ტანტაროზი". რათ მინდა. კაი რომ არ არის, ამას მეც ქე ვხედავ, მარა სხვა რომ არ არის, მეტი რა გასაქანი გაქ, იმით უნდა დაიკმაყოფილო მოთხოვნილება.

— აი მართალია, მარა მაინც თოხნა-თესვის დრო რომ არ დამდგარა ჯერ, ამას უკალენდროთაც კარგათ ვხედავ.

— რავა არ დამდგარა, შე მამაცხონებულო, ვერ ხედავ რაფერ დუუცხუნა მზემ?

— დღეს კი დუუცხანა, მარა ერთი ხვალეც ნახე— ციკლონი რომ გადაგრიალდება შენს ეზოზე! იმფერი წვიმა დაათხრიშინოს, რომ, მგონი, თესვა კი არა, თავიც ვერ გამოყო გარეთ.

— რომელი ციკლონია, შეკაცო, ერთმა ხომ გადიარა სათაითრეთში, მეორე ციკლონი საიდან გამოჩნდა?

— არა აფხანიკო! სათათრეთში რომ გადიარა, იგი ანტიციკლონი ყოფილა, ნამდვილი ციკლონი ახლა მოდის თურმე საბერძნეთიდან და იმისთანა აბდარი მოაქვს, რომ სულ ძაგძაგს დააწყებიებს ქვეყანას.

— დევილუპეთ, დევიფსეთ და ის არის სწორეთ! ჯერ იყო და იმ ოჯახ დაქცეულმა ჩებერლენმა გააჭირვა საქმე თავისი ნოტებით, მერე ვინცხა შან-კაი-ში გამოჩთა და იმან გადაგვიყოლია, ახლა კიდევ ციკლონმა და ანტიციკლონმა აღარ გაგვართვა საშველი.. მოდი და ამფერ დროში დაუდევი კაცმა გული მუშაობას! არა, ამ ბოლო დროს მაინც ნამეტარი

# ბოთლი ღვინო

ქიათურის წითელ სასადილოში ერთ ბოთლ ღვინოზე მეტს აძლევენ მხოლოდ პასუხის-მგებელ მუშაკებს.

(მოწერილი ამბებიდან)




**— კაცო, აქ ხომ ერთი ბოთლი ღვინის მეტს არ იძლევიან,— მაშ რა ჯანაბამ დაათრო ე ოჯახქორი?**
**— ალბათ პასუხისმგებელი ვინმე უნდა იყოს!**

---

აირია ეს ღვთის გაჩენილი ქვეყანა და კაცმა არ იცის რა ფერ წაეა ჩვენი საქმე! სად იყო წინეთ ან ციკლონი, ან შან-ყაი-ში, ან ჩებერლენია თუ რაცხა ჩემიცოდვით სავსეა, რომ სულ ტრაბახობს—ამას ვიზამ, იმას ვიზამ, კომუნისტებს სულ გავჟლეტავ, მარა ცარიელი სიტყვების მეტი არაფერი გეინახავს მისგან.

— კაცო ჩებერლენი რა შუაშია, ლობე გაგირღვია იმ კაცმა, სათესლე კაკალი წაგართვა თუ რაფერ შეგიშალა ხელი ყანის მუშაობაში?

— რაფერ და იმფერ, რომ გაზეთები სულ იმ ოჯახდაქცეულის შესახებ სწერენ—ჯარებს აგროვებსო, უშველებელ ზარახოთებს აშენებსო, ჩვენ მეზობელ ხელმწიფეებს ყველას შეილები მოუნათლა, რომ ჩვენთან ჩხუბში ჩაითრიოს; იმსელა ზარბაზნები გაუკეთებია, რომ ბათომში რომ ისროლოს, მოსკოვში კვერცხებს დაამტვრევსო...

— მერე რა შენი საქმეა რასაც იზამს იის კაცი. ჯარს შეაგროვებს თუ ინდოურებს?

— ე, ჩემო ქიშვარდი, გეტყობა პოლიტიკაში არ ყოფილხარ მაინცდამაინც გამოჯანჯლილი და იმიზა ჩივი ამისთანა აბდლურს. რავა არ მესაქმება, შე კაცო, იმდენი თოფი და ზარბაზანი ჩემბერლენს კბილების გამოსაკიტნათ არ უნდა, ან და საკალანდო შელულიზა ემზადება გგონია? ადგება და ერთ მშვენიერ დღეს, როცხა მე და შენ ყანაში ორ ოყიანი თოხი გვეჭირება ხელში, თავისი პარახოთებით ბათომში ფხეკვას გააღენს და იმისთანა ბათქი-ბუთქს აგიყენებს, რომ ყანის თესვა კი არა, ნერწყვის გადაყლაპვა დაგავიწყდება. სულ მიწასთან გაასწორებს აქაურობას და მერე მიდი და უყარე კაკალი,

— აბა, პოლიტიკაში ჩამორჩენილი შენ ყოფილხარ ბეჩა! ნაკლებათ მოსულა ჩემბერლენის პარახოთები ბათომში! კაცო, მართლა გაზეთს არ კითხულობ, თუ რაფერაა შენი საქმე, რომ ამისთანა აბდლურს ლაპარაკობ, ამისთანა ჭკუიანი კაცი! მაგას, რომ ჩივი, ჩვენი მთავრობა ხინკილაზე დაპატიჟებს თუ? ჩვენც ხომ კაცები ვართ და ყაბალახი გვახურია, ჩვენც ხომ გვყავს ჯარი! და მერე რაფერი ჯარი, არ იკითხავ! ვერ გეიგონე რა თქვა საბჭოების ყრილობაზე ამხანაგმა ლევანდოვსკიმ? არაკაცთან ჩხუბი არ გვინდა, თუ თავს დაგვანებებენ და მუშაობაში ხელს არ შეგვიშლიან, ქე ვიქნებით ჩვენს სახლში და ეზოში ფეხმოკეცილი, მარა თუ გადაგვეკიდებიან, ჩვენს სახლში არ დაგვაყენებენ და მშვიდობიან მუშაობაზე ხელს აგვაღებიებენ, მერე ჩვენი ბრალი არ იქნება, თუ ჩვენი დაშელიჰინებული ბიჭები—წითელარმიელები—ხელს გამოიღებენ და კაი მაგრათ შეუზელენ გვერდებს ჩვენს მტრებსო. ასე თქვა მამანუწამიწყდება ლევანდოვსკიმ.

— აბა შენ დაჭერმარიტებული ხარ, რომ ჩებერლენი ჩხუბს არ აგვიტეხავს?

— მისი ნებაა. აგვიტეხავს—თავს გაიტეხს, არა და ქი იქნება მიზდა ლამაზათ.

— აი შენი აზრი ჩებერლენის შესახებ, მართლა ჭკუაში დამიჯდა. მარა—აი ჩან-ყაიში რომ გადუდგა რევოლიუციას და იმპერიალისტების ბანაკში ამოყო თავი, აი რაღას ნიშნავს?

— რას უნდა ნიშნავდეს, ღალატს და მეტს არაფერს. იმპერიალისტებმა მოქთამეს, თუთხმეტი მილიონი ჩაუყარეს ჯიბში, ისიც გადეირია და მუშებს და გლეხებს, რომლებიც ჩინეთის თავისუფლებისათვის იბრძვიან, ჩხოსავით დააყარა ცხელი ტყვია.

— ვაი დედამისს, რა უქნია აი საჯაყი საქმე! თავსხლაფი დაეასხი მაგისთანა კაცს, ფულის გულიზა რომ გაყიდის თავის ამხანაგებს... მერე ისიც მითხარი, თუ ხათრი გაქ, აი ღალატი არ წაახთენს რევოლიუციის საქმეს?

— კაცო, მაგას რავა ჩივი; ღალატს მარტვა ხელის შეშლა შეუძლია; არ გახსოვს რაფერ უღალატეს რუსეთის რევოლიუციას ჯერ კადეტებმა, მერე კერენსკიმ, მერე—მენშევიკებმა, მარა რევოლიუციამ მაინც გაიმარჯვა! ისე იქნება ჩინეთშიც. პროლეტარიატის ძალას ვინ გადუდგება წინ! მართალია, ბევრი მოღალატე გამოერევა, ბევრი ღენერალი გადაუდებს რევოლიუციას კვანტს, მარა—ბოლოს თითონვე მოატეხენ კისერს...

შენს პირს შაქარი, ჩემო მასიკო! ასე ცერცვსავით რომ ჩამიკაკლე ქვეყნიერების ამბავი, კაი პატივისცემა გეკუთვნის ჩემგან. მარა რაღაი დიდი პატივისცემის აჯა და ღონე არ მაქ, მოდი ერთ ნაჭერ პასკაზე მაინც დაგპატიჟებ! აქაური უგემური პასკა არ გეგონოს, ქალაქიდან გამომიგზავნა ჩემმა ბიჭმა.

— რომელმა ბიჭმა? შენი ბიჭი ხომ პარტიულია, პასკას რაფერ გამოგიგზავნიდა!

— რა ვიცი, შენი არ იყოს, ახლა ისე ეირია ყველაფერი, რომ თავისა და ბოლოს გაგება შეუძლებელია! პარტიული იყო, რასაკვირველია, მარა ეხლა მგონია, აღარ უნდა იყოს! გინდაც რომ იყოს, პარტიულობა პასკის ჭამას რას დაუშლის! წავიდეთ აგერ სახლში და ცოტა ხანი კიდევ ვილაპარაკოთ პოლიტიკაზე, იქნება ამის შემდეგ ღამე გემოზე დამეძინოს.

ეულახტი ყურმუხეთი

# ეხლა მაინც მელირსოს

ჯანსახკომში წარმოდგენილია პროექტი, რომლითაც გადამდებ სნეულებით გარდაცვალებულების გასვენება ქუჩაში გადახდილი კუბოთი აკრძალულ უნდა იქნეს. მიცვალებული გასვენებულ უნდა იქნას დახურულ კუბოში მხოლოდ ავტომობილით.



**მიცვალებული** (კუბოდან): თქვე ოჯახქორებო, ისეთი ბედი მეწვია, რომ სიკვდილის შემდეგ მელირსა ავტოში ჩაჯდომა და ეხლა მაინც გადმომახედეთ, რომ დამინახონ ჩემმა ძმა-ბიჭებმა!

# როგორ გაითენა ილიკომ აღდგომა

მთელი კვირა ემზადებოდა აღდგომისათვის ილიკო. ყველა რომ დიდ ფაცაფუცში იყო, ილიკოს სირცხვილად მიაჩნდა ტოლ-სწორებში გამოსხლეტილიყო. დიდი უნარი იყო საჭირო, რომ ამ მდგომარეობიდან ურცხვენელად გამოსულიყო ჩვენი ილიკო.

თავისი მცირე ჯამაგირით, იგი ვერაფერს გააწყობდა და ამიტომ საგონებელში იყო ჩავარდნილი.

ჯამაგირიდან ამჟამად მას აღარაფერი ერგებოდა სრულებით. აქეთ ეცა ილიკო, იქით ეცა. დასჭიმა მთელი ნერვები. აამუშავა ტვინი. ივარაუდა, იანგარიშა და აღდგომის წინადღისათვის თითქმის ყველაფერი დაამზადა. აიღო 30 მ. მაისის თვის ჯამაგირის ანგარიშში ავანსად მოაგროვა 40 მანეთამდე ნაცნობ-მეგობრებში სესხად. დანარჩენისაც ნისიად შოვნის იმედი ჰქონდა და ამრიგად თავი უკვე ქუდში დაიგულა.

ყველაფერი რომ მოიმარაგისა, ილიკომ, კმაყოფილებით გადახედა თავის ცოლს ელენეს და ღიმილით უთხრა:

— ჰა, აბა როგორ გეგონა ჩემო საყვარელო ელენე. ისეთ ვაი დღეს, როგორიც ქრისტეს აღდგომაა გულს როგორ დავაწყვეტინებდი. რაც მთავარი და მთავარი იყო, უკვე შეძენილი მაქვს აღდგომისათვის: ღვინო, (სამი ვედრო) ბატკანი, გოჭი, ინდოური და სხვა. პასკის საქმეც, ხომ მოგვარებული გვაქვს, ასე რომ ყველაფერი ჩინებულად გამოეწყო და აჰა შენ იცი ჩემო ელიჩკა, თუ არ შემარცხვენ და გამომაჩენ მტერთანაც და მოყვარესთანაც. მთელი მილეთის ხალხი ბუზივით ირეოდა გუშინ იარმუკაში. მამასისხლად გახდა ყველაფერი, და როგორც ხედავ ჩემო სულიკო ყველაფერი მოვაგვარე და ახლა თავისუფლად შემიძლია ამოვისუნთქო. არც მტერთან შევრცხვები და არც მოყვარესთან. ელენე მაინც და მაინც არ იყო მთლად კმაყოფილი ყოველივე ამით. მიზეზი უკმაყოფილებისა იყო ის, რომ ელენეს სააღდგომოდ გაბარებული ტუფლები და კაბა რჩებოდა დაუხსნელი, რაც აიხსნებოდა ფულის უქონლობით.

— ჩემი გაჩენა დეიწვას ბარემ და დეიდაგოს, არაფერში იღბალი მე არა მაქვს. მართალია, სააღდგომოთ ჩინებულად მოვემზადეთ, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ უტუფლოთა და უკაბოთ ვრჩები ამ სააღდგომოთ. მთელი ხალხი მე უნდა დამცინოდეს, მაშინ, როცა ყველას ახალ-ახალი ტუფლები და კაბები დაამშვენებს; მე გული უნდა მომწყდეს და მუცელში ჩამივარდეს. ელენე თან ასე წუწუნებდა და თანაც ინდაურს ასაცივებდა სამზარეულოში. ილიკოს ნემსივით დაესო გულზე ელენეს ასეთნაირი საყვედური. სხვა გზა აღარ დარჩენოდა: უნდა ენუგეშებია მხოლოდ გულ-დაწყვეტილი ცოლი.

— არა უშავს რა ჩემო სულიკო, ცოტა კიდევ მოითმინე და ყველაფერს მოვაგვარებთ. კაბასაც გიყიდი და ტუფლებსაც. სულ შევიოტ-კოვერკოტებში გამოგაწ-

## მეხილესთან



— როგორ ჰყიდი გირვანქა ვაშლს?
— შენთვის კუკლაჯან ორ შაურად ეღირება!
— მეხი კი დაგაყარე მაგ თავზე, შე კინტო, შენა!
— მე თუ კინტო ვარ შენ კი გიმნაზისტკა ხარ, რაღა?

ყოპ. ვიქტორია და ლორეგანიც გაჩნდება, ასე რომ მაგისი დარდი ნუ გექნება ჯერ ეს აღდგომა გავითენოთ და ყველაფერსაც მოვესწრებით. ასე ჩემო ელიჩკა, მოვითმინოთ, ვალები მივრეკ-მოვრეკოთ და ყველა სურვილების ასრულება გაგიადვილდება შემდეგისათვის. ელენემ უიმედოთ ჩაიქნია ხელი და განაგრძო თავისი საქმე. პასკა უკვე გამზადებული ჰქონდა ფურნეში გასაგზავნად. ინდაური ჩასაცივებული იყო. გოჭიც და ბატკანიც შესაწვავად გაამზადეს. ყველაფერი მოგვარებული იყო თითქმის, ასე, რომ სახლის დალაგება ღა იყო საჭირო და ჭურჭელზე ზრუნეა.

ელენემ დაალაგა ოთახი, დაასუფთავა ყველაფერი და შეუდგა სააღდგომო კვერცხების ღებვას. ილიკოც ტრიალებდა, ფაცურობდა; აკეთებდა ყველაფერს, რაც ეხერხებოდა და როგორც შეეძლო.

— ელენე, აბა შენ იცი ხვალ თუ გამომაჩენ. ხომ იცი ბევრი სტუმრები გვეყოლება და არ შემარცხვინო კაცი. ყველას შესაფერისი პატივი უნდა სცე. გამგე, გამგის თანაშემწე, მდივანი და მთავარი ბუხგალტერი. ხომ იცი როგორი მოსარიდებელი ხალხია! იცოდე, რაც საუკეთესო რამე გაგაჩნდეს ტკბილი — და გემრიელი იმათთვის შემოინახე. ნულარ დაზოგავ თავს, აბა შენ იცი როგორ ასიამოვნებ ყველას, შემდეგ ისე ჩიხანხალა მიმსვლელ-მომსვლელებსაც თავის წესზე მიდგომა უნდა.

— კი კაცო, მაგრამ მარტო სასმელ - საჭმელით ხომ ვერ დავაკმაყოფილებ სტუმრებს? საიდან, ან როგორ გავაჩინო მათთვის სათითაო ჭურჭელი.

— არა უშავს, სათითაო მხოლოდ მოსარიდებელ სტუმრებს დასჭირდება, დანარჩენებს ნურაფერში ნუ მოერიდები მაინცა და მაინც.

—კი მაგრამ, სირცხვილია კაცო, სირცხვილი.

— ქალო, გამიგონე მეთქი, კაცს სულით და გულით უნდა ასიამოვნო, თორემ შენს ჭურჭელს თან ხომ არ აიკიდებენ?

— მე კიდევ და კიდევ იმ უცხო ხალხის მომერიდება თორემ...

ისე ლაპარაკობ, თითქოს შენს დღეში არაფერი არ გენახოს? თუ კი გვეღირსება და ეგ ხალხი მოვლიან ჩვენთან, შენ კიდევ უარზე უნდა დადგე? მე გეუბნები, რომ პატივი ეცი, როგორც შეგეძლოს და მოგიხერხდესმეთქი.

მცირე ხანს კიდევ ითათბირა ცოლქმარმა, დაამზადეს ყოველივე და თითქმის ნაშუაღამევს მიწვენ დასაძინებლად.

ილიკოს დიდხანს ძილი არ მოჰკიდებია. ფიქრობდა ხვალინდელ დღეზე. ფიქრობდა მომავალზედაც. აწუხებდა ხელმოკლეობა, აწუხებდა უფრო სააღდგომოთ გაწეული ხარჯები და დავალიანება.

ის იყო ჩაეძინა კიდეც ილიკოს, რომ თვალწინ გადაეშალა ხვალინდელი დღის სურათი: თითქოს აუარებელი სტუმრები შეკრებილიყვნენ ილიკოსთან. ტრიალებს ცოლი და ქმარი. აღარ ყოფნის სტუმრებს დასაჯდომი ადგილი. ნახევრობა ფეხზე სდგას. ჭიქების, საინების, და დანაჩანგლის დიდი ნაკლულოვანებაა. ილიკო სირცხვილით იწვება. სვამენ ღვინოს. მღერიან მრავალჟამიერს. დაიცალა ერთი ვედრო ღვინო, მეორეც, მესამეც დავიდა ძირომდი. მოეკიდა ცეცხლი ილიკოს გულზე. ყველგან ყველაფერი დაკეტილია. სარდაფები, რესტორანები, დუქნები. ტოლუმბაში ისვრის პრტყელ - პრტყელ სიტყვებს აქებს მასპინძელს. იმღერიან. საუბრობენ. ხუმრობენ. იცინიან. მხიარულობენ. აგერ გამგე ლოცავს ილიკოს, პირდება დაწინაურებას. ილიკოს სიხარულის ჟრუანტელი უვლის ტანში, თანაც სიმწრის ოფლი ასხამს, რომ ღვინო გამოელია და იმედიც არა აქვს, რომ სადმე იშოვოს.

ისმის მრავალჟამიერი, ღრიანცელი, სიცილ-ხარხარი.

ილიკოს თითქოს თვალებში უბნელდება. მუხლებში იკეცება. სურს ხმამაღლა დაიყვიროს ხმა არ აქვს. ხედავს თითქოს ბნელს კუთხეში შეზარხოშებულ გამგეს ელენესთვის ხელი მოუხვევია. ეჩურჩულება რაღაცაზე და თანაც ჰკოცნის აშკარად. ანიშნებს რაღაცას ილიკოზე, თითქოს დასცინის კიდეც. ელენეც გამხიარულებულია წნორის ფურცელივით ეტმასნება გამგეს. თითქოს საყვედურობს ქმარზე. საყვედურობს, სააღდგომოთ ტუფლები და კაბა რომ არ გამოუხსნა ილიკომ.

იწურება ოფლში ილიკო. სურს კბილებით დაგლიჯოს გამგე.

მაგრამ ამაოთ, ყელიდან ხმა არ ამოდის, იტანჯება, წვალობს.

ასეთი წვალებით გაათავა ილიკომ ის ღამე. შერცხვა. ელენესთვის არაფერი გაუმხელია. ელენემ გაამზადა ყველაფერი. შესრულდა 12 საათი, მაგრამ ილიკოსთან არავინაც არ მოვიდა. გამოვიდა ილიკო აივანზე სწყურიან, რომ სტუმრები მოვიდენ მასთან, გამხიარულდეს, მაგრამ ამაოდ. ფიქრობს თავისთვის, თუ რატომ გასწია ამოდენა ხარჯები, რისთვის ჩავარდა ვალ'ში. დაღამდა კიდეც არც ილიკოსა და ელენეს კბილი არაფერზე არ დაუდგამთ. გათენდება ორშაბათი,გახსნა ილიკომ კვარტი-გამოცალა ერთი, გამოცალა მეორე, შეზარხოშებული გამოვარდა ქუჩაში. მოუყარა თავი გამვლელსა და გამომვლელს, ნაცნობსა და უცნობს. დაიცალა ღვინო, გათავდა ხორაგი. სამი დღე გადააბა ერთმანეთზე, დაიდვა კიდეც ვალი. ელენე სიკაპასისაგან თვალებიდან ცეცხლსა ჰყრიდა. ილიკო კი სიმთვრალისაგან დაპარბაცებს და გაიძახის: ანასუნ იმათ საქმეს ვინც არ მოვიდა. კაცს რომ სახლი ეწოდეს ხელი მაინც უნდა მოითბოსო. ამდენი ხარჯი გავსწიე და ქეიფითაც კარგად უნდა ვიქეიფოო.

**ოდილ მადი.**

# ივლიანეს გასაჭირი

## პატარა შემთხვევა სინამდვილიდან 1 მოქმედე ბად, რუსულიდან გადმოკეთებული

მოქმედნი:

მრისხანაძე—ქვეგანყოფილების გამგე.
ქათამაძე—საქმეთა მმართველი.
ცანცარა—სტატისტიკი.
გოგუცა—რეგისტრატორშა.
ცხვირაძე—ცნობათა მაგიდა.
შეყლაშვილი—დარაჯი.
ივლიანე—ადგილობრივი მცხოვრები.

(სცენა წარმოადგენს ერთ-ერთ ოფიციალურ დაწესებულებას, სადაც სდგას მაგიდები. ყველა მაგიდის ზევით—კედელზე წარწერაა, თუ რომელი მაგიდა რას ემსახურება. ორი კარები: ერთი საერთო შემოსასვლელი, ხოლო მეორე—დაწესებულების უფროსთან შესასვლელი კაბინეტში. კაბინეტის კარის წინ სდგას სკამი, რომელსაც დასაჯდომი ფიცარი, ანუ წნული ჩაგლეჯილი აქვს. სკამზე ზის, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, მთლათ ჩავარდნილია ამ სკამში დარაჯი შეყლაშვილი და დუკითხავათ არავის უშვებს კაბინეტში. შემოდის ივლიანე).

**ივლიანე: (ათვალიერებს დაწესებულებას, გაიხედ-გამოიხედავს და მოწიწებით მივა მრისხანაძესთან):** უკაცრავად, ამხანაგო!.. შეიძლება გკითხოთ..

**მრისხ.:** ბრძანეთ, მხოლოდ მოკლეთ და გარკვევით.

**ივლიანე:** კი ბატონო.... მე მინდა პატარა ცნობა და თუ შეიძლება..

**მრისხ. (მკვახეთ):** ამ წარწერას ხედავთ? **(უკითხავს ხაზგასმით)** დაწესებულების გამგე: მიხვდით?

**ივლიანე:** კი, ბატონო, მივხვდი

**მრისხ.:** ჰო-და თუ მიხვდით, მაშ ჩემთან რა გინდათ? ცნობების მისაღებათ არის ცნობათა მაგიდა.

**ივლიანე:** კი, ბატონო, მარა სადაა ის ცნობათა მაგიდა?

**მრისხ.:** მოქალაქევ, თქვენ **მოშ**-ი იცით?

**ივლიანე:** რა ბრძანეთ!!!

**მრისხ.:** მოშ—მეცნიერული ორგანიზაცია შრომის.

**ივლიანე:** აა, მივხვდი, ბატონო, მივხვდი. მე მეგონა მოშია ებრაელზე თუ მელაპარაკება თქვა! ქე არ გავშტერდი კაცი!

**მრისხ.: (გადაჭრით და ხაზგასმით):** მაშ იცოდეთ, მოქალაქევ, რომ **მოშ**-ს ძალით ყველა აკეთებს მხოლოდ თავის საქმეს.

**ივლიანე:** კი, ბატონო, მარა...

**მრისხ.:** კმარა! ცნობა თუ გინდათ—მიჰმართეთ ცნობათა მაგიდას.—წერტილი!... მორჩა-გათავდა!..

**ივლიანე: (გვერდზედ):** რა გულზეა, ვინცხა ეშმაკია!? რას წყრება ეს გლახის ჭირი, ესა! რავა თათრულ ყვახს მიუგავას ის თავი. ვაი, შენს პატრონს უბედურს! დიდი საქმე იქნება ახლა, თუ მიმასწავლე შენმა სიცხემ! რავა, ლაპარაკზედაც ხომ არაა ნეტა, ეს რეჟიმ-ეკონომია! დაყევი ახლა და ეძიე! უნდა მოვნახო. მეტი რა ღონეა **(კითხულობს წარწერებს):** „საქმეთა მმართველი"... „სტატისტიკა"... რეგისტრატ"... სად დაფსებაშია ეს ცნობათა მაგიდა! ალბათ საქმეთა-მმართველს ეცოდინება. სახეც, რაცხა, კაცური აქვს და მოდი შევეკითხები, რაც იქნეს-იქნეს **(მიდის საქმეთა-მმართველთან)**. ამხანაგო!

**ქათამაძე:** მომითმინეთ, ამ წუთს...

**ივლიანე:** კი, ბატონო: კი შენი ჭირიმე. ა, მირონში ეტყობა, რომე ნამდვილ კაცური კაცია. **(ცოტა ხნის შემდეგ მორიდებით:** უკაცრავად—შეიძლება გკითხოთ?

**ქათამაძე:** ბრძანეთ.

**ივლიანე:** მე მინდა მივიღო პატარა ცნობა და... **ქათამაძე (აწყვეტინებს)** უკაცრავად. უკაცრავად! როგორა გგონიათ თქვენ, მე ცნობათა მაგიდა ვარ თუ?!

**ივლიანე:** არა, ბატონო, რამა—მე მეგონა რომ...

**ქათამაძე:** თუ არა და, მაშ რა დამოკიდებულება მაქვს მე თქვენს ცნობასთან?

**ივლიანე:** კი, მაგრამ თქვენ როგორც საქმეთა-მმართველი...

**ქათამაძე:** დიახ. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში ცნობათა მაგიდა მაინც არა ვარ.

**ივლიანე:** ფუ, დასწყევლოს ეშმაკმა! აპა, სად ჯანაპაშია ის ცნობათა მაგიდა?

**ქათამაძე:** გთხოვთ უმართებულო სიტყვებს ნუ ხმარობთ. ცნობათა მაგიდას ყველა გაჩვენებთ—წერტილი! მორჩა-გათავდა!

**ივლიანე: (ცივად მოშორდება)** ეე, ამანაც დაუსვა წერტილი! ვის ვკითხო ახლა რომ არ ვიცი! **(შეხედავს რეგისტრატორშას):** ვკითხო ბარიშნას?!. **(შეხედავს სტატისტიკოს)**: არა, მოდი ჯერე ამ ახალგაზრდას შევეკითხები. რაღაცა წყნარი სახე მოუჩანს და იქნება ქრისტიანულად დეილაპარაკოს. **(მიდის სტატისტიკოსთან):** ამხანაგო!

**ცანცარა:** ახლავე. **(გუგუცას)** გოგუცი, გენაცვალე, მითხარი, ერთი საიმედო სიტყვა მითხარი. თორემ აღარ შემიძლიან მეტი! Золото мое... **(ხელს წაატანს).**

**გუგუცა:** ციც!.. ხელი ფაფას!..

**ივლიანე: (ამათი არშიყობის მაყურებელი, მოთმინებიდან გამოსული, ხმა-მაღლა).** ამხანაგო.! **(გოგუცა შემკრთალი გადმოხტება და თმის სწორებით მიდის თავის მაგიდასთან).**

**ცანცარა: (ივლიანეს):** აი, ტაბურეტკა, დაბრძანდით.

**ივლიანე:** გმადლობთ, ჩემო ბატონო. მე, მაინდამაინც დიდი საქმე როდი მაქვს. მე მინდა პატარა ცნობა, ჩემო ბატონო...

**ცანცარა:** უკაცრავად, თქვენ, ალბათ, ცან-სან-სანიდან თუ ხართ?

**ივლიანე: (გაკვირვებული):** რა ბრძანეთ?

**ცანცარა:** ცან-სან-სანიდან.

**ივლიანე:** ვაიმე, ნამდვილათ კიტაიელი ვგონივარ! მე, ბატონო ქართველი გახლავარ.

**ცანცარა:** რის ქართველი, რის კიტაელი! მე გეკითხებით ცან-სან-სანიდან თუ მოდიხართ?

**ივლიანე:** რაია, ბატონო: ეს ცან-სან-სანი! მე კიტაელი გოროდი მგონია.

**ცანცარა:** ცან-სან-სანი—ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

**ივლიანე:** აჰ ჰარაფერი დამოკიდებულება მასთან არა მაქვს...

**ცანცარა:** აბა, მაშ შან-თან-სან-იდან იქნებით.

**ივლიანე:** დედაია, რა ვქნა აწი! არ ვარ, ბატონო, კიტაიელი, ღმერთი, რჯული. ქართველი ვარ, ამხანაგო, ქართველი.

**ცანცარა:** მე არ გეკითხები ქართველი ხარ, თუ სომეხი...

**ივლიანე:** აპა, რა ჯანაბაა, ბატონო, ეს შან-თან-სანი?!

**ცანცარა:** შან-თან-სანი—შრომისა და თავდაცვის საბჭო...

**ივლიანე:** მერე და რა დამოკიდებულება აქვს, ბატონო, ცნობის მიღებას იმ ცან-სან-სანთან და შან-თან-სანთან?

**ცანცარა:** აი, მეც სწორედ ამიტომ გკითხავთ. ის ცნობა, რომელიც გინდათ მიიღოთ—სტატისტიკურია, თუ არა?

**ივლიანე:** არა, ბატონო, არა.

**ცანცარა:** მაშ ეგ მე არ მეხება. სულ ტყუილად დამაკარგვინეთ ამდენი დრო და საქმეს მომაცდინეთ.

**ივლიანე: (დამწუხრებული):** დედაია, რა ვქნა აწი! ვის მივმართო, ვისთან წევიდე!

**ცანცარა:** ვისთანაც გინდათ, იმასთან წადით. ჰკითხეთ რეგისტრატორშას. რა-კი სტატისტიკას არ შეეხება, მე რა საქმე მაქვს თქვენ ცნობასთან! წერტილი!.. მორჩა-გათავდა!...

**ივლიანე: (უცებ მოშორდება გაკვირვებული):** წერტილი?!

**ცანცარა: (მკვახედ):** დიახ!...

**ივლიანე: (დაბნეული):** რომ არსადაა ეს უპატრონო ცნობათა მაგიდა, რა უყო აწი! სუყველგან წერტილი და მორჩა-გათავდა! ვისთან მივიდე ახლა, რომ არ ვიცი! **(მიდის რეგისტრატორშასთან მოწიწებით):** ბარიშნა! **(მეტის მოწიწებით):** ბარიშნა!

**გოგუცა:** თქვენ რა გინდათ?

**ივლიანე:** მე, ბატონო, ცნობა მჭირდება და...

**გოგუცა:** საიდანა ხართ, თქვენ?

**ივლიანე:** ჩემი სახლიდან, ბატონო. აგერ ოთხი საათია დავყურყუტებ ამ თქვენ კანცელიარიაში და ერთი უბრალო ცნობა ვერ მივიღე.

**გოგუცა:** უკაცრავად! თქვენ მე ვერ მიმიხვდით, მე გეკითხებით: რომელ დაწესებულებიდანა ხართ და რა ქაღალდები გაქვთ?

**ივლიანე: (კვნესით):** ბარიშნა, მე არაფერ დაწესებულებიდან არა ვარ და არც ქაღალდები მაქვს. მე პირადათ ჩემი საქმიზა ვარ მოსული. ცნობა მინდა, ბარიშნა, ცნობა და მომეხმარე შენი ჭირი შემეყაროს, თვარა ქალი გადამერევა შიშით ამდენხანს რომ დევიგვიანე.

**გოგუცა:** თუ დაწესებულებიდან არა ხართ და არც რაიმე ქაღალდები გაქვთ, მაშინ რა შუაშია რეგისტრატურა?

**ივლიანე: (შეწუხებული):** დედაია, რაღა ვქნა ეხლა! არც აქაა საშველი! ბარიშნა, იქნება თქვენცა გყავთ ქმარი, რომელიც გიცდით თქვენ და რაღაცა უბრალო ცნობისთვის დაგაგვიანეს. წარმოიდგინეთ რა მდგომარეობაში იქნება თქვენი ქმარი.

**გოგუცა:** თქვენ არავინ გკითხავთ ჩემს ოჯახურ საქმეებში ჩარევას. უზრდელი! ვისაც ცნობები უნდა აი, იქ იმ კუთხეში მიდიან ცნობათა მაგიდასთან და არა ქალებს აწუხებენ! ნუ მიშლით მომშორდით აქედან!

**ივლიანე:** თქვენ ვერ მიხვდით, ბარიშნა...

**გოგუცა:** არც მინდა რომ მივხვდე—წერტილი!... მორჩა-გათავდა!..

**ივლიანე:** აა, აგიც წერტილს მისვამს! მისთანა წერტილი დაგისო, იცოცხლოს ივლიანემ, რომე სულ ვაი-ვაი გაძახო! უყურე ამ გლახის ჭირს, რავა მეინგრია ეს ცხვირპირი! არა, რო ჯავრობს, რას ჯავრობს! **(მიდის ცნობათა მაგიდისკენ ერთობ ნაწყენი, ფეხები არ ემორჩილება და ძლივს-ღა მიათრევს, დადგება მაგიდის წინ და ღრმად ამოიძახებს):** ახ...

**ცხვირაძე: (ივლიანეს):** თქვენ რა გნებავთ, მოქალაქევ?

**ივლიანე: (სრულიად მოწყენილი იმ იმედით, რომ აქაც უარს ეტყვიან, ძლივს წამოილუღლუღებს):** ცნობა...

**ცხვირაძე:** რა ცნობა?

**ივლიანე:** მე მინდა გავიგო, სად არის ცნობათა მაგიდა და შეიძლება თუ არა, რომ მივიღო წერტილი?

**ცხვირაძე:** წერტილი? ალბათ თქვენ გინდოდათ გეთქვათ ცნობა?

**ივლიანე:** კი, ბატონო, ცნობა, დიახ!

**ცხვირაძე:** ეს ჩემგან შეგიძლიანთ მიიღოთ.

**ივლანე: (გახარებული):** დედაია, საყვარელო! მადლობა ღმერთს, ძლივს! აი, კაცი. მოდი ერთი გაკოცო..

**ცხვირაძე:** მოითმინეთ, მოითმინეთ! ეს გინდოდათ გეთქვათ, მეტი არაფერი?

**ივლიანე:** არა, ბატონო, მე მინდა მივიღო ცნობა.

**ცხვირაძე:** არა, აქედან ცნობის მიღება არ შეიძლება.

**ივლიანე: (ერთობ გაკვირვებული):** რა ბრძანეთ?, თქვენ ხომ ცნობათა მაგიდა ხართ?

**ცხვირაძე:** მაგიდა, მაგრამ არა განყოფილება.

**ივლიანე:** ჩემთვის სულერთია.

**ცხვირაძე:** სრულიადაც არაა სულერთი. თქვენ თუ მოტანილი გაქვთ ცნობა—მომეცით და მივიღებ, მაგრამ, თუ მიღება გინდათ ცნობის, მაშინ მიმართეთ ცნობათა განყოფილებას—წერტილი! მორჩა-გათავდა!

**ივლიანე:** დედაია!.. კიდევ წერტილი, კიდევ მორჩა-გათავდა!... სადა ვარ, ხალხნო, გამაგებიეთ, თვარა ესაა შევიშალე ჭკუიდან! **(მივარდება დარაჯს, რომელიც გამგის კაბინეტის კარების წინ ზის, ძალიან გაჯავრებული ხხაპა-სხუპით):** ჩქარა!... მითხარი.. შენ გეცოდინება, ვინ არის მთელი ამ წერტილების გამგე?

**შეყლაშვილი:** რომელი წერტილების, ბატონო?

**ივლიანე:** აი, ეს... დასწყევლოს ეშმაკმა! წერტილები, მორჩა-გათავდა!..

**შეყლაშვილი:** რა წერტილები, რა მორჩა-გათავდა, თქვენ ხომ არ შეიშალეთ?

**ივლიანე: (ფრიად ნერვებაშლილი):** შევიშალე, დიახ, შევიშალე! არა, ბატონო ჩემო, მე ჩემს მიზანს მაინც მივაღწევ. სად არის უფროსი? **(დაინახავს გამგის კაბინეტის კარებზე წარწერას და ჯიქურ მიდის კაბინეტისაკენ):** აი. აგერ არ ყოფილა გამგე!

**შეყლაშვილი:** მოითმინეთ, აქ შესვლა არ შეიძლება.

**ივლიანე:** რავა, რატომ არ შეიძლება?

**ბეყლაშვილი:** მანდ სხდომაა, არ შეიძლება...

**ივლიანე:** აბა, მოუცდი მაშ.

**შეყლაშვილი:** ტყუილი ცდა იქნება, მოქალაქევ, რადგან ოთხი საათის შემდეგ ვერაფერს ველარ გააკეთებთ. აგერ თანამშრომლები მიდიან კიდეც.

**ივლიანე: (ჯდება):** არა უშავს რა, დოუცდი.

**შეყლაშვილი:** მეცადინეობა გათავდა, ამხანაგო, და კერძო პირის აქ გაჩერება აკრძალულია.

**ივლიანე:** არ წავალ! მომეცი ან ცნობა, ან გამგე. მე აქედან ცოცხალი არ გავალ!

**შეყელაშვილი:** მე ვერაფერ ცნობას ვერ მოგცემ და ვერც გამგესთან შეგიშვებ, რადგან იქ ეხლა სხდომაა.

**ივლიანე (ყვირილით):** არ შემიშვებ!?

**შეყლაშვილი:** ნუ ყვირი, მოქალაქევ! გითხარით არ შეიძლება—წერტილი!.. მორჩა-გათავდა!

**ივლიანე: (სიგიჟემდის მისული, ყვირილით)** რაიო, წერტილიო?! შენც წერტილს მისვამ შე გლახის ჭირო, შე ჯლინკო, შე ჩიკორავ შენა!.. **(ხცემა კისერში და ახეთქებს იატაკზე)** მისთანა წერტილს დაგისვამ, რომ მისდღემჩი ველარ ამოფხიკოს შენმა გვარმა! არა, ამასაც რომ უსწავლია ეს წერტილი, ამ მაიმუნს ამასა!..

**შეყლაშვილი: (ყვირის)** მიშველეთ!. **(კარი გაიღება და გამოცვივიან სხდომიდან).**

**ივლიანე: (თავზე აზის და ჯიჯგნის. ყვირის.)** ვერაფერი წერტილი შენ ველარ გიშველის! მორჩა-გათავდა! ყველას ჯავრს შენზედ ამოვიყრი! **(ივლიანეს მოაშორებენ შეყლაშვილს. ივლიანე დაჯდება იატაკზე).**

კმარა, კმარა!... მშვიდობით ცოლო და შვილო... გედვირიე... შევიშალე!.. სული ამომხადეს ამ ცნობებმა და წერტილებმა მეტი არაღ შემიძლიან, გაგჯა გული! წავალ და თავს დავიხრჩობ! წერტილი!.. მორჩა-გათავდა!

**გოგაა.**

# გოლიათი



**მილიციელი**: (თავისთვის) ამ მოქალაქემ ქუჩაზე გადასვლის წესი დაარღვია, მაგრამ როგორ უნდა შევსწვდე, რომ შევასმინო რამე?

**გოლიათი ზოტი**: (იცინის) იქ დაბლა ვილაც მოსჩანს, რომ არ მეზარებოდეს, დავიხრებოდი და ვკითხავდი, თუ რა უნდოდა?

## გურული სცენა

რეიზა არ დეიქცა ქვეყანა მაშინ, როცა ვინცხამ აი ალებ-მიცემობა და ვაჭრობა მოიგონა პირველად.

რავა, თუ პირველყოფილ ადამიანებს არც ფული ჰქონია და არც ელექტრონი, გემი, პარატოთი, პოეზდი და მატარებელი, მარა მაინც ჩვენზე უფრო მეტს ცხოვრობდენ,—ჩვენ რა ისეთი დიდი კაცები გავხდით, რომ აღარ გვყოფნის საჭმელად და საცხოვრებლად აღარც ხმელეთი, აღარც ზღვაი, ჰაერი,—და რაცხა ია მარცი არისო, იმაზეც გვინდა გადავფრინდეთ!

ჰო-და იმას მოგახსენებდი, რომ აი ვაჭრობა და ალებ-მიცემობა ვინ მეიგონა-მეთქი.

ყორიფელი, ყორიფელი, მარა ამ ბოლშევიკებისას ვეფერს გეიგებს ქრისტიანი კაცი. ხან ასე ატრიალებენ ქვეყანას და ზაკონებს და ხან ისე,—წალმა-უკულმა. ჯერე იყოდა ჰერძო ვაჭრები მოსპეს; მერე ისევ გამოუშვეს და მაშინ წიესია ქვეყანა: აია, ახლა გავკეთდით!... გააჩალეს დუქნები და სავაჭროები...

სხვისი ჯავრი ვის აწუხებს, მარა მეც რომ ქე გავბრიყვდი აი ხანშიშესული კაცი, ავყევი ფეხისხმას და ქი არ წევეფზე ზედ! ამას ვტირი და ვყვირი, თვარა ისე ახია ჩემზე.

ჰო-და, ჩემი ბატონი შენ ხარ, წამოუსვი ხელი ერთად-ერთ მამისეულ ქუხნა სახლს, ჩავაჩანჩალე „დუქნებზე“ და ზეკაკალ კონპერატიას გვერდში ამოვუჯგიმე ჩემი დუქანი. დავფაცურდი ფულის სასესხებლად, (ნუ გეშინია ჩემი ერთი ყურგახვრეტილი კაპიკი არ მქონდა). იქით ვეცი, აქეთ ვეცი,—და რაფერც იქნა სეერმია შევაგროვე—თუმანში თითო მანეთს ვაძლევდი პროცენტს... ჰო-და დევიწერე პირჯვარი,—ოი, იმის მადლი გაუწყლეს ბოლშევიკებს,—წევედი ქუთეის. იქ დიდ კომპერატიაში ჩემი ცოლის ბიძაშვილთან მივედი, ნოქარია შიგ; ავარჩიე რაც კი მომეწონა,—და ჩამოვიტანე სოფელში. მოგეცეს ლხენა—პირველად ზორბად მოვიგე... მარა, მერე მოგჭამა ჭირი.

არ გასულა დიდი ხანი,—და მომადგენ პატენტიზა... მერე კიდომ აქციზიზა... მერე კიდევ ერთდროული გადასახადიზა... და აგერ გუშხამ კიი ოცდაათი თუმანი მომარტყეს ზრუგზე ცხენის დაღივით. ისე ელანძე გამოხვდა და გამოუვიდა წირვა, რომ ერთი გაძლომაც ვერ მოვასწარი.. ჰო-და ასეა ჩემი საქმე. ახლა ჯდომზე ხელდადებული დავტენტერობ და ასე ვიწყევლები:—მისი ოჯახი დააქციოს ღმერთა, ვინცხამ აი ვაჭრობა და ალებ-მიცემობა მოიგონა.

პლურტი.

## ნამდვილი სცენა სენაკის ნიშანსვეტთან

**მიშა** (ვასოს): აბა, დადექი შე ღმერთძაღლო.

**ვასო:** დამაცადე, ვიორემ „დასტაპიტო“-ს ვივესკასავით აგაკრავ ამ ნიშანსვეტზე. (ჩხუბობენ).

**სანდრო** (თიშავს): გაჩუმდით თქვე ვირებო; გეყოფათ თამაში... საცაა მალე გამოვა საბარგო მატარებელი.

**მიშა:** ვაი თუ ვერ ჩამოვხტეთ დანიშნულ ადგილზე!? ცოტა ნასვამიცა ვართ და, თანაც დაღმართი არის იმ დასაქცევში.

**სანდრო:** ო, შე ლაჩარო! რას მიყურებ? ისე დავამუხრუჭო რონოდა, რომ მთელი შემადგენლობა გავაჩერო.

**ვასო:** აბა, შენი ლონის ანაბარა ვართ შენმა მზემ ჰაი! ერთი ამას უყურე და! (უჩვენებს მაჯებს). ერთხელ, როცა საბარგო მატარებლიდან ჩამოხტომა მოვინდომე,—ისე დავამუხრუჭე რონოდა, რომ იმ ღმერთძაღლმა პარავოზმა შუაში გასწყვიტა ჯაჭვი და ნახევარი შემადგენლობა გაიქცა... ჩვენი რონოდა კი იქვე დატია (იცინიან):

**მიშა:** მერე?!

**ვასო:** მერე რა და,—მილიციელს დავუცადე შე ბატისტვინავ!.. მერე რა და,—ჩამოვხტი და ჩემს გზას გაუდექი არხეინად.

**მიშა:** ვიშ! რას არ მოიგონებენ.

**სანდრო:** სულელო, ერთი მოიგონებს და შემდეგ ათიათასი ისწავლის და სარგებლობს. ამ ხელობით ეხლა თითქმის ყველგან სარგებლობენ „ჩვენები“.

**ვასო:** მოდის... მოდის მატარებელი (ემზადებიან).

**სანდრო:** იცოდეთ მუხრუჭიან მატარებელს არ აცდეთ, როცა ცოტათი ნოსირს გავცილდეთ, სამივემ ერთად დავამუხრუჭოთ... თუ მემუხრუჭეებმა შეგვამჩნიონ, ჯანდაბისაკენ გადავუძახოთ... (შემოახტებიან მატარებელს... შემდეგ ისმის ორთქლმავლის კივილი—მატარებელს სვლა უჭირს. მემუხრუჭენი იქით-აქეთ დარბიან. ხულიგნები ჩამოდიან მატარებლიდან... და ხარხარობენ).

**ტარტაროზის ნათლია.**

# მზადება

ბაბილუგის ქუჩაზე (მეორე სამილიციო უბანი). ქურდები ყოველ საღამოს კრებას ახდენენ, როდის უმჯობესი იქნება ბინების გაქურდვა, დღისით თუ ღამით.

(გაზეთებიდან).



**ქურდების თავ—რე:** ამხანაგებო, ვინ არის იმისი მომხრე, რომ ამ ჩვენს უბანში დღისით ხდებოდეს ბინების გაქურდვა და არა ღამით?

**პირველი ქურდი:** დღისით უმჯობესი იქნება, რადგან ღამით უსინათლობის გამო მეტად ბნელა, სრულიად არაფერი არა სჩანს. აგრეთვე ჩვენც გვპირია ღამით დასვენება?!

**მეორე ქურდი:** ამხანაგებო, სულ ერთი არ არის ღამე იქნება თუ დღე? ნუ გეშინია, ერთბაშათ მილიციონერი ან დვორნიკი არ გადაგველობოს წინ!

**მესამე ქურდი:** მაშასადამე, ამხანაგებო, საკითხი ამოწურულია. ყოველთვის თავისუფლად შეგვიძლია ვიმოქმედოთ.

---

„ტარტაროზი"-ს შემდეგ ნომერში

## გამოცხადებული იქნება

## კონკურსი № 4

# ქოლოგანი

რა ვქნა; რომ ენა ამქავდა,
კბილში შემიძვრა მატლია.
ზოგიერთ ვაჟბატონებსა
ჩქიფი რომ მოხვდეს მადლია.
ძველ სამლოცველოს ახადეს
სახურავი და ჭერია;
ლპება სახალხო ქონება,
(მტყუანი დასაჭერია).
მუშკოოპში უნდა შევიდე
ოდელა-დელა-დელაო.
გამგეობიდან ნოქრამდე
ზარმაცობს მგონი ყველაო.
მარილი მოუტანიათ,
შავია ნახშირზედაო,
თუ შეჭამადსა უქენი,—
იყვირებ:—ვაი დედაო.
ქურდ-ბაცაცები ვაფრთხილოთ:
—ნუ გიყვართ ღამე ბნელაო;
თორემ იცოდეთ გამსახლში
ჩაცვივით თქვენ სუყველაო.
ბარემ რაჟდენიც ვახსენოთ,
ნაქები მოჭიდავეა.
ქვრივ ქალსა დახვდა და ტანზე
შემოახია შავია.
აქ დავისვენოთ, ქამანჩა,
შევჭამოთ ლუკმა პურია.
სოფელში გზები ცუდია,
მაზრავ, გვათხოვე ყურია.

ქაჯის თვალი.

# დარიგება

ოდეს კაბინეტს მოიკალათო,—
არ ვათამამდე იცოდე ამ დროს.
მარად გახსოვდეს—ვერ-რა ხრიკებით
ვერ გაუძრები დოლიძე ანდროს.

---

ოდეს პორტფელი ხელში მოიგდო,—
ნუ მიეცემი კადნიერებას,
თორემ გამოგკრავს მუშკორი კვანტსა და
არარად აქცევს შენს ძლიერებას.

---

ოდეს სალაროს შენ ჩაიბარებ,
სადაც სდგას ყუთი ჩერვონციანი,—
მუდამ გახსოვდეს: გამსახლი, ჩეკა
და სალდათები ხიშტებიანი.

---

ოდეს გაძრები მუშკოპის გაძგეთ,
კრედიტს გაგიხსნის ბანკები, ტრესტი,—
ერიდე თლანგვას თუ არ გსურს უცბად
აგაბარგონ და მოგაბან ჟესტი.

---

ოდეს ჩაახრჩო სიმწრით ცხრაწლედი,
შეიქნე „ნეუჩ-დიპლომიანი",—
უნივერსიტეტს არ გაეკარო,
თუ არ გსურს ღარჩე თვალცრემლიანი.

---

როს ვერ იშოვო ქალაქში „მესტო",
ან სხვა რამეში აღარ ივარგო,—
ტყვილაღ წოწიალს ისევ სჯობია
რომ მასწავლებლად გადაიბარგო.

გოჩა.

# ა ნ კ ე ს ზ ე

დილის ათი საათი იყო, როდესაც ნიკო ჩიტირეკიაშვილი შრომის ბირჟაში მივიდა აღრიცხვაზე.

— უკაცრავად, როდის გამაგზავნით სამსახურში?— შეეკითხა ბირჟის თანამშრომელს.

— როცა ადგილი გამოჩნდება.

— შე დალოცვილო! ორი წელია რაც რიგში ვდგევარ და ნუ თუ აქამდის ადგილი არ აღმოჩნდა. ამდენხანს რომ საიქიოს რიგშივმდგარიყავი. სამოთხეში ბუჰალტერის ადგილს მომცემდენ და თქვენ კი შიკრიკის ადგილიც ვერ მოგისერხებიათ.

— რას იზამ, ამხანაგო! ადმინისტრაცია თავის ნაცნობებს ღებულობს სამსახურში და უმუშევართა რიცხვი კი არ კლებულობს.

ნიკომ რეტიანი ბატივით ჩაიქნია თავი და გამოვიდა გარეთ.

ბევრი ფიქრის შემდეგ, გადასწყვიტა რუსთაველის პროსპექტზე გასეირნება იმ მიზნით, რომ ნაცნობებში პურის ფული ეშოვა. პროსპექტზე გასვლისთანავე შემოხვდა დიდი ხნის უნახავი ნაცნობი, რომელმაც დანახვისთანავე ხელი გაუშვირა ნიკოს.

— აჰა! გამარჯობა ნიკო! როგორ გიკითხო?

— რა მიშავს,—ჯერ-ჯერობით კარგად ვარ და შემდეგში კი არ ვიცი.

— კაცო, რა ძვირი სანახავი გახდი, რომ ორი წელია რაც თვალით არ მინახიხარ.

— ხომ იცი გიორგი სამსახურის პატრონი, შუა დღის ოთხ საათამდის ვმუშაობ, შემდეგ კრებებზე ვესწრები და რასაკვირველია, ძვირი სანახავი გავხდებოდი... ეხლა შენ საით მიდიხარ?--შეეკითხა ნიკო თავის ძველ მეგობარს

— პასაჟში საზაფხულო სახალათე უნდა ვიყიდო და თუ დრო გაქვს წავიდეთ ერთად.

— შე კაცო! ჯერ ხომ ადრეა თეთრი ხალათის ყიდვა?

— ზაფხულში ფასები ემატება და ეხლა სჯობია რომ შევიძინო... ჰო, მართლა,—შენ სად მსახურობ?

— შატალნიი ზავოდში.

— კაცო, ამ კომუნისტებმა ისეთი სახელი გამოიგონეს რომ ვერაფერს გაიგებს კაცი. თუ ძმა ხარ ამიხსენი— რას ნიშნავს ეს შატალნი ზავოდი.

— შატალნი ზავოდი არის ზავოდი, სადაც იქსოვება შატლანკა.

— ბიჭოს, კაი სამსახურში ყოფილხარ. შეგიძლიან, რომ ათი მეტრი გამომიტანო.

—რატომ არ შემიძლია, გინდა ას მეტროს გამოგიტან.

— მაშ ამ თავით რამდენი მოგცე ფული?

— ჯერ-ჯერობით ათი მანეთი მეყოფა.

უსიტყვოთ ამოიღო ათი მანეთი და გადასცა ნიკოს.

როდესაც ლაპარაკით დაიღალენ და სიტყვის მასალა შემოელიათ, ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და წავიდნენ თავთავიანთ სახლისკენ.

— კაცო! სად ხარ აქამდის, წახვალ ხოლმე და დაიკარგები. მისვლისთანავე უსაყვედურა ცოლმა.

— სად ვიყავი და ბირჟაში. მერე ფულის საშოვნად წაველი.

— მერე, სამსახურის რა ქენი? არ გაძლევენ ადგილს?

— ჰე შენც ისე ლაპარაკობ, თითქოს ადვილი იყოს სამსახურის შოვნა.

— იჰ. მეხი კი დაგაყარე! აჰანდე! ორთავ ხელებით ქოქოლა მიაყარ თავის ქმარს,—თუ კი სხვები შოულობენ, შენ რა ღმერთი გიწყრება?

— შე ოხერო. ისინი პროტექციით შოულობენ სამსახურს და მე რა ეშმაკებით უნდა ვიშოვო.

— ეშმაკები დავაკალი შენ დედმამის სულს. კაცი ხარ და გააჭყიტე ეგ დასამიწებელი თვალები.

— ეჰ, ქალების ჭკუას, რომ ავყვე კლდეს იქეთ გადავარდები.

— აი, ქარები გაგიდგეს მაგ გვერდში და ველარ მოინელო. შენ რომ უშნო იყო, ვისი ბრალია? რა უნდა ვჭამოთ დღეს, როცა კაპეიკი არა გვაქვს?

ნიკომ ამოაცოცა თავისი ჯიბიდან მეგობრის მოცემული ათი მანეთი და ღიმილით გადახედა ცოლს.

— არა, ჩემო კარგო! შენ არ იფიქრო, თითქოს მძულხარ და იმიტომ გეჩხუბები ასე... რა ეუყოთ ხანდახან ლაპარაკი მოგვივა, მაგრამ ეს არ ავნებს ჩვენს სიყვარულს!—ამ სიტყვებით ცოლი მოეხვია ნიკოს... და ორივე ცოლ-ქმარი სიამოვნებით სრესდენ თითებში ჩერვონეცს.

**ციცინათელა.**

# შვილად აყვანა

თქვენ, ალბად გაგეცინებათ და იტყვით: ნამდვილმა შვილმა რა ხეირი დააყარე მამაშენს, რომ შენ სხვისი აგიყვანია შვილადო, მაგრამ მოგების ინტერესი არ მქონია. ან და რომ მქონოდა, რაღა დამრჩებოდა ყველა იმ დავიდარაბის შემდეგ, რაც გადამხდა... ყური დამიგდეთ.

დეკემბრის რიცხვებია. ქარი და წვიმა, საშინელი ცუდი ამინდია. ყოველ დაწესებულებების კარებთან მაგიდა სდგას, შემსვლელს და გამომსვლელს გულზე ნიშნებს აბნევენ. მფრინავი ვაჟები ყუთით ხელში ქუჩიდან ქუჩაზე სინდიოფალებივით დახტიან მხარ და მხარ კუდშეჭრილ ვარიებივით. მოკლე კაბით ნერწყვ მომდენი ქალიშვილები დასდევენ. გამვლელებს იჭერენ, ნიშნებს აკრავენ შემდეგის წარწერით: **„დაეხმარეთ უპატრონო ბავშვებს“**. ჩემი ხალათი ნაჭრის საბანს დაემსგავსა; მე მაინც ამით არ ვათავებ მათზე დახმარებას. განათლების განყოფილებაში შევდივარ, „შვილად აყვანის პირობების გასაცნობად“. მინდა სამადლო საქმე ვქნა. მაძლევენ შემდეგ ცნობებს:

უნდა წარმოადგინოთ ბავშვის დედმამის განცხადება, შვილად ამყვანის განცხადება, მათი დაქორწინების მოწმობა, მეტრიკული ამონაწერი, ერთი და მეორესი, კეთილ საიმედო მოწმობები და... სხვა — მითხრეს განყოფილებაში.

ვწერთ ორივე მხარე განცხადებებს. გვგზავნიან მილიციაში განცხადების დასამოწმებლად. მილიციის სამმართველოში თანაშემწე უარს მეუბნება: ჩვენ არ გვეხებაო. ვეკითხები მიზეზს, თანაშემწე თავის კომისარს შეშის მომარაგების შესახებ რჩევა - დარიგებას აძლევს. ვეკითხები განმეორებით; არ არის პასუხი. გრძელდება მათი საუბარი. უკანასკნელად ხმას ვუწევ.

მაშ ვის მივმართო მითხარით!

ნოტარიუსს. ძლივს მივიღე პასუხი.

მივდივარ ნოტარიუსთან (სასამართლოში). ჩემს შემდეგ ვიღაც შემოვიდა, კარები ღია დარჩა, ნოტარიუსი აღელდა. — რომ დააღერ თავს მოზვერივით და შემოდიხარ, ვერ ხედავ, ოთახს ვათბობთ?

ჩემს შეკითხვაზე პასუხი არ არის; განმეორებით შეკითხვაზე ძლივს ვღებულობ პასუხს:

ჩვენ არ გვეხება. მიმართეთ ზედა ნოტარიუსს.

იქაც ასეთი სურათია. მოთმინება მეკარგება და ვთხოვ: თუ თქვენ არ გეხებათ, მაშ ვის მივმართო, მიჩვენეთ გზა?

— აი კარები და მიბრძანდით! დარბაისლური კილოთი მიპასუხებს. მეც დარბაისლური ნაბიჯით, მხოლოდ გულში რუსული სისტიქინით, გამოვდივარ გარეთ.

ისევ მილიციაში: მილიცია იურისკონსულტთან მგზავნის, იურისკონსულტი განათლების განყოფილებაში, განყოფილება — ალმასკომში, ალმასკომი — სასამართლოში. შესრულდა სამი დღე; ამ ყოფაში ვარ. ძლივს მეოთხე დღეს მეუბნებიან: მილიცია ვალდებულია დაგიმოწმოს განცხადებაო. კვლავ მილიციაში, კვლავ უარი...

მაგრამ დახე ბედს: ერთი ნაცნობი (მათი თანამშრომელი), მიკეთებს საქმეს. ყოველივე მზად არის, მხოლოდ ჯერი კეთილ საიმედო პიროვნების მოწმობაზე მიდგა.

გაიშალა კვლავ ფრონტი. მილიციის სამმართველო-

დან უბნის მილიციაში, იქიდან აღმასკომში, აღმასკომიდან. იურისკონსულთან, იქიდან ჩემს ადმინისტრაციასთან, ადმინისტრაციიდან პროფკავშირში, პროფკავშირიდან ისევ მილიციაში... გავიდა ორი დღე, მოწმობა მაინც ვერ ავიღე.

ხან ავღელდები, ხან ავტირდები, მაგრამ მათზე ვერავითარმა ცდებმა ვერ გასჭრეს. ჩემდა საბედნიეროდ იქაც ნაცნობი ხელი და ძლივს საქმე მოკვარახჭინდა.

მაღელვებდა: ქუჩებში უპატრონო ბავშვების დახმარების კამპანია ტარდება, — და ასეთ დაწესებულებებში კი არავინ ყურს არ იბერტყავს, ხელისუფლების განკარგულებებს ზერელეთ და ფორმალურად ასრულებენ.

ასე თუ ისე, დროზე თუ გვიან მაინც მივაკვლიე გზას, მაგრამ ვაი მისი ბრალი ვისაც ამ დაწესებულებებში ნაცნობები არ ჰყავს.

როგორც ხედავთ ბიუროკრატიზმი ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა.

ტარტაროზის ნათლული.

# ჩემი მოგზაურობა ბათომისაკენ

გადამეკიდა სათოფეთ ჯარისპანეს ლავროსიე:—მაგი ქალი მე მეძლეოდა და შენ ინტერესი გამიწიეო. ბევრი მიხიტრა, მიკირტიმალა და რომ ვერაფერს გახდა, ეიბარგა ბათომისაკენ. აგერ 4 წელიწადია დაღოღავს ერთი ადგილიდან მეორეში—ხან ციხეში და ხან გარეთ, მარა ვერაფერი დოვლათი ვერ ნახა. ახლა გევიგეთ სისქნოვად დამდგარა ბათომში,—კონტრაბანდას იჭირავსო.

ჰო-და ასეა თუ ისე, ქე ვიყავი მოსვენებულად, რომ ჩემი კნეინა არ გადამრეოდა.

თქვენთან დიდი ბოდიში და,—წასულ სამშაბათის სწორს გადააბიჯა ჩემმა კესარიამ მერვე თვეში. მარა ისე გამეიცვალა ამ ფეხ-მძიმობაში ხასიათი, რომ ჩვილ ბაღანასავით ხან რას ეიჩემებს და ხან რას. გუშლამ წამოუარა რაღამაც და მომდგარა:

— მთელი ქვეყნიერობა მაქვს შემოვლილი: ინტაბუეთი, ერკეთი, ბჟოლიეთი, ოზურგეთი, ხიდისთავი, ზენობანი, ქვენობანი და ბათუმი კი არ მინახავსო".

იმისთანე შეჩვენებული თვალების პატრონია რომ ძალა უნებურად მოგიყვანს ეშხზე. ერთი სული რომ იყოს, კიდევ რაცხას ჭავხდებოდი, მარა ორსულს რაფერ უთხრა უარი.

-თუმცა ნატანების გრანიცაზე მენშევიკების დროიდან ქე ვიყავი შეშინებული ბათუმში მიმავალს ჩხრეკის დროს რომ ატიტვლებდენ, მარა ახლა ყველაფერი თავის კალაპოტშია, აღარც იგი მენშევიკებია და აღარც გრანიცები-მეთქი. მე მხოლოდ იმ შეჩვენებულ ყაზილარის შიში მქონდა არ შემხვდეს სადმე და ცოდვაში ფეხი არ ჩამაგდებინოს მეთქი.

რაღამც არ დაიშალა თავისი, შევსვი მატარებელში, რომ გევიარეთ ორი სადგური, ტარაბუე დეესხა, გული აერია და ფანჯარაზე რომ ვერ მიასწრო, ზე ბარძაყზე გადამასხა. მუარდა რევიზორი და 5 მანეთით დამაჯარიმა.

— კაცო მე დამსვარა და აფერს ეჩივი და შენ რომ პროტოკოლს მიწერავ, რომელ ზაკონის კანონებით ნარჯებლობ-მეთქი.

— გლეხი რომ არ იყო, თუმნით დაგაჯარიმებდიო.

რას იზამ, უნდა მისცე. მეტაკა ქალი:—„იმას იქით უნდა მეეცა ფული ჩვენთვის, მისმა მაშინამ გული ამირიაო". აღარ მომცა საშველი.

ვეუბნები.— ხომ ხედავ რა თქვა რევიზორმა: გლეხები რომ არ ყოფილიყავითო 10 მან. გადიხდიდითო; ხომ ხედავ გლეხებს როგორ თავაზიანად ეპყრობიან მეთქი.

ჩვეიყვანე ბათუმში, მივარონ-მოვარონიე... გამოვბრუნდი შინისაკენ, მთელი ღამის უძინარს ქე მიმყვინთებია ქალის ზურგზე. რაღაცაზე კესარიე შეხვანხვალდა: დადგომია ვიღაცა ყაძახი და უჩივა:

—რაი გაქ კაბას შიგნით?

აგია უნდა ვირაკო. მარა ვიღამაც მომწია და ჩაჩურჩულა:

— არ შეეხო, მაგი ახრანაა.

მთლად დევიკარგე კაცი.—კაცო რომელ სახელმწიფოში ნახეთ ადამიანს დაბადებამდე იჭერდენ მეთქი. რომელ კონტრაბანდაზე ჩივი აფხანაკო? ჭკუაზე ხომ არ შეჭანჯალებულხარ? ვინ მოგცა ჩემი ქალის გაშინჯვის უფლება?!

— არა, ამხანაგო, ჩვენ შეგვაცდინეს; ნადანოსები იყო, , ვითომ ამას მოჰქონდა კონტრაბანდი. მარა თქვენი ცოლი ორსულად ყოფილა თურმე.

ჰო-და ვინცხამ მომიწყო აგი საჯაყი საქმე, ქე ვიცი, —მარა რას გავხდები. ხიდისთავში თუ ენახე, მაშინ მე ვიცი რასაც ვუზამ.

კოსტაიდი,

# ხაშურის რკ. გზ. მუშათა კლუბში

**ხაშური,** 2 აპრილი (ძვ. სტილით „ნასესხები").

„მსოფლიო მშვიდობიანობის თავიდან ასაცილებლათ ჩინეთში უკანასკნელათ მომხდარმა ამბებმა, ხაშურის დრამწრეზეც პოლიტიკურ-მეცნიერული გავლენა იქონია.

აქ არსებული არეულობის მიზეზი, როგორც სარწმუნო თუ ურწმუნო აგენტები გადმოგვცემენ, არის ტარტაროზის „საკონსულოს" საქმიანობა, რომელიც უთუოდ მონაწილეა.

ვინაიდან მსოფლიო მშვიდობიანობა და ჩინეთის მოძრაობა დამოკიდებულია ხაშურის დრამწრეზე, ამიტომ ჩვენი მთავარი ყურადღება მიმართული უნდა იქნეს იქითკენ. „განიარაღების" საკითხი უშედეგოთ დამთავრდა; წევრთა შორის კვლავ არის დალესილი ხმლები. „ჩენები" ერთმანეთს ნოტებით ესაუბრებიან; გარდეროობის უწესრიგობაზე არავინ დაუტუსაღებიათ, თუმცა ელიან. ყველა ამაში მონაწილეობა და ბრალი უდევს ტარტაროზის „კონსულს". ვიღებთ რა მხედველობაში დრამწრის უკურნებელ სენს, პროტესტს ვაცხადებთ და მოვითხოვთ შემდეგს:

ვინაიდან:

დრამატიული წრე და კლუბი შეპყრობილია „გრიპით", ანთება აქვს ორივე მხარეზე, დურგლები შეშხაპუნებას შუადღემდე „უშვებიან, „ახალგაზრდა" კლუბი გაჩერების პროცესშია, ძველს სული ეხუთება,—ამიტომ მოვითხოვთ: **„ფეხები შორს კლუბისაგან"**.

დრამწრეში უკმაყოფილება „კაპეიკები"-ს გამო არ ნელდება და მწვავე ხასიათს იღებს; ამიტომ ყველა წრის წევრს მიეცეს „სპეც-სტავკა".

რეჟისორები ხშირათ ერთმანეთში ვერ რიგდებიან, ამიტომ აშენდეს მათთვის საკუთარი კლუბი.

1. მოსპობილ იქნეს წერა-კითხვის უცოდინარნი.

5. არავინ ხელი არ ახლოს იმ სცენის მოყვარეს, რომელიც ხშირათ თავის ნებაზე როცა უნდა მაშინ „მობრძანდება" რეპეტიციაზე და მაშინაც თამაშის „ხოშზე" არ არის.

6. უკმაყოფილების თავიდან ასაცილებლათ რეჟისორებს დაევალოს არაკის გაუსწორონ.

7. დაარსებულ იქნეს საზოგადოება **„ნაგადპისა"**, რომელიც **„ნაგავში გადაყრილ პიესებს"** განაახლებს და იბრძოლებს მათი აღდგენისა და „შეპაჩინკებისათვის".

8. არავითარ შემთხვევაში საღამო-წარმოდგენა არ იწყებოდეს 12 საათზე ადრე.

9. არავინ დაავალოს „მსახიობს" როლის მომზადება.

10. მოხდეს ლიკვიდაცია იმპერიალისტური ჯარებისა ჩინეთში და „ინტრიგან" ფეხოსნებისა წრეში.

ყველა ამას, ალბათ, გაითვალისწინებს მათი სატარტაროზო უუდიდებულესობა და ყველაფერის თავიდან ასაცილებლათ, გაატარებს ცხოვრებაში.

პატივისცემით—ხან-ქვა ხან-ხე.

ხაშურელი შმაილა.

# განკითხვის დღე




ფაშვში ასვია, როგორც რომ პალო
ბრძოლის ყიჟინით ნატყორცნი ფერი,
მისი სიკვდილი იყო უაბრალო
პირველ მაისის ფერად სიმღერით...

ალმასკომის სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

№ 99 | კვირა, 8 მაისი 1927 წ. | № 99

სპეციალური



თეატრალური

თუ რა გაკეთდა წარსულ სეზონში
იხილავთ ყველა, იხილავთ მალე.

სმენა! იწყება სატარტაროზო
თეატრალური პარადი ალლე!

# თ ე ზ ი ს ე ბ ი
## „დურუჯი"-მანიფესტისათვის

1. იმ დროს, როდესაც ძველი ქართული თეატრი თავში კეტდაკრულივით ეგდო მიწაზე და პირდაღებული შეჰყურებოდა თავზე წამომდგარ ცხოვრებას, დურუჯის აბობოქრებული სტიქიონი ნიაღვარივით შემოიჭრა სცენაზე და შეუბრალებლად წალეკა ყველაფერი, გარდა ნიკო გოცირიძისა.

ნურავის ეწყინება, თუ დურუჯის მღვარდნა იყო ეპოქა ქართულ თეატრის ცხოვრებაში.

მესსია მოვიდა!!!

მესსია დამწვარი, ცეცხლიანი და გახურებული, როგორც მოზვერი გაზაფხულზე.

2. დურუჯს არ ყოლია წინასწარმეტყველი.

ვინ იცოდა, როდესაც სცენაზე „ცხვრის წყარო"-ში აკაკი ვასაძე გულსაკლავად გაიძახოდა თავის ვაი-ვაის, რომ ეს იყო მშობიარეს უკანასკნელი კვნესა, რომ ეს იბადებოდა დურუჯი, დურუჯი გაუტეხავი და კუშტი, როგორც აკაკი ხორავა ერთი ქიქა წყლიან ღვინის გადაკვრის დროს.

მოვიდა დურუჯი და აამწვანა ბელატ კამეჩებისაგან გაბინძურებული და გადარუჯული მინდვრები.

3. პირველი ბრძოლა, რომელიც მოუხდა ახალგაზრდა დურუჯს — ეს იყო სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლა **„არშინ-მალ-ალანთან"**.

ამ ხანას ეკუთვნის პირველი მანიფესტი, რომელმაც შეარყია მთელი დედა-მიწა, რასაც შედეგად მოყვა მიწისძვრის განმეორება იაპონიაში და სხვადასხვა ქვეყნებში.

— შორს კამეჩები საბალახოდან!.. გაკიოდა ეს მანიფესტი და დამფრთხალი კამეჩები კუდ-ამოძუებულნი გაიპარენ საბალახოდან.

გაიმარჯვა შეუდრეკელმა დურუჯმა. ყველა ჩემინალები, კინტოები და არშაკ მინაიჩები მოწიწებით ჩაბარდა იოსებ გრიშაშვილს, რომელმაც ყარაჩოღული პატივისცემით და მადლობით მიიღო ისინი ახალ მონოგრაფისთვის გამოსაყენებლად.

4. ყველა სეზონი გაუთავებელი დღესასწაული იყო დურუჯისათვის.

ფულებს ოხრად იძლეოდენ, საჭირო იყო მხოლოდ მათი დახარჯვა.

რუსთაველის თეატრი გამოცხადებული იქნა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, გარეშე ქვეყანასთან კავშირი კი ხდებოდა კონტრამარკების საშუალებით.

მიწა ზანზარებდა ახალ მანიფესტების გაბჟღუდ სიტყვებიდან, გადმოსროლილებით გალიორკიდან. ვინ არ იცოდა, რომ აქ იყო **ინტერესთა თამაში** ზაქებსა და კამეჩებს შორის.

კამეჩები ქლოშინით დაძრწოდენ ერთი თეატრიდან მეორეში, გამძლარი დურუჯი კი „ლონდის" გავარვარებულ მზის ქვეშ ახალგაზრდული ენერგიით იწოდა სცენაზე, რომ შემდეგ არხეინად მოესვენებია **ფირის ჩრდილში**.

გიგანტიურ ნაბიჯებით მიდიოდა წინ დურუჯი.

დედამიწის ზურგზე ერთი რომის პაპი იყო უცოდველი, და მეორე — დურუჯი.

რეცენზენტები გამოცხადებულნი იყვნენ ხელოვნების მტრებად და თუ ერთი რედაქცია გადარჩა დარბევას, ეს მხოლოდ ღვინის სისუსტის გამო და არა დურუჯის ენერგიის შენელების.

დურუჯი **ლონდა**-სავით მსხვერპლად ეწირებოდა ესტეტიკის მრისხანე კერპებს, რომ შემდეგ ტლინკებ შვერილი გადაშვებულიყო **მალშტრემის** მრისხანე მიმდინარეობაში და **შპიგელმენშის** მისტიურ წყვდიადში ჩაყურყუმალავებულიყო.

და ეს თავგანწირვა ხდებოდა იმ სუსხიან ზამთარში, როდესაც კარგი კაცი ძაღლს არ გააგდებდა კარში, და როდესაც სეზონი იწყებოდა დეკემბერში და სრულდებოდა მარტში.

ნურავინ იტყვის, რომ ეს იყო სეზონის მისამშაბათება. არა, ეს იყო ზეიმი და გამარჯვება!..

5. **დეზერტირკამ** უკიდურეს წერტილამდე აიყვანა დურუჯის აქციები და დურუჯიც. დაუზოგველად ასაღებდა ამ აქციებს.

**ჰამლეტი** მსოფლიო სევდით თვალებში თავგანწირულად ადიოდა და ჩამოდიოდა სამეერსიან კიბეებზე და როდესაც ქვესკნელიდან ამომძვრალ მამის სულს მამაშვილურად ემუსაიფებოდა, გულში იმის ფიქრი ქონდა, მოქმედების გათავების შემდეგ უეცრად დეზერტირკა არ წასულიყო.

ეს არ მომხდარა, მაგრამ კიდეც რომ მომხდარიყო, ეს იქნებოდა დურუჯის და სეზონის უდიდესი მიღწევა, რადგან დურუჯის დევიზია, სანახაობა და სანახაობა... და იმაზე ორიგინალური სანახაობა კი ვის უნახავს როდისმე!...

6. ყველა ჩემანალების გულის გასახეთქად, დურუჯი დღითი-დღე იზრდებოდა.

იზრდებოდა ნაცნობების რიცხვიც. ,

ერთი ასეთი ნაცნობი აღმოჩნდა ამერიკაშიც. ცნობილი **ამერიკელი ძია**.

---

# კინტოს პროტესტი

კინტოს ტიპი არის აღმოსავლეთის ნალექი. კინტო მკვდარი ტიპია და უნდა გაიდევნოს ლიტერატურიდან, თეატრიდან და საერთოდ ხელოვნებიდან.

(ტიციან ტაბიძის წერილიდან).



კინტო: შენ თუ ხარ, მე აღარა ვარ? ასი წლობით, ათადან-ბაბადან, ტფილისში ვცხოვრობ და ეხლა შენ უნდა გამაგდო? ბნელა?

# რუსთაველი მიიპარება არ გაუშვათ!



შოთა რუსთაველი: სად მე, სად „ჩემანალის“ თეატრი? სჯობს, აქედან გავიპარო.

ჩამოვიდა იგი და დურუჯმაც ახალი გზა მონახა თეატრალურ ხელოვნებაში.

ესენცია: ყოველ ხუთი სიტყვის შემდეგ—ჩემანალა, ყოველ ათის შემდეგ — დედის გინება. (შეიძლება უფრო ხშირადაც, გააჩნია პიროვნების კულტურას და განვითარებას).

ამგვარი მიღწევები არ ქონია და არ აქვს არც ერთ თეატრალურ კოლექტივს დედამიწაზე.

დურუჯი ერთად - ერთია მსოფლიოში.

უკანასკნელი ლოზუნგი: გინება სცენაზე და გინება პარტერში სავსებით მიღწეულ იქნა 3 მაისის საღამოს.

მაგრამ დურუჯი მაინც არ არის კმაყოფილი.

იგი მაინც ძიებაშია.

7. ამ მანიფესტით დურუჯი მიმართავს ყველას, ვისაც ძვირფასია კინტოების მიერ უკანა ნაწილის ესთეტიურად იქით-აქეთ ქნევა, მხარში ამოუდგეს დურუჯს და ცხოვრებაში გადაიტანონ ის, რაც მათ თეატრის სცენაზე უნახავთ და მოუსმენიათ.

დურუჯი გაბურებული, და კუშტი მუდამ მედგრად იდგება ამერიკულ ძიის სადარაჯოზე და ღირსეულ დედის - გინებით გაუმასპინძლდება ყველა ქვეყნის ჩემანალებს და კანდიდატებს ამ პოსტზე!..

წლევანდელი სეზონი დამთავრდა და დურუჯი მიდის...

მაგრამ დურუჯი ისევ მოვა შემოდგომაზე და მაშინ აჩვენებს საზოგადოებას, თუ რა შედეგებს მიაღწია მან ზაფხულში აღებულ საზოგადოებრივ ასპარეზზე.

რუსთაველის თეატრი. დურუჯის სამფლობელო.

დედანთან სწორია **სინემატო.**

# გასტროლიური*) მაღაზია




**მეღახოვე:** აპა! პა! პა! პა! ცოცხალი! ცოცხალი! ახალ-ახალი გასტროლიორული ზაკუსკები, სულ იაფი! მუქთაა! აპა!-პა-პა! მხოლოდ ერთი ნახვა ღირს მიგაის—2000 მან., სტეპანოვასი—1000 მან., სმირნოვის—2000 მანეთი! აპა, მოდით დატკბით და მეც დამატკბეთ! აპა, მოდით, მოდით!

---

*) კორექტორის დაუდევრობის გამო სურათის სათაურში გაიპარა შეცდომა: დაბეჭდილია—გასტროლიური. უნდა იყოს:—გასტრონომიული.

**) **კორექტორის შენიშვნა:** ჩემი აზრით, არავითარი შეცდომა არ დამიშვია.

# წერილები თეატრის შესახებ

ჩვენი ჟურნალის წარმომადგენელმა რედაქციის დავალებით მიმართა თეატრის საკითხის მცოდნე პირებს მოეცათ წერილები თეატრალური ხელოვნების შესახებ. ზოგიერთმა შეასრულა ჩვენი თხოვნა. ქვემოთ ვბეჭდავთ მათ საინტერესო წერილებს.

## ს. ამაღლობელი

ინდუსტრიალიზაციის პერიოდში ყოველგვარი ირაციონალური საკითხი კარდინალურად უნდა გადაიჭრას. თუ არ გადაიჭრა, მაშინ გადაჭრილი აღარ იქნება და სუბტროპიკული აზროვნება ემოციონალურ ინდივიდუალიზმში გადაიჩეხება. აი ამიტომ არის, რომ ჩემს შემდეგ ვერც ერთმა თეატრის დირექტორმა ვერ იხეირა და ირაციონალურმა სხივმა შეანათა მისტიციზმის სამყაროში, არავინ იფიქროს რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ „ამერიკელ ძიას" შესახებ ვლაპარაკობდე, ვინაიდან ეს კომედია არის ისეთი სახის ნაწარმოები, რომელსაც ინდივიდიალური შეგრძნობიდან აბსტრაქციით გადავყევართ სუბიექტიურ პირობითი თეატრამდე. სულ სხვაა კინო. იქ საჭიროა, აუცილებლად, ოპერატორი და ადმინისტრატორი. თუ ეს ორი პირობა არ იქნება შესრულებული, ის ისევ დაირღვევა, როგორც ოდესღაც მითიური გორდიესის ხლართი. ამის შიში უნდა ჰქონდეს თეატრს და აქეთკენ უნდა მიდიოდეს ახალი თეატრი კინოსთან ხელიხელ ჩაკიდებული.

## შ. დუდუჩავა

აქედანვე ვაცხადებ—მე ვლაპარაკობ სინთეტიურ თეატრის შესახებ. სინთეტიური თეატრი არის ისეთი თეატრი, რომელსაც ჰქვია ოპერა, მაგრამ ოპერის არტისტები თავისუფლად გამოდგებიან მრავალჟამიერის სამღერლად, და ისიც მაშინ, თუ ბანები არ დაჩრდილავენ. ძველი თეატრი მოკვდა. ახალი კი გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ჩემი ოცნება სინთეტიური თეატრის შესახებ აუცილებლად განხორციელდება. სინთეტიურმა თეატრმა ყველაფერი უნდა გამოიყენოს: რადიო, ხმის გამაძლიერებელი რუპორები და ბევრი რამ, რასაც თანამედროვე ტეხნიკამ მიაღწია. დროა უკვე უარვყოთ დახავსებული შეხედულება. თითქო ოპერაში არტისტი პირდაღებული უნდა მღეროდეს და თვალებს აბრიალებდეს. რატომ არ უნდა გამოვიყენოთ მეცნიერება-ტეხნიკის მიღწევები, რატომ უნდა ჩამოვცილდეთ ცხოვრების სინამდვილეს? ჩვენ რომ წელს ხმის გამადიდებელი რუპორები გვქონოდა, მაშინ ქალაქ რიგიდან საგანგებოთ გამოწერილ ტენორი ვიტინგის ხმას ყველა გაიგონებდა დღობარიდან. აი აქაა ჩვენი დანაშაული. ეს უნდა გამოვასწოროთ გაისისთვის.

პირდაპირ უნდა დავსვათ საკითხი: რა არის თეატრი? თეატრი არის, ჩემი ღრმა რწმენით, კაპრიზნიან ქალი, რომელიც არ ზოგავს ქმარს და ორმოცდაათი მანეთის მაგიერ ასორმოცდაათ მანეთს მიაცემიებს რომელიმე ფინტიფლიუშკაში. აქ არის, ჩემის ღრმა რწმენით, ის ცარიელი ადგილი, რომელიც ყოველთვის უდაბნოთ იქცევა და სადაც ურაგახები დათარეშობენ.

ამიტომ საჭიროა ოპერასა და დრამას შორის მჭიდრო კავშირი გავაბათ. კარგს იზამდა განათლების კომისარიატი, თუ ამ კავშირის გასაბმელად გვირაბს გაიყვანდა ამ ორ თეატრს შორის, რომ არტისტებს და მოქალაქეთ თავისუფლად შეეძლოთ ოპერიდან დრამაში წავიდენ, თუ ოპერა არ მოეწონათ და დრამიდან ოპერაში წავიდენ, თუ იქაც მონოლოგები და დიალოგები სიმღერით იქნა

# ფიქრები
## სეზონის დახურვისას




მ. ქორელი: საკვირველია, რომ აფიშაზე „იმედის დაღუპვა“ სწერია და არა „იმედების დაღუპვა“. ეს უფრო სწორი იქნებოდა. 15 წელიწადზე მეტია „იმედს“ ვღუპავ და აქამდე არავის დაუჯერებია, რომ სამუდამოთ ჩაძირულია.

---

შესრულებული. აი სწორედ აქაა ახალი თეატრის დასაწყისი და ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს განხორციელდება, ვინაიდან უკვე მზათაა ზემო ავჭალის ჰიდროელექტრონული სადგური, ანუ ზაჰესი.

### აკაკი ვასაძე

სიამოვნებით ვასრულებ თქვენს თხოვნას და მიუხედავათ იმისა, რომ ახ, ერთი სიტყვით ვიცლი და ვწერ. ადუღდი გულო, ასჩქეფდი და გადმოანთხიე ყველაფერი, რაც შიგ გაქვს. დიახ, ჰამლეტი სტყუის! ოფელია მონასტერში არ უნდა წავიდეს: ღმერთსა ვსთხოვ ჩვენს თეატრში ერთხელ მაინც შემოუხვევდეს, მოდი ოფელია. ჩვენ გაგბანთ დურუჯის აზვირთებულ ტალღებში! არტისტისთვის მთავარი არის სული, შემდეგ დიქცია და მიმიკა, მერმედ კი კულტურა. წინად ეს აკლდათ არტისტებს, ეხლა კი გვამძიმებს კიდეც. არაფერია, დე დავმძიმდეთ! ძმებო, დავმძიმდეთ.

### გუხნიკაშვილი

უკაცრავად, ძრო არ მაქვს და ამიტომ ვერ ვწერ.

ზანგი.

# ერთი სეზონის ამბავი
## მოკლე მიმოხილვა

მთავარ სახელოვნო კომიტეტის თეატრალურს სექციას ერთ მოცლილ დროს ასეთი აზრი დაებადა:

— საკვირველია, რატომ უნდა იქნეს უქმად მუშათა თეატრი? შენობა არის, სცენა არის და პარტერში სკამები სდგას. საჭიროა მხოლოდ რეჟისორის და არტისტების მოწვევა. მორჩა და გათავდა!

ფიქრი და საქმე ერთი იყო. მეორე დღიდანვე მ. ქორელი სეზონის სამზადისს შეუდგა.

### რეჟისორების თათბირი

მ. ქორელი შემთხვევით ქუჩაში შეხვდა ვახტანგ გარიკს და თეატრში მოსვლა სთხოვა.

ვ. გარიკი შემთხვევით შეხვდა მ. ჭიაურელს და თეატრში მოსვლა სთხოვა.

მ. ჭიაურელმა შემთხვევით ნახა ოჯახში აკვანი, შიგ მწოლარე არსება ამოიყვანა და მუშათა თეატრს მიჰგვარა.

ამის შემდეგ მუშათა თეატრის რეჟისორების კომპლექტი შეივსო და გაიმართა თათბირი.

### დადგმა პირველი

—ჩვენ ვიცით ორი სტიქია: წყალი და ცეცხლი. მეგობრებო, დავიწყოთ პირველი სტიქიით. სჯობს პირველად გული გავიგრილოთ. ცეცხლის წაკიდებას ბოლოსაც მოვასწრებთ. ჩვენ თუ არ წავუკიდებთ, სულ ერთია ჩვენ წაგვიკიდებენ. მე მინდა დავდგა „იმედის დაღუპვა“...

— მე წინაამდეგი ვარ,—სთქვა ვახტანგ გარიკმა. იმედის დაღუპვას სეზონის ბოლოშიც მოვესწრებით. რაღა თავიდანვე ვისპობთ იმედებს, რამოდენიმე თვე მაინც ვიყვეთ იმედიანათ!

მ. ქორელი თავდაპირველად თითქმის დაყაბულდა, მაგრამ ბოლოს მაინც თავისი არჩია:

— აქედანვე სჯობია ხალხი ნელ-ნელა შევაჩვიოთ, რომ ბოლოს უცბათ არ დავცეთ თავზარი.

სეზონი გაიხსნა „იმედის დაღუპვით“.

### დადგმა მეორე

პირველი დადგმის შემდეგ მუშათა თეატრის მოლარემ თავისი ცხოვრების ადათი პირუკულმა შესცვალა. დღისით სახლში ციბრუტივით ტრიალებდა, ერთი წუთით არ ისვენებდა, საღამოთი კი თეატრის სალარო-ში ბალიშს თავით ამოიდებდა და გულდამშვიდებით ეძინა. ესეც ხომ საქმეა, როცა სხვა საქმე არაა?

### დადგმა მესამე

ვ. გარიკს ერთ დილას უჩვეულო სტუმარი ეწვია. სახეზე შიში ემჩნეოდა.

— მე მოლიერის დონ-ჟუანი გახლავარ,—გამოემცნაურა უცნობი რეჟისორ გარიკს,—გავიგე ჩემ შესახებ ტუტუც მოლიერის მიერ დაწერილ პიესას სდგამთ.

ვ. გარიკმა რაღაც უთხრა დონ-ჟუანს, მაგრამ უკანასკნელმა ვერაფერი გაიგო.

ამის შემდეგ დონ-ჟუანი უფრო მეტ სასოწარკვეთილებას მიეცა და ტირილით გაშორდა გარიკს.

იამვე ღამეს მუშათა თეატრში დაიდგა „დონ-ჟუანი“.

მეორე დილით ვერის ხიდთან მტკვარში დამხრჩვალი იპოვეს კაცის გვამი. გვამი დონ-ჟუანი აღმოჩნდა.

### დადგმა მეოთხე

ერთ ღამეს თბილისის მთელი მილიცია ფეხზე იდგა. მილიციის უფროსმა ხმალაძემ ცხენი შეკაზმა. ცხენით შევიდა ავტომობილში და უბრძანა შოფერს „პოლნი ხოდი“ მიეცა.

— ცხენი რაღათ გინდათ ავტომობილში?—გაკვირვებით შეეკითხა თანაშემწე.

— იმიტომ, რომ უფრო ჩქარა გასწევს ავტომობილს. ამით ერთი ცხენის ძალა კიდევ მოემატება!—უპასუხა ხმალაძემ.

თვალის დახამხამებაში ქალაქის მთელი მილიცია ცირკის ქოჩაზე იყო თავმოყრილი. მუშათა თეატრიდან ამ დროს საშინელი ღრიალი მოისმოდა. მილიცია ეკვეთა თეატრს, მაგრამ რამოდენიმე წუთის შემდეგ ისევ გამოვიდა თეატრიდან და გარეთ მყოფ შეშინებულ მოქალაქეთ ამშვიდებდა:

— დაიშალენით, არაფერია! მუშათა თეატრში „ჩინეთი ღრიალებს“! არტისტების გარდა პარტერში მყოფი ხალხიც ღრიალებს. საღრიალებელი საქმე არა აქვთ, თუ?!

## დადგმა მეხუთე

ქრონიკა გაზეთიდან:

— „მუშათა თეატრში მ. ქიაურელმა დასდგა „რაც გინახავს, ველარ ნახავ“. როგორც ირკვევა, რეჟისორი ემუქრებოდა თეატრს და კიდეც ბრწყინვალედ შეასრულა თავისი დამუქრება“.

მეორე ქრონიკა იმავე გაზეთიდან:

— „სეზონი დასრულდა „დაღუპული იმედით“. გემი ღრმადაა ჩაძირული.

მის-მენდ.



კ. მარჯანიშვილი: საშა ჯან, ამ პატარა მდინარეში გასვლა ვერ მომიხერხებია, დიდს ახლოს როგორ მივეკარები?

# ოპერის თეატრის კულისებში

მართალი მოგახსენოთ, ჯიბეში მხოლოდ ერთი აბაზიანი მიქყაოდა (თუ კი აბაზს ჭყავილი შეუძლია), ოპერის თეატრში წასვლის სურვილი კი დიდი მქონდა, მით უმეტეს, რომ ერთერთი ბუმბერაზ-ვარსკვლავთაგანი იყო ჩამოსული საგასტროლოდ.

იღბალზე შევხვდი ერთ კარგ ნაცნობს—ოპერის გუნდის წევრს, რომელმაც საკუთარი პროტექციით შემიყვანა ოპერის თეატრში, კულისებში გამიყვანა და ერთ მიფარებულ კუთხეში დამსვა.

ფარდის ახდამდე კიდევ იყო დარჩენილი რამოდენიმე ხანი და ამიტომ საშუალება მომეცა კულისების საიდუმლოებები გამეცნო. კულისებში ერთი ფუსფუსი იყო: ზოგი ბალერინებს ეთამაშებოდა, ზოგი მომღერალ ქალებს ეკურკურებოდა, ზოგიც ჩაცმასა და გრიმების კეთებაში იყო გართული.

უცებ თავს წამომადგა ერთი წყვილი: მოცეკვავე ქალი, ანუ ბალერინა და გუნდის მომღერალი ვაჟი. ჩემს დანახვაზე ისინი ცოტათი შეკრთენ და უკან დაიხიეს. მე შევეცადე გამოვსულიყავ და ისინიც გამომეყვანა უხერხულ მდგომარეობიდან, და თავაზიანი ღიმილით უთხარი:

— გთხოვთ, ნუ შეკრთებით, მე გახლავართ ძველი მომღერალი, ახლა სხვა პროფესია მაქვს, მაგრამ მომენატრა კულისები და შემოვედი.

— ძლიერ სასიამოვნოა,—მიპასუხა ბალერინამ,—გთხოვთ გვიცნობდეთ, მე გახლავართ მოცეკვავე, ეს—მომღერალი, მართალია, ჯერ-ჯერობით დიდ როლებს არ გვაძლევენ, მაგრამ, იმედია, მომავალში ადმინისტრაციას დაუხლოვდებით და ჩვენც დიდ როლებს მივიღებთ.

— ნუ თუ გგონიათ, რომ ადმინისტრაციასთან დაახლოებაზეა დიდი როლების მიღება დამოკიდებული?

— ჰმ! როგორც გეტყობათ, არ იცნობთ ჩვენს თეატრს.—მიპასუხა მომღერალმა.—ჰაი, ჰაი, რომ ეგრეა, თორემ ამისთანა ბალერინა უბრალო მოცეკვავე უნდა იყოს? ან, ჩემი ხმის პატრონი გუნდში უნდა ვმღეროდე?

— ჯამაგირი რამდენი გაქვთ?

— ჯამაგირი... რამდენიც გნებავთ. მე, როგორც მოცეკვავეს, მაქვს ექვსი თუმანი.

— მე, როგორც მომღერალს,—შვიდი თუმანი.

— დანარჩენ მსახიობებს?

— დანარჩენების რა მოგახსენოთ: ზოგს ათი თუმანი აქვს, ზოგს—ოცი, ზოგს—ხუთასი მანეთი და ზოგს—ათას ორასი.

— ნუ თუ ათას ორასი მანეთი აქვს ვინმეს თვიურად?

— წარმოიდგინეთ, რომ ასეა. ათას ორასი მანეთი ჩვენს პრემიერს—ტენორს აქვს, ამ ჯამაგირისათვის იგი ათჯერ მღერის თვეში, ასე რომ ერთ გამოსვლაზე ას-ოც მანეთს იღებს. სამაგიეროთ ისეთი კრიმანჭული აქვს, რომ თქვენი მოწონებული... სუ-თ... თეატრის გამგე მოდის...—ჩუმად წარმოსთქვა მომღერალმა.

— მერე, კულისებში რა უნდა?

— როგორ, თუ რა?—კეკლუცად წარმოსთქვა ბალერინამ,—თქვენ ალბათ არ იცით მისი გულის ამბავი... ისე უყვარს და ებრალება თანამშრომლები, განსაკუთრებით, ბალერინები, რომ, გული ვერ მოუთმენს, თუ კულისებში არ შემოიარა ყოველ საღამოს სამ-ოთხჯერ.




შ. ᲓᲣᲓᲣᲩᲐᲕᲐ: რას დახრიკინობთ ტყუილ უბრალოთ? განა არ იცით, რომ რაც სახრავი ᲘᲧᲝ, ᲒᲐᲡᲢᲠᲝ-ᲚᲘᲝᲠᲔᲑᲛᲐ ᲬᲐᲘᲚᲔᲡ?

— ბალერინები ვის არ უყვარს, ჩემო ბატონო, გიჟმაჟი ხალხია,—გავეხუმრე მე.

— ზოგიერთს არ უყვარს... მაგალითად, ივ... მაგრამ დავანებოთ სახელებს თავი... იგი უფრო მომღერალ ქალებს სწყალობს... თუმცა ბალერინებსაც ბრ...

— კმარა ჭორიკანობა!—შორიდებით გააფრთხილა მომღერალმა ბალერინა.—ქალების მოყვარულობაზე ნუ წავა საქმე, თორემ, რაც უფრო მაღლა აიწევ (თანამდებობის მიხედვით), მით უფრო მეტ მოყვარულებს შეხვდები... აბა წავიდეთ!—დაამთავრა მან და გაიტაცა ბალერინა.

ორი წუთის შემდეგ დეკორაციის დამდგმელი მუშა მომადგა.

— გამარჯვება ამხანაგო, მე გაზეთის თანამშრომელი ვარ და დასათვალიერებლად შემოვედი.

— ძალიან კარგი, მაგრამ რა დროს თვალიერებაა, ან რა არის აქ დასათვალიერებელი? თუ კარგი ამბების გაგება გინდა, ჩვენს ბუხგალტერიაში შედი და ჯამაგირების ნუსხა მოიკითხე.

— როგორ, ნუსხაში რა ახალი ამბავი უნდა იყოს?

— ის ახალი, რომ ერთი კვირაა ჯამაგირის მიღების ვადა გავიდა და მე მაინც არ მიმიღია. ეს ვიღაც მიგაი კი ყოველ ღამეს ათას მანეთობით იღებს.

— რა ვუყოთ, მაგაი გასტროლიორია დიდი მომღერალია.

— ჰმ! მომღერალი... მომღერალი კი არა წინასწარმეტყველია, მე რომ ეგ ვიყო მკითხაობას დავიწყებ...

— როგორ?

— როგორ და ასე: მაგან თურმე ყოველთვის იცის რომელ დღეს ავად გახდება, ან სურდო როდის შეეყრება, ან გრიპი დაემართება.—გუშინღამ ჩვენი კავშირის თავმჯდომარემ სთხოვა: ერთი კვირის შემდეგ რაბისის დღე და ერთი ყარაჩოღული სიმღერა გვითხარი იმ დღეს,—კონცერტს ვმართავთ. მიგაის თურმე გაუგია, რომ იმ კონცერტში ფულს ვერ მიიღებს და უწინასწარმეტყველებია: „სიამოვნებით დაგეთანხმებოდით, მაგრამ სწორედ იმ დღეს ავად ვიქნები და არ შემიძლიაო“. მართლაც სწორედ „რაბისის“ დღეს გახდა მძიმე ავად გრიპით და მეორე დღეს, ფასიან წარმოდგენის გულისთვის მორჩინა თავი. თუ ძმა ხარ, თუ მუშკორი ხარ ეს ჩამიგდე გაზეთში.

— ხალხი ბევრი დადის ოპერაში?

— ბევრი.

— მაშ დიდი შემოსავალი ექნება?

— შემოსავალმა ჭირი მოგჭამა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ გასტროლების დროს უდიდეს ლუკმა გასტროლიორებს მიაქვს და ჩვეულებრივ წარმოდგენის დროს უბილეთოებით ივსება თეატრი.

— კი მაგრამ უბილეთოებს უშვებენ?

— როგორ არა... ჯერ ერთი რომ მუდმივი ბილეთებია უხვად გაცემული და მერე ხომ იცით: ეს მწერალიაო, უბილეთოდ შემოდის, ეს მწერლის ცოლიაო, ისიც უფასოდ მოდის. ასევე უბილეთოთ მოდის ყოველი მომღერალი, მისი ოჯახობა, მსახიობი, ყოფილი მსახიობი, მისი მეგობარი, მეგობრის ამხანაგი და სხვა. ამას გარდა, ოპერის თანამშრომლებს, მსახიობებს, ბალერინებს, ტეხნიკურ და არა ტეხნიკურ პირებსაც შემოყავთ: ცოლები,

(გაგრძელება იხ. მე-10 გვერდზე)

# ჩ ი ნ ე თ



ვის მიათრევდენ „ბებერი კამეჩები"

# ა ე ხ ლ ა




ტორევენ დურუჯიდან ამორეკილი „ზაქები"

# ოპერის „მიღწევები“

ტფ. სახელმწიფო ოპერის დირექციამ პარიზიდან საგანგებოთ მოიწვია რეჟისორი ეიხენვალდი, რომელმაც დასდგა ორი ოპერა: „მაზეპა“ და „სამსონ და დალილა“. უკანასკნელი ოპერის დადგმა იმითია აღსანიშნავი, რომ სცენაზე 200-მდე ტიტველი ქალი და ვაჟია გამოყვანილი.



მოქალაქე პარტერში: რა საჭირო იყო პარიზიდან რეჟისორის გამოწერა მხოლოდ იმისათვის, რომ ქალები გაეტიტვლებია! განა ამას ჩვენც ვერ შევსძლებდით?!

შვილები, შვილიშვილები, მეზობლები, ნაცნობ-ნათესავები, სახლის პატრონები, სიდედრები, სიმამრები და სხვა ახლობლები. ასე რომ ოპერის მსახიობებს გული არ გაუტყდებათ როცა სცენიდან გადაიხედავენ ხოლმე: თეატრი სავსეა ხალხით.

— რეპერტუარი როგორია?

— რეპერტუარი?

— ჰო, რომელ ოპერებს დგამენ, ან ახალს თუ დგამენ რაიმეს?

— აჰ! არ შეგჭამოს ჭირმა! მაგ მხრივ მოსვენებული ვართ.—სულ იდგმება ხუთიოდე ოპერა, იმავე დადგმებით, იმავე დეკორაციებით და იმავე ძალებით.—ასე რომ მოსვენებულია რეჟისორებიც, მსახიობებიც, დირიჟორებიც და ჩვენც. ახალი ოპერის დადგმას, ხომ იცით რამდენი შრომა უნდება და რადგანაც შრომა ადამიანს ღლის, ეგენიც თავს არ იწუხებენ და ერთ და იმავეს დგამენ.

— კი მაგრამ ახალი დროს შესაფერი თუ არ დაიდგა ძველი და მოცვეთილი ოპერა მუშებს ვერ დააკმაყოფილებს.

— ხი, ხი, ხი! ჩაიხითხითა დემონივით ჩემა მოსაუბრემ. რომელ მუშებზე ლაპარაკობთ? აქ ათი რევოლიუცია რომ მოხდეს, მუშები ამბავსაც ვერ გაიგებენ.

— რატომ?

— როგორ თუ რატომ? როდის ნახეთ თქვენ მუშა ოპერის თეატრში, ან ოპერა მუშათა უბანში? თუ გნებავთ, ახლაც წავიდეთ, თუ ერთ დაზგის მუშას იპოვით თქვენ თეატრის დარბაზში. ამ ულევ შებს მოეიპარსავ. განსაკუთრებით გასტროლების დროს. ერთი რომ მუშები არც იმდენად მდიდრები არიან, რომ ოპერის ბილეთები შეიძინონ (განსაკუთრებით გასტროლების დროს) და მეორეც იმ სიშორიდან აქ ვერ წამოვლენ, ოპერის მოსასმენად. ოპერის თეატრი კი არ კადრულობს და თითონ არ მიდის ნაძალადევში, ან ავლაბარში. ასე რომ მუშები ახალ ოპერებზე პრეტენზიებს არ აცხადებენ, რადგან ძველიც იშვიათად უნახავთ... უკაცრავად, წარმოდგენა იწყება... მითხრა მან და ფარდისაკენ გაიქცა.

ალლარ-ალლარსან.

# ნატა ვაჩნაძის ქალი



# მ ო ნ ო ლ ო გ ი

—ექვსი წელია, ექვსზე მეტიც, რაც ვგოსკინპრომობ;
მე სახკინმრეწვი დავაარსე ჩემის მარჯვენით,—
შევქმენი დასი, რეჟისურა, ვწვალობთ და ვშრომობთ:
(ჩვენს შორის რომ ვსთქვათ, ჭე ცო-ცოტაც ჯიჲიმარჯვე-
ნით!)

რა გვქონდა მაშინ, როს პირველად ავიდგით ფეხი?—
ერთი სამელნე, კალმისტარი, კინო-მაშინა,
ერთიც მაგიდა—გახრეკილი, ფეხ-მონატეხი,
ერთიც... თვითონ მე, მე, რომელიც ვერ შემაშინა
ვერც უფულობამ, ვერც სხვა რამე დაბრკოლებებმა,
და ნარკომპროსთან დავაარსე კინო-სექტორი;
ხელისუფლება თანაგრძნობით შემომეგება—.

გაჩნდა ფულები და... მეც... გავჩნდი.. მე, დირექტორი!.;
დირექტორობა ზოგს ჰგონია აჯაბსანდალი,—
(მე ყურში ვეტყვი მოკრძალებით კინო-პარიშნებს:)
და რამდენ ნაკლზე „ტარტაროზი" ხშირად მანიშნებს:
ვაინაჩრობით გადვიტანეთ პირველი ჯაჯა:
პერესტიანი, ნაზაროვი—და კიდევ ბარსკი,
ამ სახელებთან მე მჭირდება ქერო! ძიუზანა
და მაგონდება მარცხი, მარცხი და კიდევ მარცხი:
ვინ ჩამოსთვალოს სურათები გარდაბაცვალი,
რათ ღირს თუნდ ერთი კოტეს დადგმა „დედინაცვალი?"
„ეშმაკუნების" გაგრძელება, „საურ-საფლავი",
„წარსულის კოშმარს" დავაჭიდებ „ორ მონადირეს",
მიიის ფულები, სახკინმრეწვი ივსება ფლავით,
მაგრამ ამ ფლავით ვინ გამოჰკვებს ჩემს კინო-გმირებს?
გმირებს? სად არის მერე გმირი, როცა მსახიობს
ქუჩაში ეეძებ ქამანდით და მერსედესებით"?—
ახ, რამდენი კინო-ლენტა უნდა დავხიო,
რამდენ დადგმაზე უნდა გავხლო ანაკვენესები?—
დუჟინ რეჟისორს კვლავ დუჟინი სხვა მიემატა,
მსახიობებს კი ვესესხებით მუდამ თეატრებს,—
გვყავს მხოლოდ ერთი „კანიოკი", გვყავს მხოლოდ ნატა,
რომელიც მუდამ მარხილივით ჩვენ ბედს მიათრევს!..
საყვედურები ხშირად ისმის ხალხის მასიდან:

— რა გააკეთა სახკინმრეწვმა, ვინ სდგამს სურათებს?
რა იქნა თანხა, ავანსები ვინ, სად გაზიდა,
ვისა ჰპატრონობს გოგიტიძე—ვინ აპურადებს?
ჩემი პასუხი აქ იქნება უმარტივესი:

აქ, სახკინმრეწვში, დანამზადი მსუყე ნაზუქი,
გაინაწილეს თავის დროზე კინო-სკეცვებმა,
პერესტიანი, კიდევ სხვები ჩვენ გავასუქეთ,
(ამის დანახვა უნდა შესძლონ თვითონ ბეცებმაც).
კინო - მწერლები გაამრავლეთ როგორც მცენარე,
და პანტასავით ვარიგებდით ყველგან ავანსებს,
ვიძენდით დათვებს, ავტომობილს, უშნო სცენარებს,
და რა თქმა უნდა, ყველა ეს კი დახლს არ აავსებს!?
რა უყოთ მერე, მტრის გულისა ხომ არ გავხდებით?,
ვისაც კი ვნახავ, ფულს ვისესხებ, (ნუ დაფეთდება!),
შევადგენთ გეგმებს, კვლავ ამ გეგმებს გადავახტებით
და საქმე მაინც თავის თავად გამოკეთდება...
სურათებს? იმათ გადაღებას მერეც მოვასწრებთ,
თვით ევროპასაც (იქ ვიყავი) ჩვენ წინ გაუსწრებთ,
რადგან ვაპარებ მეც ვისწავლო კინო - დიქცია
(ჩემი სახელი ისტორიას ემახსოვრება),—
სერგოსთან ერთად მარსზე გავყვე ექსპედიციას,
რომ იქ გადვიღოთ პლანეტების ყოფა-ცხოვრება!
ჩვენს ცხოვრებას კი თვალით ვხედავთ და ესეც კმარა
რაღათ დავხარჯოთ დრო იმისი გადასაღებად?
ვრეკთ რეჟისორებს, გვსურს დავიპყროთ ცისა კამარა!
აქ კი, რა ძნელი საქმე არის მიწის ალება!
ასე, ამრიგად, სამუდამოდ, ამიერიდან
ჩემს სამფლობელო მაღალ მწვერვალს ვითვლი ორამდე
და ოზურგეთში დაწყებული კარიერიდან,
მივალ დირექტორ — კინო არტისტ — რეჟისორამდე
მაგრამ კი ვიტყვი გულახდილად, არ საძრახისად;
მძიმე ყოფილა მაინც ქუდი მონომახისა!..

თარსი.

# ი შ პ ი ლ ი



1 მოჭიდავე: ამ „პრიომზე" უნდა წავიქცე?
2 მოჭიდავე: ჯერ ვითომ გამიძალიანდი, შემდეგ კი უეცრად ქვეშ მომექეცი.

# ა რ შ ა კ ა დ ა თ ე ა ტ რ ი

— აჰა, ესეც ტიატრისგნით მიღებული მორალნი ვასპიტანია და განათლება!

ქრისტიანო, სუფ-სარქისის მადლი გამიწყრეს, თუ ტყუილს გებნებოდეთ: მთელი ჩემი სიყმე იმას მოვახმარე, რომ ცოლშვილისათვის რაზვიტია მექნა და მეც ინტლიგეცია ხალხის მარაქაში ჩავვარდნილიყავი! ამის გულისთვის არაფერსა ცზოგავდი: ფული, სტუმრობა, მისვლა-მოსვლა, სახლში პიკნიკ-ჰარიფანები და ნასწავლ ხალხის მოყვანა, რომ იმათგნით ნასწავლური რამეები გაგეეგო, ახალი ვეიანია მოგვსლოდა რაღა, დროებას შაგში მივყოლოდით!

სწორეთ—ქამანაკებიც აქ აირია, ჰაა!

ყისმათმა ისე გასჭრა, რომ ჩვენ სახლში სულ ტიატრის ხალხმა დაიწყო სიარული: ზოგი იძახდა—არტისტი ვარო, ზოგი—რეჟისორის მოადგილის პამოშნიკიო, ზოგი—კაპლიმესტარიო,—რა ვიცი, ათასი ალია და ოსმანა!.. ყველანი ისე ტრიატულათა ლაპარაკობდნენ, რომ ეს ცოლი და გოგო სულ გადამირიეს და ჩემი შუშანაც პრესტავლენიების ხოშზე მაიყვანეს!

კაცი ვბჟრდები და ყეენობისა და ოორდანობის მეტი არაფერი მინახია, ჰამაც ერთი-ორჯერ მე და შუშანა ლოტოში ვყოფილვართ, პაკრიშკა გვითამაშნია,—ტიატრში წასვლა კი გვერიდებოდა რაღა, ჩვენი მაზა და ჰამქარი იქ არავინ გვეგულებოდა!...

ამ განათლებულ ხალხის მარაქაში გარევის სურვილმა კი ყველაფერი დაგვავიწყა და ჰუზურში ამ არტისტების ლაპარაკმა ისე ჰოპოპები აგვიფრინა, რომა ახში ტიატრის მუშტრებათაც არ გავხდით? პუპუზ, ბოლოს კი ეს შუშანა და ჩემი გოგო ვარსიკა ტერტერას ყავარჯენივით სულ ტრიატის კარებზე ეყუდნენ და ყველა პრესტავ-

## „დამსახურება“



**ხანშესული ცირკის არტისტი:** მე ४० წელიწადი ქმუშაობდი ცირკში და დამსახურებულის სახელწოდება არ მიმილია,შენ კი ორი წელიწადი დაყავი ტფილისში და დამსახურებული არტისტიც გახდი.

**ტანტი:** გაგონილი გექნება, ეხლა რადიო ხანაში ვცხოვრობთ.

## კინო—ლენტებში



გამადიდებელ შუშაში დანახული სახკინმრეწვის რეჟისორი.

---

ლენიის პლასტინკები სულ ნაიზუსტათა ჰქონდათ გაზეპირებული: ისე, რომა ჩემი სახლიც კამაც-კამაც ტიატრის ადელენია გახდა რალა,—რასაც იქ გაიგონებდნენ, ყველაფერს კაჭკაჭივით იმეორებდნენ და სახლშიც წარმოდგენებს აკეთებდნენ. ჰამაც იძახდნენ:

— ტიატრი ადამიანის აღმზრდელია. კაცს გონებას უნათებს, ცხოვრების სარკეა, განათლება და დაწინაურებააო, იქ ნათქომი სიტყვა სულში, როგორც ფეჩატი, ისე უნდა ჩაიგდო, რასაც იქ შვრებიან, უსეაენია უნდა უყო, ყველაფერი ცხოვრებაში გაიმეორო, თუ გინდა, რომ განათლებულ ხალხში გამოხვიდე და ჰამაც დროებას არ ჩამორჩეო!

ეა, სწორია, ტოჩი-ტოჩია, გაზეთებშიც სულ ამისთანები სწერია ხოლმე. მეც არაფერს უშლიდი, ნაბაროტ, ვაქეზებდი და ფულსაც ვაძლევდი ხოლმე ბილეთებისთვისა. რაც რომ ახალი პრესტაელენია იყო,მუდამ ვგზავნიდი და მეორე დღეს მეც პაჩტი ყველაფერი ზეპირათ ვიცოდი... გინდა ზეპირათ გითხრა ოტელუას რამეები?—ერთი შავი ჯეჰელი ბიჭია რალა—ოტელუა ჰქვიან, იმის ცოლსაც დეზდემონას ეტყვიან. ამ დეზდემონას თურმე საყვარელი ჰყოლია—იაგორა. ამ ოტელუას გაუგია ერთხელ, რევნოსტობისგნით დამთვრალი მისულა—და მძინარე დეზდემონას ებნება:

— ჰაა, დეზდემონა, შე ლუპუსტაცო, რა უყავი ჩემი ბაღდადი, იმ ქეციან იაგორასათვის მიგიცია? ეხლავე ბებუთს დაგარტყამ ძუძუს თავში, შე ბემურაზო, შენა! ჰამაც ჰკლამს—მააშ!

სლოვომ, ამისთანა რამეები სულ იცოდნენ შუშანამ და ვარსიკამ!

მაგრამ ეს წინათ იყო.

ამ ბოლო დროს კი ჩიჩმაკები აერიათ და სულ სხვანაირათ იქცევიან: ასმა

— ჩვენ ძველი ტრიატი აღარა გვწამს, იქ სულ ბებერი კამეჩები თამაშობდნენო, ეხლა ახალი დროა, ვკუსიც შაიცვალა და ისკანიებიცაო, რაც რომ დურუჯანობა შაძაილეს, მოდნაც ახალი გაჩნდა და ჰამაც ისეთ პრესტავლენიებსა შვრებიან, რომ ყველაფერი იასნიაო.

წინათაო სულ დელიკატნი სიტყვებს ამბობდნენო, ეხლა კი ყველაფერსა ხმარობენო:—ოყნა, კახპა, ბუღა, ჩემანალა, დედის გინება და სხვა ახალმოდნი რამეები,

რაც რომ ცხოვრებაში ნამდვილათ არისო. ჰამაც ქალები და ვაჟები სულ დოგოლა შიშვლები გამოდიანო და, რაც რომ საქნელია, ხალხის წინა შვრებიანო. მერე რა არისო? მეშჩანცკობის დრო წავიდა, განათლებულმა ხალხმა ყველაფერს უბრალოთ უნდა უყუროსო, ჰამაც პრიმერი უნდა აიღოს და ყველაფერს პავტარენია უნდა უყოსო, არა რომ ტრიატი ჰქვის მასწავლებელია, ცხოვრების სარკეა, განათლება და დაწინაურებაო?!

ეხლა პრიმერნათ, „ამერიკელი ძია“ შამაილესო, ძალიან ნაინტერეს რამეა და მთელი ქალაქი ფუტკარივით ეხვევაო. შიგ ყველაფერიაო, ჩვენი ჰამქრის ხალხიც თამაშობს და ჰამაც ჯიგრიანი გინება, ტანცი, სიმღერა, ასტრაუმნი ხუმრობა, ლოგინის ჰუნარები და რამეებიო. ყველანი უკვე იმის ენაზე ლაპარაკობენ, ვინც რომ მეშჩანცკი არ არის, არაფრისაც არა სცხვენიანო. ჰამა, ყველაფერს ის ემჯობინება, რომ შენი თვალითა ნახოო.

— მეთქი კიდევ იქნება?

— იქნება რომელია, მაგის მეტი ალარაფერი პრესტავლენია არ არის, დილა-საღამოს სულ „ამერიკელი ძიააო“, სხვა რამეებმა ტრიატი ზარალში ჩააგდო, „ძიამ“ კი ფულის ხვავი დააყენა, ისეთი ნაინტერეს რამეაო მააშ! ზოგიერთები იძახიან რომაო—ეგ შუაბაზრული მახსარაობაა და მაგისთვის ტრიატის გაფუჭება არ შაიძლებაო! აი, ფჩანეს იმათი თავი! შუაბაზრული რამეები იმათი ჩასაწიხლი გახდაო? ყველა ტავარი ბაზარშია, არა რომ ბაზარშიც არის ცხოვრება და ვკუსიო?

ვებხები:—დედაკაცო, იალქნები ნუ აგიშვია, ჰოპოპები ნუ აგიფრენია! ტრიატის საქმეებზე იმან უნდა ილაპარაკოს, ვისაც შნო და ჰუნარი აქვს, ჰამაც მაგისთანა ნეპრილიჩნი რამეებს ტრიატში რა უნდა? ხალხში არსად წამოგცდეს და სირცხვილი არ მაჭამო მეთქი!...

ბან ჩუნეს? იმან ისევ თავისი ქიანური მომართა და გასათლებაზე დამიწყო ლაპარაკი: ისეთ სიტყვებს იძახის, რომ ყურებში თითი უნდა დაიცოთ, ჰამაც მებნება:

— ჩემი გოგო სუდიაში უნდა შავიყვანო და არტისტობა უნდა ვასწავლოვო, ჩერესჩურ კარგი ტანი აქვსო და ჰუზურში გვასახელებსო!...

ვებნები:

— დედაკაცო, შენ ხატის ღვინო ხომ არ დაგილევია? ჩვენ გოგოს სუდიაში რა უნდა. ან მაგისი ტელასლაჟენია რა შუაშია და ტანით როგორ უნდა გამოვიდეს არტისტი მეთქი?

— თუო, მე გამოყრუებულო, სუდია კი არა, სტუდიას ვამოფ, სტუდია არტისტების სკოლააო, ჰამაც ქალებს ეხლანდელ ტრიატში ბოლში ჩასტი-ტიტლიკანებს ათამაშებენო, და ჩვენ ვარსიკას რო გახდილსა ნახამენ, არა რომ უსპეხიც დიდი ექნებაო?

ამ სპორში რო ვიყავით, ერთიც ვნახოთ, მთელი ბატალიონი სტუმრები არ მოგვივიდნენ? ცოტა ხნის მერე ჩვენი გოგო ვარსიკაც მოვიდა თავისი პადრუგებითა. სულ კუდ-ვარდა ინტლიგენცია ხალხი იყო, მამენტალნათ ტრიატებზე, პრაკიხტორებზე და ცირკზე დაიწყეს ლაპარაკი. ერთი ახმახი ბიჭი იძახის:

— ეს ჩემანალები, ეს გასტრალიორჩიკები რა ჰიშკილის ხალხიაო, ამას წინათ ოპერაში ერთი იზვესტნი ვინმე მაიყვანეს. ბილეთებს ტრაინოვი ფასი დაადეს და, ის კი სიმღერის მაგივრად მამლაყინწასავით ხრიწინებდაო, ჰამა მთელი ტრიატის ქონება მოლას ფლავივით იმას ჩააყარეს და ტრიატის მუშებს კი ჯამაგირს კაპიკობით აძლევენო. ბოლოს ვილაცა ზაგრანიცის პევიცა ქალზე თქო:—იმას ხმა გაპფუჭებიაო და ალბათ მშიერი მოკვდებაო...

იცი ამაზე ჩემმა ქალმა ვარსიკამ რა უპასუხა?

— მაგათი პატრონის დედაც ასე და ისეო (სხვანაირათა თქო რაღა). გასტრალიორჩიკების მოყვანა ტრიატს კი არ აძლევს ხეირს ჰამა, ზოგიერთი ვინმესთვის არის სასიამოვნოო. ჰამაც იმ პევიცას თუ ხმა დაეკარგა, რა უშავსო, მერე კაფეში კახპათ წავა და ლუკმას იშოვნისო!..

ვა, მე ჰელეთ-მელეთი მამივიდა, ის არის უნდა წამოვხტე და ამ მიწაგასახეთქ გოგოს სულ რბილი ადგილები დაულურჯო ცემით—ასეთი უსირცხვილო სიტყვებისათვის, ჰამა შუშანა მებნება:

— ჰაა, არშაკჯან, არაფერი სთქო, ამ ხალხში არ შამარცხვინო, ხამ არ ეგონოთ, ვარსიკა მარტო ტრიატში გაგონილ სიტყვებს იძახისო!

გავჩუმდი...

ახლა მეორე ჯეჰელი ბიჭი იძახის:

— შენ ჰიშკილები ცირკში თქვი: იქ იავნი მოტყუებაა, მოჭიდავეებს განგებ არ აქცევენ, რომ კიდევ ათჯერ მიიყვანონ ხალხი და ფულები აიღონო. ამას წინათ ერთი პარა ჭიდაობდა, ერთი კინალამ წაიქცა და იმან მეორეს გადასძახა:—„ნელა, შე ბემურაზო, დღეს ჩემი წაქცევის ჯერი არ არისო!“ მე კინალამ გადაუხტი და წავაქციეო..

ამაზე კი ჩემი ცოლი ებნება:

— ვაი ქი, რა ბულასავით ყმაწვილი ხარ, შენ ჩერესჩურ ჯიგრიანი ისემე გეცოდინებაო, წაქცევაო რაღა, ჭიდაობის მასტერი იქნებიო!

მე ველარ მოვითმინე და ვებნები:

— შუშან, ნამუსი არა გაქვს? რა სიტყვებს იძახი?.,

იმან მაჩუმებს:

— ნუ ხამოფ, არშაკჯან, არავინ გაგიგოს, უცოდინრათ ჩვგთვლიან, მე ტიატრში ნასწავლი სიტყვები ვამოფ, „ამერიკელი ძიასგნით“ მისწავლიაო...

კიდევ გავჩუმდი...

ახლა მესამე ყმაწვილი იძახის:

— მე ძალიან მაწუხებს პრაქიხტორის ვაპროსიო: ჩვენი გოსკინპრომი ცეკვივითა ჰფანტავს ფულებს, ჰამა რაც გამოუშო, ორიოდეს გარდა, სულ ჩააფლავაო, იმასაც სულ ისეთი ჰიბრეული ნადპისები გაუკეთა, რომ ქართული ასოებით დაწერილი რუსული კაზკებიაო. ისე რომ ხალხს იმათი არაფერი ესმისო, ჰამაც სულ ღრუბლებსა და მთებსა ხატამენ და შიგ სავრემენი რამე არ არისო, კინო-კარტიჰკები რომ ვერ მოახერხეს, ადგნენ და სულ დუკინობით ახალმოდნი კინო-რეჟისორებს უშვებენო. ჰუზურში, ჰევროპიის კარტიჰკებიც ფინთი რამეებიაო...

ამაზე ვარსიკას პადრუგა, პატარა გოგო ებნება:

— ჩემი ნაბლუდენია ისეთია, რომ ჰევროპიას უკვე ბუასილი შაჰყრია და იმას ერთი ჯიგრიანი ოყნა უნდა გაუკეთდესო, ჩემმა მზემ და ჰიშტარის მადლმაო, რომ ჰევროპიელებს მარტო მოგების ხურუში აქვთო! ჩვენი გოსკინპრომი კი ჯერ სწავლობს და, სანამ ყველა პიონერები არ გარეჟისორდებიან, მანამდისინ კარგი კარტინა არ იქნებაო, ჰამაც, როცა კარტინის სადერჟანია ძველდა, ის დასაჰურისებული რამეაო!..

მე აქ კი ველარ მოვითმინე და წამოვხტი, ერთი ყალმაყალი ჩავაგდე, პერეპალოხი ვქენი და ყველას საყვედური უთხარი:—მეთქი ეს არის თქვენი მოდნა და ცოდნა?, თქვე ბემურაზებო, მაგისთანა რამეებს ტრიატში ვინ იტყვის? სულ თქვენი რაზბონიკობით გამოგონილი ფინთი რამეებია მეთქი!...

ვა, იმათ მამცვიდნენ, შამარცხვინეს, პირში მაფურთხეს, ზრიაბრო გამაკეთეს:

— შენ ნამდვილი ძველი მეშჩანი ჰყოფილხარ, ქვეყნისა და განათლებისა არაფერი გცოდნიაო, ტრიატის კარებიც არ გინახიაო, ეს სულ „ციტატიები“ მოგვყავს იმ პრესტავლენიებიდან. რომელიც რომ ჩერესჩურ განთქმულიაო: „შალშტრემიო“, „ამერიკელი ძიაო“, „ძაგმუკიო“ და ათასი ფლფანი და ფსტანიო!... თუ არა გჯერა, წადი აკადემიჩესკი ტრიატში და იქ გაიგეფო.

სწორე გითხრა, შამარცხვინეს! ავდექი და გამოვიქეცი, იმათი „აკადემიჩესკი“ ლაპარაკი ველარ მოვითმინე და წამოველ ტრიატისკენ.

ჩემ ყისმათზე სეზონი უკვე არ გათავებულა?—ჰამა, ეხლა პრაშენია მიმაქვს რეჟისორ შაშა ახმეტელთან, ყველაფრის პავტარენია ქნას და პირძალლი ვიყო, თუ რომ თითო ბილეთში დვაინოვი ფასი არ გადავიხადო! ჰუზურში, მე მინდა სეზონს არ დაუცადო და ეხლავე განათლება მიეილო რაღა,—ეს აკადემია მეც გავათავო! **ფარსადა**

# ანკეტა

„ტარტაროზის" დავალებით ვინახულე ქვემოთ აღნიშნული ავტორები და გამოვკითხე მათი აზრი თეატრალურ ხელოვნების შესახებ. თუ ვინ რა მითხრა, წაიკითხეთ და გაიგებთ.

## ნიკო გოცირიძე



— ჩემი აზრი სეზონის დასრულების შესახებ ასეთია: სეზონი უკვე დაიხურა. მომავალი სეზონი კი შემოდგომიდან უნდა დაიწყოს. თუ რომელ რიცხვში გაიხსნება, ნამდვილად არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ გაის ამა დროს კიდევ ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყება. ნახვამდის გენაცვა, კარგათ იყავი!

## ვახტანგ ხარიკი



— წელს ორი ახალი პიესა დავდგი. ორივე პიესის პრემიერაზე ბლომათ იყო ხალხი. ალბათ შემდეგაც მოვიდოდენ, მაგრამ ავდრებმა შეუშალა ხელი.

## ალ. ახმეტელი



ახმეტელი კარგ გუნებაზე იყო იმ დროს, როცა ჩვენი ჟურნალის წარმომადგენელი შევიდა მის კაბინეტში. პირველად თავაზიანად მიიღო, მაგრამ გაიგო თუ არა, რომ ჟურნალის თანამშრომელი იყო, თოფნაკრავივით წამოვარდა და ღრიალი მორთო:

— რაო, პრესის წარმომადგენელიო? გაიყვანეთ გარეთ. არ მჭირდება თქვენი ჭკუის სწავლება. რასაც მინდა იმას ვიზამ! მორჩა და გათავდა!

როდესაც ჩვენმა წარმომადგენელმა თავდაბლად უამბო, რომ ჭკუის სასწავლებლად კი არა, არამედ იმისათვის მოვიდა, რომ გაიგოს მისი აზრი საერთოდ თეატრისა და კერძოთ გასულ სეზონის შესახებ, ახმეტელი მოლბა.

— თავი და თავი საერთოდ თეატრის საკითხში ის არის, რომ მბრუნავი სცენა უნდა იქნეს. თუ სცენა ტრიალობს, სხვა აღარაფერია საჭირო. მარჯანიშვილი ნელა ატრიალებდა, მე კი არღანივით ვატრიალებ. ასე უფრო ეროვნულია.

— ავტორი?

— ავტორი მიქარვაა. საჭიროა მხოლოდ ინტერმედია. ხალხმა უნდა გაიცინოს, თუ გინდა შემოსავალი გექნეს. წელს „ჩემანალა" აცინებდა დარბაზს, გაისათ პირდაპირ დედის გინებას დავიწყებთ და შემოსავალიც ერთი ორად გაიზრდება. ორი წლის შემდეგ კი გინების კურსებს გავხსნით. ეს ნიშნავს თეატრის დაახლოებას მასებთან.

## მემწვანილე



— „ამერიკელი ძია" გინახავს? კინოში ამერიკანსკი ტრიუკი გინახავს? მაშ რუსთაველის დრამამ „ამერიკელ ძიაში" ჩემი ცხენის ეს ტრიუკი რათ არ შეიტანა? და ვიწყდათ? განა იმათზე ნაკლებია, რაც იქ ვნახე?

## მ. ქორელი



— უზარმაზარი „ტიტანიკა" დაიღუპა და „იმედი" რომ დაღუპულიყო, - რა გასაკვირალია!

— კი, მაგრამ „ტიტანიკი" ოკეანეში იყო, თქვენი „იმედი" კი მუშათა თეატრის სცენაზე, — ვუპასუხე მე!

მ. ქორელმა უკმაყოფილოდ გადმომხედა და შემომიღრინა:

— ადმინისტრაციის ბრალია. სცენის ჭერი იყო შეუკეთებული. ჭერიდან წვიმა ჩამოდიოდა. ჩემ „იმედს" ესეც ეყოფოდა.

## შ. დუდუჩავა



— ხელოვნება და, კერძოთ, თეატრი, ხოლო უფრო კერძოთ — ოპერა, სულს აფაქიზებს და მას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ იყო, რომ პარიზიდან ეიხენვალდი გამოვიწერეთ. საერთოდ ჩვენ სპეცებს ვაფასებთ და ამიტომ ეიხენვალდიც უნდა დავაფასოთ. ეიხენვალდი კი დიდი სპეცია სცენაზე შიშველ ქალების გამოყვანაში. საერთოდ წელს ჩვენ ერთობ გაშიშვლებული ხელოვნება გვქონდა.

## ი. გედევანიშვილი



ჩემს შეკითხვაზე, თუ რა აზრისაა თეატრის შესახებ, გედევანიშვილმა კედლიდან გიტარა ჩამოხსნა და ბოშური რომანის კილოთი დამღერა:

— ვას სოფელო რა შიგონ ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირს, მე რომ ვიყავ ოპერაში, ის მას აქით ბღავის, სტირსა.

## კ. მარჯანიშვილი



— რუსთაველის თეატრი დინარე დურუჯში ჩავახრჩვე. ეხლა სახკინმრეწვში ვარ და, მადლობა ღმერთს, შორს წასვლა აღარ დამჭირდება. მტკვარი აქვე ჩამორბის. ერთ რჩევას კი მივცემ. ქალაქის აღმასკომს: წყალზე მაშველი საზოგადოება აუცილებლად უნდა გააძლიეროს.

## ევლახოვი



— მაქვს პატივი გამოგიცხადოთ, — თავაზიანად მომმართა ევლახოვმა, — არც ვხნავ, არც ვთესავ, სამკალი არ გამომელევა გახლავართ სპეცი, თუ რისი, ეს ჩემს საიდუმლოებას შეადგენს.

კომბალა,

# მომავლის თეატრი




ალმასკომის სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

# ტარტაროზი

№ 100 | კვირა, 15 მაისი 1927 წ. | № 100




სიცილ-ხარხარით განვლო მან საუკუნური ასი;
მეგობრებს ახარებდა, მტრებს ასვა სიმწრის თასი.

დღეს ზეიმი აქვს დიდ ტახტზე ამაყად მჯდომელს,—
ორგულთა ხეთქავს გულზე და ატკბობს ყველა მშრო-
მელს.



გამარჯვებულ კლასს, რომელმაც გმირულად გადაიტანა ნგრევის ხანა და მას შემდეგ შეუჩერებელ აღმშენებლობითი მუშაობას აწარმოებს, ესაჭიროება ჯანსაღი სიცილი.

რომელ ქვეყანას, რომელ კლასს აქვს კიდევ უფლება და საშუალება იცინოს მთელი გულით ისე, როგორც ჩვენ? არავის და არც ერთს. მაგრამ ჩვენი სიცილი არაა მხოლოდ სიცილი სიცილისათვის. მას აქვს აზრი და მიზანი.

როდესაც ჩვენ ვწერთ მუშების და გლეხების მეგობართა შესახებ, ჩვენ მხოლოდ ვამხელთ მათი მუშაობის ნაკლს. და ამას იმიტომ ვშვებით, რომ აღვნიშნოთ მათი შეცდომები და მომავალში ასეთი აღარ გაიმეორონ. ამ შემთხვევაში ჩვენ არა ვართ ბოროტი, ჩვენი ისარი გესლიანი არაა.

მაგრამ დაუნდობელი ვართ და ჩვენი ისარიც შხამით სავსეა მაშინ, როცა ვამხელთ პროლეტარიატის მტრებს. ჩვენთვის სულ ერთია ვინ იქნება ის—შინაური თუ გარეული. ჩვენ ვიცინით ამ შემთხვევაშიც და ამ სიცილს ორი შედეგი მოაქვს—მტერს ის ხვდება როგორც ლახვარი, მოყვარეს კი გულს უქარვებს და ამხიარულებს.

ვინ იცინოდა მაშინ, როცა პროლეტარიატი ხელ-ფეხ შებორკილი იყო? იცინოდა ის კლასი, რომელიც დავამხეთ ჩვენს ქვეყანაში. მისი სიცილი ემსახურებოდა იმ საქმეს, რომელიც ჩვენთვის იყო მხოლოდ ცრემლი.

რაოდენი განსხვავებაა ჩვენი მტრების სიცილსა და ჩვენი სიცილის შორის! ის იყო და არის სიცილი ნაძალადევი, რომელშიაც მკაფიოთ ისმოდა და ისმის გაბოროტება, გრძნობა თავის აღსასრულის.

ჩვენი სიცილია—სიცილი გამარჯვებული კლასის, ლაღი და ჯან-ღონით სავსე.

სიცილი ისეთივე ძლიერი საშუალებაა გამარჯვებულ პროლეტარიატის ხელში, როგორც სხვა მრავალი იარაღი, რომელიც ხელს უწყობს ჩვენს აყვავებას. რამდენად ჯანსაღია ცხოვრება, იმდენად უფრო ძლიერია სიცილი.

დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ „ტარტაროზი"-ს მე-100 ნომრის გამოსვლას. შეძლებისდაგვარად ჩვენ ვემსახურებოდით და ვანხორციელებდით იმ მიზანს, რომელიც დასახული აქვს ამ ჟურნალს.

ალბად ჩვენ გვაქვს ნაკლი, მაგრამ შეგვიძლია ერთი რამით ვიამაყოთ: „ტარტაროზმა" მტკიცე საძირკველი ჩაუყარა საქართველოს მშრომელი ხალხის ცოცხალ იუმორს. ძველი, იუმორის საქმეში დახელოვნებული ძალები, რომელთაც დღეს აღარ ეცინებათ, ჩვენ არა გვყავს—სამაგიეროთ ჩვენ თავი მოუყარეთ ახალ ცოცხალ ძალას. ამ ძალების გაძლიერება—ესაა ჩვენი უახლოესი მიზანი და ამით შევძლებთ ჩვენი ნაკლის ამოვსებასაც.

„ტარტაროზი" უნდა იხედებოდეს საქართველოს მილიონიან მშრომელთა თვალით და ხედავდეს ყველაფერს, რაც გარშემო ხდება. ამას უფრო უნაკლოთ შევძლებთ იმ შემთხვევაში, როცა მეტი ახალი ძალა შემოიკრიბება ჟურნალის გარშემო.

ვესალმებით ჩვენს ძვირფას მკითხველებს. ვუსურვებთ მას კვლავინდებურად დაუღალავად იმუშაოს საბჭოთა საქართველოს აყვავებისათვის.

ჯანსაღი ცხოვრების პირობები უფრო გააძლიერებენ ჩვენს სიცილსაც.

გამარჯვებულ პროლეტარიატს აქვს სიცილის უფლება!

„ტარტაროზი"-ს რედაქცია.

# „ტარტაროზი"-ს ფრონტი

**„ტარტაროზი"-ს საომარი** ფრონტი მეტად ვრცელია. ეს ყველამ კარგად უწყის. საინტერესოა რეზიუმე გაუკეთოთ ამ ფრონტს, კონკრეტიულ ფორმებში ჩამოვაყალიბოთ იგი. „ტარტაროზს" ბევრი მტერი ყავს, მაგრამ თვით „ტარტაროზი" არის ბევრის მტერი და ამ მტრებს ებრძვის ყოველგვარ იარაღით. მართალია, სხვები მხოლოდ ემზადებიან ქიმიურ ომისთვის, მაგრამ „ტარტაროზი" ახლავე ხმარობს ამ ქიმიურ საშუალებას და სწორეთ ქიმიის ნიადაგზე აწარმოებს ბრძოლას. ეს ქიმიური საშუალება არის... მელანი.



გიორგი ყურშლიშვილი
ჟურ. „ტარტაროზი"-ს რედაქტორი

**მე მოვიყვანდი** აქ „ტარტაროზი"-ს ლაშქრის რიცხვს მაგრამ ერთი რომ ჩვენი ლაშქარი იმდენად უამრავია, რომ მისი დათვლა არ შეიძლება და მეორეც, როგორც ცნობილია, სტრატეგიული მოსაზრებითაც არ არის სასურველი ლაშქრის რიცხვის გამომჟღავნება.

**ვის ებრძვის „ტარტაროზი"?**




ი. ხინველი
(ტარტაროზი, ისელი, ქინქარი, ზმუკი)
ჟურ. „ტარტაროზი"-ს პას.-მგ. მდივანი

## გამფლანგველი

**ყველაზე უფრო** „ტარტაროზი" ებრძვის გამფლანგველს. თქვენ რომ თვალდა თვალ უყუროთ „ტარტაროზი"-ს და გამფლანგველის ჭიდილს. დარწმუნდებით, რომ ეს არის გადამწყვეტი ბრძოლა და აქ არავითარ იშკილს და აფიორას არა აქვს ადგილი, როგორც ეს ხდება დაუმსახურებელ ტანტების ცირკში. ეს ბრძოლა დიდი ხანია გრძელდება და არა-ერთი და ორი ასეული გამფლანგველი დაეცა სამარცხვინოთ. მართალია: კიდევ არიან დარჩენილი თითო-ოროლა ჩემპიონები, მაგრამ ისინიც მალე სამარცხვინოთ იბრუნებენ პირს გამსახლისაკენ.

## ბიუროკრატი

**შემდეგი ობიექტი** გახლავთ ბიუროკრატი, რომელიც არც თუ ისეთი სუსტი მოპირდაპირე გამოდგა. იგი ნამდვილი იშკილისტია და კაცს რომ გონია, ეს არის დაეამარცხე და გავანადგურეო, სწორედ მაშინ წამოყოფს თავს და სარმას გაკრავს. „ტარტაროზი"-ს და ბიუროკრატის ჭიდილიც კარგახანია დაიწყო და, როგორც თითონ ამ-



ს. ჯაფარიძე
ჟურ. „ტარტაროზი"-ს რედაქტორის მოადგილე

ბობს ჩვენი ჩემპიონი, ეს ბრძოლა კიდევ დიდ ხანს გაგრძელდება. ეს ჭიდილი მით უფრო ძნელია, რომ ამ შემთხვევაში ბიუროკრატს. ეხმარება

## პროტექცია

**ქ-ნ პროტექციასთან** ბრძოლა მეტად ძნელი გახდა, რას იზამთ: ნამდვილი დაჭიდება არ შეიძლება ქალბატონ პროტექციასთან, რადგანაც იგი გვევლინება მდედრობითი სქესის სახით და როგორც იცით, მდედრობით სქესთან ბრძოლა არ შეიძლება მიუხედავად ამისა, „ტარტაროზმა" „ზარე ორჯერ" კინწის კვრით გამოაგდო ჩვენი საბჭოთა დაწესებულებებიდან, მაგრამ ცბიერი პროტექცია, იმავე პროტექციის საშულებით ისევ შეძვრა დაწესებულებებში.

## საქმის გამაჭიანურებელი

**როგორც კი** ბიუროკრატის დაძლევაზე მიდგება საქმე, მყის გამოდის ასპარეზზე საქმის გამაჭიანურებელი (რომელიც არბიტრის როლს თამაშობს) და დამაჯერებელი ხმით აცხადებს:

# ჩვენი სალარო




თუ როდისმე გაგიწყრათ
ბედი — მაცხოვარი,
და მიმართე კანტორას
ფულის ხარ მათხოვარი —

ასე დაგემართება:
უეცრად დაგემალება
და ღია სალაროდან
თავი მოგესალმება.

— ბატონებო, ჩემპიონები დაიღალნენ, ცადაც გავიდა, ჯობს შემდეგისთვის გადავდოთ ჭიდაობა.

მართალია, საზოგადოება ღელავს და მოითხოვს ჭიდაობის გაგრძელებას, მაგრამ საქმის გამაჭიანურებელს მაინც თავისი გაყავს და ჭიდილიც ჭიანურდება.

## უთაო უგეგმაძე

**შემდეგი მტერია** უთაო უგეგმაძე, რომელიც ჩვენს დაწესებულებებში ზის და იქიდან ბომბებს ესვრის ჩვენს ფალავანს. უგეგმაძე დილიდან საღამომდე ქაღალდებს უზის და ათასგვარ სახარჯავებს იგონებს, „ტარტაროზი“-ს სალაროდან უამრავი ფული გააქვს და მართლაც რომ უგეგმოთ ფანტავს. „ტარტაროზმა“ მას მრავალჯერ აუწია ყური და მართლაც უგეგმაძე ცოტათი მოჰქვიანდა, თუმცა საბოლოოთ მოჰქვიანდება ჯერ კიდევ შორს არის.

## ამწევაძე

**ბულ იქნება** რამოდენიმე თვეა რაც „ტარტაროზმა“ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ფასების აწევას. სააშისოდ მან გამართა კამპანია და შეუდგა ამ კამპანიის ჩატარებას. მართლაც, თითქოს რამოდენიმეთ შესაძლებელი გახდა ფასების დაწევა, მაგრამ არც ისე, როგორც ზოგიერთებს ეგონა. საქმე იმაშია, რომ კოოპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიებში მრავლად სხედან ფასების ამწევაძეები, რომლებიც ხელს უშლიან ფასების შემცირებას. იყო ისეთი კურიოზული შემთხვევებიც, როცა „ტარტაროზი“ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, მაგალითად: „ტარტაროზმა“ დაბეჭდვინა უშველებელი ფურცლები წარწერით: „ფასები მნიშვნელოვნად დაკლებულია“. ეს ფურცლები გააკრა კოოპერატივებში და როდესაც, ერთ დღეს მუშკოოპში შევიდა ჩითის საყიდლად, მას ათშაურიანი ჩითში ორმოცდა ცხრა კაპიკი გადაახდევინეს. მიუხედავათ ამისა, ფურცლები „დიდმნიშვნელოვანი დაკლებით“ მაინც იქნა დატოვებული მაღაზიებში.

## მაჭარი

**მაჭარს, — ქვრძოლ** ვაჭარს „ტარტაროზმა“ მართლაც სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა და პირდაპირ თავზედი აწყევლინა. ამ ბოლო დროს ისევ „ნალოგები“ დააწვა ვაჭარს ზურგზე, რომ იგი ძლივსლა სუნთქავს მიუხედავად ამისა, იგი მაინც სუნთქავს, თუმცა ბრძოლის უნარი მაინც შერჩა.

## კულაკი

**კულაკთან ბრძოლამ** საქმე გაუჭირვა ჩვენს ფალავანს: კულაკი, როგორც იცით, მეტად „ხიტრი“ ვინმეა და გაჭირვების დროს ბუჩქებში იმალება. საბჭოთა არჩევნებზე კულაკი სასტიკად დამხარცხდა.

**ახლა** კულაკი ისევ კულაკობს სოფლად და ბრძოლის დროს ზოგიერთ თემაღმასკომის თავმჯდომარესაც აშველებს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მისი მარცხიც აუცილებელია.

## ბურჟუაზია

— **ვოტ იშკილისტ!** — წამოიძახა ერთხელ „ტარტაროზმა, როცა იგი ჭიდაობიდან რედაქციაში დაბრუნდა.

— რაშია საქმე? — ვკითხე მე.

— რაშია და ამ ჩემბერლენმა საქმე გააჭირვა. ის, ის იყო ხარმა გაუკეთე და შანხაიდან პირდაპირ ავსტრალიაში უნდა მოედინა ბრაგვანი, რომ ამ დროს ის სახე ძაღლმა ჩან-კაი-ში გამოტყვრა და კუდში მტაცა ხელი. (იშკილ!)

— თქვენისთანა მეომარისთვის იშკილები არაფერია — დავამშვიდე მე.

— რასაკვირველია არაფერია, მაგრამ ამ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში საქმე გაჭიანურდა, ნამდვილი ბიუროკრატიზმი გამოდის.

— მერე ახლა რას აპირებთ?

— რას და... ბრძოლას! ამ მოკლე ხანში დავიწყებ გადამწყვეტ შეჯახებას და მაშინ ნახე მისი სეირი. — მიპასუხა ჩემპიონმა.

**ადლარ-ადლარხამ**

# „ტარტაროზი"-ს ობობას ქსელი



გადავხლართე მე ამგვარი ქსელები
ზედაც მსხვერპლით, უხვით და მრავალით,
ვით ობობა რჯულს გავაცლი ამ მუშებს,
ამას ითხოვს ჩემიდან მომავალი.
ჩემს ფართო ქსელს ვერ აცდა ვეღარავინ.
ჩემბერლენი, ბრიანიც შიგ გაბმულა,
მუსოლინი, პილსუდსკი და სხვაც ბევრი
ცოცხალმკვდრები როგორ სულ განაბულან.

# ტარტაროზის მაძიებელი

## სცენა „ტარტაროზის“ რედაქ. ციაში

სცენა წარმოადგენს „მუშა“-ს და „ტარტაროზის“ რედაქციას — ერთ ოთახს. ერთი მეორეზე მიყოლებით ექვსი მაგიდა; ერთ მაგიდასთან ზის „მუშა“-ს მდივანი, მეორესთან— „ტარტაროზი“-ს ხელმძღვანელი, მე-



ი. ტოროტაძე
(კოლონა)
ჟურნ. „ტარტაროზი“-ს თანამშრომელი).

სამესთან—მხატვარი შმერლინგი, მეოთხესთან— „მუშათა ცხოვრების“ გამგე,—მეექვსესთან თავმოყრილი არიან მუშკორები. ხმამაღლა ლაპარაკობენ. მაგიდაზე აუარებელი ქაღალდები ჰყრია უწესრიგოთ; ოთახში კუთხიდან კუთხეში მიდი-მოდის მხატვარი დონი და ადგილს ეძებს სამუშაოთ. ოთახში მძიმე ჰაერია. გაისმის ტელეფონის ზარი. მდივანი იღებს ტელეფონის მილს.

**მდივანი:** აა? ვინ გნებავთ? ტარტაროზი? აქ არის აქ.. ამხანაგებო!



კ. ამირალოვი
(ვინმე)
(ჟურნ. „ტარტაროზ“-ის თანამშრომელი).

(მიმართავს მუშკორებს) ცოტა სიწყნარე, თორემ ასე მუშაობა შეუძლებელია. აღარც ტელეფონში ისმის რამე, აღარც წაკითხულის გაგება, შეიძლება, ისე გამომილაყა თავი ამდენმა ხმაურობამ.

**1-ლი მუშკორი:** (აღელვებული) არც ჩვენ შეგვიძლია, ამხანაგო ერასტო ასეთ პირობებში მუშაობა. კაცო ჩვენს სერიოზულ წერილებს ხომ აღარ ბეჭდავთ და აღარა; „ტარტაროზში“ მაინც დაგვითმეთ რამოდენიმე გვერდი.

**მდივანი:** დამშვიდდით ამხანაგებო. ახლა ამის შესახებ ლაპარაკის დრო არ არის, ხომ ხედავთ რამოდენი სამუშაო გვაქვს. მაგ საკითხს სარედაქციო კოლეგიის სხდომაზე დავსვამ და როგორმე მოვაგვარებთ...

**1-ლი მუშკორი:** ეე, ჩემო ძმაო, ვითომ ჯერაც არ დაგისვამთ, აი! მერე



ს. ფაშალიშვილი
(ფარსადან, თარსი)
ჟურნ. „ტარტაროზი“-ს თანამშრომელი.

რა გამოვიდა? არაფერი. ე კაცი (მიუთითებს „ტარტაროზი“-ს ხელმძღვანელზე) იძახის თუ—თქვენი იუმორი არ ვარგა, მახვილი სატირა არის საჭიროო; თუ ასეა, გვასწავლეთ თქვე დალოცვილებო და მერე თუ ვერ დავსწეროთ რიგიანი, პირში ჩაგვაფურთხეთ.

**„ტარტაროზი„-ს ხელმძღვანელი:** არც ასეა საქმე, როგორც ლაპარაკობთ; მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ „ტარტაროზში“ მოთავსებულ მასალების უმეტესი ნაწილი სწორედ მუშებს ეკუთვნის; მაგრამ ეს ოჯახაშენებულები ნამეტან ბევრს სწერენ, იმდენათ ბევრს, რომ „ტარტაროზში“

კი არა, ჯოჯოხეთშიც არ ჩაეტევა.

**მე-2-რე მუშკორი:** ისე აშენდა შენი ოჯახი. უფსკერო გოდორში როგორ ჩასტევ ხოლმე?

**„მუშა“-ს მდივანი:** ახლა გვაცალეთ, ამხანაგებო, და პატიოსან სიტ-



გრ. ბუაჩიძე
(სინემატო, სინ-ტო)
ჟურნ. „ტარტაროზი“-ს თანამშრომელი).

ყვას გაძლევთ, რომ ამ საკითხს ისე მოვაგვარებთ, როგორც თქვენ გესიამოვნებათ. გვაცალეთ თქვენი ჭირიმე მუშაობა. (შემოდის ასოთ-ამწყობი).

**ასოთ-ამწყობი:** (მივარდება მდივანთან) მასალები, კაცო, მასალები! ორი საათია მანქანები გაჩერებულია.

**„მუშას“ მდივანი:** ამხანაგებო! ხომ გესმით, მასალბეს გთხოვენ.

**მე-II მუშკორი:** ა, კაცო, მასალებს თუ გთხოვენ, მასალების მეტი რა გაქ,



შ. გომართელი
(გორისელი)
ჟურნ. „ტარტაროზი“-ს თანამშრომელი).

ჯიბე და უბე სულ მასალებით არ გაქ გამოტენილი? აიღე და მიეცი.

**მდივანი:** მაგ მასალებს კიდევ ბევრი მუშაობა უნდა, თქვენ კი ამის საშუალებას არ გვაძლევთ. ისაკი! (მიმართავს „ტარტაროზის" ხელმძღვა-



პ. ლორია
(პ. ოგოლი, გლიკვი)
ჟურნ. „ტარტაროზი"-ს თანამშრომელი.

ნელს)—კაცო რამდენჯერ გითხარი, ეს შენი მაგიდა აქედან მომაშორე-მეთქი, შენ კი ყურსაც არ იბერტყავ. თაფლი მაცხია თუ რაა. შე კაცო. რომ-ალარ მშორდები!?

**„ტარტაროზის" ხელმძღვანელი:** წავიდოდი, მარა იმ ოხერ ოთახში ისე ცივა, თითქო საყინულე იყოსო.

(შემოდის ქართულად თავმორთული დედაკაცი, შუახნის, ცოტა შეჩერდება, ოთახში მყოფებს სათითაოდ დაათვალიერებს და მხატვარ შმერლინგისაკენ გაექანება).

**თავმორთული დედაკაცი:** (შმერლიგს)—ტარტაროზი თქვენა ხართ, არა?

**შმერლინგი:** (მიმართავს „მუშა"-ს მდივანს) ჩტო ონა ხოჩეტ ერასტ?

**მდივანი:** რა გნებავთ, დედი, ვის ეძებთ?

**დედაკაცი:** აი, დედა ღვთისა გაუწყრეს, აი ამის თავს და ტანს, როგორც მაგან გამიმწარა სიბერის დღენი.

**მდივანი:** ვინ დედი, ვინ გაგიმწარა?

**დედაკაცი:** აი, ამ დასამიწებელმა (შმერლინგზე უთითებს), ყველიერის ბერიკას რომ მიუგავს თავი.

**მდივანი:** რა დაგიშავა დედი მაგ კაცმა?

**შმერლინგი:** (ცოტა შეშფოთებით), ჩტო ონა ხოჩეტ. ერასტ?

**მდივანი:** რაშია საქმე, გამაგებინე მოქალაქევ?

**დედაკაცი:** ჯერ ეს მითხარით, თქვენში სტარში რომელია?

**მდივანი:** რედაქტორი გნებავთ?

**დედაკაცი:** მე რა ვიცი, რედაქტორია თუ დილექტორი! მე ტარტაროზი მინდა, რომელმაც დამღუპა და დამაქცია.

**მდივანი:** ტარტაროზს აქ ვერ ნახავთ; არის ტარტაროზის ხელმძღვანელი (მიუთითებს) მიბრძანდით და მოელაპარაკეთ.

**ტარტაროზის ხელმძღვანელი:** ბრძანეთ დედი. რა გნებავთ?



ნ. შენგელია
(ყაინელი ბზიკი)
ჟურნ. „ტარტაროზ"-ის თანამშრომელი.

**დედაკაცი:** (თავიდან ფეხებამდე ათვალიერებს ტარტაროზის ხელმძღვანელს)—აი მენი კი დავაყარე მაგასაც და მაგის ხელმძღვანელობასაც. ჯერ სახეზე ბუსუსიც არ ამოსვლია და მაგის ხელმძღვანელობა რა იქნება! აკი გითხარით, მე სტარში მინდა-მეთქი! მაგას როგორ ვეტყვი ჩემს საიდუმლოებას. (შმერლინგს ხელში მისჩერებია). ეს არის სწორედ, ეს, ვერ ხედავთ, როგორ ხატავს! ჩემი ანირჩაც მაგის დახატული იქნება მაგას რაღა ლაპარაკი უნდა. ეი, ბებერო. რომელ უსტავის ძალით დახატე შენ ჩემი ერთად-ერთი ქალი, და „ტარტაროზში" ჩააგდე?

**შმერლინგი:** ჩტო ონა ხოჩეტ ერასტ?

**მდივანი:** დედი, თავი გაანებე მაგ კაცს. ეს არაფერ შუაში არის; მაგ მხატვარია და მეტი არაფერი. თუ მოლაპარაკება გნებავთ, ხომ გითხარით, აი, იმ ახალგაზრდას მოელაპარაკეთ-მეთქი.

**დედაკაცი:** ვერ მოგართვით ბადრიჯანი! მე მაგისთანა ბალნებთან მო-



ლადო მაჭავარიანი
(ოდილმადი)
ჟურ. „ტარტაროზი"-ს რედაქციის თანამშრომელი).

სალაპარაკებელი არაფერი მაქვს. მე ზაკონ და სამართალს მივაგნებ. ჩალით ხომ არ არის დახურული ქვეყანა, ხომ ჩემს აზიზად გამოზრდილ ქალს ასეთ აბიდას აყენებს და ქვეყნის ყბაში აგდებთ. (სტირის) ახლავე წავალ ფილიპესთან, მიხასთან. მა-



კ. თავბერიძე.
(კოსტაიდი)
ჟურ. „ტარტაროზი"-ს თანამშრომელი).



ალ. მაღულარია
(ალღარ-ალღარსან, ტერსიტი)
ჟურნ. „ტარტაროზი"-ს თანამშრომელი).

## ტარტაროზის გმირი



ლევარსი როხოძხაძე
(ნამდვილი სურათი)

მიასთან და იგინი მოგთხოვენ პასუხს. (გადის).

მდივანი: მადლობა ღმერთს, წავიდა! ისაკი, გაიტანე შენი მაგიდა აქედან, თორემ რომ მოვიქნევ, მგონი, ვერის ხიდს გადავაცილო!

ასოთ-ამწყობი: მასალები მომეცი, კაცო, მასალები! ამდენი სტაიანკა იქნება? ხომ დაიქცა ჩვენი წარმოება!

მდივანი: აი დააქციოს ჩემმა გამჩენმა ისაკის ოჯახი! მასალა როგორ მოგცე, როცა მუშაობის საშუალებას არ მაძლევენ?! (შემოდის ორი ახალგაზრდა ქალი).

**1-ლი ქალიშვილი:** (მიმართავს „მუშას" მდივანს): სკაჟიტე.. პოჟალუისტა, გდე ია მოგუ ვიდეთ. ტოვარიშჩა ტარტაროზ?

**მდივანი:** ტარტაროზს აქ ვერ ნახავთ, აქ არის ტარტაროზის ხელმძღვანელი (მიუთითებს ხელმძღვანელზე).

**ტარტაროზის ხელმძღვანელი:** რა გნებავთ?

**1-ლი ქალი:** ქართულად შეიძლება?

**ტარტაროზის ხელმძღვანელი:** რა საკვირველია!

**1-ლი ქალი:** ია ხოტელა სვამი პოგოვორიტ ოტნოსიტელნო მოიხ სტიხოვ.

**ტარტაროზის ხელმძღვანელი:** ბრძანეთ.

**1-ლი ქალი:** ტო ესთ, ია ხოტელა უზნათ. პოიდუტ ლი მოი სტიხი ვვაშ ჟურნალ?

**ტარტაროზის ხელმძღვანელი:** ეს ლექსის თვისებაზეა, მის აქტუალობაზეა დამოკიდებული. ვნახოთ, აქა გაქვთ?

**1-ლი ქალი:** და. ნო ნეუდობნო ვპრისუტსტვიი პოსტორონნიხ ლიუდეი ოგლაშათ ინტიმნოე პროიზვედენიე.

**ტარტაროზის ხლემძღვანელი:** დასტოვეთ და მე წავიკითხავ მარტოდმარტო, თავისუფალ დროს.

**1-ლი ქალი:** არა, მე მინდა პასუხი ახლავე გავიგო. გნებავთ მე წავიკითხავ.

**ტარტაროზის ხელმძღვანელი:** წაიკითხეთ.

**1-ლი ქალი** (გახსნის რედიკიულს, ამოიღებს დაწერილ ქაღალდს). ეტო ოდნო სტიხოტვორენიე, ტაკ სკაზათ, ვ სოვრემიონომ სტილე. ამას გარდა კიდევ ბევრი მაქვს დაწერილი. კითხულობს მორცხვად, ხმა-დაბლათ):

მოღალატეს (იზმენნიკუ), ასე ითქმის ხომ ქართულად?
შენ გაზაფხულის ბულბული ხარ,—
(ტო ესტ, სოლოვეი)
მე კი მაისის (მაისკაია) ვარდი.
როცა გნახე, მსწრაფად შე-მი-ყვარდი.
მე მეგონა (ზნაჩიტ, დუმალა) შენც გიყვარდი,
შენ კი თურმე სხვას უყვარდი.
(ნუ, კონეჩნო, ონ ნე ვინოვატ, ნო ვსე ჟე, ნადო ეგო, ტაოს!)
როგორ ფიქრობ ჩემო მწველო,
გინდ სიცოცხლე (ზდეს ოჩენ ინტერესნო) გამომწველო.
მე ვერ დაგივიწყებ,
არც ტირილს დავიწყებ.
ჩერეზ კურუ... უ-მ-რ-უ...

**ტარტაროზის ხელმძღვანელი:** (იღიმება) სულ ეს არის?

**მე-2რე ქალი:** ვ ეტომ სტიხოტვორენიი და ნო დუშევნოე სოსტოიანიე ჟენშჩინი, კოტორაია ისპიტივაეტ,



შვ. გოგიჩაშვილი
ჟურნ. „ტარტაროზი"-ს შიკრიკი

## მეგობრული შარჟი



## ფარსადანი

ტაკ სკაზათ, სტრადანიე ოტ იზმენი...

**1-ლი ქალი:** ნე ნასტოაიაშჩეი იზმენი, ა ვოტ, ტაკ სკაზათ...

**ტარტაროზის ხელმძღვანელი:** რა თქმა უნდა, ძლიერ კარგია...

**1-ლი ქალი:** ტი სლიშიშ, ნინა?

**ტარტაროზის ხელმძღვანელი:** მაგრამ, ნამეტანი ტრაღიკული მომენტებით არის აღსავსე.., და...

**1-ლი ქალი:** სოვერშენნო ვერნო, ია ეტო პონიმაიუ.

**ტარტაროზის ხელმძღვანელი:** ამიტომ ჩვენს ჟურნალში ის ვერ დაიბეჭდება. მოგვაწოდეთ სხვა რამ იუმორისტული.

**1-ლი ქალი:** ოტლიჩნო! ია პროსტო ხოტელა უზნათ, ვაშე ავტორიტეტნოე მნენიე ოტნოსიტელნო მოიხ პისატელსკიხ სპოსობნოსტეი. (გმადლობთ, მშვიდობით! (ხელსართმევს ტარტაროზის ხელმძღვანელს... (შემოდის შუა ხნის კაცი, სახლის პატრონი; გაჩერდება შუა ადგილას).

**სახლის პატრონი:** ვინ არის აქ ტარტაროზი?

**ტარტაროზის ხელმძღვანელი:** რა გნებავთ?

**სახლის პატრონი:** (ხმა მაღლა) ისა რომ, შენ ხარ ჩემი ბატონი, მდგმურებმა-ამიკლეს, დაუჟინიათ რაღაც დეკრეტი და რაც იქ სწერია, იმაზე

მეტს არ მაძლევენ სახლის ქირას. ახლა თქვენ უნდა მიშველოთ რამე. დახატეთ ჩემი მდგუმერები „ტარტაროზში" ისე, რომ ისინი ყოველ დღე



ო. შმერლინგი (შლინგი)
ჟურ. „ტარტაროზი"-ს მხატვარი

ქეიფობენ, სვამენ, სჭამენ, მე კი სახლის პატრონს შიმშილით კუჭი მიხმება: დახატეთ ჩემი კუჭიც, გამხმარი კუჭი, ფიქრი ნუ გაქვთ. მეტადრე კარგათ დამიხატეთ ერთი მდგმური, ჩემი ამშენებელი—კომუნისტი, პასუხისმგებელი; რომელიც ყოველ დღე ავტომობილით დაბრძანდება სამსახურში, რომელმაც ექვსი ცოლი გამოიცვალა, სახლის ქირას კი კაპიკსაც არ იხდის და ასე მეუბნება—სადაც გინდა, იქ იჩივლეო. აი, მეც ვჩივი თქვენთან. მისი სახელია—ალმასხან, გვარი,—ქიტაუტაძე.

**ტარტაროზის ხელმძღვანელი**: დაგვიტოვეთ მასალები და გადავცემთ რედაქციას.

**სახლის პატრონი**: (ჯიბიდან იღებს და მაგიდაზე ალაგებს ფოტოგრაფიულ სურათებს. რაღაცას ჩუმად ელაპარაკება ტარტაროზის ხელმძღვანელს. ხელს ართმევს და გადის).

**ასოთ-ამწყობი** („მუშას" მდივანს): მასალები, ამხანაგო, მასალები! მუშები უსაქმოდ დგანან და სტაიანკას სწერენ.

**მე-2 მუშკორი** (მიმართავს მდივანს) ა, კაცო მასალები, მიეცი რამე. ასასივით რომ დაგდგომია თავზე ორი საათის განმავლობაში! (შემოდის ალმასხან ქიტაუტაძე).

**ალმასხანი**: გამარჯობათ ამხანაგებო, ტარტაროზის ნახვა მინდა, ხომ შეიძლება?

**ტარტაროზის ხელმძღვანელი**: რა გნებავთ, ამხანაგო?

**ალმასხანი**: მე გახლავართ ალმასხან ქიტაუტაძე, სტარი კომუნისტ, ნიკოლაევსკის ვრემენ! ეჰ, რამდენი ვიბრძოლე, ხან აქ, ხან აზერბეიჯანში, ხან თურქესტანში, რუსეთში, უკრაინაში. ახლა აქ გადმომიყვანეს და კომუნხოზში ვმუშაობ, ვებრძვი ბიუროკრატიზმს, სკლოკნიჩესტვოს, მექრთამეობას, სლოვოჰ, ყოველგვარ ბოროტებას, რომელიც ხელს უშლის სოციალისტურ მშენებლობას; მაგრამ რა გამოვიდა, ვინ მაგდებს რამეთ! სხვას რომ თავი დავანებოთ, სახლის პატრონმა ისე გამიჭირვა საქმე, რომ ლამის არის მოთმინება დავკარგო. კაცი, ატვეტსტვენი თანამდებობაზე ვმსახურობ, დღეში სულ რომ ცოტა ვსთქვა, ხუთი—ექვსი მოხსენების დაწერა მიწევს, ბარე ოთხ—ხუთ კრებაზე უნდა გამოვიდე დღეში. ცხადია, ამას უნდა მომზადება. მომზადებას კიდევ მყუდრო, მშვიდობიანი ცხოვრება. ხომ ასეა, ამხანაგო? მერე რაფერ გინდა, როცა სახლის პატრონი არ მასვენებს, წარა-მარა მეჩხუბება, მელრისჭილება, ხან უბორნაიას მიკეტავს, ხან პადიეზდს, ია ეტოგო სუკინსინა ვ ტარტაროზი ხაჩუ პომესტით! იქნებ ჭკუა ისწავლოს...

**ტარტაროზის ხელმძღვანელი**: რა



მარიამ
ჟურ. „ტარტაროზი"-ს მხატვარი

გვარია თქვენი სახლის პატრონი?

**ალმასხანი**: კუპატაძე.

**ტარტაროზის ხელმძღვანელი**: აქ იყო ამ წუთს. თქვენზე საჩივარი შემოიტანა, სახლის ქირას არ იხდისო, წესრიგს არღვევსო. თქვენი სურათიც მოიტანა და ითხოვა „ტარტაროზში" ჩავგდეო.

**ალმასხანი**: (აღშფოთებული), ვოტ მაშენიკ, სუკინსინ! ია ემუ ზადამ... (დაავლებს ქუდს ხელს და გარბის). (შემოდის ალიო ხამარდაძე).

**ხამარდაძე**: ტარტაროზის ნახვა როდის, ან სად შეიძლება?

**ტარტაროზის ხელმძღვანელი**: არსად და არასდროს.

**ხამარდაძე**: ვითომ და რატომაო.

**ტარტაროზის ხელმძღვანელი**: იმიტომ, რომ აქ არ არის.

**ხამარდაძე**: თუ არ არის, მაშ როგორ ლა გამოდის მისი ჟურნალი, ან როგორლა სჭრის საქვეყნოთ თავს ჩემისთანა პატიოსან ადამიანებს?

**ტარტაროზის ხელმძღვანელი**: მაინც რა გნებავთ? რატომ ხართ უკმაყოფილო?

**ხამარდაძე**: ის მიბრძანეთ, ოა დავაშავე, რომ თქვენს ჟურნალში გამომჭიმეთ ბიუროკრატებთან ერთად?

**ტარტაროზის ხელმძღვანელი**: რამდენათაც მახსოვს, ჩვენ ჟურნალში არც თქვენი სახელი ყოფილა მოთავსებული და არც თქვენი სურათი.

**ხამარდაძე**: აბა, ეს ვინ ეშმაკია, აქ რომ გამოგისახავთ, (უჩვენებს ტარტაროზის საგანგებო ნომერს).

**ტარტაროზის ხელმძღვანელი**: ყოველ შემთხვევაში თქვენ ეს არ უნდა იყოთ.

**ხამარდაძე**: ტოჩი-ტოჩათ, რასაკვირველია, მე არ მგავს ეს ბიუროკრატი, მაგრამ ქვეყანა ლაპარაკობს, სამსახურშიც ლაპარაკობენ და მეც დარწმუნებული ვარ, რომ ამის დამხატავს მე ვყავდი მიზანში ამოღებული.

**ტარტაროზის ხელმძღვანელი**: ტყუილად გგონიათ ასე. ჩვენ თქვენ ვერც კი გიცნობთ.

**ხამარდაძე**: თქვენ ვერ მიცნობთ, მაგრამ აი, ის ბებერი (მიუთითებს შმერლინგზე) ხატაველ კატასავით რომ დაუჭყეტია თვალები, ძალიან კარგად მიცნობს, სწორედ იმის დახატულია ეს სურათი.

**შმერლინგი**: ჩტო ვი გოვორიტე, ტივარიშჩ?

**ხამარდაძე**: ვი მენია ზნაეტე?

**შმრელინგი**: ი ზნათ ნე ხოჩუ!

**ხამარდაძე**: ეე, რა უნდა ველაპარაკო თქვენისთანა უსაქმურებს. სჯობია ჩქარა წავიდე აქედან, თორემ როგორც ვატყობ, ხელად გადაიღებენ ჩემს ნამდვილ კარტიჩკას. (მიდის. შემოდის ლეო ესვანჯია. მიმართავს ტარტაროზის ხელმძღვანელს).

**ესვანჯია**: ამხანაგო, ერთი ლექსი მოვიტანე და უნდა დამიბეჭდო „ტარტაროზში".



დ. ნაცვლიშვილი (დონი)
ჟურ. „ტარტაროზი"-ს მხატვარი

ტარტაროზის ხელმძღვანელი: დატოვეთ და ვნახოთ.

ესვანჯია: აქ სანახავი კია და თუ ნახვა გინდა, ახლავე ნახე (აძლევს დახეული ქაღალდს. შემოდის სევასტი კორკოტაძე).

კორკოტაძე: რედაქტორი აქანაა?

ტარტაროზის ხელმძღვანელი: არ გახლავთ, რა გნებავთ?

კორკოტაძე: რაცხა სამასხარო წერილი მაქ დასაბეჭდი და მოლაპარაკება მინდოდა ლედაქტორთან.

ტარტაროზის ხელმძღვანელი: დასტოვეთ, ამხანაგო და ვნახავთ.

კორკოტაძე: ამას ნახვა არ უნდა, კაი რომ არის ქე ვიცი, მაგრამ გევიგე რაცხა ფარას იძლევიანო და მიტომ ჩამოვედი აქანე ჩოხატაურიდან.

ტარტაროზის ხელმძღვანელი: ახლა არაფრის თქმა არ შემიძლიან, დატოვეთ და ვნახავთ.

კორკოტაძე: რეიზა არ შეგიძლიათ ამხანაგო, დამუნჯდი თუ რაფერ არის შენი საქმე?

ასოთ-ამწყობი: (ახლა „ტარტაროზის“-ს ხელმძღვანელს მიმართავს), კაცო, მასალა მინდა, მასალა. ხვალ-ზეგ მეასე ნომერი უნდა გამოვიდეს ხომ?

ტარტაროზის ხელმძღვანელი: დიახ, უნდა გამოვიდეს. ისიც ოცდა თორმეტი გვერდი.

ასოთ-ამწყობი: მამის სული წამიწყდეს, თუ ერთი სტრიქონი აგიწყო. კაცო, გამოსვლის წინ დღით რომ მომაყრი ყველაფერს, არ იცი, რომ ვერ მოვასწრობთ? ახლა კი სტაიანკა სტაიანკაზე მიდის და იწერება საათები. აშენდა კაიტანჯიანის ოჯახი და ის არის.

ესვანჯია: და კორკოტაძე: (ერთად). ამხანაგო. რაფერ იქნება ჩვენი საქმე?

„ტარტაროზის“ ხელმძღვანელი: დაუცადეთ მე-100 ნომრის გამოსვლას და გაიგებთ.

შემოდის....

(დასასრული „ტარტაროზის მე-1000 ნომერში).

კოლონა.

# ჩვენი კანტორის გამგე

## მეგობრული შარჟი




# ნომერი 100

ასი. ასმა.
ასით. ასზე.
მე ვნატრობ და
ვამბობ ასე:
—აწ გვენახოს „ტარტაროზი“
კვლავ ნომერი
მეათასე!
მტერს—
არ მოსწონს მისი სიტყვა
და
ბრაზდება ზოგჯერ მეტათ?
—ეს მოვლენაც გამოდგება
„ტარტაროზი“-ს
ბარომეტრათ!
ცრემლში ნალეს
ნაღვლეს ანთხევს
„ტარტაროზი“
ბევრის თავზე?
დამერწმუნეთ:—ესეცაა
„ტარტაროზის“
სილამაზე!
ეს მიბრძანეთ:
—რათ ვიყიდი
ასეთ გაზეთს
ან და ჟურნალს—
რომელიც მტერს—არ გაგმირავს,
მოყვარეს კი
—არ განკურნავს?
„ტარტაროზი“ უყვართ
მუშებს,
„ტარტაროზი“—
მოსწონთ გლეხებს,
და სხვა ვინმე თუ გვიწყრება—
დაე, გასწყრეს—
ამ ჩვენს ფეხებს!
ასი. ასმა.
ასით. ასზე
მე ვნატრობ და
ვამბობ ასე:
—აწ გვენახოს „ტარტაროზი“
კვლავ ნომერი
მეათასე!

უჩარდია.

# „ტარტაროზი“-ს № 100 გამო



პ. მ. საყვარელიძე

ჟურ. „ტარტაროზი“-ს დამაარსებელი და პირველი რედაქტორი

„ტარტაროზი“-ს მეასე ნომერი გამოდის.

მე მინდა მხოლოთ მისი პირველი ნომერის გამოსვლის შესახებ ვთქვა ცოტა რამ.

აღარ მახსოვს ხეირიანათ, მგონი 1924 წ.ის დამდეგს იყო, „მუშა“-ს რედაქციის რამოდენიმე თანამშრომელს დაებადა აზრათ იუმორისტული ჟურნალის გამოცემა. მაგრამ ამ განზრახვას თავიდანვე ღრღნიდა ეჭვისა და უიმედობის ჭია.

— იყო, ადამიანიო, „ნიანგი“, ღვარა მან „ნიანგის ცრემლები“ და ამ ტირილში ამოხდა სული; მისი სიკვდილი, არც არავის გაუგია და არც არავის მოუსაკლისებია, ამბობდენ ზოგიერთები.

— როგორ, ერთხელ რომ ადამიანმა ფეხი წაიბორძიკოს, მის შემდეგ სიარულს თავი უნდა დაანებოს, თუ როგორ ფიქრობთ?—ეუბნებოდენ სხვები.

ბჭობა და ლაპარაკი დიდი იყო, მაგრამ საქმეს თავი არ ებმებოდა. აქ საჯიობს პირდაპირ და დაუმალავათ ვთქვა ის, რაც მოხდა ამის შემდეგ.

მე, ჩემდა თავათ ასე ვიფიქრე:

თუ ეხლა ამ საკითხის შესახებ დიდ ხანს გაგრძელდა კამათი და ლაპარაკი, რაც დრო გავა, მით უფრო გაძნელდება ამ საქმის განხორციელება მეთქი. აღარავისათვის მიკითხავს, ვიცოდი საყვედური შემხვდებოდა, მაგრამ ამას აღარ დავერიდე.

ასე და ამგვარათ „საკითხის გადაწყვეტა“ მაინც არ იძლეოდა ამ საქმის განხორციელების საშუალებას. თავი და თავი ამ საქმეში ჩვენი კანტორის გამგის „გარდაუვალი“ სიტყვა და აზრი იყო.

გამოველაპარაკე. მოიშინჯე, ასე ვთქვათ, ნიადაგი თურმე არც ისე მწუთხე უარის გუნებაზე იყო.

— ვსინჯოთ, ვნახოთ, სთქვა.

კეთილი და პატიოსანი!

შეუდეგით სახელის გამოგონებას. სახელიც იმან შეგვაწია.

— სტუდენტობის დროს ჩვენ უშვებდით ხელთნაწერ იუმორისტულ ჟურნალს მას სახელათ „ტარტაროზი“ ერქვაო დაგვაწია მან ბანი..

კაცი სახელით არ იცნობა და ჟურნალს სახელი დიდ ბარაქას ვერ შემატებს, მაგრამ სახელსაც აქვს ერთგვარი მნიშვნელობა.

ეს სახელი სხვებმაც მოიწონეს და ამ სახელით კიდევაც გამოუშვით პირველი ნომერი.

მაშინ განზრახული გვქონდა ორ კვირაში თითო ნომრის გამოშვება.

ბევრი ვიდავიდარაბეთ, მაგრამ პირველი ნომერი ვერაფერი შვილი გამოგვივიდა. შემდეგ თანამშრომლები და ხელის შემწყობი ჟურნალს ბევრი გაუჩნდა, მაგრამ, რაც მართალია-მართალია „ტარტაროზმა“ კიდევ კარგა ხანს ვერ მიაგნო სწორ გზას.

იყო ბორძიკი, გადაქანებ-გადმოქანება.

ეს არც გასაკვირალია.

ჩვენში ლექსის წერა ბევრს ემარჯვება. ამ ლექსებს შეიძლება არც ისე ბევრი მკითხველი ჰყავს, მაგრამ მელექსე მაინც პოეტათ ისენიება.

იუმორის საქმე სხვაა, გლახათ დაწერილი ლექსი მაინც ლექსია, მაგრამ უკბილო და უმარილო იუმორი საძაგელი რამაა—გულს აგირევს.

ბევრია კი ჩვენში იუმორისტი? მე რამდენათაც ამ საქმეს ვიცნობ (ერთ დროს მაინც ვიცნობდი!) ხეირიანი იუმორისტი ჩვენში მეტად იშვიათია. მართალია, არის ჩვენში ერთი წყება „ჭკუა მხიარული“ ხალხი. რომელსაც სერგია ერისთავის და მისი ხელობის გამყოლთა „ენაწყლიანი“ მასხრობა, იუმორი ჰგონიათ, ეს ჩვენ რას გამოგვადგება? სხვები და დანარჩენები არ სჩანდენ.

ჩვენ, საზოგადოთ, ქართველებს ერთი გლახა თვისება გვაქვს, დიდი „პრეტენზიების“ ხალხი ვართ. იუმორისტობა ბევრს მიაჩნია თავის ხელობათ, მაგრამ საამისო ნიჭი მხოლოდ რამოდენიმეს თუ აბადია.

ვიცოდით, თუ არა ჩვენ რომ პირველ ფეხის გადადგმისთანავე ამ დაბრკოლებას შევეჩეხებოდით?

ვიცოდით, მაგრამ ჩვენ მაშინ ასე ვამბობდით.

— მართალია, დღეს მზა-მზარეული არავინა სჩანს, ან თუ არის თითო-ოროლა ადამიანი, ისინი ჟურნალს ვერ გააძლებენ. მაგრამ რას იზამ,ნიჭსაც გამოჩენის საშუალება თუ არ მიეცი, ისე ერთბაშათ არ გადმოხეთქავს. ვიქონიოთ ეს ჟურნალი, პირველ ხანებში ბევრი არაფერი შვილი იქნება ის. მაგრამ, რა ვუყოთ, ისწავლოს ამ ხალხმა, ვისაც ემარჯვება და ეხალისება წერა, ჩვენი მკითხველის თავზე დალაქობა. ხელოსანმა თუ შეგირდობის ხანა არ გაიარა, ისე ხელობას ვერ ისწავლის.

მე არ გავიხსენებ, რამდენი საყვედური, რამდენი სწორი და სამართლიანი. რამდენი უსაბუთო და უსამართლო აზრი გამიგონია „ტარტაროზი“-ს შესახებ მაშინ,როდესაც ის ჯერ კიდევ ახალი ფეხადგმული ბავშივით ბორძიკობდა.

რაც იყო-იყო.

დღეს ვერავინ იტყვის, რომ „ტარტაროზი“-ს გარშემო არ იყოს თავმოყრილი თვალსაჩინო ჯგუფი ისეთი თანამშრომლებისა, რომლებსაც მაინცა და მაინც ბევრს ვეღარაფერს დაუწუნებთ. ვინ ამბობს,რომ მათი ნამუშევარი უნაკლო და შეუდარებელი ღირსებისაა. მაგრამ საიმედო და სანუგეშო ისაა, რომ ამ ხალხს ეტყობა ზრდა, წინსვლა.

ეს დიდი სასიკეთო ნიშანია.

ამის შემდეგ გულდამშვიდებით შეიძლება იმის თქმა, რომ „ტარტაროზს“ უკვე მაგრად უდგია ფეხი მიწაზე და მისი ნაბიჯი, რაც დრო გაივლის, მით უფრო მაგარი და ურყევი იქნება.

ეხლა ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, რა სარგებლობა მოიტანა „ტარტაროზმა“ თუნდა მაშინ, როდესაც ის „დალაქობას სწავლობდა“.

ამის შესახებ მე ერთ პატარა შემთხვევას გავიხსენებ.

მატარებლით მივდიოდი იმერეთისაკენ. ვაგონში ერთ სადგურზე რამოდენიმე მგზავრები შემოგვემატა. მოსუ-

ფლინგის და დონის „ვაჟიკობა“



ლები დაწყებულ მუსაიფის გაგრძელებაში იყვნენ.

— არა, ამისთანა პილწი არაფერი გამიუგონიათ. შირდაპირ მოგვჭრა თავი. იმის მთქმელს ხელში „ტარტაროზი“ ეჭირა. მე და ჩემმა ღმერთმა მე ის მირჩევნია, რომ გაზეთში ათჯერ გამწერონ და ამ „ტარტაროზში“ ნუ ჩამხატავენ.

— გაზეთი კიდევ არაფერი, გაზეთში ვაზედ არ სწერენ, ამ „ტარტაროზში“ რომ გამოგხატავენ, მერე მორჩა და გათავდა შენი წირვა!

— ეგერა გითხრა, დაიწყო ისევ პირველმა, ჩვენ სადგურის უფროსი გვყავს, ქვირე ისე არ გავიდოდა, რომ მის შესახებ რამე არ დაეწერათ, მაგრამ, არ შეგჭამოთ მიწამ, მას ვერაფერი მოაშლევინეს. გავიხედე ამ წარსულ კვირას შე არ ჩაუკარტინკებიათ ეს ჩვენი „ნაჩალნიკი“ ამ დალოცვილ „ტარტაროზში“. ის დღე, ისე დღეა და მასუკან ეს კაცი, მთლათ გამოიცვალა, შეგეცოდება რომ ნახო.

ჩემთვის ეს შემთხვევითი შეფასება შემთხვევით შემოსულ ხალხის ბევრათ უფრო საყურადღებო იყო, ვიდრე ბევრი სხვების, რომლებსაც მეტი მოეკითხებოდათ, ცოდნაც და მიხვედრაც მეტი უნდა ჰქონებოდათ.

ბევრს არ ესმოდა რომ „ტარტაროზი“-ს ნექტარი უფრო მწარე და ბასრი იყო, ვიდრე ჩვენ გაზეთებში მოთავსებული „მამხილებელი“ წერილები. ეს საზოგადო საზომათ არ გამოდგება, მაგრამ როდესაც ვინმე სქელ-კანიანი და შუბლმაგარი იბერს სხვას ვერაფერს შეასმენ, მაშინ „ტარტაროზის“ გესლნარევი „შეხება“ უსათუოდ მიზანს აღწევს.

მახსოვს მთელი ორი თვე დაიარებოდა ერთი ვიღაც ნახუცარი (მგონი გურული იყო) რედაქციაში.

— ესა და ეს კარიკატურა მე მგავს, რას მერჩით, რაზედ მომჭერით თავი სოფელ-ქვეყანაში!

ჩვენ მას ბევრი ვუჩიჩინეთ, რომ ეს კარიკატურა მის შესახებ არ იყო დახატული, მაგრამ ის მაინც თავისას აჭიმლიდა.—მე გურიაში აღარ შამესვლებათ,—იძახოდა ეს ნახუცარი.

ქარა! ვისაც უნდა ჩვენი ცხოვრების დღევანდელ ვითარებაში ჩაიხედოს, უსათუოდ იტყვის, რომ „ტარტაროზი“ თავის სამთითა ფიწალით ჯერ კიდევ დიდ ხანს დაგვჭირდება ჩვენ ხელში მოსამარჯვებელ იარაღად.

უწინ „ტარტაროზს“ სწორეთ ამ ფიწალით ხატავდით ხოლმე სათაურში. ეხლა აღარც თვით „ტარტაროზი“-ს გამოსახულება და აღარც ეს ფიწალი სათაურში აღარ სჩანს.

შეიძლება ასე კიდევაც სჯობდეს.

იმ დროს, როდესაც „ტარტაროზი“ ამ თავის საჭურველით ეხატა ჟურნალის ყდაზე და სათაურში, მაშინ, მას არც ისეთი მახვილათ ჰქონდა ეს იარაღი გამოპირული. ეხლა სურათი აღარ არის, მაგრამ „ტარტაროზი“-ს დღევანდელი ენა და კალამი (თუ შედარებით ვიტყვით: ეგივე ფიწალი) უფრო ბასრი და მახვილია.

იმიტომ ეს სურათით გამოხატული სიმბოლო შეიძლება, აღარც კი იყოს იმდენათ საჭირო, მაგრამ უსათუოდ საჭირო არის და საჭირო იქნება, რომ „ტარტაროზი“-ს ხელმძღვანელთა ყურადღების ასპარეზიდან განუშორებელი იყო ეს იარაღი.

მაგრამ, დაუღალებლათ ეკვეთეთ მშრომელი ხალხის მტრებს ამ იარაღით. ოღონდ, ნურც იმას დაივიწყებთ, რომ როდესაც გობიდან წყალის გადაქცევას დააპირებთ, ბავშიც არ გადააყოლოთ. ეს სიფრთხილე ყოველთვის უნდა ახლდეს თქვენ მუშაობას.

ჩემდა თავად მე რას გისურვებთ? ერთ დროს თუ თქვენი იუბილიარის ნათლობას დავესწარი, ეხლა მე მხოლოდ მისი მკითხველი ვარ, მახარებს თქვენი დაწინაურება და, მერწმუნეთ, არ გამეხარდება, თქვენი შეცდომები, თქვენი ნაკლი.

ძმური, გულწრფელი სალამი ყველა თანამშრომლებს მკითხველებს!

პავლე მ. საყვარელიძე.

# „ტარტაროზი"-ს ბიოგრაფია



დაბადების დღიდანვე
ცელქი იყო გოგონა;
შეკრიკებს, წვრილ მოხელეთ —
ჩანგალზე „აბატიჟობდა".

როცა წამოიზარდა
ალღოვან დაირიდა:
ნეპმანებს, თუ — მოხელებს —
ძმარს ადენდა ცხვირიდან!

დღეს კი აღარა ქმარობს,
ბიუროკრატებს, ხეცებს
აი, ამგვარ მხეცებსა!..
ჩემბერლენის მსგავს მხეცებსა.

# ფარსადანის საყვედური

ტარტაროზ, შე ბემყრამზო!

ტვირთად გულის ჩემი ცოდვა! რაზე ჩამეკიდე ამ პაკა-რაკ ხალხის ბირჟაზე იყო შენი „ძმაკაცობა" და პურმარილი, გამტანობის მარიფათი, საიდუმლოების შენახვა?

**ეს მესამე** წელიწადია, ერთ ჭაპანში ვაბივართ, ერთად ვაცინებთ სოფელ-ქვეყანას, ვამხელთ ჩვენი ცხოვრების მახინჯ მხარეებს, ვატრიალებთ დოსტაქარის ხანჯალს და ვიცინით, ვიცინით!..

აი, პუპუზ, უკვე ასი კალამი გალეწე, ასჯერ ჩაიხითხითე, ასი ნომერი გამოუშვი და იუბილეო სტაჟიც მოიპოვე.

**ჰაი გიდი** აბასთუმან! მერე განა იუბილეს სიხარულში ჯიგარი უნდა აგიყაროს ჩვენზე? სიკეთე დაგავიწყოს, ზურგი შეგვაქციოს და ათასიან-მასიან საიდუმლოთ შენახული ფსევდონიმები გაგამჟღავნებინოს?

**განა** არ იცი, რომ ფარსადანის ვინაობის გაგება ზიარებასავით ენატრებოდათ: გურს, საქროს, ეპპაკას, ჰამქარს და კიდევ ათას ჯოჯრუ-ქოხანას?

ისინი დიდი ხანია მეძებდნენ, მიპირებდნენ ჩახელთებას „რომ ერთი ლაზათიანათ წიწაკა დაენაყათ ჩემს სიფათზე"... დღემდე მაინც ვერ მოახერხეს ამის გაგება, რადგან საბჭოთა პრესის კანონი არ აძლევდა მათ ტარტაროზ-ზოვრის დევნის უფლებას.

შენ კი არც აცივე, არც აცხელე და ეს კანონი დაარღვიე: გაალე საიდუმლოების ზანდუკი და მთელ მილეთს გააგებინე თუ:

— **აი, მკითხველებოჯან,** მაკანი-ფულანია და მავარი ფსტანით, ჰამაც ფარსადანი ესა და ეს კაცია და ვისაც პიჩტე გქონდეთ, ყალბაყალი უყავით, ბრიაბრიოთ გააკეთეთ.

ასრიზიმამში ასე გამოდის რაღაც; არც მეტი—არც ნაკლები,—გინდ დაიჯერე, გინდა ნუ მაშ!

**ჯუზურში, ფარსადანის** დევნა უკვე დაიწყო. აი საბუთი: გუშინ დილით რედაქციაში მოველი, საკბილო „რამე" მოვიტანე „ტარტაროზში" ჩასაგდებათ. რედაქციაში არავინ დამხვდა. დავიწყე ლოდინი. პუპუზ! კარები იღება, ვიღაც შემოდის და ქშენით მეუბნება:

— პაროვ რედაქტორ. შენთან სპეციალური საიდუმლო მიქნია, ეგენი რამეები უნდა ვთქო.

— მე რედაქტორი არ გახლავარ!..

— სულ ერთია, ისეთი ინტელიგენცკი სიფათი გაქვს, გლავნების ერთი იქნები, ჰამაც მთელი ტაინი რამეები გეცოდინება რაღა, რაც რომ ტარტაროზში იგდებთ! მე ერთი ჰარიფი ვინმე ვარ, ბაყლების ქუჩაზე მწვანილის დუქანი გამიღია, ჰამაც შეშინდი, ზაკუსკიანი, რომ ყველა-

ფერსა ვყიდი, ვაინაჩრობით თითო შაურს ვიგეფ და მე და ჩემი ცოლი ფეფელა ისე, კაზაც-კამაც ჰამქარში ვერევით.

ახარ, ჯიგრიანი ჯეჰელი ვინმე სჩანხარ. რა დაგიმალო! ჩერეზჩურ ფინთი დრო დადგა, ამ ბემურაზმა ბალშევიკებმა მე და ფეფელოს სიქა გაგვაცალეს რაღა, სახლები და მამულები გარაცკოი იმენიათ გამააცხადეს, ჰამაც ნალოგები, შტრაფი რამე. სლოვომ ილაჯი გამართვეს!

**მახლაზ**, რაც არის, თოღ, იყოს, ყველაფერი ყისმითია, წერაა, ფათერაკია, მოსასვლელი ჰაჯალი უნდა მოვიდეს, არა რომ ბევრიცვიჩალიშო, ამ დროებას ვერ შაცვლი, საქამრეზე მაღლა ვერ ავხტები, მერე კი ან ვირი, ან ვირის პატრონი!..

**ჰამა აქ** კიდევ სხვა თაბაუთია, მე სხვა დარდები მაქვს, სხვა საქმისთვის მოვსულვარ: აქ ერთი ბემურაზი ვინმეა, ფარსადანს ეტყვიან, ის ლუპუსტაცე ჩერეზჩურ ჰაკარაკათ გადაგვკიდებია მე და ფეფელოს: ორივეს ისემე გვიყო რაღა, ტერპენიის პუზირკები გაგვიხეთქა, ჰამქარში გამოგვაჭენა, ჩვენი ტაინები ქვეყანას გააცნო, რაც რომ მე ფეფელოსთან მიქნია. ყველაფერი ტარტაროზში ჩაგვიგდო.



**ჰუზურში**, აქამდისინ ნევიდიმი რამე იყო, მთელი ქალაქი გადავაბრუნე. ჰამა მაინც ვერ ვიპოვე. ჰამაც პრაშენიები გამიგზავნია ხელი აიღოს თორემ ჰაა, ფინთ რამეს ვიზამ—ნერვნი ვინმე ვარ, აღარ მოვითმენ მეთქი.

ბან ჩუნეს? იმან უფრო გაჯიუტდა, უჯათობის ვირზე შაჯდა; მოჰყვა და რაც რომ პრიკლუჩენია შამხვდა, ყველაფერი ჩამიგდო, მასხარათ და ბრიაბროთ გამაკეთა!

**ზანა მარტო მე?** მთელი ჩვენი ჰამქრის გლაეწებს, ვინც რომ ჩვენი პირის ზიარება იყო: ცალგვერდა აკოფა, სიფრიფანაანთ ვაჰაკა, ყაზაზ იაგორას შვილი საქუა, ყიყვიანი კარაპეტა, კურკა მიკიჩა, ძიგვა-მელიქა და ჰამაც სხვები... სიყმეს გეფიცები, რომა იმათი გასაგისი ქარქვეტასავით ამაავდო მაგ ბემურაზმა!..

**იმათაც** ჩერეზჩურ ჯავრობენ, გებნები არ გაუშვებენ, იმისი აგორება, ჰამაც ჯიგრიანი ტყეპა, ნეპრემენია, ნეიზბეჟნი რამეა!.. ახლა უკვე ტარტაროზი დაბრავოლნათ ეცხადებს: ასმა ყველა ჩვენი ძმაკაცების გვარებს ტარტაროზოში ჩავაგდებთ თავის კარტიჭკით, პრიმეტებით რამითო! არა რომ ამ კარტიჭკით ვიპოვნით, ვიპოვნით და ტაბოცში გავატარებთ იცოდე ჰაა!

**ამ სიტყვასთან** ერთად, გეომ ჩემს მაგიდას ისე მაგრა დაატყა მუშტი, რომ სამელნე შეხტა და მეც ჰელეთმელეთი მამივიდა... შემდეგ განაგრძო:

— არა, რა მაზალოა ჰაზირ? მაგ ბემურაზმა რაღა ჩვენთვის მაიცალა ქვეყანაზე სხვა აღარავინ არის მასხარათ გასაკეთებელი? ქრისტიანო, გებნები რასაც რომ ყური მოჰკრა ჯიგრამდისინ ჩამოგვყვა რაღა! ჰუზურში შიშისგნით სულ იმის ფიქრში ვარ ფინთი რამე აშიპკა არ მამვიდეს.

ჰამა მაინც არ ამცდა:

**ამას წინათ** აბანოში წაველი. ფეფელო სახლში არ იყო. კარები დავკეტე და დავაწერე:—„ვინც რო მოვიდეს დამიცადოს—სახლის პატრონი“ მეთქი. აბანოში სლუჩაინათ ტანისამოსი მამპარეს. მექისე ჯალალამ თავის პალტოში გამახვი და ფაიტონით მამიყვანა. ჰუზურში სახლში რომ მოველი, დამავიწყდა რომა კარებზე ჩემი ზაპისკა ეკრა და ძალიან გავჯავრდი:—მეთქი ეგ ბემურაზი სახლის პატრონი სად წასულან, როდემდის უნდა უცადოს ამ ტიტლიკანა კაცმა? ჰამა მაინც დავჯექი და უცდი.

**დიდი ხანი** გავიდა. ტიატრიდან ხალხი უკვე გამოსულა. ჩვენი მეზობლის ქალი მარუსა მარტო მოვიდა. შიშველი რომ დამინახა დაფრთხა და გარბის ყვირილით:

— მიშველეთ, ქურდები მამდევენო!.. ვებნები:—მარუს, მე ვარ,გეო. სახლის პატრონი აქ არ დამხვდა და უცდი მეთქი, ჰამაც მინაოთში ვარ, ცოტა პრილიჩნათ არ მაცვია მეთქი... იმან ნერვნი პრიპადკა მოუვიდა და უფრო ძალიან დაიკივლა. **ვხედამ** მთელი უბნის მილიცია, შვიშტოკების კვრით მოცვივდა. დამიჭირეს, შარი მამდეს—ქალს აბესჩესტია უშვრებოდიო, ვებნები:

**ჩილიციაჯან**, პირძაღლი ვიყო თუ რომ მე პაკუშენიის ფიქრი, გულში მედოს, აბანოში ტანისამოსი მამპარეს და აქ სახლის პატრონს უცდიდი მეთქი!

— **ვრიოტ სტარი ხრიჩ**, სახლის პატრონი თითონ არისო, თუ გულში ფინთი რამე არა აქვს, მაგისთანა ტყუილს რათ ამბობსო!.. აქ კი, მართლა მამაგონდა, რომ ის ზაპისკა ჩემგნით იყო დაწერილი და რასეინობის გამო აშიპკა მამივიდა. ერთი ყალ-მაყალი ჩავარდა და სანამ უჩაშკაში ყველაფერი პადრობნათ არ უთხარი, არ გამიშვეს, ჰამაც ჯამბაზივით ტიტლიკანას მატარებდნენ...

**ახლა შენ გეკითხები**, ეს რომ იმ ბემურაზმა ფარსადანმა გაიგოს მაშ ესეც უნდა ტარტაროზში ჩამიგდოს რაღა? გებნები არ გაუშვეფ. ჯიგარში ბებუთს დავარტყამ, ეხლა ხომ ველარ დამემალება—კარტიჭკით ვიპოვნი... სლოვომ, რაც მითქვია ყველაფერი უთხარი იმ ლუპუსტაცსა და უთხარი ხელი აიღოს ჩემზე, მორჩა გათავდა!..

ასე სთქვა და მუქარით კარები გაიჯახუნა.

**აი, ტარტაროზ**, შე ბემურაზო, რა ხათაში ჩამაგდე: მე ამ ჰაკარაკებს ვერ გადურჩები და თუ მართლა მომკლეს, იცოდე, ძალიან დაგემდურები. ჯერჯერობით კი პროტესტს გიცხადებ, ჩემი ფსევდონიმის გამომჟღავნებისათვის.

**ფარსადან**

# ვისზე როგორ მოქმედობს „ტარტაროზი“



კომკავშირელი



მუშა



გლეხი



„კულაკი“



საბჭოთა მოსამსახურე



„ნეპმანი“



მენშევიკი




ღვდელი

# საქულას სალამი „ტარტაროზ“ს

**დღეს მაისის** მესამე კვირა დღეა. პირველ კვირას მე, საქულა ჯანჯულაზოვი, სწორეთ იუნი პიონერი გავხდი რაღა. ორმოცი წელიწადი ზურგზედ რომ არ მეკიდოს სოფრონას ჩულივით და განიერ შარვალის მაგიერათ მოკლე ტრიკოს შარვალი რომ მეცვას, ჩემა მზემ, პიონერთან ვერ გამამარჩევდით. წითელ ხინაბანდიან კონცომოლისტკებთან და დეპოს გემრიელათ გამურულ მუშებთან ერთად ისე დავდიოდი პარადში, როგორც დრაგუნის კვიცი.

**ჩვენმა ძვირფას** პაპაშა მიხა ცხაკაიამ რომ პიონერებს დასძახა:

— ბუდ გატოვ!

პირველი ატვეჩაიტი მე ვუყავი:

— ვსეგდა გატოვ, ტავარიჩ მიხა-მეთქი. ხალხმა სიცილი დაიწყო. მემრე აქ საცინელი რა არის! უექველათ ხარატიანის აპერაცია უნდა გავიკეთო რომ ჩემი თავი ახალგაზრდად ვიგრძნო? საქუა მოგიკვდეთ თუ რომ მე ვისმეს რამეში ჩამუარდე! კონცომოლისტკები ანგლიცკი იმპერიალიზმს ეაინას უცხადებენ და ვისოკი კაბლუკებით ისე აბაკუნებდნენ, თითქმის ჩემბერლენს თავს უქყლიტამდნენო. მერე შვიდი-რვა წლის პიონერები? ისე თავაწეულებ რიხით მიდიოდნენ, გეგონებოდათ პორტ-ატურის ასალებათ მიდიანო. მაშ მე რითა ვარ ნაკლები!

**მეც მივდევდი** ამ ახალგაზრდობას და ვფიქრობდი:

— საქულჯან, შენი შვიდგირვანქანახევრიანი მუშტიც ვსემირნი რევოლიუციას გამოადგება-მეთქი.

ამ ჩვენ პატარა ძმებმა და დებმა ისეთ ხოშზე მომიყვანეს, რომ კიტაიაში ფეხით წავალ ჩანკაიშის კონკრობოსტოს დასაჟეჟათ.

ადნიმ სლოვომ: „პერვი მაი—დუშა რაი“.

**ჩვენ ქუჩაში** სულ პრაზნიკია. ხუთ მაისშიც ახალი საქმე გამოგვიჩნდა. თურმე თუთხმეტი წლის წინათ, როცა კიდევ ჩვენ ჯერ ქრისტეს ვირები ვიყავით და ნიკოლოზ მეორე ზურგზე გვეჯდა, მაშინ ჩვენი დაუვიწყარი პაპაშა ჩასდგომია სათავეში გაზეთის საქმეს და ერთგული ამხანაგების დახმარებით გამოუშვია ბოლშევიკური გაზეთი „პრავდა“.

ეს „პრავდა“ ზღაპრული ცხრათავიანი გველეშაპი გამამდგარა. თურმე რამდენიც ნიკალაევსკი ჟანდარმები ხმლით თავს მოაჭრიან, იმდენი ახალი და ახალი თავი ებმევა. ხუთი წელიწადი ღვდელი, ვაჭარი, თავადი და ჩინოვნიკი ამ გაზეთს მოსვენებას არ აძლევდენ, მაგრამ 1917 წელში მაინც პრავდას გაუმარჯვია. ეს არც გასაკვირია—ბოლშევიკები თუ ერთ რამეს მიზანში ამოიღებენ, მაინც თავისას გაიტანენ. პატარა ნემსების ჩხვლეტით დაჩუყეს და უზარმაზარ ნიკალაევსკის რეჟიმს ძარღვებიდან სისხლი მთლიანად გამოუსრუტეს.

ხუთმეტი წელიწადი გაეიდა და ჩვენ ერთი პატარა „პრავდას“ მაგიერ ასობით დიდი პრავდები შევქენით.

მაშ ამნაირ დღეს ჩვენ პრაზნიკათ არ ჩავთვლით! ელენკა მამიდას შვილი რომ გაუჩნდა, ვეჩერი გამართა და ასოცი სული დაპატიჟა. ჩვენ პრავდამ ათასი პრავდები შობა. დღეს ესენი წამოიზარდენ და ჩვენც დღეს იმენინიკი გაუმართეთ. დავპატიჟეთ რაბკორები, სელკორები, სტენკორები, იუნკორები და ყველა ისინი, ვინც პრავდისაგან ჭკუა ისწავლა და ეხლა კალამით ხელში ემსახურება მუშათა კლასს.

**„ტარტაროზი“-ც პრავდის** ერთ შვილთაგანია. ზარიავასტოკა, კომუნისტი, მუშა, რაბოჩი პრავდა. ესენი პრავდის ღვიძლი და დალაგებული შვილები არიან.

**„ტარტაროზი“** ცოტა ცელქი და მოუსვენარია. დახტის, დაძვრება, არავის მოსვენებას არ აძლევს. ხან სად შეძვრება, ხან საიდან გამოძვრება. განა დარჩა კუთხე-კუნჭული სადაც „ტარტაროზმა“ ცხვირი არ შეყოს! დიდი და პატარას, ღვდელ და ტერტერას, კნიაზ და სპეკულიანტს, ზანტ და ცრუს, თავხედს და კუდიბზიკას, რასტრაშჩიკს და ჩინოვნიკს. ოპოზიციას და მენშევიკს, ლოთ და კარტოჟნიკს — სუყველას ემუქრება და ხალხის წინ გამოყავს დასაცინათ და დასარახათ. ზოგს ჯორის თავს გამააბამს, ზოგს აქლემის კუდს. არვის არ დაზოგამს, არავისი არ ეხათრება და არ ეშინიან. მტყუანს დაუდებს დაზგაზე თავს და როგორც ყანგიან რკინას მუშის ჩაქუჩით უბრახუნებს იქამდის, სანამ ყანგს და ჭუჭყს მთლიანათ არ ჩამოაცილებს.

**ბევრს ეშინიან** კვირა დღისა ტარტაროზის ნომერს გულის ფრიალით გადაათვალიერებს და მხოლოთ მაშინ დაუდინჯდება გული, როცა დარწმუნდება, რომ დღესაც გადარჩენილა ის ტარტაროზის გალესილ კბილებს.

მაგრამ ამასთან ერთად იმას, ვინც ექვსი დღე შრომაში და ოფლის ღვრაშია, მეშვიდე დასასვენებელ დღეს ცოტა სიცილიც და სიმხიარულეც უყვარს.

**ტარტაროზი ამაშიც** ალჩუა. მა რას აკეთებენ ჩემი ძმა ბიჭები ჩისელი და სინემატო ხაზიასტვენიკებს დასცინიან. ოდილმადი, კოსტაიდი და პ. ობოლი სოფლის ქირვარამს აცნობენ მკითხველებს. ალლარ-ალლარსან ცისნ ნასლედნიკების ოინებზე გვაცინებს. ჭაგნელი ბზიკი ლექსებით უმასპინძლდება ჩვენ მკითხველებს,—და მე და ჩემი ძმა ფარსადანა კი, როგორც ძველი ყარაჩოღელები, დავდივართ იარმუკაში, ძაღლის უბანში, კოლოლთალში, თათრის მოედანზე, ტარბოშჩიკებში, კარპუშას ტრახტინში, ყასაბ დარჩოას დუქანში, მეთევზე ჯავახიშვილის ზავედენიაში, გუდა მიხოას პადვალში, ხიხოას ეკლესიის გალავანში, ზიპოა შაქროს ბაღში, ბეჩარა ვასოასთან, ბედნი ლადოსთან, ფრანგიშვილი იაშასთან, მახვილაშვილ სერგოსთან, გძელცხვირა სტეპკოსთან და ვიგებთ ბაზარის ახალ ამბებს და ზოგიერთ რამეს თქვენც გატყობინებთ.

**ეს ხალხი** ნასწავლი ბიჭები არ არის, თუმცა სერგო მახვილაშვილი არწმუნებს ნაივნი ხალხს, რომ იმას გაიანეს გეპნაზია აქვს დამთავრებული. ამათში არც ერთს სასწავლებელი არ უნახავს. შეიძლება ზოგიერთ ამათგან პატარაობას ავჭალის აკადემიაში (დლია მალოლეტნის პრესტუპნიკოვ) ყოფილიყოს. ეს არ უშლის მათ იყვნენ მეტი ნიჭიერი, ვიდრე ზოგიერთი ცისფერ ყანწის წრის ვაჟბატონები.

ცხონებულ ვასო აბაშიძეს და ჩვენ ფუტბოლ-მილიონა ნიკო გოცირიძეს ბევრი ჭკუა და ოხუნჯობა უსწავლიათ ამ ყარაჩოღელებიდან.

დეე, ამათ მოსწრებულ სიტყვამ, სიცილის სასიამოვნო წყარომ ჩამორეცხოს სევდა და ვარამი ყველას გულიდან.

**მაშ, ჩემო** კუდიანო ტარტაროზო, ნება მომეცი ამ ჩვენ ბიჭების სახელით მოგილოცო შენი დაბადების მეასე კვირა. იმდენი ხანი იცოცხლე, სანამ კუ სიმონ ხმალაძის ყვითელ ცხენს დაეწეოდეს. აქლემი—ვნეშტორგის ფიატს, მიშო ჩხეიძე ფუნიკულიორზე ფეხით აკიდოდეს, ევროპის ფასები ორმოცი პროცენტით დაიწევდეს, შენ ტეკუშჩი სჩოტზე ასი ათასი მანეთი მოგროვდებოდეს და ჩვენ რესპუბლიკაში არც ერთი უმუშევარი აღარ დარჩომილიყოს.

**მაგრათ იყავი** შენ სადარაჯოზე! მილიციონერის ჯოხივით ძალლა არწი და პარიატკები დაამყარე იქ, საცა დღევანდლამდის უწესობას კიდევ აქვს ადგილი.

თუ რომ მე და ფარსადანა გამოგადგებით ამ საქმეში — ჩვენი თავი შენ გენაცვალოს.

— ბაშ უსტა! ვსეგდა გატოვი!

**ვინმე**

# "ტარტაროზი"-ს ხელმძღვანელთა „მუშაობა"



ორშაბათს—იძინებენ

სამშაბათს—სძინავთ



ოთხშაბათს—ისევ სძინავთ

ხუთშაბათს—იღვიძებენ



პარასკევს—
ფულში იწურებიან

შაბათს—
ნამდვილად მუშაობენ

კვირას—ისვენებენ

# მილოცვები

## „კომუნისტი"-საგან

ასი ნომერი კვირეული ჟურნალი „ტარტაროზი" უეჭველად მნიშვნელოვანი კულტურული მიღწევაა. „ტარტარტაროზმა" ამ ხნის განმავლობაში უთუოდ მოიპოვა უფლება თავის თავს ქართული საბჭოთა იუმორისტიკის საძირკველის ჩამყრელი უწოდოს.

ახალი ცხოვრება იბადება ძველთან ბრძოლაში. ის მდიდარია წინააღმდეგობებით და წინააღმდეგობებზე აღმოცენებულ საზოგადოებრივ მნიშვნელობის კურიოზებით. საბჭოთა იუმორს, როგორც ჩვენს კლასიურ ბრძოლის ერთ-ერთ ძლიერ იარაღს, აქ ფართე ასპარეზი აქვს.

არავის ისე არ შეშვენის სიცილი და მხიარულება, როგორც გამარჯვებულ კლასს, როგორც საზოგადოების იმ ნაწილს, რომლის მხარეზეც არის ისტორიული სიმართლე, რომელსაც მომავალი უღიმის.

ამ მხრივ საზოგადოდ ქართულ საბჭოთა იუმორისტიკის და კერძოდ „ტარტაროზი"-ს წინაშე უაღრესი მნიშვნელობის ამოცანა ისმება. ამ ჟურნალის ასი ნომერი იმის საუკეთესო მაჩვენებელია, რომ „ტარტაროზი", თუმცა ყოველ ახალ საქმისათვის ჩვეულ ტკივილებით და სიძნელეებით, მაგრამ მაინც მტკიცეთ მიდის ქართულ საბჭოთა იუმორის შექმნის გზით, ეს კი იმის საწინდარია, რომ ჩვენ შევქმნით თანამედროვე ქართულ იუმორისტულ ჟურნალისტკას, ისე როგორც შევქმენით მეფისა და მენშევიკების დროინდელ პერიოდულ პრესაზე გაცილებით წინ მდგომი საბჭოთა პერიოდული ბეჭდვითი სიტყვა.

სალამი ქართულ საბჭოთა იუმორისტიკის მეასე ყუმბარას, „ტარტაროზი"-ს მეასე ნომერს.

„კომუნისტი"-ს რედაქცია.

## „რაბოჩაია პრავდა"-საგან

თქვენი იარაღია სიცილი. ხან მსუბუქი, ირონიული, ხან დაუნდობელი, გამანადგურებელი. ეს სიცილი ავსებს „ტარტაროზი-ს 100 ნომერს, ამხელს რა ყოველ ნაბიჯზე ყველაფერ იმას, რასაც უკვდავმა სატირიკოსმა სჩედრინმა უწოდა „დიდი მექანიზმის პატარა ნაკლულევანებანი". ამით იგი სასიკვდილო მახვილსა სცემს უთავბოლობას, მფლანგველობას, უგეგმო მეურნეობას და ჩვენი ცხოვრების სხვა უარყოფით მხარეებს.

იბრძოდა რა ლენინის ანდერძის მტკიცედ დასაცავად, უძლიერესი იარაღით—დაცინვით „ტარტაროზმა" თავისი ასი ნომრით ასი სასიკვდილო მარგილი ჩაასო ძველ ქვეყანას, რაც იმავე დროს არის ასი მტკიცე დასაყრდენი ნიადაგი სოციალისტურ საქართველოს აღმშენებელთათვის.

ამ ახალ, სოციალისტურ სამყაროს მუდმივ მეგობარ პროლეტარიატთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული, წინ, ახალი ნომრებისა და ახალ გამარჯვებისაკენ!

გაზ. „რაბოჩაია პრავდა"-ს რედაქცია.

## „ახალგაზრდა კომუნისტი"-საგან

გაზ. „ახალგაზრ. კომუნისტი"-ს რედაქცია,მისი ახკორები და თანამშრომლები მხურვალედ ესალმებიან საბჭოთა იუმორის უშრეტ შადრევანს—ჟურნალ „ტარტაროზს".

პოლიტიკური სატირია, სოციალური იუმორი მჭრელი იარაღია, რომლითაც „ტარტაროზი" ასი ნომრის მანძილზე ლახვარს სცემდა საბჭოთა ქვეყნის მტრებს და ორგულთ.

ამ მხრივ „ტარტაროზს"—საპატიო ადგილი უჭირავს საბჭოთა პრესის ოჯახში.

„ახალგაზრდა კომუნისტი" ესალმება თავის თან მომავალში „ტარტაროზმა" თავისი ჯანსაღი იუმორით მებრძოლს და უსურვებს მას წარმატებას.

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი"-ს რედაქცია.

## „მარტაკოჩი"-საგან

სომხურ გაზეთ „მარტაკოჩ"-ის რედაქცია მხურვალე სალამს უძღვნის იუმორისტულ ჟურ. „ტარტაროზს" მე-100-ე ნომრის გამოსვლის გამო.

რედაქცია გამოსთქვამს გულწრფელ სურვილს, რომ მომავალში „ტარტაროზ"-მა თავისი ჯანსაღი იუმორით უფრო მეტად დაიმსახუროს ფართო მკითხველების ყურადღება.

გაზ. „მარტაკოჩ"-ის რედაქცია.

# ტარტაროზი

# მ უ ც ე ლ შ ი

**როგორც ზღვის** ხეტიალი, ხელში ჩანგლის შრიალით,
(სადაც სახანხლავია—მისთვის აღთქმის მხარეა)
გვერდების შეხურებით, ცხვირში შეჩხუკურებით
დაქრის დაუზარებლად, დაქრის და უხარია.

**გადათელილ სივრცეში,** ამოვსებულ მუცელში
ერთად იხარშებიან მუსოლინი, ბრიანი,
წმინდა მამათ ფაშვები, პილსუდსკის ულვაშები,
ქედუხრელი დურუჯი, ცხელი და ჯიგრიანი.

**წახდა მისთვის** სასუქი, სამ მაისის პასუხი,
გაბითურდა სეზონი (ამბავია მარტივი).
ყველანი აქ არიან, ვისაც უძლევს ბრალია...
სადღაც კიდევ უცვლელოდ იწვის კოპერატივი!..

**ეს ნომერი** მეასე „ზავკოოპმაც“ შეავსო,
მისთვის უკვე მზად არის ჩანგალის სავარძელი...
ვიწრო ხვრელი კუთხეში და კანკალი მუხლებში,
გამგეთ კოპერატივის მოდი ეხლა გაძელი...

**კაზინოში კასირი,** მწუხარებით ავსილი,
ზის და მის წინ რულეტკის ქრიან ლურჯა ცხენები...
მშრალ იმედის ამარამ თანხა ველარ დაფარა,
აწი კი გამსახლია მისი განსასვენები...

**როგორც ცეცხლის** პრიალი, ქარიშხალის გრიალი,
უზის თავის მაგიდას კაბინეტში „ზამდირი“...
ვინ ხარ, რა ხარ, რა გინდა!.. და დორბლები ბაგიდან...
რა კარგია ასეთი გარეული ნადირი.

**არც ავდარი,** არც დარი, სწორი გზიდან ამცდარი,
სწერს ვიღაცა კუთხეში, ხელები კი შავ ზეთში...
ვინ სცნოს მისი სახელი, იყოს მისი მნახველი...
გამგე გადარეულა წაკითხულით გაზეთში...

**პირში ხანძრის** ალები, ბრიალება თვალების:
მოსპობს, თუ ეს ლურსმანი ხელად არ მივაკაკე!..
ძმას—სალამი მუშური!.. რჩევა მამაშვილური:
შენ აკაკი ყოფილხარ, წადი და იაკაკე!..

**იჩქარიან წამები,** ფიქრით განაწამები,
სული შვიდ თვის ლოდინით იკლანკება ხელიკივით...
ამაოა ვედრება, მეგობრული ყვედრება;
ქშინავს „ვოლოკიტჩიკი“ გაბერილი ტიკივით...

**და შორს** ნისლის თარეშში, შუბლმაგართა მხარეში,
ჩემბერლენის დღეები რბიან და ილევიან...
გადათელილ სივრცეში, ტარტაროზის მუცელში
ყველა შეხანხლულები ყრიან და ირევიან...

**სინემატო!**

## „ტარტაროზი“-ს
## შემდეგ ნომერში გამოცხადებული იქნება
## კ ო ნ კ უ რ ს ი

# იუბილე

მიმდინარე წელი—1927 წელი განსაკუთრებული ასოებით ჩაიწერება კაცობრიობის ისტორიაში. ეს მოხდება იმიტომ, რომ:

გერმანიაში ფილადელფის ჩიფუტის პარადი ჩაივლიდეს, ჩან-კაი-შიმ სამართლიანად გაილანძღება. თავი-თავგას წვილს—კომუნისტოლა ჩანკაი-შის,

ეკონომიური კონფერენცია (იგივე კონფერენცია) გაშვლეტილად დამთავრდა,

ჩინეთის რევოლუციონურმა მთავრობამ ძლევამოსილად ნაბიჯები გადადგა,

ზამთარი ამოშავდა და რაიონ ზესე დაიწყო და...

და. და ბოლოს იმიტომ, რომ ჩვენმა იუმორისტულმა ჟურნალმა „ტარტაროზმა“ მე-100-ე ნომერი იდღესასწაულა.

ჩვენ გვგონია, რომ თქვენ ასე ფიქრობთ: „დღესასწაულით ნუ გვაწონებთ თავს. დღესასწაული და იუბილეები ჩვენთვის ახალი ამბები არ არის“-ო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თქვენი ფიქრი ასე თუ ისე სიმართლეა: მართალია ჩვენში ხშირია დღესასწაული და იუბილე, მაგრამ ეს ნაირნაირად გამოკვირდება; თქვენ იცით, რომ დღესასწაულს, ჩვეულებრივად, ქეიფი და ღრეობა მოსდევს, ქეიფს—ღვინის სმა, ღვინის სმას—თრობა, თრობას—ცემა-ტყეპა, ცემა-ტყეპას—თავ-პირის ჩამტვრევა და ქუჩაში აურ-ზაურის გამოწვევა. ქუჩაში ერთმანეთის თავის გატეხვა კი ხულიგნობით იფარგლება, რასაც სასტიკად ებრძვის მილიცია.

თქვენ ამ დებულებაში შენიშნეთ სამი მომენტი:

1. ღვინის სმა. რა არის ღვინის სმა? ამის პასუხი მარტივია: ღვინის სმა არის მისი დალევა. საჭიროა თუ არა ღვინის დალევა? საჭიროა. რატომ? იმიტომ, რომ მრეწველობის განვითარებასთან ერთად უნდა განვითარდეს სასოფლო მეურნეობა; ამ მეურნეობის ერთ-ერთი დარგი არის მევენახეობა-მეღვინეობა, რომელიც ვერ განვითარდება ისე, თუ მას არ ექნა სათანადო ბაზარი. ბაზარს წარმოვადგენთ ჩვენ და ჩვენ ვალდებული ვართ ღვინის გასაღებით ხელი შევუწყოთ მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს—მეღვინეობას. საზოგადოების საგრძნობმა ნაწილმა უკვე შეიგნო ეს მდგომარეობა და ამიტომაც იყო, რომ საახალწლოთ ყოველმა მოქალაქემ გამოიტანა სამ-ოთხი ვედრო ღვინო სახალხო მამულების ტრესტიდან ყელის გასასველებლად. ეს უკვე დიდი ნაბიჯია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ შარშან ამის ნახევარი არ გამოუტანიათ. თუ შემდეგშიაც ასე წავიდა საქმე, მომავალ წელში თითო მოქალაქე დახარჯავს (დალევს) ორჯერ მეტ ღვინოს, შემდეგ წელში კიდევ მეტს და ასე შემდეგ. ასე რომ ხუთწლიან პერსპექტიულ გეგმის მიხედვით, საქართველოში თითო მოქალაქეს დღიურად მოუხდება რაღაც ორ-სამი კვარტი ღვინის დალევა, რაც წელიწადში შეადგენს 700-მდე კვარტს, ანუ 70 ვედროს. ღვინის სმის განვითარების პროცესში საჭირო იქნება შესაფერი ხელსაწყო-აპარატების, სახელდობრ სასმისების შეძენა, როგორიც არის ჯამი, ანუ როდინი (ქვა-სანაყი), სპეციალური ღვინის სასმელი ტუმლები, ჩუქმები, წადები (პატარა სადღეგრძელოებისათვის), სპეციალური ხამოვრები, ჩიფები და სხ. მართალია, ეს ჭურჭელეული ახლაც იხმარება ღვინის სმის დროს, მაგრამ ამას აქვს არა სისტემატიური ხასიათი, ამასთან, ეს ნივთები სხვა დანიშნულებას ასრულებენ და მხოლოდ საქეიფოების დროს იხმარებიან სასმელად. მომავალში კი ეს ჭურჭელეული უნდა დამზადდეს მხოლოდ, როგორც სასმისი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ყანწების დამზადებას, რადგან არსებული სიდიდის ყანწები ვეღარ აკმაყოფილებს მსმელ საზოგადოებას. დიდი ყანწებისათვის საჭირო იქნება დიდი რქიანი საქონლის მოშენება, რაც გამოიწვევს მესაქონლეობის განვითარებას.

შემდეგი გახლავთ თავ-პირის ჩამტვრევა, რომელიც ღვინის სმას მოსდევს. საერთოდ, თავ-გატეხილი კაცი საანცია და მაინც ხალისიანად ვერ გრძნობს თავს, მაგრამ თავის გატეხას მეორე დადებითი მხარე აქვს: ეს არის სპორტის და ფიზკულტურის განვითარება. ყველამ იცის, რომ მოპირდაპირეს ცხვირ-პირს ჩაუმტვრევს ის კაცი, რომელიც მასზე უფრო ღონიერია; ამ უკანასკნელს თავს გადახვეწს ის, ვინც კიდევ უფრო ძლიერია. მაშასადამე აქ ხდება ერთგვარი შეჯიბრება—სპორტი, რასაც ჩვენი ყირაჩოლელი ყმაწვილები დაკა-დაკას ეძახიან. მოპირდაპირის თავის გასატეხად საჭიროა კანჯარიდით გადახტომა, შიგარდენის თვალი და ყარამანისებური მოქნევა. ყველა ეს მოძრაობა იწვევს ერთი მხრივ მოპირდაპირეში არა სასიამოვნოს (თავის ტკივილს) და მეორე მხრივ (გამარჯვებულში) ფიზიკურ სიამაყეს და კუნთების გავარჯიშებას.

მესამე შედეგი გახლავთ ქუჩაში (ხან სახლში) აურ-ზაურის გამოწვევა, რასაც ახლა ხულიგნობას ეძახიან. როგორც თავგატეხილს, აგრეთვე გამტეხელსაც, ბოლოს და ბოლოს ებრძვის მილიცია, რომელიც ატუსაღებს მათ და სამილიციო უბანში მიყავს ოქმის შესადგენად. მართალია, აურ-ზაურის გამომწვევებს ხშირად ერთი-ორი დღის შემდეგ უშვებენ, მაგრამ შედეგი მაინც დადებითია: ეს გახლავთ მილიციის კვალიფიკაციის აწევა ხულიგნობასთან ბრძოლაში და ოქმის შედგენაში, რაც იწვევს კანონიერების განმტკიცებას.

მაშასადამე კონკრეტულად შეიკრიბა ხუთი დებულება: დღესასწაული, მეურნეობის აწევა, ლოთობასთან ბრძოლა, ფიზკულტურის და საერთოდ სპორტის საქმის გაუმჯობესება და კანონიერების განმტკიცება.

ჟურნალ „ტარტაროზი“-ს მთავარი მიზანიც ეს არის: იგი ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს სახალხო მეურნეობის ზრდაში, რისთვისაც იგი მიუთითებს ამ მეურნეობის უარყოფით მოვლენებზე; იგი (ჟურნალი) ცდილობს ფიზკულტურად და სულიერად გააჯანსაღოს მოსახლეობის მშრომელი ნაწილი და იგი იბრძვის განამტკიცოს რევოლუციონური კანონიერება როგორც ქალაქად, აგრეთვე სოფლად.

ამ ბრძოლის პროცესში მას შეუსრულდა ასი ნომერი და მან გადაწყვიტა მოეწყო დღესასწაული—გადაეხადა თავისი თავის იუბილე.

ტერსიტი.

# საქართველოს პროფკავშირების კოოპერატიული გამომცემლობა

# „შ რ ო მ ა"

იყო და არა იყო რა, მზის უკეთესი რა იქნებოდა, იყო კაცი არც მაღალი და არც დაბალი, არც გამხდარი და არც მსუქანი, ჩვეულებრივი როგორც მრავალი სხვა, სახელად ერქვა კირილე და გვარი ჰქონდა ისე უბრალო, რომ მისი ხსენებაც არ ღირს. მხოლოდ ერთ რამეში განსხვავდებოდა კირილე. ნერვები ჰქონდა აშლილი და სულ მცირე მიზეზიც საკმაო იყო იმისათვის, რომ ძილი გასტეხოდა. ერთი საღამო კირილეს ცხოვრებაში ბედნიერი ეჩვენა. კირილემ მიდვა თავი ბალიშზე და თვალები მილულა, მაგრამ აქაც უმუხთლა ბედმა: ის იყო თვალს ძილი ეპარებოდა, როცა უცბად გაისმა მთელ ქალაქში ქარხნის საყვირების გუგუნი, თითქო ზარების რეკაც მოესმა და მეხიც კი გავარდა.

— რა მოხდა? ქვეყანა ხომ არ ინგრევა?—შიშით შეეკითხებოდა გარედ გამოსულ კირილე ქუჩაში მიმავალ ხალხს.

— კი არ ინგრევა, შენდება!—უპასუხეს ერთხმად კირილეს.დღეს იხსნება საქართველოს პროფკავშირების კოოპერატიული

## გამომცემლობა „შრომა"

ერთ დღეს კირილემ რუსთაველის პროსპექტზე უცნაურად აჭრელებული ვიტრინა დაინახა. იფიქრა, ეს ალბათ ყვავილების მაღაზია იქნებაო და მიაშურა. მაგრამ მივიდა თუ არა ახლოს, ვიტრინაში დაინახა ულამაზესი გამოცემები ახალი წიგნებისა, რომლებიც ბრმებსაც კი აღაფრთოვანებდენ კითხვის სურვილს.

— რა იაფია.-ყველა წიგნი! გაიფიქრა კირილემ.

კიდევ რაღაც უნდოდა ეფიქრა, მაგრამ ამ დროს თვალი მოჰკრა ერთ თავის დიდი ხნის უნახავ მეგობარს, რომელიც პაეროპლანივით მოჰქროდა „შრომის" წიგნის მაღაზიისაკენ. კირილეს ეგონა, რომ მეგობარი მისკენ მირბოდა. შეეგება, მაგრამ სახტად დარჩა:




— სად მაქვს შენთან ლაპარაკის დრო,—შეუღრინა მეგობარმა,—ნუ მაჩერებ! გამომცემლობა „შრომა"-ში წიგნები უნდა შევიძინო! ხომ იცი, რომ „შრომას" მიერ გამოცემული წიგნები არის ყველაზე უფრო საინტერესო,

## იაფი და ულამაზესი გამოცემები!

— „შრომას" დაუპყრია ეს ქვეყანა!—გაიფიქრა კირილემ და გადასწყვიტა გაქცეულიყო ტფილისიდან.

იმავე ღამეს ჩაჯდა მატარებელში და პროვინციის ერთ მიყრუებულ დაბაში გაემგზავრა.

როგორი იყო კირილეს განცვიფრება, როცა აქაც პირველად თვალში შეეჩხირა გამომცემლობა „შრომა"-ს განყოფილება. ერთი დაბიდან კირილე მეორეში გადავიდა, მეორედან მესამეში და ყველგან—ბორჯომში, ჭიათურაში, ზესტაფონში, ქ. ქუთაისში, ბათომში, საჩხერეში—პირველად „შრომის" განყოფილებებს ხვდებოდა.

— რას იზამ,—გაიფიქრა კირილემ,—როგორც ჩანს, დაუპყრია გამომცემლობა „შრომა"-ს




## პროვინციაში ყველგან აქვს თავისი განყოფილება!

ამ ფიქრში იყო კირილე, როცა სოფლიდან საგანგებოდ ჩამოსული თავისი ნათლიმამა დაინახა.

— წამოდი ჩემთან სოფელში!—მიიპატიჟა ნათლიმამამ.—რას გავხარ, კაცის ფერი არ გაქვს, მოხარშულ ზიახავით დაგმანჭვია პირისახე. წამოდი და მოგასულიერებ.

სიხარულით გაყვა კირილე. ჩავიდნენ სოფელში. სოფლის შარა გზაზე ქოხის წინ გლეხი დაინახა. გლეხი ისეთი გატაცებით კითხულობდა, რომ გამარჯვების დაძახებაზე კირილეს და მის ნათლიმამას პასუხიც არ გასცა.

— უზრდელი ყოფილა! უკმაყოფილოდ სთქვა კირილემ:

— უზრდელი კი არა „შრომას" მიერ გამოცემულ წიგნს კითხულობს! მიუგო ნათლიმამამ.

მაშინ კი მიხვდა კირილე, რომ ყველა გონიერი ადამიანი, ყველა ის, ვისაც უნდა ცოდნა შეიძინოს და თვალში გამოიხედოს, „შრომა"-ს გამოცემებს იძენს და კითხულობს.

ამ საღამოს ნათლიმამამ ჩინებულად გაუმასპინძლდა თავის სტუმარს. აღფრთოვანებულმა კირილემ პირველად ასეთი სიტყვებით მიმართა ყველა იქ მყოფთ:

## ყველამ უნდა შეიძინოს გამომცემლობა „შრომა"-ს წიგნები!

## „შრომა" ერთად-ერთი გამომცემლობაა, რომელიც მკითხველს აწვდის იაფ ფასში შინაარსით მდიდარ და ლამაზათ გამოცემულ წიგნებს!

ა.-კ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზ-ება

# „ზაკცპო“

ემსახურება ამიერ-კავკასიის რკ. გზის მუშა-მოსამსახურეებს




## საზოგადოების წევრთა რიცხვი დღეს 30.886

| | | | |
|---|---|---|---|
| მაღაზიები | 36 | რონოდა-დუქანი | 14 |
| ფარდულები | 44 | ხორცის სავაჭრო | 9 |
| სასადილო | 3 | მწვანილეულობის | 4 |
| ფურნე | 30 | ძეხვის ქარხანა | 1 |
| პურის სავაჭროები | 33 | საშაქარლამო ქარხ. | 1 |

**წლიური სავაჭრო ბრუნვა 10.500.000 მანეთი.**

საქონელს იძენს ცენტრალიზაციის წესით მოსკოვში და ლენინგრადში.

ფასების დაკლება საშუალო რიცხვით გატარებულია 10 პროც.

**წევრთა მეთვალყურეობა:**

სადუქნო საკონტროლო კომისია 75.
კომისიებში აქტიურად მუშაობს 675 კაცი; ამაში 30 პროც. დიასახლისი და 20 პროც. ახალგ.

**საზოგადოებრივ-კულტურული მუშაობა.**

სავაჭრო ერთეულები გატარდენ და ტარდებიან კოოპერატიულ კურსებზე.
მოწყობილია ცენტრში და ხაზზე 13 კოოპერატიული წრე 400-მდე მსმენელით.

# საქ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის განყოფილებები

(ტფილისი, თავისუფლების მოედანი—ქარვასლა ტელ. 7-71, 18-94)

## მოსკოვში,
## ხარკოვში,
## დონის-როსტოვში
## და ბაქოში

ს. ს. რ. კ. მ | გ. ინსპექციის მიერ ცნობილია

## საქართველოს გაერთიანებულ სავაჭრო აპარატად.

ამის მიხედვით აღნიშნული განყოფილებები

## აწარმოებენ:

საქ. მწარმოებელ ორგანიზაციების პროდუქციის განაღდებას საკავშირო ბაზარზე,
მათის დავალებით ნედლეულის, მასალისა და საქონლის შეძენას
და სხვადასხვა კომერციულ ოპერაციებს.

Б. 403

## მიიღება ხელის მოწერა

# ყველა გაზეთებზე და ჟურნალებზე

ფოსტა-ტელეგრაფის წარმოებათა, სააგენტოების, სოფლის წერილების დამტარებლების და ფოსტის სააგენტოების მიერ.

ნ. 389. ა-კ. ფ.-ტ. სამმართველო.

---

### ტფილისის ალმასკომის

1-ლი

# ლუდის ქარხანა

ამზადებს

## საუკეთესო ხარისხის ლუდს

მოითხოვეთ ყველგან!

ნ. 397. კამოს ქ. № 68.

---

## ტფილისის საოლქო ფ-ტ კანტორა

ამით აცხადებს **საზოგადოების საყურადღებოდ,** რომ საფოსტო **კავშირის მასსასთან დაახლოვების და უფრო ფართოთ სარგებლობის მიზნით, ბინებზედ** წერილების დამტარებლებს, როგორც სოფლად, ისე ქალაქში დავალებული აქვთ

**საფოსტო ნიშნების გაყიდვა და შეკვეთილი წერილების მიღება**

მათვე ევალებათ, როგორც ადგილობრივ, ისე მთელ საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში გამომავალ ყველა პერიოდიულ გამოცემებზე **ხელის მოწერის მიღება** გამოცხადებულ ფასებში ყოველგვარ ზედმეტი ხარჯების გაუღებლად.

წერილების **დამტარებლები ვალდებულნი არიან** შეკვეთილ წერილებზე და პერიოდიულ გამოცემებზე ხელის მოწერის მიღების დროს გამგზავრელთ მისცენ ფულის გადახდევინებაში **სათანადო ქვითარი.**

ყოველგვარ დამატებითი ცნობების და განმარტებების მიღება ზემოხსენებულ საკითხებზე შეიძლება შემდეგი მისამართით: **პლეხანოვის გამზირი № 44. ტელეფონი № 16-72.**

საოლქო კანტორის უფროსი კუპრავა. საქქსპ. განყ. გამგე კაკაურიძე.

საქართველოს სახკინმრეწვის
მორიგი გამოშვება

# „მაქსიმ მაქსიმიჩ"

(კავკასიელი ტყვე) ლერმონტოვის მიხედვით

დადგმა **ვ. ბ. ბარსკის**

ოპერატორები ა. პოლიკევიჩი და ვ. პოზნანი

**მთავარ როლებში:** ზოია ნევინსკაია, ბელა ბელეცკაია, ნ. პროზოროვსკი, კ. ობოლენსკი და სხვები.

თვალყური **ადევნეთ**
დადგმის დღეს

# შპალიერს

საქართველოს საბინაო კავშირის მაღაზია № 3

(თავისუფლების მოედანი № 2 ყოფ. თამამშევის ქარვასლა).

## სთავაზობს

ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს და სახელმწიფო, სამეურნეო დაწესებულებებს მეტად ხელსაყრელ ფასებში და შეღავათიან პირობებში.

შპალიერის დიდი არჩევა.

მიღებულია შპალიერის ახალი ტრანსპორტი მოსკოვის და ლენინგრადის

ტრესტებიდან.

ტფილისის სააქციო საზოგადოება

# „ციფცორბ"-მა

სომხის ბაზარზე № 6

## გახსნა გახსნა

რკინეულობის საცალო მაღაზია

შეიძლება საქონლის ფართოდ შერჩევა.

## ამიერ-კავკასიის

# საზვაჭრობა

## საექსპორტო-საიმპორტო კანტორა

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. კავშირში ს. ს. რ. კ. შინავაჭრობის სახკომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსთან.

## გამგეობა ქ. ტფილისში

**განყოფილებები:**
ბაქოში, ბათომში, ლენინაკანში,
ერევანში, მარკარში.

წარმომადგენლობა--მოსკოვში. განყოფილებები და კანტორები თავრიზში და მთელ სპარსეთის აზერბეიჯანში.
წარმომადგენლები ოსმალეთში.

**ამზადებს** სპარსეთის და ოსმალეთის საქონელს:

გამხმარ ხილს, (საკუთრთად კალიფორნიული გახმობა)
ნუშს, ტყავს, ხვადაგ საქონელს, ტყავს მატყლს, სამელნე
კაკლეულს, ბამბას, რძეულ ნაწარმოებს და ახალ ხილს.

**აწარმოებს** აღმოსავლეთში ექსპორტის გასიდვას:

ნავთის, შაქრის, ფართლეულის
და საგჲოთა წარმოების
ყოველნაირ საქონლის გატანას.

## სპარსეთის საქონლის გასასაღებელი საწყობი
## ტ ფ ი ლ ი ს შ ი.

Б. 402

# ბორჯომის მინერალური წყლის სამმართველო

რუსთაველის გამზირი № 10. ტელ. 6-78

**საწყობები:** რუსთაველის გამზ. № 10 და 83
პლეხანოვის გამზ. № 93

## წყლის ფასი საწყობებიდან

═══ არა ნაკლებ 20 ბოთლისა ═══

ადგილზე მიტანით უპურჭლოთ—24 კაპიკი,

პურჭლით—30 კაპიკი.

ცარიელი ბოთლები მიიღება ხელიმწყლ-საწყობებში განუსაზღვრელი რაოდენობით.

ცალი 6 კაპიკ.

მუშაობა სწარმოებს 8—4 საათამდე.



სააქციო „საქართველოს ჩაი“ საზ-ბა

მიზნად ისახავს ს. ს. ს. რესპუბლიკაში

ჩაის კულტურის განვითარებას, ჩაის პლანტაციების ექსპლოატაციას და აგრეთვე ჩაის დამზადებას და გასაღებას.

## ამ საზოგადოების ძირითადი თანხა უდრის 5.000.000 მ.

დამფუძნებელთა შორის ირიცხებიან:

ს. ს. ს. რ. მიწსახკომი
აჭარისტანის ავტ. რესპუბ. მიწსახკომი
აფხაზეთის ს. ს. რ. მიწსახკომი
რ. ს. ფ. ს. რ. მიწსახკომი

ს. ს. რ. კ. ჩაის სამმართველო
ცენტრალ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი
ა-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი
ს. ს. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი

სააქციო საზოგადოებას მამულები და ჩაის პლანტაციები აქვს:

ჩაქვში, სალიბაურში, კაპრეშუმში და ახალ სალიბაურში.

სააქციო საზოგადოების გამგეობა იმყოფება ქ. ტფილისში

მისამართი: ქ. ტფილისი, რუსთაველის გამზირი № 25. ტელეფონი 10-46.

ქ. ტფილისის კოოპერატიულ ორგანიზაციების გემო-კვების მრეწველობის საწარმოო გაერთიანების საპაიო ამხანაგობა

# წარკოოპმა

ფასები დაუკლო თავის ქარხნების ნაწარმოებს.

მაკარონის—მაკარონი, ვერმიშელი, კრახმალი, ლილა
საშაქარლამო—კონფეტები, შოკოლადი, კარამელი
გალეტის—ნამცხვარი, ხაბაზის ფქვილი, ქატა

მუდამ იშოვება ახალი და კარგი თვისების უსუროგატო პროდუქტები.

შეგიძლიათ რამდენიც გინდათ იმდენი იყიდოთ.

სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებს შეღავათი.

გამგეობის მისამართი: ფორეხის ქ. № 5 (ყოფ. კირკის ქ. ტელ. № 21—75). ნ. 395

მოითხოვეთ

მუშკოოპის, „ზაკტპო"-ს და „გოეც"-ის ყველა მაღაზიებში

საქართველოს მევენახეობის კოოპერატიული ნაწარმოები

# „საქართველოს ღვინო"-ს

ღვინო—კახური, იმერული და „ხვანჭკარა"
არაყი,
კონიაკი,
ლიქიორები.

„საქართველოს ღვინო" აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა მევენახე-მეღვინეთა კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

ყოველგვარ ნაწარმოებზედ ფასები საგრძნობლად

დაკლებულია

ნ. 400

ანონსი ანონსი

ამ დღეებში!!

კინო „პალას“-ის

საზაფხულო
დიდი კინო-თეატრის
გახსნა





საქართ. პროფ. კულტგანყოფილებ.

კინო-სექცია

ტფილისი. შრომის სასახლე.

მიღებულია პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის მისაყიდავათ კინო-კომპლექტები გაძლიერებულ და ჩვეულებრივ მოდელისა, კინო-აპარატები „პ ა ტ ე“ და კინო მამოძრავებლები „პატე—რუს“. ფასები ხელმისაწდომია.

კინო-სექციასთან გახსნილია საგანგებო კინო-შემკეთებ. სახელოსნო,
რომელსაც აქვს უახლესი სახარატო დაზგები.
აპარატების შეკეთებას აწარმოებენ სპეციალისტ.
სექციას აქვს აპარატ „პატეს“ ყველა სათადარიგო ნაწილები. კინო-ნახშირი იყიდება საფაბ. ფასებში.

აპარატები ქირავდება.



მოქალაქენო!

თქვენი ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს, რომ სვათ მხოლოდ

მ. ლაღიძის საუკეთესო, ხელოვნურად მომზადებული
ხილეულ-მადნეული
და სამკურნალო
წყლები,

რომლებიც მომზადებულია
უმაღლესი, ნამდვილი, რჩეული ხილეულობის წვენისაგან,
ნადული წყლით უალრესათ
გაუმჯობესებულ აპარატებზე.

უკვე დაიწყო სიცხე,
დგება გული და ალი,
რა გეშველებათ თუ კი
არ სვით ლაღიძის წყალი?

ფირმა პასუხისმგებელია მხოლოდ იმ წყლის ღირსებაში,
რომელიც შეძენილი იქნება პირდაპირ ქარხნიდან, ან მისი საკუთარი
განყოფილებიდან.

რუსთაველის პროსპექტი № 18.

ნ. 396

# ფოტოგრაფია ქვანია-ში

იღებს

ყოველგვარ ფოტოგრაფიულ სამუშაოს.

შესრულება დროული და კეთილსინდისიერი.

აქვე შეიძლება ბელადების სურათების შეძენა.

რუსთაველის გამზირი № 8.



# ტყავეულობის ტრესტი

აცხადებს

მომხმარებელთა საყურადღებოთ,

რომ სეზონის დაწყების გამო

ტყავტრესტის ნაწარმოები

საზაფხულო ფეხსაცმელებით ვაჭრობა სწარმოებს გარდა საკუთარ სავაჭროებისა, აგრეთვე შემდეგ
— მაღაზიებში —

1. საქ. სახ. ვაჭრ. „გრუზგოსტორგ“ მაღაზია № 2—კომინტერნის, 15 (ყოფ. სასახლის).

იმავე დაწესებულების მაღაზია № 5, სადგურის ქუჩა № 2.

2. „ზაკტპო“-ს მაღაზია № 5, პლეხანოვის პრ. № 101.

ტყავტრესტის
6. 418 მმართველობა.


## № 102 ტარტაროზი-ს № 102

# სპეციალური სამოსწავლო ნომერია

თანამშრომლებს ვთხოვთ დროზე მოგვაწოდონ მასალები.

# „ტარტაროზი"-ს შტაბი



სტრატეგიული მზადება შემდეგი ბრძოლისათვის

ალმასკომის სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

№ 101 | კვირა, 22 მაისი 1927 წ. | № 101



50 მანეთი სურათზე უკეთესი წარწერისათვის

იხილე მეხუთმეტე გვერდი

# „ტ ყ ე“
# მეიერჰოლდის თეატრი



— რა პიესა მიდის დღეს?
—„ტყე“.
— საიდან იცი რომ „ტყე“ მიდის? სცენაზე არაფერი მაგის მსგავსი არ არის!
— სცენაზე არ არის, მაგრამ აფიშებიდან ვიცი, რომ „ტყე“ არის.

# პროკოპი, რომელიც დაწინაურდა

— დიაღ ამხანაგებო,—ამბობდა პროკოპი პროვინციის პატარა წარმოების თათბირზე,—მე, ამ ქარხნის გამგე, ვამტკიცებ, რომ თანამედროვე მომენტი მეტად გართულებულია და ჩემბერლენი იქამდე მივიდა, რომ ჩვენ სავაჭრო წარმომადგენლობაში ურიდერიდ შედის და იქიდან პაპიროსებს და სხვა პროდუქტებს იპარავს. ამიტომ საჭიროა ჩვენი ქარხნის მდგომარეობას ჩაუკვირდეთ და შრომის ნაყოფიერების აწევის შესახებ შესაფერი რეზოლიუცია გამოვიტანოთ. რაც შეეხება ჩან-კაი-შის, თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ იგი კონტრ-რევოლიუციონერია და ინგლისის ბურჟუაზიისაგან ქრთამებს იღებს. ჩან-კაი-შიმ გაფლანგა ჩინეთის ხალხის ნდობა და მას, როგორც გამფლანგველს სასტიკ ზიზღს უცხადებენ. აქედან ცხადია, რომ ჩვენ უფრო მეტი პროტესტი უნდა გამოუცხადოთ ჩვენს ყოფილ მოლარეს, რომელმაც არა თუ ჩვენი ნდობა, ჩვენი ფულებიც გაფლანგა და მიითვისა. გამოვდივარ რა ამ მოსაზრებიდან, მოგიწოდებთ ჩავეწეროთ ფიზკულტურის წრეში, რომ გავსამხედროვდეთ და გასამხედროებულ-გაფიზკულტურებულ სხეულით შევუდგეთ მშვიდობიან მშენებლობას სანიტარულ-კულტგანვითარების დარგში. ამასთან დაკავშირებით, ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ ამჟამად მრეწველობის რეკონსტრუქციას დაკვირითი ყურადღება ექცევა, ამ საქმეში კი პირველი ადგილი დაწინაურებას უჭირავს. დაწინაურება სასარგებლო საქმეა. ამას თქვენ ხედავთ იქიდან, რომ მე, ყოფილმა ზავხოზმა (რომელიც შემდეგ დავწინაურდი), სათავეში ჩაუდექი ამ ქარხანას და შრომის ნაყოფიერება 25 პროცენტით ავწიე მენშევიკების დროსთან შედარებით. ამიტომ მოგიწოდებთ აქედანაც დამაწინაუროთ და ცენტრის რომელიმე წარმოებაში წარმადგინოთ, როგორც კარგი „ხოზიასტვენიკი“.

— გავგზავნოთ, დავაწინაუროთ!—წამოიძახა ერთმა: კრებაზე ჩოჩქოლი ატყდა. პროკოპის ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, რადგანაც არსებითად პროკოპი ვერაფერი შვილი „ხოზიაისტვენიკი“ იყო.

— სად გავგზავნოთ, აქ ვერაფერს აკეთებს, იქ ხომ სულ წაახდენს საქმეს? გაიძახოდენ ზოგიერთები.

— სუთ, კაცო, წავიდეს!—ჩუმად ეუბნებოდა მათ მეორეხი, აქ მაგის ადგილას თავიანი ვინმე მოვიწვიოთ, წავიდეს, სულერთია, ქალაქში მაგას არავინ მიიღებს ხეირიან ადგილზე.

მართლაც ამ უკანასკნელთა რჩევამ გასჭრა, პროკოპი დააწინაურეს და ქალაქში გაგზავნეს, ქარხნის გამგეთ კი ერთ-ერთი დაზგის მუშა აირჩიეს.

დაწინაურებული პროკოპი ქალაქს ეწვია. პორტფელი გავსებული ქონდა მანდატ-მოწმობებით და... უბრალო ქაღალდებითაც. იგი დარწმუნებული იყო, რომ როგორც დაწინაურებული კაცი, თავისუფლად იშოვიდა ადგილს წარმოებაში, ან დაწესებულებაში. დაწესებულება უფრო ეხალისებოდა პროკოპის, რადგანაც ახალგაზრდობიდანვე ქაღალდების და მემანქანე ქალების მოყვარული იყო.

— თუ გამგის თანაშემწედ მაინც მიმიღეს, გიყვარდეს მაშინისტკებში და რეგისტრატორშებში ქეიფი!—ფიქრობდა იგი.

მართლაც, პროკოპი, როგორც დაწინაურებული, თავაზიანად მიიღეს საბჭოთა ერთ-ერთ დაწესებულებაში.

— თქვენი ძირითადი პროფესია?—კითხა მას დაწესებულების გამგემ.

— პროკოპის ძირითადი პროფესია არ ქონდა, ქარხნის სამნეო ნაწილის გამგეობა პროვინციაში მან პროტექციით მიიღო და მერე იმავე პროტექციით, იმავე ქარხნის გამგეობაც დაისაკუთრა. პროკოპიმ იცოდა, რომ ხელსაყრელი უფრო რომელიმე დაბალი პროფესია იქნებოდა ამიტომ უპასუხა:

— მე გახლავართ ძველი დაზგის მუშა, ვიყავი მონტიორადაც, მელითონედაც, კანალიზაციის გამყვანადაც და ბოლოს ქარხნის გამგედაც, ასე რომ ნამდვილი მუშა-პროლეტარი ვარ, და როგორც მუშური ელემენტი დამაწინაურეს. ხომ იცით, თანამედროვე მომენტის რევოლიუციონიზმით გაჟღენთილ ატმოსფერულ პროდუქციის ხანაში დაწინაურებას დიდი ყურადღება ექცევა, ამიტომ პროლეტარული მდგომარეობა...

გამგეს გული კინაღამ შეუღონდა პროკოპის მჭერმეტყველობით და შეაჩერა იგი.

— მაინც რომელი ადგილი გირჩევნიათ?

— რომელიმე განყოფილების გამგეობა ჯობია, ან თქვენი თანაშემწეობა, რადგანაც თანამედროვე პროდუქტიური სიტუაცია...

— კმარა, მეგობარო,— ისევ შეაწყვეტია გამგემ.— დაგნიშნავთ სტატისტიკურ განყოფილებაში.

პროკოპი დაინიშნა სტატგანის უფროსად. ერთი კვირის შემდეგ სტატგანში ყველაფერი ყირამალა დადგა. ეს არც იყო გასაკვირალი: პროკოპიმ სტატისტიკის არაფერი იცოდა. ერთი თვის შემდეგ პროკოპი ბუღალტერიაში გადაიყვანეს, მაგრამ ორი დღის შემდეგ მოანგარიშეები აჯანყდენ და კინაღამ გაიფიცენ. საქმის გამოსასწორებლად პროკოპი საფინანსო - განყოფილებაში დაასკუპეს. იქ ისე არივ-დარია პროკოპიმ ყველაფერი, რომ როგორც იტყვიან, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა.

ბოლოს პროკოპი ისევ გამგემ დაიბარა.

— სამწუხაროდ, განყოფილებების თანამშრომლები არ არიან თქვენით კმაყოფილი!—უთხრა პროკოპის გამგემ.

— რომელის?

— აი, თუნდაც სტატისტიკის.

— კი მაგრამ სტატისტიკა, როგორც ასეთი, ჩემი საქმე არ არის. თქვენ იცით, რომ მიმდინარე მომენტში, როცა ჩან-ძო-ლინი ინგლისის ბურჟუაზიას ელაქეიბა, სტატისტიკა ვერ დააკმაყოფილებს ფართო მასების მოთხოვნილებას, ამიტომ...

— რა შუაშია ჩან-ძო-ლინი,—გააწყვეტინა გამგემ.— ვერც ბუღალტერია შეითვისეთ.

— მე, როგორც პროლეტარული ელემენტი, ბუღალტერიას ვერ ვიტან. თქვენ იცით, რომ ბუღალტერია იწვევს ქაღალდების ხარჯვას, წერას და დებიტორ-კრედიტორობას, ეს ხომ ვოლოკიტა და ბიუროკრატიზმია, ამიტომ ლუმპენ-პროლეტარიატის აგრეგატული დეპრესია...

— კმარა მეგობარო!—ისევ შეაჩერა გამგემ პროკოპი თქვენ ვერც საფინანსო დარგში ივარგეთ.

— მართალია, მე არ მიყვარს ფინანსები.—დინჯათ სთქვა პროკოპიმ.—განა თქვენ არ იცით, რომ ფინანსები მტკიცეთ დაკავშირებულია ფინანსისტებთან, ანუ კაპიტალისტებთან? ამიტომ, მე, როგორც ინტერნაციონალური ბატრაკი, ვერ ვეგუები კაპიტალიზმს და ფინანსიზმს. პირიქით, ვებრძვი კიდეც ბურჟუაზიას. ამ ბრძოლაში თქვენც ჩემთან უნდა იყოთ და თქვენ კი... მისაყვედურებთ! ეხ... აი ბაზა, რომელზედაც...

გამგე უკვე კარებში იდგა. ხელში ქუდი ეჭირა.

— ხვალ მოვილაპარაკოთ,—მიაძახა მან ამეტყველებულ პროკოპის და გაიქცა.

მეორე დღეს პროკოპის გამოუცხადეს, რომ იგი დათხოვნილია, ელდანაკრავი პროკოპი აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ყველგან უარი მიიღო.

---

პროკოპი ისევ დაბრუნდა პროვინციაში და „დამაწინაურებულ“ მუშებს ესტუმრა. მის ადგილას უკვე სხვა აერჩიათ.

— ამხანაგო პროკოპი, დაგაწინაურეთ და ისევ დაბრუნდი?—ეშმაკური ღიმილით ეკითხებოდენ მას მუშები, რომლებმაც პროკოპი სიამოვნებით მოიშორეს თავიდან.

— დავბრუნდი მეგობრებო! მართალია იქ, ქალაქში დიდი თანამდებობები მეჭირა და ავტომობილებიც მყავდა, მაგრამ ჩემი წმინდა პროლეტარული ბუნება ვერ შეეჩვია ავტომობილებს.—სტყუოდა პროკოპი.—მე მინდა მუშებში ვიყო, ახლო ვიდგე ფართო მასებთან და ასე ვიდგე საბჭოთა პლატფორმაზე. მე დაგიბრუნდით თქვენ, რომ ისევ მივიღო ქარხნის გამგეობა. მართალია იქ მეტი ჯამაგირი მქონდა, მაგრამ არა უშავს, ესეც მეყოფა.

— კი მაგრამ გამგეთ ჩვენი ოსტატი იოსებია!

— მერე რა უყოთ, ის დავაწინაუროთ, დიდ ადგილს მისცემენ, მე კი აქ, თქვენთან ვიქნები, ხომ იცით, თანამედროვე მომენტი...

პროკოპის ორატორულმა ნიჭმა ველარ გაჭრა. იგი აღარ დააბრუნეს ძველ ადგილას. ამჟამად იგი ქობ-სამკითხველოს გამგის ადგილს თხოულობს.

ალლარ-ალლარხან.

---

**მსოფლიოს ოქროს მარაგის ნახევარზე მეტი ამერიკის ხელშია. ამერიკა ყვლეფს მთელ ქვეყანას და თავის პროლეტარიატს. ეს კარიკატურა ამოღებულია უცხოეთის ჟურნალიდან. მუშა წერაქვს სცემს კაპიტალისტს მუცელში, რომლიდანაც მოცვივა შიგ დაგროვილი ოქროები.**



# შესანიშნავ მოღვაწეთა ალბომი

## წინასიტყვაობა

ლორდ კერზონი სულ ორი წლის წინათ აფორიაქებდა ევროპის თანამედროვე ცხოვრებას; ის ერთი პირველთაგანი იყო ცხოველთა იმ იშვიათ ჯიშის, რომელიც ჯერ-ჯერობით დიდი ბრიტანეთის სინამდვილეში მოიპოვება, და ცნობილია „შუბლმაგართა" სახელწოდებით, მერე რათ გაჰქრა ეს ყოველმხრივ შესანიშნავი არსება ასე უსახელოთ, ასე უკვალოთ ჩვენი ცხოვრების ზედაპირიდან, რათ დაიღუპა ეს ბუმბერაზი ადამიანი, რომელიც ერთ დროს ძილს უფრთხობდა საბჭოთა კავშირის ძუძუმწოვარა ბავშვებს, რათ შეიქნა ლორდ კერზონი რაღაც უმნიშვნელო მუწუკის მსხვერპლი?

ზოგი ხეპრე და წინდაუხედავი მოსაუბრე ამ კითხვაზე ასე უპასუხებს ხოლმე: „

— იმიტომ, რომ თვით ლორდი კერზონი, კონსერვატორული ინოლისის თვალის ჩინი და სიამაყე წარმოადგენდა უდიდეს მუწუკს, კაცობრიობის უკანა ნაწილზე ამოსულს, რომელიც მოსვენებით დაჯდომის საშუალებას არ აძლევდა ამ კაცობრიობას!

მიუტევოთ ამის მთქმელთ დანაშაული, რამე თუ არ იციან, რასაც ამბობენ, არ იციან, რაოდენ შეურაცხოფას აყენებენ ბუმბერაზი ადამიანის მტრედივით წმიდა სულს, რომელიც ვინ იცის, სამოთხის რომელ კუნჭულში, რომელ ხის რომელ ტოტზე არის დასკუპებული და ოქროსფერ ნისკარტით კორტნის მშვიდობიანობის მწვანე ყლორტს!.. საწყალი კერზონი! მოგვიტევოს მან ის უსიამოვნება და დამცირება,რომელსაც ხშირათ ვაყენებდით ხოლმე მას ჩვენი საპასუხო ნოტებით ჟამსა შინა მისი მინისტრობისათა დიდი ბრიტანეთის მთავრობაში, როდესაც ის მთელი მისი კეთილშობილური გატაცებითა და თავდადებით ცდილობდა დამოკიდებულების გამწვავებას ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ომის გამოწვევასაც კი.

როგორღა ვექცევით ჩვენ შუბლმაგართა ცოცხლათ დარჩენილ წარმომადგენელთ, რომელნიც მაგარი შუბლით აწვებიან ცხოვრების მუხანათურ განვითარებას და მთელი ძალ-ღონით, ღვთაებრივი მკლავებით ცდილობენ ცბიერი ისტორიის ჩარხის უკუღმა შემოტრიალებას, ცხოვრების შემობრუნებას წარსულისაკენ?

სირცხვილით ვიწვით, როდესაც ასეთ კითხვას ვაყენებთ ხოლმე ჩვენი ჟურნალის პლენუმის დღის წესრიგში! პირდაპირ ბრაზი გვახრჩობს, როდესაც ვერ ვპოულობთ შუბლმაგართა რომელიმე სახელოვან წარმომადგენელის სურათს ჩვენი რედაქციის ალბომებში და ძეგლთ საცავებში!

— რასა ჰგავს ეს? როდემდის უნდა გაგრძელდეს ჩვენი კადნიერი, უპატივცემულო მოპყრობა შუბლმაგართა სახელოვან წარმომადგენელთადმი?

— როდის იქნება, რომ ტარტაროზის რედაქცია თავს მოუყრის შუბლმაგართა კოლექციას, შეაგროვებს მათ სურათებს, რათა საჭიროების დროს არ გვიხდებოდეს მტვრიან და ნესტიან არხივებში ხელის ფათური?

რამდენჯერ მიმიმართავს ასეთი კითხვით ტარტაროზისადმი! მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ის ყურსაც არ იბერტყს.

ბოლოს გადავწყვიტე, თვით შევუდგე ამ მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო საქმის მოგვარებას და შევადგინო თანამედროვე ინგლისის ყველა გამოჩენილ მოღვაწეთა ალბომი, რათა შთამომავლობამ ნათელი წარმოდგენა იქონიოს მათი პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ.

გადავწყვიტე და შევუდექი კიდეც საქმეს. პირველათ ჩემი ყურადღება ლორდი ბირკენხედის სურათის შეძენისაკენ იყო მიქცეული. ვფიქრობ, რომ თუ ვინიცობაა უფალმა ინება და ამაყი ლორდის სული მიიბარა იმ წესითა და საფუძველით, როგორც ეს ჩაიდინა მან კერზონის მიმართ, ჩვენ საშუალება უნდა გვქონდეს ბირკენხედის სურათით შევამკოთ სათანადო ადგილები.



### ლორდი ბირკენხედი

ეს სურათი, რომელიც ჩვენს წინაშე დევს, მართალია, ფოტოგრაფიულია და უკანასკნელათ არის გადაღებული, მაგრამ მცოდნე სპეციალისტების სიტყვით; სავსებით მაინც ვერ გადმოგვცემს შუბლმაგართა ბელადის გამომეტყველების ყველა დამახასიათებელ ნაკვეთებს, მის შინაგან ბუნებაზე და კეთილშობილურ გრძნობების შესახებ ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება.

მაშასადამე, აქედან ეს დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ საჭიროა ცოტაოდენი ახსნა-განმარტება გაუკეთოთ ბირკენხედის სურათს. ერთხელ კიდევ შავი ხაზი გაუსვათ მის მრავალმეტყველ ფიზიონომიას.

პირველ ყოვლისა თქვენს ყურადღებას იპყრობს ლორდის მაღლა აწეული წარბები და შუბლი. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს ისეთი ადგილებია, რომელზედაც დაყრდნობილია თანამედროვე ბრიტანეთის მთელი ძლიერება! ეს იმის ნიშანია, რომ მის პირად მდივანს დღეს, სწორედ რამდენიმე წუთით ადრე სურათის გადაღებამდე უცნობებია არასასიამოვნო ამბები ახალშენებში დაწყებულ განმანთავისუფლებელ მოძრაობისა და „წითლებისაც" ახალი გამოსვლების შესახებ.

ყურადღების ღირსია, რა თქმა უნდა, კეთილშობილ ლორდის ქალა, რომელსაც ოდნავ ჰფარავს მობილიზაციის წესით „დახუჭუჭებული" თმა, თავის ქალა სიგრძით არ ჩამოუვარდება ლორდის შუბლს. ალბად, ამით აიხსნება ის სამწუხარო მოვლენა, რომ ლორდის თავში ასეთი ძალის-ძალად შედის ყოველი ახალი აზრი: ხოლო მისი თავიდან ასე ძნელია გამოდევნა ყოველგვარი სისულელის, რომელიც მას ბლომად აქვს შეთვისებული მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

მაგრამ დავყვეთ ქვევით და ერთი წუთით შევჩერდეთ ლორდის თვალებზე. თუ მართალია ის აზრი, რომ ადამიანის თვალი სარკეა მისი სულიერი თვისებისა — ჩვენ ძლიერ უხერხულ მდგომარეობაში ვყოფილვართ ხოლმე ჩავარდნილი, რადგან ბირკენხედის სანახევროდ დახუჭულ თვალებში შეუძლებელია ყვლეა იმის დანახვა და ამოკითხვა, რასაც გრძნობს და განიცდის ინგლისის ალვირ ახსნილი იმპერიალიზმის ალვირახსნილი ხელმძღვანელი. ჩვენთვის

# იგი მას,—იგემოს!



— ეს რა რენტგენის კერძი მოგიტანიათ—ცარიელი ძვლებია!
— ეს იმიტომ, რომ... მე თქვენ გიცნობთ—ექიმი ბრძანდებით!

გაცილებით უმჯობესი იქნებოდა, რომ ბირკენხედის თვალები სავსებით და სამუდამოდ ყოფილიყო დახუჭული, რადგან მაზე დროს აღარ დავკარგავდით და სხვა გზით და სხვა საშუალებით შეუდგებოდით ლორდის ფსიხოლოგიურ თვისებათა განქიქებას. ყოველ შემთხვევაში ჩვენ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბირკენხედი მიბნედილი თვალებით კარგათ ხედავს ყველა იმ სასახელო მოქმედებას, რომელსაც ჩადიან ბრიტანეთის სამხედრო და საზღვაო ძალები ინგლისის ახალშენებში და ჩინეთში.

ახლა დავისვენოთ ცოტა ხნით ბირკენხედის ცხვირზე. როგორც არ უნდა მიუდგეთ და საითაც არ უნდა მივაქანმოვაქანოთ ეს ცხვირი, მას მიმართულებას ვერას გზით ვერ შეუცვლით; მისი ყნოსვა სავსებით მიმართულია საბჭოთა კავშირისაკენ; და ვინაიდან მცოდნე კაცები ამბობენ, რომ ბირკენხედი დაჯილდოვებულია იშვიათი ყნოსვითი უნარით, უფრო მეტათ, ვინემ ჩვენი სისხლის სამართლის მაძებარი ძაღლები, ჩვენთვის გასაგებია ის ღრმა ნაოჭი, რომელიც ცხვირის მარჯვენა ნესტოდან მიმართებია ქვემოთ და თითქმის ორ უთანასწორო ნაწილად ჰყოფს ბირკენხედის მარჯვენა ლოყას; ალბათ ბ-ნ ბირკენხედს მშვენივრად ჰქონდა გათვალისწინებული იმ ნოტის შინაარსი, რომელსაც ჩვენი საგარეო კომისარიატი გადასცემდა ბრიტანეთის მთავრობას არკოსისა და სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმის გამო; ის კი არა, მას ისიც კი ექნებოდა გათვალისწინებული, თუ რა დიდ სირცხვილს სჭამდა თემთა პალატაში ბირკენხედის მარჯვენა ხელი ჯოინსონ ხიკსი ჩხრეკის შესახებ მოცემულ შეკითხვაზე პასუხის გაცემის დროს. მაგრამ ყველა ამას ბირკენხედი არ შეუშინდა და ერთი სიტყვითაც არ გააფრთხილა ჯოინსონ ხიკსი; ასეთი უშიშროება და შეუპოვრობა ახასიათებს ხოლმე ბირკენხედსა და ყველა შუბლმაგართ.

— ბირკენხედის ტუჩები და პირი იმას ნიშნავს, რომ ისინი მუდამ მზათ არიან იუდისებური ამბორი უყონ ყველა მათ, ვინც მიენდობა ბირკენხედის ცბიერ პოლიტიკას

არაფერს ვიტყვით ბირკენხედის ნიკაპის შესახებ. თუ ოდესმე გამარჯვება უწერია ინგლისის მუშათა კლასს, ამაზე უფრო მოხერხებულ ნიკაპს ამოსაკრავად მუშები ვერასოდეს იპოვიან.

—რაღას ნიშნავს ბირკენხედის მარცხენა ხელი, გულზე დადებული? იმას რომ პატივცემულ ლორდს უნდა როგორმე დაფაროს ის ძლიერი გულისძგერა, რომელსაც მასში იწვევს ჩინეთის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა და სხვა ასეთი არა სასიამოვნო ამბები.

— რას ნიშნავს, რომ ბირკენხედს მარჯვენა ხელი ღრმად ჩაუყვია ჯიბეში?

— იმას, რომ ბირკენხედს, ასეთ გართულებულ პირობებში, ასეთ შინაურ და გარეულ აწეწილ დაწეწილ მდგომარეობაში, ერთად ერთი იმედი აქვს თავის ჯიბის. „ჯიბე სქელი იყოს, თორემ ყოველგვარ დაბრკოლებას ადვილად დავსძლევთო“, ხშირად იტყვის ხოლმე პატივცემული ლორდი.

მაშასადამე, მაგარი შუბლი, სქელი ჯიბე,—აი ნიადაგი, რომელზედაც ეყრდნობა ინგლისის კონსერვატიული მთავრობის საუკეთესო წარმომადგენელი ლორდი ბირკენხედის პოლიტიკა.

— საერთოდ „ანგლისკი ლორდ—დურაკ ი გორდ“—ასე შეიძლება ბირკენხედის სურათის კომენტრია.

შემდეგ მოვიყვანთ შუბლმაგართა სხვა შესანიშნავ წარმომადგენელთა სურათებს.

კოლონა.

# სახკინმრეწვის „ვეშაპები“ (კ. ანდრონიკაშვილი, დარახველიძე—კრინიცკი და ლ. ჯაფარიძე)*)



*) უნდა გავუტყდეთ მკითხველებს, რომ ეს სურათი უნდა წასულიყო თეატრალურ ნომერში, მაგრამ ვინაიდან ვეშაპები იშვიათად მოიპოვებიან საქართველოში, ამიტომ ამ სურათის მოთავსება არ იქნება ინტერესმოკლებული ამ ნომერშიაც.

# ჩემბერლენის ბრალია

— ვა, ამ ქოფაკის დანარჩენმა ჩემბერლენმა მეც რო ხათაში ჩამაგდო? იმისვნით ჰუზურში კარგათ ვიტყიპე, ჰამაც ჟელუტკის რასტროისტვა მივიღე, შვიდი აბაზის წამლები დავლიე—და დოხტურის ფასიც სხვა იყო!

ახარ, ეგ ბემურაზი, თუ კი ამისთანა ტინკიცი ვინმეა, რომა იმის ფოქუზები თელეთის გახვრეტილ შარათ არა ღირს, თოლ ჩუმათ იყოს რალა, რას ჩალიშობს, რაა თითილბაზობს და ლობე-ყორეს ედება?

ახრიზამანში ტოჩი-ტოჩ რამეს ვამოფ რალა, იმაზე ჩერესჩურ ფინთი გული გამხდომია, დავერია დამკარქვია და ჰამაც ძაან გავჯვარდნილვარ! მაშ გასაჯვარდნი არ არის? მაგ ბემურაზსა რამტოლიც რომ ქეციან ჯორივით ზურგი აჰქავდება, იმტოლი პრავაკაციონი რამეებსა შვრება: პუსტოი ტრევოგას აკეთებს რალა, აწყვეტილ ქოფაკივით ქვეყანას ულრენს და ბოლოს ისევ იმ სოროში შაძვრენენ ხოლმე, საიდანაც გამოძვრა,—მააშ!

იმას ვინა ჩივის? თითონ სადაც უნდა იქ შაძვრეს, ჯაჰრუ-დოზანაში წავიდეს, თუ უნდა თოროზაც არ დაივიწყოს!

ჰამა აქ სხვა თაბაუთია, ჩოთქში ჩვენი ჰამქრის ანგარიშია... არა, რომ იმის ჩირთი-ფირთები ჩვენ გეიხაროდა?—ახმა, ვაენი იქნება, ანგლია მოვა, ბალშევიკების ჯავრს ამოგვყრის, ძველი დოირანი ისევ დაგვიდგება, გარადოვის პრტყელ კაკარდას და ჯანდარმის წითელ ბუზმენტებს კიდევ დავინახამთო, მააშ!

ბან ჩუნეს? რის ვაენი, რის ძველი დრო, რის ერბოკვერცხი? თურმე იმ ლუპუსტაც ჩემბერლენსაც საქმე ფინთათა ჰქონია რალა, ძაან ტრუსლივი რამე ყოფილა და ამისთანა ფოქუზებს ბალშევიკების შიშისგნითა შვრებას: ხატის მიზეზივით თურმე სულ ბალშევიკებზე აბოდებს, შინ და გარეთ კომუნისტები ელანდება, ვაჭრობა და სოვდაგრობაც აგიტაცია ჰგონია და ჰელეთ-მელეთი მოსდის. სლოვომ, ძცის რალა, ნაღდათ იცის, რომ იმასაც ჩვენი დღე მოელის და დავთრები არეული აქვს.

მთელი ყალ-მაყალი მუდამ იმის ატეხილი იყო, ეხლაც ისა ყოფილა ჩხუბის თავი, სულ იმის რაზბონიკობა ყოფილა ამტოლი პერეპალოხი და ჩემი ნედარაზუმეხიაცა!

ეხლა უჟე გამიგია იშკილი, ჰამა რალა დროს? მე ამ ბემურაზმა სოფლის კონცომოლებმა რბილი ადგილები საკატლეტეთ გამიხადეს, მთელი კალოტკა საპონი და ანგლიცკი მარილი მაჭამეს, თავისი თოპრაკებიც დამალეჭინეს და ისეთი რასტროისტვა შამყარეს, რომა დედის ხსენი აღარ შამანარჩუნეს რალა, გინდ დაიჯერე—გინდა ნუ, მააშ!..

ახარ ეგრე რას გაიგებთ? თავიდან გითხრათ ჰაზირ:

ამას წინათ ქუთაისში წაველი, გაზაფხულის ხილი ჩამოვიტანე რალა; კლუბნიკა, ჩერეშნა, ხენდრო, რამე. სწორე გითხრა, კაი ფული მოვიგე ჰამა, რასხოდიც დიდი იყო. ჩემი ცოლი სირანა ამიტყდა, თუ, ახლა დილომშიც ფრუქტი უჟე შამოსულაო და ბარემ ადი, ახლავე მაზანდა გაიგე, ზადატკა მიეცი და საქონელიც იაფათ იშოვეო!

ჰო, სიტყვა არ დაივიწყოთ, ქუთაისის გზაზე, პოეზდში ძალიან ნაინტერეს რამეები გავიგე: ერთი კნიაზი იჯდა, იმის გვერდით ტერტერა, ჰამაც ერთი ბებერი ნიკალაის ღენერალი: იმათ ჩუმათ ამობდნენ თუ:—ჩერესჩურ

დიდი ამბები უნდა მოხდესო, ასმა, ანგლია ვაენს აპირობსო, იმისი ბრანიჯოი პარახოტების ფლოტი უკე ნათლუხს იქით, ნორიოში მოსულაო, ჰამაც ერთი დიდი კრეიცერი ელბრუსზე აცურებულაო და იქიდან პლანებს იღებსო, ისე რომ ჰაა, საცაა რამე მოხდება და ჰუზურში ჩვენც გეეშველებაო.

თანაც იძახდნენ: ქალაქში პულემეტრებსა და ზარბაზნებს უკე აგდებენო, ჰამაც ჰაეროპლანებიდან ლიოჩიკები ფირთ გაზებს უშვებენო, ძაან იადავიტი რამეაო რალა, ეს გაზეთშიც კი იყო ჩაგდებულიო, იძახიან, თუ ეს მანეერააო! ჰაი გიდი აბასთუმან, ჩვენც რა მამა აბრამის ბატკნები გვნახეს, რო დავიჯეროთო?

გულთ მამეცა. როცა ჩამოველ, ყველაფერი სირანას პადრობნათ უამბე, ჰამაც ჩემი რამეები დაუმატე, იმ დღეს ქუჩაში გაზეთჩიკებიც იძახდნენ, რომაო ანგლიის ქალაქში, იქაურ ჰანგალ მინისტრეს პოლიცძელებით კრუგი შამოურტყია საეეცკი პრესტავიტელებისთეისო, ნაპადენია ნა ნაში პრესტავიტელსტეაო! ვიფიქრე: ჰაა, ახრიზამანში სწორი გამოდის, რაც რომ იმ კნიაზისგნით გავიგონე მეთქი!...

სირანა მებნება:—მელიქჯან, სარისტიანათ მაიქეცი, თუ ასეთი ამბებია, ხილის მაზანდა აიწევს, ჩქარა წადი დილოშში, ზადატკა მიეცი, რომ მერე ფული მაიგოო. ჰამაც ჩემ ნათლიდედასგნით წერილი მაქვს და იმასთან რამეები უნდა გაგატანო: ანგლიცკი მარილი, საპონი, ბაჰრი, რამე—აუტანე და ყველაფერს იაფათ გაშოვნინებსო!

სამშაფათს წაველი. დილმის ბოლოში იმ ბემურაზ მელილეიკეს თავის ძმა-კაცები არ შეხვდნენ? ისეთი მთვრალები იყვნენ, რომ კამეჩები თაკარ ანგელოზი ეგონათ. გაჯეჯილდნენ, გინდა თუ არა, ეგ პასაჟერი გადმააგდეო და ჩვენ ქალაქში აბრატნათ წაგვიყვანეო. იმანაც აიღო და ჩამამაგდო. რას ვიზამდი, ფეხით წაველი. ძაან მეშინოდა, აქ მშიერი ტურა, ან კურდღელი არ შამხვდეს, არ გამათაოს მეთქი და სულ გავრბოდი. სოფლის ბოლოს ერთი მოხუცი ტეტია დავინახე, გზის პირზე იჯდა და ჩიბუხს სწევდა. ჰამაც გზის იქით სოფლის პატარა ბიჭები თხებსა და საქონელს აძოვებდენ და ბურთსა თამაშობდნენ გული მამეცა. მიველ და ამ გლეხს გვერდზე მოუჯექი.

ვილაპარაკეთ—ფლანი, ფსტანი, მთისა, ბარისა და ბოლოს მეკითხება:

— როგორ, მშვიდობაა ქალაქში? გაზეთი რას ამობს, ე. წვიმები დიდხანს იქნებაო?

— ჩვენი ფიზეჩესკი აბსერვატორია იძახის: წვიმები ან იქნება, ან არაო, ჰამაც თუ ასეთი სიციეეები გათავდება, მაშინ თბილი ჰავა მოვაო რალა, თუ ფინთი ამინდები წავიდა, მაშინ კარგი დარი დადგებაო!...

— ჰე, ჰეე, იმ ჩემანალებს რა ჭკვიანურად უთქვამთ! მაგასა. შენხარ ჩემი ბატონი, რა დიდი კოდელ ნინუა უნდა? თუ ცუდი ამინდი აღარ იქნება, მაშინ ჰაი, ჰაი რომ კარგი დარი დადგება!.. ისე, რა ამბებია?

მე ვიფიქრე, ალბათ ჩემი ჰამქრისაა და გულს მოუბეფ მეთქი: ყველაფერი პადრობნათ ჩაუკენჭე. ვებნები:

— ზარბაზნებს რო აგდებენ, გესმის? ეს ანგლიაა, ნაპადენია ქნა რალა, ჩაინა შვრება, ჰუზურში კამაც-კამაც ბალშევიკებს გააგდებენ და, პუპუზ, ისევ ძეელი, ჯიგრიანი სტროია მოვა მეთქი. ეხლა მე აქ იმიტომ მოვსულვარ, რომ ჩუმათ პრაპაგანდა ვავაკეთო, ხალხს ვახარო და ჰამაც ცოტაოდენი საქონელიც ვიყიდო, თუ იაფათ შამხვდა,—ხილი. წვანილი, რამე მეთქი!

ეა, ეს რო უთხარი. ეს კაცი ისეთი შახტა და დეეცა, გეგონება, ხვლიკმა უკბიძაო, დაიწყო ყვირილი: ჰაი, შე ჰარამზადავ, შენა, მაგისთანა რეგვენი გგონივარ, რო მატყუეფო? განა არ ვიცით, რომ ეს სროლის ხმა ჩვენი წითელი ჯარის ვარჯიშობაა და ამის შესახებ გაზეთებშიც ეწერაო, შენ გულში ღალატი გონია და ქუჩაში შეკრეფილი ჭორები გახარებს, შე გაიძვერა მელავ, შენაო! ანგლია როგორ გაბედავს გაფხაკუნებას, მთელი ქვეყნის მუშათა კლასი ამის ნებას როგორ მისცემსო? ეხლა რომ ლონდონში ჩხრეკა მოახდინა ინგლისის პოლიციამ, ამისთეის ინგლისის მთავრობას და იმათ მყეფარ ჩემბერლენს ცხვირიდან ძმარს ადენენ მუშებიო, ჰამაც ვერა ხედავ, რომ ყოველდღე გაზეთები პროტესტებით არის სავსეო, შენ კი აქ პროვოკაციას ეწევიო. ქალაქში რომ ვერ გაგისაღებია, შენი ტყუილის გუდა აქეთ წამოგიღია, მაგრამ არ იცი, რომ ეხლა გლეხობაც გაღვიძებულიაო?..

მერე დაუძახა ამ პატარა ბიჭებსა და ყველაფერი პადრობნათ უამბო. ისე ლაპარაკობდა ის ბემურაზი, გეგონება, ტეტია გლეხი კი არა, ნასწავლი საციალისტიაო:

— ერთი უყურეთ მაგ ლიპიან პრავაკატორს, როგორი ჭორების გუდა მოუტანია სოფელშიო,—გაჩხრიკეთ, შაიძლება მავას ფინთი რამეებიცა ჰქონდესო!...

მამცვიდნენ ის არგასაზრდელი ბიჭები და სულ დედიშობილა გამხადეს. როცა სვერტოკი გამიხსნეს და მკითხეს ეს რა არისო,—ვებნები:

— ქრისტეს მადლმა, ჩემმა მზემ, კუჭის გასაწმენდი წამალია, ანგლისკი სოლს ეტყვიან, ესეც ბაჰრის, ეგ კი საპონი, ნათლიდედასთან ფეშქაშათ მიმაქვს, ჰამაც რაც რომ ვთქვი, მიმიქარნია, აშიპკა მამივიდა და დიდ მინაოთში ვარ მეთქი... საქმეში ხარ? უარესი მიყვეს:

— ჰაა, მაშ ანგლიის წამალთ მოგიტანია რალა, გინდა რომ აქ აგვაფეთქოო? ახლავე შაჭამე ეგ ანგლისკი სოლი, თუ შენ გულში რაზბონიკობა არა გაქვსო,—თანაც მკლავის სიგრძე ისემეები მამიშვირეს, ზოგმა ხანჯალი, ზოგმა ლევროვი და ზოგმაც ჯოხები!... რას ვიზამდი, ეს სამი ჭორცია ინგლისური მარილი ერთათ შავჭამე.

— ნუ იჭაჭები, შე ლიპიანო, ეგ რაღაც ზაჰრუმალაა, ეგეც ჭამე, ჰაა, თორემ გაგათავეთო, ჰამაც მარტყამენ! ახლა დავადექი და ბაჰრი შავჭამე. ის გლეხი კი უკე წასულიყო აღმასკომის მოსაყვანათა. უფრო შემეშინდა!



— აბა ახლა ეგ საპონიც შაახრამუნეო!?.

ვეხვეწები, შვილებოჯან, თქვენი სიყმის ჭირიმე, რას მიშვრებით? საპონი ისე კარქი საქონელია, ჰამა, კუჭში ცუდათ გავხდები, ჩემი სიკვდილი რას შეგმატებთ, გამიშვით მეთქი!

— ჰაა, თორემ აქვე გაგათავეთ, შაჭამე და მერე ქალაქისაკენ გაეშვიო! მეც დავადექი და ეს გირვანქიანი ტოლესაპონი მაროჟნივით შაკჭამე... ბოლოს აიღეს და ერთი ჯოგრიანათ შამდღვიბეს.

— ეხლა კი გაჭენდი, შე ლიპიანო, თორემ ახლავე მილიციას დაუძახებთ და შენი პრავაკაციისათვის ჩეკაც უკან დაგრჩებაო, ჰამაც რაც დღეს მოგება ნახო, შენ და ჩემბერლენმა გაიყავით.

ერთი ისე გამოვფრინდი, რომ ჩეთვერ საათში ქალაქში გავჩნდი. კიდევ ეს ოხერი რასტროისტვა მიშლიდა, თორემა ხუთი ნიმუტიც მეყოფოდა.

იმას აქეთ კუჭი ველარ მოვაჭკვიანე და ჰექიმების ფულიც ცალკე იხარჯება. რაც რომ მე ეხლა ჩემბერლენს უგზავნი, ღმერთმა უკლებლივ მისცეს, სულ იმის ბრალია, იმ რაზბონიკისა, თორემ მე კუჭი არ მამეშლებოდა.

ფარსადან.

# სამუელ ჩავლეშვილი

ჩვენი მკითხველი მშვენივრად იცნობს ლევარსი როსტრომაძეს.

გურიაში სამეულს ლევარსიზე ნაკლებ არ იცნობენ... ის იმდენად ცნობილია, რომ მას 15 მაისს რუსთაველის თეატრში 50 წლის მოღვაწეობის იუბილეც კი გაუმართეს. ვინც არ იცნობს სამუელს, დაუშავებია და აწი მაინც უნდა იცნობდეს.

მომღერალი, მჭრონგურე, მოღიღინე, მგალობელი, კრინი, გამყივანი, დამწყები, ბანი, მოძახილი, კრიმანჭული—სამუელ ჩავლეშვილი ყოველ ექვს გარეშეა, რომ ოდესღაც და სადღაც აუცილებლათ დაიბადა. თუ როდის, ამისი თარიღი და ქორონიკონი არავინ იცის. ამისი გამოკვლევა მინდობილი აქვთ პატ. მკვლევარებს: კორნელი კეკელიძეს და პავლე ინგოროყვას. მაშასადამე: სამეულს შეუძლია არხეინად იყოს და თავისი თავი პიონერათ გაასაღოს; მისი წლოვანება არასოდეს არ გამომჟღავნდება, რადგანაც ამ ორი მკვლევარის შეთანხმება შეუძლებელია.

დაბადების თარიღი თუ არ ვიცით და თუ არასოდესაც არ გვეცოდინება, სამაგიეროთ დაბადების ადგილი კარგად ვიცით. სამუელი დაიბადა სოფ. ასკანაში. ასკანა მსოფლიოში განთქმულია: შავქლიავით, კორკიმელით, წითელი ტყემალით და უმთავრესათ კი გლეხების ასკანიანობით, რომელთა კანის გაძრობა ასკანელმა აზნაურებმა ასათიანებმაც კი ვერ შესძლეს. სამუელიც **„ასკანელი კაი ბიჭია“**. და ის დაიბადა... მე უკვე დამავიწყდა, რომ უკვე ვსთქვი ამის შესახებ რის თქმაც შეიძლებოდა, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა აღვნიშნოთ და აი რა:

წინედ სამუელი და მისი მოყვრები ამტკიცებდენ, რომ სამუელი ოქროს გიდლით მამალმერთის დირექტივის თანახმათ ზეციდან გადმოუშვეს მიქელგაბრიელ მთავარ ანგელოზზს. ანგელოზს სწორად ვერ გამოეანგარიშებია გიდლის ოქროს ჯაჭვის სიგრძე, იაღლიში მოსვლია და გიდელს მიწამდე ვერ ჩამოუღწევია. ამაზე ანგელოზს გული მოსვლია, გიდლისათვის ამოუნდი უქნია და ყრმა სამუელი ძირს გადმოუგდია.

ზეცის შვილმა სამუელმა მიწაზე ბერტყა მოადინა თუ არა, გურულმა მიწამ გურული სიცქვიტე მისცა, მაშინვე წამოხტა და სულმოუთქმელათ მაღალი „რა-შო-რე-რა“ შეუკრიმანჭულა. სიმღერა ყანაში მომუშავე გლეხებმა გაიგონეს და მეორე პირი იმათაც შემოსძახეს, მაგრამ სამუელს ვერ აჯობეს.

— მოი ბიძია აგერ ვინცხა ხარ; შენც სინჯე აგი სამოყიანი თოხი და მერე, მიეცი ცას ფშვიტირი თუ კაი ბიჭა ხარ!

ყრმა სამუელს თოხი და გლეხური მუშაობა იმ დღიდან შესძულდა და თუ ნადში ყანური სიმღერის დამწყები არ იყო, ისე თოხს ხელს არ ჰკიდებდა. სამუელი გლეხთან არ მივიდა, მარა გლეხი იახლა და ვისი შვილი ხარო ჰკითხა. სამუელმა ამ ქვეყნიური ლაპარაკი არ იცოდა და სიმღერით უპასუხა:

**ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე,**
**ვარსკვლავებსა დავენახვე;**
**მთვარემ კაცი მომიგზავნა**
**—აქ თუ იყავ რათ არ მნახე.**

გლეხს მომღერალი ქოჩორა ყმაწვილი მოეწონა და სახლში წაიყვანა. გზაში გამოირკვა, რომ მიწაზე ბერტყების დროს სამუელს ცალი ფეხი ეღრძო—ანუ გურულათ—ენჯაყვებია. თუ რომელი ფეხი იღრძო, არავინ იცის, ჩვენის ღრმა რწმენით ორში ერთს აუცილებლად—ან მარჯვენას და ან მარცხენას იღრძობდა. თუ ამას რაიმე ისტორიული მნიშვნელობა აქვს და თუ ვინმეს სურს გაიგოს ახლაც შეუძლია დაუკვირდეს ყრმა სამუელის ფეხს თუ რომელი ფეხით კოჭლობს, მაგრამ ვაგლახ, საბოლოოთ ეს კითხვაც გადაუწყვეტელი დარჩება, რადგან მემარჯვენეობა-მემარცხენეობის საკითხი ინტერნაციონალებსა და ერთა ლიგასაც კი ვერ გადაუწყვეტია...

ამ რიგად სამუელი შეეფარა ანუ უკეთ შეიფარა გლეხის ოჯახმა, იშვილეს და იძმეს, ეგონათ წამოიზრდება და ოჯახს წაადგებაო. რა იცოდენ თუ ოჯახს დამამსები და გამაპარტახებელი შესძინეს. გაეჩვია თუ არა სამუელი ამ ქვეყნიური ცხოვრებას, ენის ამოდგმისთანავე საყვედურით სთქვა:

— ვაი დედავ, სა ვიყავი და სა მუელ! — (ვითომდა სად მოველიო). მერე საოჯახო საქმეს დაასაქმებდენ თუ არა სულ ყოველთვის წუწუნებდა: სა მუელ, სა მუელ!— ამის გამო ეს სახელი მას დღემდე შერჩა.

საოჯახო გლეხური საქმე თუ ეჯავრებოდა სამუელს, სამაგიეროთ სიმღერაზე იყო „ჭიპ-მოჭრილი“. დღეი, ღამე, შინ და გარეთ, ტირილში და ქორწილში, ტყეში და ყანაში, სახლში და საყდარში, ყველგან, ყველასთან და ყოველ დროს მღეროდა და ეს საშიშარი ავადმყოფობა მან დამართა თავის ძმებსა და დებს, მერე მეზობლებს, მერე მთელ სოფელს, მერე მთელ სამამასახლისოს, მერე კი მთელ გურიას... ეგეც არ იკმარა, საზღვარი გადალახა, სამეგრელოში შეიჭრა, მიუხტა ფოთში ბოლოზის მუშებს ეკვეთა ბათომში ქარხნის მუშებს, მიიტანა იერიში ქუთაისსა და თბილისზე და აქაური მუშები და ნოქრებიც დაავადმყოფა, ამას კიდევ ვაპატიებდით, მაგრამ მან არ დაინდო არც სკოლის მოწაფეები და ყველა მთელი „დუნია მემლექეთი“ სიმღერა გალობათ აქცია—მოარული ან გადამდები სენი გახადა.

თვით სამეულმაც თავისი უსაქმურობით ისე გაითქვა სახელი, რომ მის სტუმრობას არც უსაქმური თავად-აზნაურობა თაკილობდა.

— ღმერთი არ არის სწორეთ, თორემ შენ ყაზახათ გასაჩენი არ იყავი, კეთილშობილათაც კი ივარგებდი!—ხშირად ეტყოდენ ბრწყინვალე წოდების ქალვაჟები სამუელს.

— მაგ დედა ძაღ... (დაე დანარჩენი ამერიკელი ძიას

# ..ხერხი სჯობია ღონესო,



კ. ხამაშურიძე (სახ. ცხ

ვინიცობაა ჩემმა დაგომემ
ველარ გაუსწრო მოქიშპე ცხენებს,—

# ...უ კაცი მოიგონებსო“



...საშენის გამგე)

...რჩი ბალახის მიმზიდველობა
...ფიქრობ მას უფრო გამრავენებს.

ავტორმა დაათაოს)... ჩვენც ძალიან გაგლელიტა, მუტაკია ყაძახმა ჩამოართვა ხელობა: დათა გუგუნავას, ანტონ დუმბაძეს, ნიკო და ფარნა კობალაძეს, ბატონიშვილ გურიელებს და სამეგრელოში ცნობილ ჭალაგანიძესაც კი. შემოგვეჯდება უტიფრათ სუფრაზე, ვითონ ჩვენი სისხლის იყოს და მღერის კი არა სტავლებასაც კი გვიბედავს.

გაუტკბა სამუელს მუდამ ქეიფი, სიმღერა და. დროს ტარება. ცოტ-ცოტათი ღვინის სმასაც მიეჩვია, მაგრამ დათრობა ყოველთვის ეზარებოდა.

— მომღერალი ლხინის უფალია, ლხინში აყალ-მაყალი რომ ატყდეს, სიმღერით უნდა დააწყნაროს და თუ თვითონ მომღერალი დათვრა, ამას ვერ შესძლებს—იტყოდა სამუელი. ამიტომ ყანწით ღვინის სმას ერიდებოდა, თუ მაინდმაინც ძალას დაატანდენ, „წრუპავდა“. ერთხელ ყანწი არ გამოსცალა და მოპირდაპირეს ისე გადასცა.

— ძამია მე თავზე შემორებული კი არა ვარ შენს მაგიერ, რომ დავლიო, გამოსცალე და ისე გამომიგზავნე.

— კაი ძამია, ასე თუ გეწყინა გამომიგზავნე და რაც აკლია ჩავლევ.

სამუელმა ყანწი გამოსცალა, გადმოაბრუნა, ცერის ფრჩხილამდე დაირეკა და მოპირდაპირეს უთხრა:

— აა, ახლა ხომ ცხონდი, ისე ჩავლიე, რომ შით ერთი „კაპლიც“ აღარაა.

ამ ღირსშესანიშნავ შემთხვევის შემდეგ სამუელის გვარი შეიქნა ჩავლევშვილი.

რა შესძინა სამუელმა თავის მამობილის ოჯახს?!. სტუმრები, სტუმრები და კიდევ სტუმრები.

გაისმოდა თუ არა სამუელის მამობილის ოჯახში: „ხასანბეგურა“, „ხელხვავი“, „პატარა საყვარელო“ და სხვა

„შავი შაშვი ჩიოდა, ნეტა რასა ჩიოდა...“ გაისმოდა ოდაში.

— თქვენს ამოგდებას ჩიოდა, თქვენს ფეხის მოტეხას ჩიოდა! იწყევლებოდა სამზად სახლში სამუელის დედობილი.

— „მასპინძელსა მხიარულსა“...

— ისე გაგიმხიარულდა ოჯახი. (გაიგონებდით სამზარეულოში).

— „ყავს სტუმრები საყვარლები“...

— უნელმა ჭირმა შეგიყვარა თქვენ!—დაუმატებდა დედობილი.

— „ღმერთო ნურას ნუ მოუშლი“...

— ისე მეიშალა თქვენი ოჯახი, რავარც ჩემი ოჯახი მოშალეთ და ამოაკვინკვილეთ!—

— აბა ბიჭებო დასცხეთ „ხელხვავი“...

—ოი, თქვენ გაგიჩდათ წელკავი... სამუელმა რომ სიმღერა ისტავლა, მერე დამეფსო აშენებული დულღამი, ოჯახი; მაგან და მაგის იტინტილო სტუმრებმა ნალიეი გამომიხინკილეს, პური ამომიმშრალეს, ბუდეზე ბოჭვა გამიწბილეს, ვინცხას ქე გონია სამუელმა ჩემსას ოქროს გორა დადგა, ბევრი შეგირდი ყავს და ოქროებს ხვეტსო, ის არ იციან, თუ ჩემსას ქრისტეს ტირილია. თაგვებიც აღარ იცდიან!—მოსთქვამდა დედობილი.

წინათ იტყოდენ დრონი იცვლებიან და არა მეფენიო. დროც გამოიცვალა და მეფენიც, დღევანდელმა დროს სამუელიც დააფასა, 50 წლის იუბილე გაუმართა, შეიძლება იუბილემ აქ, თბილსში ჩამოსვლის ხარჯი არ გაუსტუმროს, ნასესხების (სამგზავროთ) ჩასესხება ვერ შესძლოს, მაგრამ სამუელი ასკანელია, ასი კანის გაძრობას აწიც გაუძლებს.

გაუმარჯოს ასკანელ კას ბიჭს— სამუელს!!

აპოლონ წულაძე,

# პაწია სცენა კომისარიატში

— ამხანაგო კომისარო! არ შეიძლება ამაღამ ერთი ოთხიოდე მილიციელი მათხოვოთ?

— ამაღამ ჩემთან ქურდები უნდა მოვიდენ და საჭიროა მოწამე დავისწრო.

— რაღა მოწამე გინდა, ხელები შენი არ არის. ნუ გააძარცვინებ თავს.

— მოვკლა?

— არა, ეგ არ გაბედო, თორემ დაგიჭერთ.

— იმან რო მომკლას?

— იმას დავიჭერთ.

— მათხოვეთ მილიციელები: იქნება რევოლვერის მაინც შეეშინდეთ და სწორედ გვიჩვენონ ან პასპორტი, ან თავიანთ მისამართი, თორემ რაკი ნაძარცვით სახლს გასცდებიან, ძნელია მათი პოვნა.

— მე კი მგონია, ადვილია.

— როგორ?

— როგორ და განა არ იცით სადა სცხოვრობს თქვენი შვილი, ძმის შვილი, დისშვილი, ნათლიისშვილი და სხვა ნათესავები?

— მერე?

— მერე და რომელიმე მათგანი იქნება.

— ეგ მართალია, მაგრამ ამასაც დამტკიცება უნდა თუ არა! ჩემი შვილი ხომ თვითონ არ წავა და არ ეტყვის პროკურორს, მამაჩემი მე გავძარცვეო? ნება მაინც მომეცი ჩემ შვილს ერთი კარგა ვცემო.

— არ გაბედო, თორემ ციხეში ჩაჯდები.

— ის ყოველ დღე მცემს, ციხეში არა ჯდება და რადა მაინცადამაინც მე უნდა ჩავჯდე ციხეში ერთი ცემის გულისათვის?!

ფეშანგი ფაშვიბერტყაძე.

# კ ო ნ კ უ რ ს ი

სოფლიდან ქალაქში ჩამოვედი თუ არა, გავემართე ჩემ ამხანაგ კოლიასთან.

— შემოდი, ვინცხა ხარ!—მომესმა ოთახიდან. შევედი. ხურჯინი, რომელშიაც ძველი ფეხსაცმელები და საცვლები მქონდა, იქვე კუთხეში მივაყუდე და ხელის სრესით ამხანაგთან მივიწიე გადასახვევათ.

— მოდი, ბიჭო კოლია, მოგეხვიო! რავა ჩაგიღუნაეს თავი... ვერ მიცანი? მე...

— დამანებე... დამანებე მეთქი თავი, ვერა ხედავ, საქმე მაქვს! არ დავეძებ, ვილაც ეშმაკი ხარ!

— ბიჭოს!—წამოვიძახე ჩემთვის.—ეს რა დარდუბალა მოსულია... ალბათ გულმოსული თუ არის ვისმეზე!

დავაკვირდი. რაღაც უცნაურ სიტყვებს ისვრის. რაღაცას გულმოდგინეთ ჩაჩერებია. „ტარტაროზი“ შევნიშნე.

— ააა!—წამოვიძახე,—ალბათ „ტარტაროზ“-ში გამოუჭიმიათ და გულმოსული არის.

ვიფიქრე: ცოტა ხანს ბაზარში გავივლი, ნაცნობებს ვინახულებ და მანამდე ჩვენი კოლიაც გულს მოიბრუნებს მეთქი.

გავიარე ქუჩა. კანდიტერის წინ გავჩერდი. გავიხედე, მეორე მხრით და წიგნის მაღაზიის წინ რამოდენიმე ნაცნობები დავინახე. ხელში „ტარტაროზი“ ეჭირათ. დანახვისთანავე გავემართე მათკენ.

— ოოო! სილოვან, გამარჯობა კაცო, ვეღარ მიცანი? მე თქვენი...

— ხელს ნუ მიშლი, ამხანაგო!—წამოიძახა მან და არც კი შემოუხედავს, ისე „ტარტაროზში“ ცხვირჩადებულმა გასწია წინ. მასაც ცხვირი „ტარტაროზში“ ჩაეყო და კედელზე აყუდებული, თვალგაშტერებული, ჟურნალის პირველ გვერდს გულმოდგინეთ ჩასჩერებოდა.

— ბიჭიკო! გამარჯობა კაცო შენი... მე თქვენი ძმა და ამხანაგი არა ვარ? ასე მალე დაგავიწყდით!?..

— მოშორდი... მოშორდი, ხურდა არა მაქვს...

ახლა მთლად გადავირიე. ეს კაცი მათხოვრათ მაგდებს, მაგრამ, რომ არ შემოუხედავს?! ფული სულ არ მიხსეხებია და საიდან ჩამაგდო მათხოვრათ! გავშორდი გულნატკენი. გავიხედე ირგვლივ, ვხედავ—ყველა ჩემი ნაცნობებია.მარა როგორ გამიწყრება ღმერთი და ხმას ამოვიღებ, ახლა გამარჯობას ვეტყვი. მათხოვრათ ქე ჩამაგდეს და რა გასაკვირველი იქნება, რომ აწი ჯიბგირობა დამწამონ! კი, მაგრამ მოდი, მეც ვიყიდი ამ ჟურნალს! იქნება მართლა ისეთი საინტერესო რამეა, რომ ამ ხალხს მართლაც არ გვემტყუნება! ვიყიდე. პირველ გვერდზე სწერია: **50 მანეთი ამ სურათზე უკეთესი წარწერისათვის.**

— ჰოო! უყურეთ, თურმე რა მუცლის გვრემა ჰქონიათ ატეხილი ამ ვაჟბატონებს. დამაცადეთ, მე თქვენ. დავიკავე „ტარტაროზი“ ხელში და დავადექი ქვაფენილს. ცალი თვალით მივჩერებივარ ვაჟბატონებს და ცალი თვალით „ტარტაროზში“ ვიყურები. ერთმა დამინახა თუ არა, ჟურნალი დაკეცა, ჯიბეში ჩაიდვა და პირდაპირ ჩემსკენ გამოექანა.

— ოო, სიმონ! როდის ჩამოდი, კაცო! გამარჯობა ბიჭო!

— მომშორდი... მომშორდი... არა მცალია! კონკურსს ვაკვირდები, ხომ ხედავ?—ეხლა მეორეც მოემატა.

— გაუმარჯოს სიმონს! როგორ გასუქებულხარ... მოდი ერთი გადაგეხვიო...

— აუქციე... აუქციე... არა მცალია... ხურდა არა მაქვს! საღამოზე ჩამოიარე!

— შე კაცო, სახეზე მაინც შემომხედე... ვერ მიცანი? მე შენი ბიჭიკო არა ვარ?

— ფეხებზე მკიდია, ვილაცა ხარ... ხელს ნუ მიშლი... ხომ ხედავ, რომ კონკურსს ვაკვირდები.

ბიჭიკომ და სილოვანმა ერთმანეთს შეხედეს, ტუჩები დაპრუწეს და მხრების აჩეჩვით გამშორდენ.

— ეგეც თქვენ! რავა, მე ძაღლი ვიყავი, წელან კაცათ არ ჩამაგდეთ! ეხლა ბ-ნ კოლიას მივხედო!

მივედი კოლიასთან. ამდგარიყო და ხელში ჩემს ხურჯინს ატრიალებდა.

— როდის მობრძანდი, სიმონ! სახეზე შემომხედე, შე კაცო, რავა ჭერს მიჩერებიხარ!

— კონკურსი... 50 მანეთი.

— რას ლაპარაკობ, ბიჭო!

— თუ გამოვიცანი, გავკეთდი კაცი.

— შენ რომ მოდი, აქ დაგხვდა ვინმე?

— კონკურსი.

— არიქა ბიჭო!... ხმა გამე კაცისნაირათ, შე ოჯახდასაქცევო. რა დაგემართა? ბაზარში ნახე ვინმე? ნაცნობი, უცნობი...

— კონკურსი!

— ამ ხურჯინში რაღა ჯანდაბაა, კაცო!

— კონკურსი... 50 მანეთი...

— ბიჭოს! 50 მანეთი თუ გქონდა, ჯიბეში ვერ ჩაიდე?! ხურჯინში რა უნდოდა? მაშ ამაღამ 50 მანეთიდან ჩავლევთ ცოტას, არა?

— დაჯექი... დაჯექი, ბიძია, ნუ სცდები, დაუკვირდი და ეგება აღებული ფულით ერთი კვირით გეიტანო თავი.

— ა, ბიჭო! ასე ქრისტიანულად მეტყოდი, რომ ზოდავდი რაღაცას. კინაღამ გადვირიე კაცი.—ჭკუაზე ხომ არ შეშლილა მეთქი.

გ. ტ.

## რას ერჩით, მართალია?




— ვერა ხედავთ რომ სწერია: „პაპიროსის მოწევა სასტიკად აკრძალულიაო“.

— მერე რა? მე ხომ პაპიროსს არ ვეწევი, ჩიბუხს ვაბოლებ.

# ტარტაროზი

## სამტრედია

ფიქრით, სევდით მივდიოდი მე ნელა,
ალმასკომთან ქმუნვა აღარ მენელა!
მწვანე ბაზარს გადავხედე, მეწყინა.
ტალახს ქალი საბნათ გადაეწვინა.
(სულმა იგრძნო საშინელი ტრიალი,
მსურს ის წუთი არ ვახსენო ტიალი).
ვკითხე: „ქალო, დაღვრემილხარ ძალიან!"
(გავიფიქრე: ალბათ ღვინით მთვრალია),
მან ალაპყრო ზეცისაკენ თვალია,
მიპასუხა:—ალმასკომის ბრალია.
(გაუდექი მე ჩემს გზასა დარდიანს,
გულში შავი აჩრდილები დადიან).

ეს ჩაჩუა რა გამიხდა, არ ვიცი,
რომ ხასიათს შეჩვენებულს არ იცვლის!
(თუ „გიმოყვრა" ყველაფერი მზად არი—
მის ხსენებას და მის ენას შაქარი).
ვკითხე კრძალვით: ჩემო კოსტა, ძამია,
შენც მიხვდები, რომ მიყვარხარ ძალიან!
ამბობენ და არ ვიწამე ხმებია,
თურმე თრგვლივ რაღაც ჩრდილი გხლებია
და თუ მართლა, ძამიკონა, ასეა,
ვიყო გველი და ფიქრებით სავსეა—
როგორც უნდა თუ არ დაგეხმარები,
შევარყიოთ, ბიჭო, მთა და ბარები.
(აწ მშვიდობით, შენთვის აღარ მცალია,
დაილუპოს შენი გზა და კვალია).

გამახსენდა სასამართლოს შენობა,
სამართალი, სამტრედიის მშვენება!
ავიარე კიბე ჩუმად, პარებით,
დაკეტილი დამხვდა ყველა კარები.
(გამოვბრუნდი ძალზე დანაღონია,
აბა ცდისთვის სად შემწევდა ღონეა?)

„**ზაკტპო**"-საკენ მქონდა საქმე პატარა.
(ნეტავ მისი მოლარესთან მატარა);
მელოდება: გალიაში ზის კენტად
(ვით ობოლი უმუშევრის ანკეტა).
შევიხედე. ვიღაც ჩამომეფარა.
და მომესმა კაცის ხმა და მუქარა.
ევედრება: „მომეც ხურდა სულიკო!"
ქალი ბრაზობს:—არ მოგცემდი თუ იყოს?
და შეიქნა ერთი აურზაური
და შეიჭრა გულში ჯავრი ზღვაური.
(თურმე მიდის მსგავსი სცენა ათჯერა,
და მე მაინც ქალზე ხმები არ მჯერა)).
გამაგიჟა ოცნებამ და ცხოვრებამ.
(ვთქვი: **დათიკომ** იქნებ მომცეს ცხონება)
და **ცხრაწლედში**, როგორც ქურდი, შევძვერი,
**გამგის ნახვა** მაინც ველარ შევძელი.
ჩემს კითხვაზე, მიპასუხეს: „**დათიკო**
წუთის წინად, თუ წამისა, აქ იყო!
ახლა ზევით სასეირნოთ ავიდა,
რომ ფიქრები განიშოროს თავიდან.
— ალბათ დარჩა წიგნი წუხელ უქრელი,
რომ შეავსოს სწავლით „თავის" ქურქელი.
— არა, ძმაო! მან დოქები აზიდა,
რომ ეხუმროს მგზავრებს ჩუმად და მშვიდად.
გადაასხას თავზე წყალი საწყლებსა,
თვით იცინოს—წყალი არვის აწყენსა.
(გამიკვირდა, ეს ამბავი ნამდვილი
და დავტოვე საშინელი ადგილი...)

**ჭაბნელი ბზიკი.**

## ახალკვირა

**მუხიანელი გლეხი:** ი ოჯახქორ მაღლაკლებს ღმერთის დაწესებული დღეები კოხინჯრობა და ოქონობა რო მოუშლიათ, რავა არ გაგვიწყრება ღმერთი ასეთი შეურაცყოფისათვის. კაი მოუვიდათ მაღლაკლებს კაი იგენმა ქნეს. ჩვენსას არ მევიდენო და ხარჯები ევიცდინოთო; როცა სხვისი დღეობა მოვა, იქინე მუცელი გევიზიზინოთო. იფ, რა კარგია. მარა, მეტად არ შეგჭამოს ქირმა იგინი მე სახში არ შამოუშვა. ან და რა სახლში შამოსაშობია ი ხვთისაგან წყეულები. აი, ვენაცვალე ფარცხანაყანელებს და ოფშკვითლებს — იგინი არიან ჩვენი ძმები; შარშანაც ხო ძაან გვაქეიფეს. იმდენ ხანს ვიყავით იქ რო ბეღელში მოწეული სიმინდიც არ დაუტიეთ. წრეულსაც გვპირდებიან — თუ ღმერთმა შეიბრალა გაგვითენა კაი დღეო, ერთი კვირა სულ ვიქეიფოთო. მარა, ჯერ ხო ჩემი ახალ კვირე მოვა. მე აუცილებლად წელი ნიშა ხარი უნდა გავყიდო და ისე დავპაიჯო იგინი, და კარგად უნდა ვაქეიფო, თვარა სირცხვილია, რას იტყვიანო. სამაგიეროდ იგინი კარგად გამიმასპინძლდებიან. მაღლაკლებს კი სიახლოესაც არ გევიკარებთ.

**მაღლაკელი გლეხი:** (რომელიც ყურს მოჰკრავს) რაიო? რას უზამო მაღლაკლებს?

**მუხიანელი გლეხი:** რას უზამთ და მის სიკვდილს, რომ ადექით განცხადებები გამოაკარით ყველა სოფლებში, ჩვენსას კაი დღეებზე არ მოხვიდეთ, რატო იგიც არ დუუწერეთ, არც ჩვენ მოვალთ თქვენსასო, მარა ამას რავა იზამდით, ასე არ სჯობია: ჩემსას სალამ-ალეიქუმ, შენსას—დამემალე, ქუმ.

**მაღლაკელი გლეხი:** არა ჩემო ბიძია, საქმე მასთე კი არაა. მოდი ყური დამიგდე: ჩვენ საწყალი, ღარიბი, გლეხები ვართ, რასაც ვშოულობთ წლიდან წლამდი, სულ ერთ დღეს შევყლაპავდით და მუდამ ღატაკები ვრჩებოდით. ხოლო გარდა ქეიფისა და ქელეხებისა ჩვენს საჭიროებებს ყურს არ ვაქცევდით; ამის გამო ჩვენი შვილებიც ჩვენსავით ღატაკებათ რჩებოდენ.

**მუხიანელი გლეხი:** კაცო და მერე თუ კი მასეა საქმე, რატო ჩვენი თავმჯდომარე არ მეიწვევს კრებას და არ გამოუცხადებს ხალხს, რომ ჩვენც აგრე მოვიქცეთ. მაშინ ჩვენც დავწერამდით განცხადებას და შამოგითვლიდით: ახალ კვირემ განუსვენა, ნურც თქვენ მოხვალთ, არც ჩვენ მოვალთ-თქვა.

**მაღლაკელი გლეხი:** კი, ძამია, კი, მასთე სჯობია. გააკეთეთ კრება და თქვენც დაადგინეთ, რო მეისპოს ჩვენა ბნელაში ჩამყენებელი დღეობები.

**მუხიანელი:** იცოცხლე, ჩემო ძამია, ეს ერთი ხომ მაინც კარგი საქმე გვასწავლე.

**ზაურ.**

---

„ტარტაროზი"-ს შემდეგი ნომერი (№ 102)

სპეციალური ნომერია

# ფასების დაკლება-ზე

სპეციალური სამოსწავლო-საბავშო ნომერი

გამოვა ახლო ხანში

## სიზმარ-ცხადი

ერთხელ მხოლოდ წარსულ წელში
თვით-მშრომელთა ვნახე კრება.
ვნახე, მაგრამ დღეს სიზმარში
სანახავად მენატრება.

სკამზე იჯდა ვინმე გამგეთ
ფილიპ-მანი და სეველი.
შემოვიდა რევიზია,
ააყენა შკაფში მტვერი.

მაგრამ ვაი იქ რაც ნახა
სანახავი საზარელი,
ვფიქრობ საქმეს ეჭირება
გამოცდილი მცოდნე ხელი...

და კიდევაც გამოგვიჩნდა
გეგუჩაძე არიელი
მაგრამ ეხედავთ დრონი მიდის
სიტყვა არის ცარიელი.

დიახ! ღამით ქიათურის
ხელოსანთა ვნახე კრება...
ვაი, ვაი ყველა ფიქრობს,
რომ კავშირი გაგვიქრება.

დერ.

## გამოცანა

(სოფ. ჩიბათი)

აქვე ნაჩვენეს სოფელში
არის ერთი მეტი-ჩარა;
ტან-მაღალი, ენა-გრძელი
მოტიკტიკე წარა-მარა.
კარტი უყვარს დახურული,
„ზაიბუთი", ან „კონჩინა"...
და თუ ვინმე ეთამაშა,
ცარიელს გაუშვებს შინა.
ჩხუბშიაც კი პირველია
ხალხს გააძრო იმან ტყავი,
აზნაური მეტი-ჩარა
ღმერთმა მთხოვა მისი თავი.
ვინც რომ ამას გამოიცნობს
ვფიცავ სინდისს, ვფიცავ ზენას,
მეორე დღეს გაუგზავნი
კოხტათ შემწვარ ძროხის ენას.

ა. ტიტანი.

## უდარდელი კაცი

ლელვან-მარელისდ

არაფერი არ მაწუხებს
და არცა მაქვს საზრუნავი...
ვცხოვრობ ჩემთვის, უდარდელად,
რისთვის შევიწუხო თავი.
რას ვკითხულობ ქვეყნის ყაყანს,
ყველა წყალსაც წაუღია:
სადაც წავალ და წამოვალ
ყველგან კარი მხვდება ღია.
გიჟებია ზოგ-ზოგები:
ბევრს წერენ და ბევრს ფიქრობენ,
თორემ სხვას რას აკეთებენ.
თავსა რომ იავადებენ.
ბევრგან ასე წავიკითხე:
„გავაშენოთ მამულები
კარგი ღვინო დავაყენოთ
და მოვიმკოთ მით ფულები".
მე თუ არ ვთეს, არ ვხნავ, არ ვმკ
მადა ხომ მაქვს მუდამ ლხინის?!
ნეტავი თუ ჩემზე მსმელი
გეგულებათ სადმე ღვინის.
სამი ბოთლი რომ დავლიო,
იქნებ ყელი გამისველდეს
და მეოთხე... მეხუთეთი..
იქნებ ნეკნები დამილბეს

მხოლოდ ერთი რამ მაწუხებს:
ქეიფია ჩემი საქმე
„მიწა ჰქონდეს მიწის მუშას"
მე ვლხინობდე დღე და ღამე
„პირი სოფლისაკენ"-ო
წამლებია კაცის ტვინის;
მეც ვასრულებ ამ ლოზუნგებს
მოყვარული რომ ვარ ღვინის.
აბა სხვა რა გავაკეთო?
არ ვხნავ, არ ვთეს, არ ვარ მუშა;
ყველა წყალსაც წაუღია
თუ მაქვს სავსე ღვინის შუშა,

ჯანო-ჯანაძე.

## სოფ. სამება, (გურია)

ესე არც უვიცი კაცი იყო, რომ გლეხკომში შემოსული ფულების დათვლა ვერ მოეხერხებია. სამმაგი ბუჰალტერია, ანუ უფრო მდაბიო ენით რომ ვსთქვათ, ერთი სამათ აღების ანგარიში მან ჯერ კიდევ მენავეთ ყოფნის დროს შეითვისა და ერთი მისი „გიაშფი ხოფი" ოთუსბირათ ფასობდა. მოსწყინდა ესეს „გადაჰკარი ნიჩაფის" ხელობა და ძალითა ეშმაკისათა, მან თავი ამოყო სამების გლეხკომში ნოქრათ, როგორც უფრო „სასარგებლო" საქმეზე.

კარგა ხნის „მოღვაწეობის" შემდეგ, ბოროტი ენების წყალობით, სოფლათ ხმა გავრცელდა — თითქოს გლეხკომის სავაჭრო დუქანში დაბუდებულ ვირთხას მთლათ გაეხრას გლეხკომის ქონება. ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს ძილის მადა წაუხდინა სარევიზიო კომისიას და შეხმუხი მარტის ერთ მშვენიერ დღეს, ამბის გასაგებათ, ფარხმალით დაიძრა სარევიზიო კომისია დუქნისაკენ სანდროს მეთაურობით.

საქმე სულ ჩქარა დღის სინათლეზე გამოფრიალდა და არც „ბოროტი ენების" თქმა აღმოჩნდა ჭორი. ვირთხას, (უკაცრავად, მეტ სახელათ ესეთ წოდებულს), სულ რაღაც 120 მანეთი აღმოაჩნდა ჩასანსლული და საწარმოო თანხაც თავის ქეიფზე დაბანდიბული.

„მადლიერმა" გლეხობამ მეორე დღეს, ესე პრასა და წიახურის ძირით გააცილა „დაყაჩე ფულების" მარშით. დღეს გუნება აყირყიზებული ესე ეგრე ღიღინებს:

„თავო ჩემო პიდი არ გიწერია,
რათ იფიქრე, რომ ეს ხალხი შტერია,
წახდა საქმე და აწ აღარ ვმღერია.
„რადგან ვატყობ დათაც ჩემი მტერია".

„აფრიკელი ციცი".



— პაჟალუისტა, ჩემ სახელზე პისმო იქნება და მომეცი!

— რა გვარი ხართ თქვენ?

— კონვერტზე იწერება, რაღა, ჩემი გვარი!

# აკაკი ფალავა*)
## როგორ აქებს
# აკაკი ფალავას

იყო და არა იყო რა, იყო და დღე-საც არის ერთი პატარა ქალაქი შავი ზღვის პირად, სახელად ბათომი. ქა-ლაქში ხშირად წვიმს, ღამ-ღამეო-ბით ნურია-გულის ტბაში ბაყაყები კონცერტს მართავენ და... ქალაქის ერთ ქუჩაზე აკადემიური დრამა არსებობს.

### როგორი იყო ეს დრამა ა. ფა-ლავას ბათომში ჩასვლამდე

წინა სეზონების უვარგისობით თეატრის გულგატეხილ მესვეურთ არც კი უნდოდათ სეზონის წა-რმოება, რითაც აიხსნება ის გა-რემოება, რომ შემოდგომამდე 1926—27 წლის სეზონის ორგანიზა-ციისათვის არაფერი გაკეთებულა. მხოლოდ დიდის დაგვიანებით—სა-ხელდობრ ოქტომბერში იქმნა მო-წვეული სეზონის ხელმძღვანელად ამხ. აკაკი ფალავა, რომელმაც შეკ-რიბა დასი და შეუდგა მუშაობას ბა-თომში 1 ნოემბრიდან“.

### თურმე რა შეუძლია ნიჭს!

ბათომის სახელმწ. აკად. დრამის დასი შესდგებოდა სულ 26 კაცისა-გან... მიუხედავათ დასის ასეთი სიმ-ცირისა და მცირე მატერიალური რე-სურსებისა, ამხ. ა. ფალავას ორგანი-ზაციული ნიჭის წყალობით, საქმე ფართოდ გაიშალა.

### აკაკი ფალავა, როგორც გამა-ახალგაზრდავებელი

„... რაც უმთავრესია და რისთვი-საც იყო მოწვეული ამხ. ა. ფალავა —სავსებით იქმნა გამართლებული. წელს, მისი მეოხებით ჩაეყარა მკვი-დრი საფუძველი თანამედროვე, მხა-ტვრულ თეატრს ბათომში და ქარ-თული დრამის ბედილბალზე ხელა-ღებული თეატრის მესვეურნი ეხლა უკვე მომავალი სეზონის თადარიგსა და მზადებაში არიან.



**პირველი** (ყოფილი გენერალი): როგორ ფიქრობთ თქვენ, ხომ მალე მოეღება ბოლო ამ ბოლშევიკებს,—არ ხედავთ ჩემბერლენი რა დღეს აყე-ნებს მაგათ?!

**მეორე:** მაგათ არაფერ დღეს დააყენებენ; ჩვენ კი შავი დღე დაგვაყე-ნეს და ბოლოც მოგვიღეს.

### ა. ფალავა — ენერგიის დაუშ-რეტელი წყაროა!

თუ არ რეჟისორ ა. ფალავას არა-ჩვეულებრივი ენერგია, იშვიათი მხა-ტვრული ალღო, რეჟისორული ტა-ლანტი და გამძლეობა.....

### აკაკი ფალავას ეჩქარება!

განათლების კომისარიატი და თე-ატრის დირექცია ყოველგვარად ხელს უწყობდა დრამის მუშაობას და უნდა ითქვას ყველას სასახელოდ, რომ საქმეც გამარჯვებით დააგვირ-გვინეს. დარწმუნებული ვართ მომა-ვალი სეზონი უკეთესი იქნება, თუ **დროზედ მოაგვარეს საქმე.**

---

*) რედაქციისაგან: ეს წერილი, თვით აკაკი ფალავას ხელით დაწე-რილი, ავტორის სურვილის თანახ-მად უნდა დაბეჭდილიყო გაზეთში, მაგრამ თუ „ტარტაროზში“ იხილავს მას ავტორი, ამის მიზეზი შემდეგია: ამ ფრიად საინტერესო წერილის დაბეჭდვა გვიანდებოდა გაზეთში და იმისათვის, რომ მკითხველებსაც მა-ლე წაეკითხათ და თვით დამწერსაც გახარებოდა თავისი წერილის დაბე-ჭდილათ დანახვა, ამიტომ „ტარტა-როზში“ ვათავსებთ.

„ტარტაროზი“ გამოსთქვამს იმედს, რომ მკითხველები თითონ გაუკეთე-ბენ ფალავას წერილს კომენტარიებს და ამიტომ თავს ინთავისუფლებს ამ მძიმე მოვალეობისგან.

---

# ღია ბარათი
### ამხ. ჯიბგირებს

ამხანაგებო და მოქალაქეხო!

თქვენ თქვენი საპატიო ხელობით (თუ გინდ პროფე-სიით) და მდგომარეობით სავსებით დაიმსახურეთ, რომ გიწოდოთ ამხანაგი და მოქალაქე. ამხანაგურათ, ამხანაგუ-რი გაბედულებით და უფლებით ჩაუყობთ ხელს ჯიბეში და იქ რაც დაგხვდებათ, ამხანაგურათ გადაგაქვთ თქვენს ჯიბეში; ნამდვილი მოქალაქენიც თქვენა ხართ, რადგან მთელ ქალაქში, ყველა მის უბნებში თავისუფლად დანა-ვარდობთ, დაკეტილი სახლის კარებიც კი თქვენთვის ღიაა. ერთი სიტყვით, სრულუფლებიანი მოქალაქენი ხართ.

ამიტომაც არის, რომ თქვენი ძლიერ მერიდება, არ მინდა თქვენი რისხვა დავიმსახურო, არ მინდა გაწყეინოთ, მაგრამ ეს მეორეთ შეგცოდეთ და მეც მეორეთ ვიხდი ბო-დიშს და გთხოვთ მესამედ მაინც ნუ შემარცხვენთ, ნუ მაჭმევთ სირცხვილს, ნუ „მომჯაყავთ“.

პირველად თქვენ მომჭერით თავი, შემარცხვინეთ 1915 წელს რკინის გზის თბილისის სადგურში თქვენ ამო-მაცალეთ ჯიბიდან სამშაურიანი „პორტმანი“, რომელშიც იყო მხოლოდ თოთხმეტი კაპეიკი. მაშინ, ამის გამო, „ეშ-მაკის მათრახით“ მოვიხადე ბოდიში და გთხოვეთ—მეო-რეჯერ ჩემთვის არ გეჭმიათ სირცხვილი, წინასწარ გაფრ-თხილების შემდეგ მოგეხდინათ ჩემი ჯიბის სალაროს „რე-ვიზია“. თქვენ ეს არ ინებეთ და მეორეთ ამა წლის 16 მა-ისს იმავე სადგურში კიდევ შეამოწმეთ ჩემი დახეული შარვლის ჯიბის ხაზინა და, ვაი სირცხვილო, წაიღეთ 7 კაპეიკიანი „ბლოკნოტი“ (ცხადია, „ბლოკნოტს“ ბანკნო-ტი გერჩივნათ, წარმოიდგინეთ, მეც კი მერჩია) და ერთი წერილი, რომლითაც ჩემი მეგობარი მატყობინებდა, რომ ის ფულს ვერ მასესხებს...

ამრიგად, ამხანაგო ჯიბგირებო, მეორეთაც ვერ და-გიმტკიცეთ ამხანაგობა, ვერაფერი გახეირეთ. მეორეთ ვიხდი ბოდიშს და კვლავ გთხოვთ მესამეთ მაინც ნუ მა-ჭმევთ სირცხვილს.

ამხანაგური სალამით აჰ. წულაძე.




## „ბედნიერი ცოლ-ქმარი“

**კომედია ნალდ სინამდვილედან.**

**მომქმედნი პირნი: სიმონ** (მოფერებითი სახელით ცოლი „სიმონა“-ს ეძახის). **ლიზა სიმონის ცოლი** (მოფერებითი სახელით ქმარი ლიზიკოს ეძახის) **და სხვები.**

სცენა წარმოადგენს მანგლისის თემის აღმასკომს, სადაც მდივნად სიმონია. სიმონს მუდამ თან ახლავს სამსახურში თავისი ცოლი, რომელიც ცხვირ ჭინ უზის და თავისი იქ ყოფნით, ქმარს მუშაობის დროს მეტ ენერგიას ჰმატებს.

ბედნიერი ცოლ-ქმარი ისე ერთობიან სამსახურში ერთმანეთის ცქერით, რომ სიმონს მოსული გლეხი ავიწყდება და მას ყურადღებას არ აქცევს.

ექსტაზში მოსულია სიმონი...მაგრამ ფარდა იხდება და სცენ-ზე მანგლისის თემ ს აღმასკომში თვითონ ნახეთ თაც ხდება.

### ნამდვილი ამბავი

ეს სათაური სპიტომ მივეცით ამ ცნობას, რომ ეჭვი არავის შეჰპარებოდა. ბევრს ჰგონია, რომ „ტარტაროზი“ მღვდლებს ემტერება და ამიტომ მათზე ცუდ რამეებს იგონებს. ეს, რასაკვირველია, შეცდომაა. აბა ყური დაუგდეთ ფოთელს, რომელიც გვატყობინებს:

**მეძავე ქალს ბოლოს**
**აღარ მისცა ფული.**
**ამაზე კი ქალსა**
**მოუვიდა გული.**
**სტაცა ხელი ყელზე.**
**ჩამოსწყვიტა ჯვარი.**
**და გაიქცა ქალი**
**მინდვრად როგორც ქარი.**

**ქალმა სასამართლოს**
**ჯვარი ჩააბარა;**
**ჩვენი მღვდელის საქმე**
**იქვე აღიარა...**

**მღვდელს პანღური მისცხეს,**
**დაიტოვეს ჯვარი...**
**და ასე გათავდა**
**საქმე საზიზღარი...**



აქვე ვათავსებთ მღვდლის ჯვარს რომელიც გაიტაცა მეძავმა ქალმა და შემდეგ სასამართლოში წარადგინა, როგორც ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი.

## „გოლიათი“

**კიკოლიკო** გვატყობინებს: **სადგურ უფლის-ციხის უფროსი ჩხობაძე ყურადღების ღირსია. დიდი „დამსახურება“ მიუძღვის... ცემა-ტყეპაში. ცოდვაა ამ კაცის აქ მოცდენა...**

ამხ კიკოლიკოვ, ჩვენ სავსებით ვიზიარებთ, თქვენს აზრს. უმჯობესი იქნებოდა ამის შესახებ გეცნობებიათ ძმ. ტანტებისათვის. ისინი წრევანდელ ჩემპიონატში მიიწვევდენ ჩხობაძეს. ცხადია. ადამიანს ძალა ერჩის და ვერ ისვენებს. ამიტომ ნუ გიკვირთ, თუ მის თანაშემწე გიგოლაშვილს ძმარი ადინა ცხვირიდან. (რა მაინცადა მაინც ძმარი და არა სისხლი). და ცხადია, ასეთ ღონიერ და გოლიათ კაცს, როგორ გაუწევდა წინააღმდეგობას (ან და რას გახდებოდა!) საწყალი მისი ნათესავი ქალი!

როგორც სჩანს ძალიან ჰყვარებია უფლის-ციხე... და მგონი უარსაც არ იტყვის, თუ თქვენი სადგურის სახელწოდებას ჩამოვაცლით მის პირველ ნაწილს და რაც დარჩება იმაში მოვათავსებთ... სულერთია: უფლის იქნება თუ გამსახლის ციხე.

## „მომღერალი ოქმი“

როცა მკითხველმა ეს სათაური წაიკითხა, ალბად იფიქრა, რომ საქმე გვაქვს „მეცნიერება და ტეხნიკა“-სთანო. თვალწინ წარმოუდგა ამერიკა და ევროპა...

მაგრამ ეს ასე არ არის. არავითარი „მეცნიერება და ტეხნიკა“, არც არავითარი ამერიკა და ევროპა...

ეს ამბავი მოხდა ტფილისში, რუსთველის გამზირზე და მეორე სამილიციო უბანში.

აი როგორ იყო საქმე—გვატყობინებს **შალდური.**

**გასულ წლის დეკემბრის რიცხვებში ერთ მშვენიერ საღამოს კონსტანტინე სიმღერის მშვენიერ ხასიათზე იყო. ამ კარგ ხახიათს ღვინოც დაუმატა და... და შემდეგ რუსთველის გამზირზე გამოვიდა სასიმღეროთ.**

**მაგრამ მილიციონერი (ასათიანი) რას მიხვდებოდა კოსტას დამატკბობელ სიმღერას,—და იგი კომისარიატში მიაბრძანა.**

**— შეუყენეთ ადმინისტრატიული ოქმი!—განკარგულება გასცა კომისარმა.**

**— ამხანაგო კომისარო, თქვენ ცდებით; მე წესრიგი არ დამირღვევია,—მე ვმღეროდი და თუ სიმღერა...**

**— შეუდგინეთ სიმღერაზე ოქმი!**

**აი აქედან იწყება მომღერალ ოქმის ამბავი. ამის შემდეგ მიდის და მიდის მიმოწერები. ეძებენ პატრონს... ეძებენ მომღერალს, მაგრამ კოსტა არც ისე გულუბრყვილო იყო, რომ სწორი მისამართი მიეცა. ხან სულ არ სჩანს კოსტა ტფილისში; ხანაც უარს აცხადებს „მომღერლობაზე“... მაგრამ მიუხედავად ამისა მისი ოქმი (საქმე) დასეირნობს და ასე მღერის: „ჩიტი დევნათ არა ღირდა,—მისი გდევნა კი მეტი იყო“-ო. ამ მგზავრობაში და ამ სიმღერით მან მთელი ტფილისი შემოიარა და ჯერ-ჯერობით 87 ფურცელს იტევს:**




**ძნელია იმის თქმა, თუ როდის შესწყვეტს მოგზაურობას „მომღერალი ოქმი“... მაგრამ, ცხადია, მანამდი ისეირნებს,—სანამ აღმასკომის პრეზიდიუმი თავის მე-19-ე სავალდებულო დადგენილებაში არ შეიტანს პუნქტს სიმღერის აკრძალვის შესახებ.**

ალბად მუსიკის დიდი მოყვარულნი ყოფილან მილიციის თანამშრომლები და ამიტომაც ვერ ეყრებიან „მომღერალ ოქმს“.

## „ვით მარგალიტი ობოლი ხელი-ხელ საგოგმანები“...

მერე რა ვუყოთ, რომ აქ ლაპარაკია საჰამია-სერის სასადილოზე, რომლის ისტორიას ასე გადმოგვცემს მემატიანე კირილეისონ: „ოდესღაც 1923 წელში ქრისტეს დაბადების შემდეგ ამ სასადილოს ასეთი წარწერა ჰქონდა: „ქალთა კავშირი“-ს სასადილო, პელაგიას „სახელობისა“. შემდეგ წელში კი ასეთი:—„წითელი სასადილო“ „არენტად“ აღებული ივანეს მიერ. 1925 წელში შეიცვალა „გლეხკომის სასადილო“-თ და ისიდორესი. 1927 წელი კი არის განახლების წელი. ეხლა სასადილოს ასეთი წარწერა ამშვენებს: „**წითელი სასადილო**“ ქვევით: „**არენტად აღებული გლეხკომისაგან. ბიქტორ ხუნდაძე**“.

შეიცვალა შიგ მორთულობაც. ეხ-ლა გრამაფონი ატკბობს იქაურობას და მოსამსახურეების ჯიბეს უმღერის:



რად გინდა ფული ჯიბეში,
სჯობს ის რომ იყოს დახლშიო.
ღვინო გადაჰკარ ზედიზედ,
დამთვრალი წადი სახლშიო.

## ერთარსება — ორპიროვანი

ლედვან-მარელისის ლემიდან მონა წერ „გლეხის" წერილის წაკითხვა როცა დავიწყეთ, აზრად მოგვივიდა ამ წერილისათვის სათაურად წაგვე-მძღვარებია, „ერთარსება—ორპირო-ვანი", მაგრამ ქვევით წაკითხვისას კი აღმოჩნდა, რომ ორი კი არა ოთხზე მეტი პირი ჰქონია შალვა გიორგის ძე მაღრაძეს და აი, როგორ:

შალვა ჩემო სიხარულო
სიყვარულზე უფრო ტკბილო,
სკოლის „გამგევ" „ცოდნით სრუ-
ლო"—
გლეხკომიც გქონდა საკბილო:—
ეხლა „ეპოს"—გაჰკარ კბილი,
სვი და სჭამე მუდამ ტკბილი
დიდ-ვაკისა „სასადილოც"



გულით გსურს, რომ ჩაიბარო
მხოლოდ კბილი მასც არ გაჰკრა
„სიწითლით" არ გაიპარო.

კიდევ შეგვეძლო წაგვემძღვრებია სათაურად ამ წერილისათვის „ყვე-ლაფრის მყლაპველი" ან უკეთ „მჭა-მელი". აბა ყური დაუგდეთ ამ წერი-ლის ავტორს:

ეს ვაჟბატონი (ე. ი. შალვა გიორ-გიევიჩი მაღრაძე) არის: ვახანის შვიდ-წლედის გამგე, სადაც თვეში ერთხელ შეხვდებით. ამას წინად მოხდა მას და შვიდწლედის მასწავლებლობის შო-რის დიდი სკანდალი. მოწაფეებიც გაიფიცნენ მაგრამ ტერ. მაღრაძისა და გ. მაღრაძის წყალობით სქმე მი-ფუჩეჩდა.

არის კიდევ გლეხკომის თავმჯდო-მარეთ (რომელმაც გლეხკომის ფუ-ლი შეჭამა) ალბათ აქაც მფარველო-ბას უწევს ვილაცა. „ეპოს" გამგე და სხვა. როგორც სჩანს შალვას ძველ-რბილში ჰქონია გაჟღენთილი: „ქვე-ყანა დრომაა, სთალე და სჭამეო". მით უმეტეს, როცა მის მოქმედებას არა-ვინ კონტროლს არ უწევს. არც განა-თლების განყოფილება, არც გლეხკო-მის სამაზრო გამგეობა და არც სხვა ვინმე, ღმერთმა შეარგოს, შნო აქვს და სჭამოს გლეხების ნაოფლარი. ასე ათავებს წერილს ავტორი.

## ძმა-ბიჭობა

ძმა-ბიჭობას ყოველთვის ჰქონდა ადგილი. ერთი საცო ჭამაშიაც ბრა-ლიაო და აი, სწორეთ ამ გარემოებამ ჩაუყარა ძმა-ბიჭობას საფუძველი. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ძმა-ბიჭობა, როგორც საშუალება „გამდიდრებისათვის".

ასეთს კი ადგილი ჰქონია ამაღლე-ბის თემში, სადაც ტყის მცველს სევე რიანს და მიხეილ დოლიძეს შეუკ-რავთ ძმა-ბიჭური კავშირი ადგილობ-რივ ტყის გასანადგურებლად. დაუგ-დოთ ყური ჩანჩალას:

მინდა ტყის მცველსა ვესტუმრო
ამ ჩვენსა სევერიანსა,
ამ ახალგაზრდას წყალობით
მთლად განადგურდა ჩვენი ტყე.

როგორც ჩანჩალას წერილიდან სჩანს, რადგან სევერიანს საკუთარის ძალით ვერ გაუხერხებია სახალხო ქონების (ე. ი. ტყის) განადგურება, ამიტომ დაძმაბიჭებია მიხეილ დო-ლიძეს და საერთო ძალით, შედგო-მიან თავიანთ „საგმირო" საქმეს და თურმე:

ამ ორმა გმირმა აღარ დასტოვეს
არც წკნელი, არცა სარია,
და მოჭრილი ხეც თუ ნახეს
ხომ მათი საკუთარია.

აფერუმ თქვენს ძმა-ბიჭობას მი-ხეილ და სევერიანე, რომ აგრე გულ-მოდგინეთ შესდგომიხართ თქვენი თემის აღმშენებლობის საქმეს.

# კონკურსი № 4

ნახეთ სურათი პირველ გვერდზე, გამოუ-გონეთ მას შესაფერისი წარწერა. წარწერა უნდა იყოს მოკლე და სურათის სიუჟეტის დამახასიათებელი.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, გარდა რედაქციის თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრებისა.

დაჯილდოებული იქნება ორი წარწერა: პირველი 30 მანეთით; მეორე—20 მანეთით. ამის გარდა გამოცხადებული იქნება აგრეთვე ხუთი კარგი წარწერის ავტორები.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება „ტარ-ტაროზი"-ს № 105-ში რომ ამით (ხანგრძლივი ვადით) საშუალება მიეცეს ჩვენს მრავალრიც-ხოვან მკითხველებს მონაწილეობა მიიღონ კონკურსში.

ამოსჭერით აქვე დართული ტალონი, შეავ-სათ იგი და გამოაგზავნეთ.

სხვა ქაღალდზე დაწერილი არ მიიღება.

კონკურსის შედეგების გამოცხადების თანა-ვე დაჯილდოებულ წარწერის ავტორები მიი-ღებენ პრემიას.

მისამართი: ტფილისი
ჟურ. „ტარტაროზი" კონკურსისათვის.

სურათის სათაური . . . . . . . . . . . . . .

სურათის წარწერა . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

გვარი, სახელი და მამის სახელი . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

სწორი მისამართი . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ხელობა (პროფესია) . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

# „გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა“

ჩან-ძო-ლინი მეტად კმაყოფილია ლონდონში არკოსზე თავდასხმით.

იმ „დოკუმენტების“ სიყალბე, რომელიც გამოაქვეყნა ჩან-ძო-ლინმა მტკიცდება იმით, რომ მათში დაცულია ძველი რუსული მართლწერა

ხოლო ფრთხილად იყავით ჩემსავით არ დაგემართოთ,

(დეპეშებიდან)




ჩან-ძო-ლინი (ხიკს): ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრს): მე აღტაცებული ვარ თქვენი საქციელით.. ხოლო ფრთხილად იყავით ჩემსავით არ დაგემართოთ „დოკუმენტების“ გამოქვეყნების დროს დაიცავით რუსული მართლწერა;..

აღმასკომის სტამბა, კამოს ქუჩა № 68.